N46 (492)
1 ლარი
12/XI-18/XI
ექსკლუზიური ინტერვიუ ცოტნე გამსახურდიასთან
ვინ არის კეისიანი ანგელინას ფანი
„დუტამ რომ შემცვალა, ამან ვერ დამამშვიდა“...
„ისტერიკები და სკანდალები ნამდვილად არ ყოფილა“
„ბევრი ეტრფოდა, მაგრამ პირად ცხოვრებაში არ გაუმართლა“
რას ნანოზდა დოდო ჭიჭინაძე
ირაკლი ლაბაძეს საქართველოში გული ატკინეს
„დამპყრობლების მოსაჩვენებლად მეჩეთშიც კი დავდიოდი“...
ISSN 1987 - 5029
9 771987 502009
სიამის ტყუპები და ჩვილის სხეულში აღმოჩენილი საოცრება

საინტერესო და თვალსაჩინო...

სიახლე!

„ათიანი" და „ათიანში"

ერთერთი მაქმაცებლებისთვის!

მკითხველთან ურთიერთობის ახალი ხარისხი

ორი ჟურნალი ერთის ნაცვლად!

„ათიანში" და „ათიანი" ერთი შეფუთვით გამოდის.
ორივეს შეძენა შეგიძლიათ ერთის
ფასად - მხოლოდ

5 ლარად!

თქვენთვის წერს ჟურნალისტთა და მწერალთა
საუკეთესო გუნდი...

ვაციტრა
მედია

№46 (492)
12 — 18 ნოემბერი, 2009 წ.
ფასი 1 ლარი

ქვირის პალიტრა
ეზა

ქვეყანა



რთვლის ფონზე გალანძღული მთავრობა

ეს მთავრობა „კაპიკად“ არ ვარგა. კარგად ჩაიწერე.
— რატომ არ ვარგა?
— რატომ და ფულ არ მირიცხავენ. დედაი ვუტირებ, მაიცა! ეხლა შავდივარ სხვა პარტიაში...
— აქამდე რომელ პარტიაში იყავი?
— აქამდე არც ერთ პარტიაში არ ვიყავ, მაგრამ ეხლა შავალ-იმ პარტიაში...
— „ნაციონალებში“?
— „ნაციონალები“ მამაშორე თავიდანა!

6

სახე

რისი პერსპექტივა აქვს ჯონდი ბაღათურიას

„მიყვარს ჭიქის დაცლა, მაგრამ როცა მეორე დღეს ფორმაში ყოფნა მინდა, ვცდილობ, თავი შევიკავო... თორემ მერე ჩემი არც ერთი პროფილი აღარ ივარგებს საიმისოდ, რომ კამერის წინ დავდგე და ინტერვიუ მივცე“.

19

■ **მინიატიურები** 5
მას უყვარს თბილისი...

■ **ჭრელი მსოფლიო** 6

■ **ერი** 7
რთვლის ფონზე გალანძღული მთავრობა

■ **მადლი** 9
უცხო ადამიანის მზრუნველობით შეცბუნებულები

■ **პრობლემა** 10

■ **ინფორმაცია** 12

■ **სამართალი** 15
„ჩემი ალიბი — ჩემი სიმართლეა“

■ **ეკრანს მიღმა** 19
„დუტამ რომ შემცვალა, ამ ფაქტმა ვერ დამამშვიდა“

■ **კოლეგა** 22
„მამაჩემს ჩემი არც ერთი გადაცემა ჯერ არ უნახავს“

■ **რეპორტიორი** 23
...რჩევა მომავალ ტელეჟურნალისტებს

■ **ფსიქოპორტრეტი** 25
რისი პერსპექტივა აქვს ჯონდი ბაღათურიას

■ **მუსიკოსები** 27
ტკბილი ჯენტლმენები ანუ ტამტამებით გაერთიანებული ადამიანები

■ **ვარსკვლავები** 29

■ **ბედის ბორბალი** 31

■ **თქვენთვის, ქალბატონებო!** 33
მის გარეშე უაზრო იქნებოდა ჩემი ცხოვრება

■ **ფესვები** 35
„ჩემი ნენე სულით ქრისტიანი იყო“...

■ **სიტუაცია** 37
მამაკაცი რომ ვიყო...

26 668

138

ცხოვრება

„ჩემი ნენე სულით ქრისტიანი იყო“



„მიუხედავად იმისა, რომ მამა სულ მეუბნებოდა, — ჩვენ წმინდა სისხლის ქართველები და მართლმადიდებელი ქრისტიანები ვართო, — თავად მაინც ვერ გაბედა მონათვლა. მე კი მაშინვე მოვინათლე, როგორც კი ამის საშუალება მომეცა“.

33

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეზოს ნიღბები

პირდაღებული პროფესორი

„იმერელ ექიმთან, სანამ შესვენება დაეწყებოდა, ცოტა ხნით ადრე ერთი მეგრელი კაცი მისულა და თავისი მდგომარეობა შეუჩივლია: — ექიმო, თვალი მტკივა. — ორივე? — ზანტად დაამთქნარა თურმე ექიმმა. — არა, ერთი... — ბიძიკო, ღმერთმა ადამიანს ორი თვალი იმიტომ მისცა, რომ როცა ერთი ავადმყოფობს, მეორემ იმუშაოს, — უპასუხა ექიმმა და კარისკენ ისე მიუთითა, საათისთვის თვალი არ მოუშორებია“.

85

■ კრიმინალი 38

ფეხმძიმე ქალსა და მის ქმარს თავი ჩაქუჩით გაუხეთქეს

■ ოსტატი 41

„ოცნებაზე“ შეყვარებული ოსტატის ჯადოსნური სამყარო

■ კონტაქტები 43

■ ასპარეზი 44

„ტაფით შეიარაღებული“ ჩოგბურთელის ფანტასტიკური კარიერა

■ საკითხავი ქალებისათვის 46

■ ანტიდეპრესანტი 50

■ ავტო 50

■ ტაძარი 52

მესამე მსოფლიო საეკლესიო კრება...

■ ჯანმრთელობა 54

■ პროფესია 57

„მთვრალი ზღარბით“ მოხიბლული კლიენტი

■ დანაკლისი 59

ქართული სილამაზის სიმბოლო

■ შემოქმედი 61

„თუ შენს სამშობლოს არ დასჭირდები, შენ დასჭირდები სხვათა სამშობლოს“...

■ თინეიჯერული პონტები 64

გულქვა მშობლების უსაქციელობის მსხვერპლი

■ წვეთი პოეზია 67

■ გულახდილი დღიური 68

მე — ფსიქოლოგი (გაგრძელება)

■ დოკუმენტური პროზა 70

შეხვედრები სტალინთან (გაგრძელება)

■ ქართული დეტექტივი 72

გოჩა მანველიძე. ძმები (გაგრძელება)

■ მინირომანი 76

ორი დღე და მთელი ცხოვრება

■ რომანი 78

სვეტა კვარაცხელია. აკრძალული ოცნებები (გაგრძელება)

■ რეალური (გაგრძელება) 82

■ გზავნილები 85

■ ყველა ერთისათვის 90

■ მობილი-ზაცია 92

■ დაიჯესტი 97

■ გატაცება 98

■ ერუდიტი 100

ვის უყვება ზღაპრებს სოზარ სუბარი

■ გასართობი 102

■ ასტროლოგია 104

■ სკანვორდი 105

■ საფირმო კროსვორდი 106

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო



თოჯინები, რომლებიც დარდს გაგიქარვებენ

„მუზას ნამდვილად არ ველოდები. იდეები გამუდმებით, დღის ნებისმიერ დროს — დილას, საღამოს თუ შუაღამით მომდის და მეც, მონახაზის გასაკეთებლად ფეხზე წამოდგომა არასდროს მეზარება“.

43

ადამიანი



ქართული სილამაზის სიმბოლო

„ბუნებრივია, ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა, ბევრი ეტრფოდა, მაგრამ პირად ცხოვრებაში არ გაუმართლა. 20 წლის იყო, როცა იქორწინა. მისი მეუღლე პროფესიით დრამატურგი გახლდათ, დოდოზე ბევრად უფროსი, ერთმანეთს მალე დაშორდნენ. მსახიობი მიიჩნევდა, რომ მასთან ერთად ცხოვრებას ვერ შეძლებდა...“

57

ბიბლუსი

— წავიდნენ... — ჩაილაპარაკა მასპინძელმა და იქვე ჩამოჯდა.
— ვიცი... აქედან კარგად მოჩანს ეზო და ქუჩა, — უპასუხა გოგამ, — მაგრად გარისკე. რომ არ გამოგსვლოდა, ცუდად წაგივიდოდა საქმე!
— ძმაკაცები არიან, არ გამწირავდნენ.
— მერე, შენც ხომ მაგათი ძმაკაცი ხარ! — შენიშნა გოგამ.

67

ტაიმ-აუტი



სილამაზის დედოფლებმა იჩხუბეს

თვითმხილველთა ჩვენებების თანახმად, „მის ინგლისის“ ტიტულის მფლობელმა რეიჩელ კრისტიმ „მის მანჩესტერს“, სარა ბევერლი ჯოუსს სილა გაანნა. ქალების ჩხუბის მიზეზი ის გახლდათ, რომ სარამ რეიჩელს მისი ამჟამინდელი მეგობრის — ტელევარსკვლავ დევიდ მაკინტოშის ეროტიკული ხასიათის გზავნილი უჩვენა.

97

მას უყვარს თბილისი...

(არ უყვარს გორი... არც ჩიხაფარული... არც დედოფლისწყარო...)

შესავლის ნაცვლად ვენდე რეკლამას (ნუ ენდობი, თუ ბიჭი ხარ!), გადავიხადე წლიური 25 ლარი და „შემიყვარდა თბილისი“, თანაც ამის დამადასტურებელი წებოვანი სტიკერიც (ქართულად „ნაკლეიკა“ რომ ჰქვია) მომცეს და, რაც მთავარია, თვით ქალაქის მერის — გიგი უგულავას წერილი, რომლითაც მადლობას მიხდის ამ სიყვარულისთვის და მპირდება, რომ ჩემს საწყალ „ნივას“, მიუხედავად იმისა, რომ რუსული წარმოებისაა და მეც ხანდახან „ნაკლეიკას“ ვამბობ ხოლმე, უბატონოდ ხმას არავინ გასცემს თბილისის ავტოსადგომებზე!

გული ამიჩუყდა და რა გამახსენდა, იცით? რა და, ცხონებულ ბებიაჩემებს (ორივეს!) 90-იანი წლების ერთ-ერთი (მე შენ გეტყვი, ცოტა იყო) არჩევნების წინ პრეზიდენტის წერილები რომ მიუტანეს მაშინ ჯერ კიდევ მოქმედმა ფოსტალიონებმა. შევარდნაძე იწერებოდა, — აბა, თქვენ იცით, პენსიონერებო, ძველი გვარდია ხართ და თქვენი იმედი მაქვს, თანაც, არ დაგავიწყდეთ, მეუღლეებიც წამოიყვანეთ არჩევნებზეო! რაც მაშინ ბებიაჩემებმა „დიდი პოლიტიკოსი“ წყევლეს, მგონი, ის წყევლა აუხდა, მიშა რომ პარლამენტში შეუვარდა... საქმე ის გახლდათ, რომ ორივე ბებიაჩემის ქმარი ანუ ორივე პაპაჩემი (უფრო სწორად — ერთი პაპა და მეორე — ბაბუა, რადგან ლიხს იქით-აქედან იყვნენ), მაშინ „სამამულო ომად“ წოდებულ II მსოფლიო ომში დაიღუპნენ და შევარდნაძის წერილს ნობათი რომ მოაყოლეს „მოქკავშირელებმა“ (ახალგაზრდებისთვის განვმარტავ: მაშინ ასე ერქვათ „ნაციონალებს“), სწორედ იმ შეკვრაში აღმოჩენილი აზერბაიჯანული ჩაის პაკეტის დანახვაზე იკივლა ჩაის პლანტაციებში დაბერებულმა ბებიაჩემმა:

— შენ არ გეღირსოს აწი ჩაის დალევა, რავარც ჩემს ქმარს არ ეღირსა აფერი კაი, შე გაფუჭებულო და გურულების შემარცხვენელო!

ჰოდა, „კაკ რაზ“ ჩაი დაულია მიშამ!..

ახლა კი გიგი უგულავა მწერს, — მე ხომ ვგიჟდები თბილისზე და დიდი მადლობა, რომ შენც გიყვარსო, ჩემსავით — არა, მაგრამ — როგორც შეგიძლიაო...

ბატონო მერო! უნდა მოგახსენოთ, რომ მე, მიუხედავად იმისა, რომ რუსული „ნივა“ მყავს (სხვათა შორის, „ვოლგაც“, თან — „გაზ-21“), „სტიკერის“ მაგივრად, ხანდახან ისევ „ნაკლეიკას“ ვამბობ და პაპა-ბაბუაც, სამწუხაროდ, რუსების მხარეს იბრძოდნენ, თქვენზე მეტად მიყვარს თბილისიც და დანარჩენი საქართველოც, იმიტომ, რომ მისთვის, თქვენგან განსხვავებით, არაფერი დამიშავებია.

ეს ისე, ცნობისათვის. ახლა კი — რატომ ვახსენე თბილისი და დანარჩენი საქართველო ცალ-ცალკე. რატომ და, ნათესავი ჩამომივიდა ჩოხატაურიდან თავისი ავტომანქანით, დატოვა სადღაც ავტოსადგომზე (სადღაც კი არა, ვაკეში), ფეხით მიიარ-მოიარა თავისი საქმეები და საღამოს რომ მთხოვა, წამყევი მანქანის წამოსაყვანადო, — ფა-ფუ მანქანა! წაიყვანეს! იმიტომ, რომ არ ჰქონდა „ნაკლეიკა“ „მე მიყვარს თბილისი“ და უგულავას „სასიყვარულო წერილი“. არა, ამ ჩემს ნათესავს თბილისი მართლა არ უყვარს, რაც მართალია, მართალია, მაგრამ ამას ხმამაღლა არ ამბობს და ამიტომ 60 ლარის გადახდა ზედმეტად მეჩვენება. თორემ აგერ მეზობელმა მიამბო ანალოგიური ამბავი, რომელიც მის დედოფლისწყაროელ მეგობარს გადახდენია; იმაზე ახია 60 ლარი, ისე „კახურად“ აგინებდა თურმე, მთელი საბურთალოს გასაგონად... ხომ ხვდებით — ვისაც... ჰო, მაგის უფროსსაც, სხვათა შორის...

და საერთოდ, მადლობა თქვით, რომ ბებიაჩემი ცოცხალი აღარ არის, თორემ მისი წყევლის ძალის შესახებ უკვე მოგახსენეთ!

ისე, მართლა საინტერესოა, არათბილისელებმა რა ქნან? შემოვლენ თუ არა ქალაქში, მაშინვე ავტოსადგომის ბარათები უნდა იყიდონ? ჯერ განახლებული დედაქალაქი არ დაათვალიერონ?

P.S. ჩვენი ჟურნალი კვირაში ერთხელ გამოდის და ამდენად, ასე ძვირფასი საჟურნალე ფართობისა და მკითხველის ყურადღების დაკავებაც, სამწუხაროდ, ასეთი უმნიშვნელო ამბით მოგვიხდა. მაგრამ რა ვქნა? აღარ დამთავრდა ამათი სისულელეები!..

არადა, რა დროს ეს არის?! მსოფლიო შეშფოთებულია ღორის გრიპის ეპიდემიის საშიშროებით. თუმცა გუშინ ბელორუსის „ბატკა“ ლუკაშენკოს განცხადება მოვისმინე და ცოტა დავმშვიდდი: ეს პანიკა ფარმაცევტული კომპანიების მიერ არის დათესილიო.

რაც მთავარია: იცით, ვინ დაეთანხმა და ანალოგიური მოსაზრება ვინ გამოთქვა? არც მეტი, არც ნაკლები — აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ჰუსეინ ობამამ!!!

და საერთოდ, ამ ბოლო დროს ობამას აზრები ასეთი ტიპების აზრებს ემთხვევა და ამაზე მომავალ ხუთშაბათს ვისაუბროთ.

პროვოკატორი

ჩეხეთმა ევროკავშირის დატოვება გადაწყვიტა

„ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, ჩეხეთი ალბათ, ევროკავშირს დატოვებს, რადგან ქვეყნის პრეზიდენტის, ვაცლავ კლაუსის ერთ-ერთი მიზანი დაკარგული სუვერენიტეტის შენარჩუნებაა“, — ამ ინფორმაციას ჩეხეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, პეტრე ჰაეკი ავრცელებს. განცხადება იმის თაობაზე, რომ ლისაბონის შეთანხმების ძალაში შესვლა ჩეხეთის სუვერენიტეტის დაკარგვას გამოიწვევს, თავად ვაცლავ კლაუსმაც გააკეთა. ■

ქურდს ძარცვის დროს ჩაეძინა

ავსტრალიაში პოლიციელებმა ერთ-ერთი სავაჭრო ცენტრის კართან 35 წლის მამაკაცი იპოვეს — მას ხელში მავთული ეჭირა, რომლის ნაწილი ბოქლომში იყო შერჭობილი, თავად კი ეძინა. ძილისგუდა ქურდს ჯიბეში იმ ავტომობილის გასაღებიც აღმოაჩნდა, რომელიც სავაჭრო ცენტრთან ახლოს, სადგომზე იყო გაჩერებული. ავტომობილში პოლიციელებმა აფთიაქიდან მოპარული წამლები იპოვეს. ქურდს მართვის მოწმობის გარეშე ავტომობილის ტარებისა და ძარცვის ბრალდება უკვე წაუყენეს. ■

გამელოტებული დათვები

გერმანიის ქალაქ ლაიფციგის ზოოპარკში ძუ დათვები მოულოდნელად გამელოტდნენ. ორ დათვს — დოლორესსა (15 წლის) და ლოლიტას (11 წლის) უცნობი სენი შეეყარათ — სხეულზე შავი ხშირი ბეწვის ნაცვლად, მხოლოდ ბუსუსები შერჩათ, კანზე კი გამონაყარი გაუჩნდათ. ლაიფციგის ზოოპარკის თანამშრომლებმა ჯერ კიდევ ვერ გაარკვიეს, ცხოველების გამელოტება რამ გამოიწვია, მაგრამ ირწმუნებიან, რომ დათვების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ■

სომხებმა აზერბაიჯანელებს ცეცხლი გაუხსნეს

აზერბაიჯანული საინფორმაციო სააგენტოები იტყობინებიან, რომ სომეხმა სამხედროებმა ყარაბაღში, ჰერანბოისის რაიონში მშვიდობიან აზერბაიჯანელ მოსახლეობას მაშინ გაუხსნეს ცეცხლი, როდესაც ისინი საქონელს მწყემსავდნენ. ჰერანბოისის რაიონის სოფელ თაფგარაოიუნლუს მახლობლად გამართული სროლის დროს მხოლოდ ცხვრები დაიხოცნენ. ■

თვითმარქვია პრეზიდენტის ხუმრობა

ბრაზილიელმა მისტიფიკატორმა საკუთარი თავი ქვეყნის პრეზიდენტად, ინასიო ლულა და სილვად გაასაღა და რამდენიმე საერთაშორისო პორტუგალიურენოვან რადიოსადგურს ინტერვიუ მისცა.

ანგოლის სახელმწიფო რადიოსთვის მიცემული ინტერვიუ რამდენიმე დღის განმავლობაში გადაიცემოდა. ინტერვიუში მისტიფიკატორი 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებს განიხილავდა, რომელიც რიო-დე-ჟანეიროში უნდა ჩატარდეს. როგორც აღმოჩნდა, ხუმრობა ბრაზილიის რადიოსადგურმა მოიფიქრა. „ბი-ბი-სის“ ანალიტიკოსი, ლეონარდუ როჩა აღნიშნავს, რომ მსახიობი დამაჯერებლად ჰბაძავდა პრეზიდენტის ხმის ტემბრსა და აქცენტს. ■

რუბრიკა მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ

ქვეყანა

რთვლის ფონზე გალანძღული მთავრობა, ტვინის სიდამბლისთვის მოთხოვნილი პენსია

და „კოლხოზნიკივით“ „100-იანი“ ჟურნალისტი

მოგეხსენებათ, ოქტომბერი და ნოემბერი — ქორწილების სეზონია, განსაკუთრებით — კახეთში, რადგან ამ დროს უკვე ახალდაწურული ყურძენი დაღვინებულია, მოსავალი — დაბინავებული და კახელებს მეტი დრო აქვთ ქეიფისა და დროს ტარებისთვის.

ნათია ჟვიჟძე

ოქტომბრის ბოლო შაბათს, ჩემს დედულეთში, გურჯაანის რაიონში, სოფელ კალაურში ბიძაშვილის ქორწილში გავემგზავრე. მიუხედავად კოკისპირული წვიმისა, ქორწილში 200 კაცი მოვიდა და ყველამ კარგადაც იმხიარულა. მეორე დღეს გადავწყვიტე, რამდენიმე კახელს რთვლის შემდგომ პერიოდზე გავსაუბრებოდი. მაინტერესებდა, როგორი მდგომარეობა იყო ქარხნებში და კმაყოფილები იყვნენ თუ არა გლეხები მთავრობის დანაპირების შესრულებით. იმის გამო, რომ „ჯანიაანთ“ უბანში ხალხმრავლობა იყო, იქიდან არც გავსულვარ და ჯანიაშვილებთან გასაუბრება გადავწყვიტე. რამდენიმე მათგანი ერთ-ერთ სახლთან შეკრებილიყო და სტუმრებისთვის მწვადს წვავდა. სერიოზული ინტერვიუს ჩაწერას ვგეგმავდი, მაგრამ აბა, კახელთან საუბარი იუმორის გარეშე ვინ თქვა?!.

— ნოდარა ძია, ინტერვიუს მომცემთ?

— მა, რა, შვილო, სულ მთელ-მთელს.

— მაშინ მითხარით, როგორი შემოდგომა გქონდათ? კარგი ყურძნის მოსავალი მოგივიდათ?

— წელს ბარაქიანი შემოდგომა გვქონდა. პირადად მე, ნახევარ ჰექტარზე 8 ტონა ყურძენი დავკრიფე.

— მერე, რა უყავით ამდენ ყურძენს?

— ნაწილი ქარხანას ჩავაბარე, ნაწილი კი შინ დავწურე. მთელი წელი ღვინო ხომ გვინდა. სირცხვილია, კახელ კაცს სახლში ღვინო რომ არ ჰქონდეს.

— რომელ ქარხანას ჩააბარეთ ყურძენი და რიგში დგომამ თუ მოგიწიათ?

— ყურძენი ვაჩნაძიანის ქარხანაში მივიტანე და მისვლისთანავე დამიცალეს მანქანა. არანაირი რიგი არ ყოფილა. საფერავი 65 თეთრად ჩაიბარეს. 4 ტონა საფერავი მქონდა და სულ ქარხანას მივეცი. დანარჩენი, რქაწითელი მქონდა და ნახევარი ღვინოდ დავწურე, რაც დარჩა, ქალაქში ყურძნად გავყიდე. უნდა აღვნიშნო, რომ წელს კახეთში რთველი ვადაზე ადრე დაიწყო. მიუხედავად ამისა, არც ერთ ქარხანაში წუთ-ნახევარი შეფერხებაც კი არ ყოფილა. ნებისმიერი გლეხი ყურძენს მიტანისთანავე უპრობლემოდ აბარებდა.

— აბა, გასულ წლებში დიდი რიგები რატომ იყო ხოლმე? მახსოვს, მაშინ გლეხს იმდენ ხანს უწევდა რიგში დგომა, რომ მოსავალი უფუჭდებოდა კიდეც.

— მართალი ხარ. სწორედ ამიტომ ვიჩხუბეთ გლეხებმა. მერე ჩვენთან კახეთის გუბერნატორი და სოფლის მეურნეობის მინისტრი იყვნენ მოსულები. ჩვენი გასაჭირი მათ შევჩივლეთ. ვუთხარი, გლეხი მოსავლის აღებისას მანქანას ქირაობს, მერე ის ნაქირავები მანქანა სულ ცოტა, 2 დღე დგას ჩაბარების რიგში. არ შეიძლება, დაკრეფისთანავე ჩავაბაროთ ყურძენი, რომ ის ნაქირავები მანქანა მაშინვე გავათავისუფლოთ-მეთქი?.. ვუთხარი, რომ რთვლის დროს გლეხები გატანჯულები ვიყავით. მაშინ დაგვპირდნენ, აუცილებლად დაგეხმარებითო და ეგე, წელს სიტუაცია მართლაც გააუმჯობესეს. ახლა უკვე დაზღვეულია გლეხი — თუნდაც 30 ტონა ყურძენი აიღოს, უპრობლემოდ ჩააბარებს.

— მაგრამ ჩაბარების ფასი საკმაოდ იაფია, არა?

— ჰო, საკმაოდ იაფია. საფერავი — 1 ლარი და 50 თეთრი, ხოლო რქაწითელი 1 ლარი რომ ღირდეს, ჩვენი გლეხი გახარებული იქნებოდა.

— სეტყვამ და წყალდიდობამ ხომ არ დაგიზიანათ მოსავალი?

— საბედნიეროდ, ჩვენს სოფელში არც წყალდიდობა ყოფილა და არც — სეტყვა. კარგი მოსავალი ავიღეთ ყველამ.

— თქვენი ახალდაწურული ღვინო უკვე დააგემოვნეთ?

— მაი! იგეთი გემრიელია!.. კახელი ღვინის გარეშე ერთი დღეც ვერ გაძლებს. ყოველდღე თითო ჭიქას მაინც ვსვამთ. ახლა კახურ მწვადებსა და ღვინოს თქვენც გაგასინჯებთ. „კანფეტივით“ ღვინოა... *— ნოდარა ძიამ მითხრა, — ახლა სხვაი დაელაპარაკე, მწვადი არ დამეწვასო, — და შამ-*

ახლა კახურ მწვადებსა და ღვინოს თქვენც გაგასინჯებთ. „კანფეტივით“ ღვინოა...

ფურებს მიუბრუნდა. ცეცხლს ვინც უჩხიკინებდა, იმან მითხრა, რაღა მაგ „ნაციონალისგან“ იღებ ინტერვიუს, სხვას დაელაპარაკეო. თუმცა თვითონ გასაუბრებაზე უარი მითხრა. მე კი დიქტოფონი იქვე მდგომ რეზოს მივუშვირე და ვკითხე:

— **ყურძენი თქვენც ქარხანაში ჩააბარეთ?**

— აბა, რას ამბობ, იმდენი ყურძენი მაქვს, რომ ქარხანაი ვაბარო?! 3 ტონა ყურძენი ავიღე და აქედან ერთი ტონა ღვინოდ დავწურე, დანარჩენი კი ყურძნად გავყიდე. წესით, სუ მთელი უნდა დამეწურა, მაი, ერთი ტონა ყურძნის ღვინო მეყოფა მთელი წელი?! მაგრამ რა ვქნა, აბა?.. ფული მჭირდებოდა და გავყიდე. ეს მთავრობა „კაპიკად“ არ ვარგა. კარგად ჩაინწერე.

— **რატომ არ ვარგა?**

ჩვენი სუფრის ერთ-ერთი წევრი, მიშა ექიმი ყოფილა, დოლი კი — ალუმინის დიდი ქვაბი

— რატომ და ფულ არ მირიცხავენ. დედაი ვუტირებ, მაიცა! ეხლა შავდივარ სხვა პარტიაში...

— **აქამდე რომელ პარტიაში იყავი?**

— აქამდე არც ერთ პარტიაში არ ვიყავ, მაგრამ ეხლა შავალ იმ პარტიაში...

— **„ნაციონალებში“?**

— „ნაციონალები“ მამაშორე თავიდანა! აქამდე ბიძაშვილი მყავდა მაგ პარტიაში და ხმაი არ ვიღებდი. ახლა ისიც აღარ არის და ამიტომ გავლანძღავ ხუთიანზე. დაინახავ, ახალ პარტიას გავხსნი თუ არა...

— **რა პარტია უნდა „გახსნა“?**

— ამაზე წინასწარ ლაპარაკი არ მინდა.

— **სახელმწიფოს თქვენთვის ფული რატომ უნდა ჩაერიცხა?**

— ხმებითა და სხვა რაღაცა მაიმუნობით იმიტომ ვეხმარებოდი, რომ თვითონ კიდევ ფინანსურად დამხმარებოდნენ. ყოველ შემთხვევაში, შემპირდნენ, მაგრამ არ დამეხმარნენ. ჰოდა, დედაი ვუტირებ! მე პენსია არ მეკუთვნის, ტვინის სიდამბლე რომ მაქვს?!

— **რა გაქვთ?**

— მაი, ამ მთავრობას რომ ხმებს მოვუგროვებ, ტვინის სიდამბლე არ მექნება?! ნორმალური კაცი ამ მთავრობას ხმაი მისცემს?! მე კიდენა, მთელ სოფელს მივაცემინე.

— **ახლა ამის გამო მთელი სოფელი გემდურის?**

— მა რა, სულ დედაი მაგინებენ... გიავ, მოდი, ახლა შენ მიეცი ინტერვიუ, შავღონდი კაცი... — *იქვე მდგომ მეგობარს დაუძახა. მან პასუხად გადმოსძახა, — ეგ გოგო სანდო არ არის, ვერ გაიგე?! ჟურნალისტი ყოფილა, ამიტომ ინტერვიუს არ მივცემო. ამასობაში ჩვენს საუბარში კიდევ ერთი კახელი ჩაერთო და მთხოვა: მაიტა, ალექსანდრე კვიტაშვილს ხმა მიაწვდინე როგორმე, დემეხმაროს, თორემ ვერა ხედავ, გამილოთდნენ ესენიო?!*

ამასობაში მწვადიც შეიწვა და კახელებმა იქვე გარაჟში სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან მიმიპატიჟეს. ჩემს პატივსაცემად, წითელი ღვინო მოიტანეს და 5-ლიტრიანი პლასტმასის ბიდონით წინ დამიდგეს: რამდენიც გინდა, დალიეო. ვიკითხე, ეს საფერავია-მეთქი? 100-იანი ხარ, „კოლხოზნიკის“ სპიდომეტრივითო! — მიპასუხა რეზომ. ვიდრე სიცილისგან მოვსულიერდებოდი, სუფრას ნოდარას ქალიშვილი, აფთიაქარი (სოფლის აფთიაქში მუშაობს და მთელი სოფელი ასე მიმართავს) ნატო შემოუერთდა: სუფრასთან ერთი გოგო ხომ არ იჯდებიო!.. ნატოს ვახარე: მამაშენთან ინტერვიუ ჩავწერე-მეთქი.

— ვაიმე, გო, წესიერად მაინც ეცვა? რა ეცვა?

მერე უცებ მამამისი დაინახა და მიუბრუნდა:

— წადი, ე, სახლში, გამაიცვალე, ეს რა გაცვია, ცოტა ნორმალურად ჩაიცვი!

ნატო დავამშვიდე: დიქტოფონში მამაშენის ჩაცმულობა მაინც არ ჩანს და რა მნიშვნელობა აქვს, რა ეცმევა-მეთქი?! — მაგრამ ის აღარ ვუთხარი, მამამისს ფოტოებიც რომ გადავუღე...

სუფრის თამადობა რეზომ ითავა. ჯერ მშვიდობის სადღეგრძელო შესვა, მერე კი ტრადიციებს მიჰყვა. თან, ჩემს ჭიქას უთვალთვალებდნენ და თუ ცოტას მაინც დავტოვებდი, მეჩხუბებოდნენ, — ამ ღვინის არდალევა იქნებაო?! ბახუსმა თავისი ქნა და ჯერ „მრავალჟამიერი“ შემოსძახეს, მოგვიანებით — „ჩონგურო“, მერე კი „კინტაურზეც“ გადავიდნენ და მეც გამიწვიეს საცეკვაოდ. ხელები გავშალე თუ არა, აღფრთოვანდნენ და დაიძახეს, ექიმს დოლი მიაწოდეთო. ჩვენი სუფრის ერთ-ერთი წევრი, მიშა ექიმი ყოფილა, დოლი კი — ალუმინის დიდი ქვაბი, რომელზეც მიშა ექიმი გულმოდგინედ უკრავდა. მეტი საკრავი საჭირო არც იყო. კახელების უმრავლესობა ხომ მუსიკალურობით გამოირჩევა. ერთ-ერთმა არ დაიზარა და უკვე საყოველთაოდ ცნობილი „არანჟირებაც“ შემოგვთავაზა — მთელი ხმით გაჰყვიროდა „დნნ-დშნ“-ო. ხმაურზე, რეზოს ცოლი გამოვიდა — ჩვენი მონახულება გადაწყვიტა. კაცებმა ნაზი ეზოში დაინახეს თუ არა, რეზოს მოახსენეს, — შენი ჯვარნაწერი მოდისო. ნოდარმა კომენტარი გაუკეთა, — ეგ რო დაინახა, იმიტომაც დაჰბურძგლა ტანშიო...

მოკლედ, უამრავი საინტერესო რამ მიამბეს. მაცინეს, მახალისეს, დამათვრეს და თბილისში გამომაცილეს. თან მომაძახეს, — აბა, შენ იცი, ცუდი არაფერი დაგვიწერო, თორემ ჩამოხვალ კიდევ კახეთშიო!.. ამ მასალისთვის ერთი ზედმეტი სიტყვაც კი არ დამიმატებია და იმედია, არც კახელები გამინაწყენდებიან. ■

ვაჟა, ნოდარა და რეზო



ჯერ „მრავალჟამიერი“ შემოსძახეს, მოგვიანებით — „ჩონგურო“, მერე კი „კინტაურზეც“ გადავიდნენ

უცხო ადამიანის მზრუნველობით შეცბუნებულები

და სიკეთის კეთების წყურვილით შეპყროობილები

— სოფელი თითქმის დაცლილია... უმუშევრად მყოფმა ახალგაზრდებმა აქ ცხოვრებას გული ვერ დაუდეს და ქალაქს მიაშურეს; ზოგი კასპშია, ზოგი — თბილისში. საქართველოს დანარჩენი სოფლებივით, კავთისხევსაც უამრავი პრობლემა აქვს, ქაა, — ზოგი ადგილობრივების სიზარმაცის შედეგია, ზოგიც სოფლისა და ქვეყნის გულგრილობის. კომუნისტობის წლებს კი ლანძღავთ და აგინებთ ახალგაზრდები, მაგრამ მაშინ უმუშევარ კაცს ქუჩაში ვინ გააჩერებდა?! არც სალოთაოდ ეცალა ვინმეს და არც საყაჩაღოდ... — გულისტკივილით ამბობს 83 წლის მარო კუჭიაშვილი და მცირე პაუზის შემდეგ განაგრძობს:

ბევრი გაოცებული, ეჭვითაც კი გვიყურებდა, ვინ ხართ და რაგომ უნდა დაგვეხმაროთო? — გვეკითხებოდნენ

ლალი პაპასკირი

— მაშინდელი ხელისუფლება მშრომელებსა პატივს გვცემდა, მე „შრომის გმირის“ წოდებაი მააქ და მედალი „მომანიჭეს“. პენსიაც მქონდა და ხელფასიცა... ორი შვილიშვილი მყავს სახლში, ორივე დასაოჯახებელია, მაგრამ აბა, რანაირათა?! ბიჭმა ცოლი რომ მაიყვანოს, ვინღა არჩინოს, თვითონ მშობლების შემყურეა. გოგოს კომპიუტერები „დავამთავრებინე“, მარა სახლში მიზის... ეეჰ, რა ვიცი, შვილო, რა ეშველება აქაურობასა, გული მტკივა, ამ მოშლილ სოფელს რო ვუყურებ... გლეხმა თუ მიწა მოიძულა, ის ვერც სხვაგან იპოვის თავის ბუდეს...

ქალბატონი მარო თვალებში ჩამდგარ ცრემლებს მუშაობისგან დახეთქილი ხელისგულებით იწმენდს. მის ნათქვამს რძალი — 80 წლის ციალა კუჭიაშვილი განაგრძობს:

— ჯანი მამდევს, შვილო, მარა, ამ უმუშევარი და უსაქმოდ მოყიალე ახალგაზრდების ყურება ნელა-ნელა მკლავს, უტკივილო სენივითა. 80 წლის ვაარ, მარა კიდევ მერჩის ღონე და მეც ვიმუშავებ, დღეში ერთ ლარათაც გავალ ბაღში, სხვა თუ არაფერი, სარეველა ბალახს დავგლიჯამ...

სოფელს მართლაც, სჭირდება ხელის შევლება. გაუმართავ გზებს, შარაზე დაგდებული რეზინის მილებიდან მოთქრიალე წყალი უფრო მეტად აფუჭებს. გზადაგზა დაცარიელებულ, კედლებდაბზარულ და სახურავჩამონგრეულ სახლებს ვაწყდებით... მოხუცების თქმის არ იყოს, ერთი შეხედვითვე ჩანს, რომ ზოგი რამ იქაური კაცის ბრალია, ზოგიც — სახელმწიფოსი. ცუდი ის არის, რომ ქართლის ერთ სოფელს ზოგადად ქართული სოფლის სურათი აურეკლავს: ცუდი პირობების გამო გლეხმა წინაპრის ნაამაგარს ზურგი აქცია... ადგილობრივები უმუშევრობასა და ცუდ პირობებს უჩივიან. სოფლის ცენტრალური გზები გაკეთებულია, მაგრამ იმ მონაკვეთზე, რომელზეც სოფლის მოსახლეობა ყველაზე ხშირად მოძრაობს, ვიღაცას წყლის მილები ჩაუყრია და მანქანას კი არა, ფეხით მოსიარულესაც გაუჭირდება გავლა.

— ზამთარში რომ მოყინავს, ვერ დავდივართ, მანქანები კი შემოვლითი გზებით წავლენ, მაგრამ ჩვენ რაღა გვექნა და ისევ იმ გზას ვეძიძგილავებოდით, — *მეუბნება მარო ბებო და ორმოს ამოვსებაზე გამალებით მომუშავე ახალგაზრდებს ლოცავს: გარკვეული პრობლემების მოგვარებაში სოფლის მოსახლეობას ახლახან დაარსებული გაერთიანება „ერისშვილები“ ეხმარება. ახალგაზრდების ჯგუფი ყველა იმ ადამიანის კარზე აკაკუნებს, ვისაც დახმარება სჭირდება. ბევრს უკვირს, — ვინ ხართ და რა გინდათო?..*

რამაზ ბეჟანიშვილი, *საზოგადოებრივი გაერთიანება „ერისშვილების“ ერთ-ერთი თავკაცი:*

— გასულ ზაფხულს, ივლისში მეგობრები მლეთის მამათა მონასტერში ვიყავით ჩასული. კვირადღე იყო და წირვის შემდეგ გადავწყვიტეთ, მონასტერში მყოფი მამებისთვის შეშა დაგვეპო. 12-მდე კაცი ვიყავით, მაგრამ როცა საქმეს შევუდექით, მლეთის მკვიდრნი და სოფლის სტუმრებიც შემოგვიერთდნენ. საკმაოდ მძიმე სამუშაო იყო, მაგრამ რამდენიმე საათში გავუმკლავდით... ის დღე გახდა საფუძველი იმისა, რომ გაერთიანება ჩამოგვეყალიბებინა, სადაც მოხალისეები მოიყრიდნენ თავს და ფიზიკური შრომით ყველა გაჭირვებული ადამიანის კარზე დავაკაკუნებდით. ეს ყველაფერი უანგაროდ უნდა გვეკეთებინა და სხვებიც უნდა წაგვეხალისებინა, რათა საზოგადოებისთვის დაგვენახვებინა, რომ იმისთვის, რათა შენს თანამემამულეს დაეხმარო, ფული არ არის აუცილებელი, სხვანაირადაც შეიძლება, ხელი მოუმართო... ჩემთან ერთად, ამ საქმეს ჩემი მეგობრები — მამუკა მჭედლიშვილი, ანდრო ზედგინიძე და შოთა ბეჟანიშვილი უწევენ ორგანიზებას.

— იმ ადამიანებს როგორ პოულობთ, ვისაც თქვენ დახმარება სჭირდებათ?

— თავიდან, სადაც ყურს მოვკრავდით, რომ ვიღაცას ძალიან უჭირდა, მივდიოდით და ვეკითხებოდით, რით შეგვეძლო, დახმარება გაგვეწია. ხალხი ასეთ რაღაცებს გადაჩვეულია, უცხო ადამიანებისგან მზრუნველობა და ყურადღება ბევრისთვის წარმოუდგენელია და ბევრი გაოცებული, ეჭვითაც კი გვიყურებდა, ვინ ხართ და რატომ უნდა დაგვეხმაროთო? — გვეკითხებოდნენ. ვპასუხობდით, — თქვენებური ვართ, ქართველები, გვინდა, ხელი მოგიმართოთ და ამის საშუალება მოგვეცით-თქო... ზოგს ხელისუფლების მიგზავნილები ვგონივართ, ზოგს — ოპოზიციის, მაგრამ როცა ავუხსნით, რომ ჩვენს ზურგს უკან არავინ დგას, რაღაცნაირი სიხარული უდგებათ თვალებში — საქმის გაკეთებაზე მეტად, მორალური მხარდაჭერა ახარებთ. ხშირად უთქვამთ, — მომავლის რწმენა გაგვიჩნდა და გვიხარია, რომ ამდენი უბედურების შემდეგ,

ციალა და მარო

რა ვიცი, შვილო, რა ეშველება აქაურობასა, გული მტკივა, ამ მოშლილ სოფელს რო ვუყურებ...

ღვთისნიერი ხალხი ჯერ კიდევ შემორჩენილაო... ზედმეტი გაუგებრობისგან თავის დასაზღვევად, ასეთი რამ შემოვიღეთ: იმ სოფელში, სადაც მივდივართ, ერთი ადგილობრივი გვხვდება, რომელიც ჩვენს ჩასვლამდე მოსახლეობას აფრთხილებს. ახლა უკვე ის ხალხიც გვაკვალიანებს, ვისაც უკვე დავეხმარეთ, — სხვების მისამართებს გვაძლევს... მუშაობა მლეთაში დავიწყეთ. ყველა იმ ოჯახს ჩამოვუარეთ, ვისაც უამრავი საქმე ჰქონდა მოსაგვარებელი. უკვე სხვადასხვა კუთხის ბევრ სოფელში ვართ ნამყოფი. სოციალურ პრობლემებთან ერთად, სოფლის დაცლის ერთ-ერთი მიზეზი უგზოობაც არის, ამიტომ ბევრგან, ადგილობრივებთან ერთად, გზებიც შეგვიკეთებია. ასფალტს ვერ დავაგებთ, მაგრამ იქვე, სოფელში მიწა ამოგვითხრია, ქვები ამოგვიყრია და საფარი მოგვისწორებია.

— ადგილობრივები რითი გეხმარებიან?

— ზოგმა მანქანა მოიყვანა, ვიღაცამ სამუშაო იარაღები და მიწა მოიტანა და ისეთი ენთუზიაზმით შეუდგნენ საქმეს, მიხვდი — ადამიანში სიკეთის სურვილი რომ აღძრა, ძალიან მცირედი ბიძგიც საკმარისია. სოფელში დროის პრობლემა არავის აქვს და ყველა ხალისით მუშაობდა.

— მხოლოდ რეგიონების მცხოვრებთ ეხმარებით თუ თბილისელებისთვისაც გაგიმართავთ ხელი?

— ცალკეული ადამიანებისთვის — არა. ოქტომბერში ნარიყალაზე ვიყავით ასული და იქაურობა დავასუფთავეთ. როგორც კი მუშაობა დავიწყეთ, უცნობი ადამიანებიც შემოგვერთდნენ. ქალაქშიც ძალიან ბევრს სჭირდება დახმარება, მაგრამ მათ ჩვენი არსებობის შესახებ არ იციან... უკვე შედგენილი გვაქვს პროგრამა, რომლის მიხედვითაც, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებშიც დავიწყებთ მუშაობას.

— მართალია, ასეთი კარგი საქმის კეთების დროს უკან არავინ დაიხევს, მაგრამ მაინც მინდა, გკითხოთ: სოფლებში რომ ჩახვიდეთ, ტრანსპორტი, საწვავი ხომ გჭირდებათ?..

— დიახ, მართალს ბრძანებთ — როცა ასეთ საქმეს აკეთებ, მართლა არ შეიძლება, უკან დაიხიო... საწვავსა და სხვა წვრილმანებზე ფულად შემოწირულობას ვაკეთებთ — თვითონ ორგანიზაციის წევრები ვდებთ საჭირო თანხას. საბედნიეროდ, ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, რომ უცხო ადამიანი დაგვხმარებია... ჯერჯერობით ისეთი პრობლემა არ შეგვქმნია, რომ ვინმეს დავპირებოდით და ვერ გაგვეკეთებინა. დიდია, ასე ვთქვათ, ადამიანური რესურსი: შეიძლება, მატერიალურად ვერ დეხმარო გაჭირვებულს, მაგრამ სხვანაირად დაანახვო და აგრძნობინო, რომ მარტო არ არის... მლეთაში ერთ ქალბატონს, თამარ ბუჩუკურს შეშა დავუჩეხეთ. როცა ჩვენი გაერთიანების მიზნებზე მოვუყევით, შემოგვთავაზა, — მასწავლებელი ვარ და გაჭირვებული ოჯახის შვილებს უფასოდ მოვამზადებო.

— მოკლედ, თქვენი ორგანიზაციის პროგრამაზეც მოგვიყევით...

— სადაც კი ხელი მიგვიწვდება, გვინდა, ყველგან მივიდეთ. და კიდევ ერთი რამ: გვინდა, კონფლიქტურ ზონებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები მოვამზადოთ. ამასთან, ვაპირებთ, მოხალისე იურისტების, პედაგოგებისა და სხვა სპეციალობების წარმომადგენელთა მონაწილეობით, სხვადასხვა თემაზე შემეცნებითი გაკვეთილები და სემინარები ჩავატაროთ... ვაპირებთ აგრეთვე, ეკლესია-მონასტრებში მივიდეთ და მათ, ნარკომანიით დაავადებულთა რეაბილიტაციისთვის საცხოვრებელი ადგილებისა და სასადილოების მოწყობაში დავეხმაროთ. გვაქვს კიდევ სხვა პროგრამები, მაგრამ მათ განხორციელებას დამოუკიდებლად ვერ შევძლებთ, რადგან ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში ვართ და ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი.

— თქვენს საქმიანობაში, ქუჩაში მცხოვრები მოზარდების ჩაბმაც ხომ არ გიცდიათ?

— ძალიან გვინდა, გამოგვივიდეს: რამდენჯერმე ვცადეთ კონტაქტის დამყარება, მაგრამ ამას მათი მხრიდან აგრესია მოჰყვა. რაღაცნაირად, ეჭვით გვიყურებენ და თავს გვარიდებენ. მათთან ჯერ უფრო, ფსიქოლოგიური მუშაობაა ჩასატარებელი. არადა, მათი ამგვარად დასაქმება ძალიან სასიკეთო იქნებოდა... კიდევ ერთი საინტერესო გეგმა გვაქვს: გორის შესასვლელთან დასახლებულ დევნილთათვის, ე.წ. საქარე ზოლის გაკეთებას ვაპირებთ; ნერგებით მომარაგებას ხელისუფლება გვპირდება. ვნახოთ, რა გამოვა...

ბევრგან, ადგილობრივებთან ერთად, გზებიც შეგვიკეთებია

აგერ უკვე 20 წელია, ჩვენში დასაქმების პრობლემა სიმწვავეს არ კარგავს. მაღალ მაჩვენებელს იმარჩუნებს ქვეყნიდან შრომითი მიგრაცია. ეკონომიკური კრიზისის პირობებში უმუშევართა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა და არც ექსპერტების პროგნოზებია ამ მხრივ, მაინცდამაინც სანუგეშო.

ქვეყანაში უმუშევრობის დონეს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტი ადგენს, რომლის მონაცემებითაც, 2005-2008 წლებში ეს მაჩვენებელი განუხრელად იზრდებოდა. მაგალითად, თუ 2005 წელს, შრომისუნარიანი მოსახლეობის მხოლოდ 12% იყო დაუსაქმებელი, შარშან სამსახურის მაძიებელთა რაოდენობა კიდევ 4%-ით გაიზარდა. სამწუხაროდ, ჯერ არ არსებობს წლევანდელი სტატისტიკა, მაგრამ საქართველოს პროფკავშირების მონაცემებით, წლეულს სამსახური კიდევ 160 ათასმა ადამიანმა დაკარგა.

ემა ტუხიაშვილი

ოფიციალურ სტატისტიკას კატეგორიულად არ ეთანხმებიან დამოუკიდებელი ექსპერტები. სამწუხაროდ, ქვეყანაში არც შრომის ბირჟა არსებობს, სადაც სამსახურის მაძიებელთა აღრიცხვა მოხდებოდა. ამიტომ დასაქმების მსურველები ძირითადად, კერძო სააგენტოებს მიმართავენ ან საგაზეთო განცხადებებით ეძებენ სამსახურს.

სააგენტოების მესვეურები ადასტურებენ, რომ ბოლო წლის განმავლობაში ვაკანსიების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა, ხოლო სამსახურის მაძიებელთა რიცხვი გასამმაგდა. აქვე დავძენთ, რომ კრიზისის დროს გამოიკვეთა, თუ რომელ პროფესიებზეა ყველაზე დიდი მოთხოვნა. მაგალითად, მზარდი უმუშევრობის ფონზე, კვლავ მაღალია მოთხოვნა ძიძებზე, მაღაზიის კონსულტანტებსა და ვარცხნილობის სტილისტებზე.

დავით ნარმანია, *ეკონომიკის ექსპერტი:*

— ეკონომიკური კრიზისის პირობებში, მეტად გაიზარდა უმუშევრობა და უფრო გართულდა სამსახურის შოვნა. კრიზისის პირობებში ბევრ კომპანიას აღარ სჭირდება თანამშრომელთა ის რაოდენობა, რაც ადრე. ამიტომ შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების სტრუქტურა რადიკალურად შეიცვალა: სამსახურს უამრავი ადამიანი ეძებს, ვაკანსია კი ძალიან ცოტაა.

— ჩვენში უმუშევრობა ზოგადი სტატისტიკით აღირიცხება. არ არსებობს სახელმწიფო შრომის ბირჟაც. ასეთ პირობებში, უმუშევართათვის

„პროფესია“ — უმუშევარი

„თვითდასაქმებულებს თუ გამოვრიცხავთ, საქართველო „უმუშევროობის ჩემპიონია“

შარშანდელი მარტიდან დღემდე, დაახლოებით 160 ათასმა ადამიანმა დაკარგა სამსახური

შემწეობის დანიშვნაზე საუბარი ალბათ გულუბრყვილობაც კი იქნებოდა...

— ქვეყანაში უმუშევართა რეგისტრაციის, აღრიცხვის ერთიანი სისტემა და შრომის ბირჟა არ არსებობს. სხვათა შორის, მოწესრიგებული შრომის ბირჟა არც ადრე არსებულა. სახელმწიფომ ეს პრობლემა აუცილებლად უნდა მოაგვაროს. რადგან ქვეყანაში უმუშევართა რეგისტრაცია არ ხდება და ამას ემატება ისიც, რომ კრიზისის პირობებში ბიუჯეტიდან სხვადასხვა სოციალური ვალდებულების დაფინანსება ისედაც ჭირს, უმუშევართათვის რაიმე სახის შემწეობის გაღებაზე ლაპარაკი ნაადრევია. მაგრამ ხელისუფლება პერიოდულად, დასაქმების ცალკეულ სამთავრობო პროგრამებს გვთავაზობს, რაც, როგორც წესი, წინასაარჩევნოდ ხორციელდება და მოკლევადიანი ეფექტი მოაქვს... თითქოს ხელისუფლება ცდილობს, ისეთი პროექტები წაახალისოს, რომლებიც დასაქმებას უწყობს ხელს. მაგალითად, მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება, ბიზნესგარემოს ლიბერალიზაცია და სხვა. მაგრამ კრიზისის პირობებში, პრობლემის სიმწვავის ფონზე შედეგი იმდენად მცირეა, რომ ვითარება მნიშვნელოვნად არ იცვლება.

— ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში უმუშევრობა 16%-ია...

— სტატისტიკის დეპარტამენტი, შრომის მსოფლიო ორგანიზაციის კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს და უმუშევრებს შორის არ აღრიცხავს თვითდასაქმებულებს — მაგალითად, მათ, ვისაც საოჯახო მეურნეობა აქვს. ამ მიდგომით შედგენილი მონაცემების მიხედვით, საქართველოში უმუშევრობის დონე მაღალი არ არის, მაგრამ სინამდვილეში, თუ სხვა კრიტერიუმებით ვიხელმძღვანელებთ და რეალურად დასაქმებულებს დავითვლით, ქვეყანაში უმუშევრობა 60%-ზე მეტს აღწევს.

— რატომ არ შეიძლება, თვითდასაქმებული ჩაითვალოს დასაქმებულად? ხომ აქვს სამუშაო, რაღაც შემოსავალი...

— ისინი რეალურად, პროდუქტს კი ქმნიან, მაგრამ ქმნიან მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის, ოჯახისთვის და მათ მიერ შექმნილი ნამატი პროდუქტი ძალიან მცირეა. ამდენად, უმჯობესია, მათ ვუწოდოთ შინამეურნეობაში დაკავებული.

— როგორია პროგნოზი? ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, როგორ შეიძლება შეიცვალოს დასაქმების დონე მომავალში?

— დღესდღეობით რეალური გაუმჯობესების ტენდენცია არ შეინიშნება. თუმცა მომავალი წლის შუა პერიოდიდან, როდესაც კრიზისული მოვლენები შემცირდება, მდგომარეობის ოდნავ გაუმჯობესება მოსალოდნელია.

ირაკლი პეტრიაშვილი, *პროფკავშირის თავმჯდომარე:*

— შარშანდელი მარტიდან დღემდე, დაახლოებით 160 ათასმა ადამიანმა დაკარგა სამსახური. ყველაზე გვიან კრიზისი მომსახურების სფეროს შეეხო და ასეც უნდა ყოფილიყო. პირველ რიგში კრიზისი საბანკო და სამშენებლო სექტორებს შეეხო. ვერ ვიტყვი, რომ მომსახურების სფეროში ახალი სამუშაო ადგილები იქმნება. მეტსაც გეტყვით — თვითდასაქმებულებმაც დაკარგეს სამუშაო ადგილები, რადგან ბანკში კრედიტებზე პროცენტები გაიზარდა და კრედიტების გაცემაც შეიზღუდა. სამუშაო ადგილები დღესაც მცირდება, იმიტომ, რომ საგადასახადო კოდექსი სრულიად გაუაზრებელ რამეს ითხოვს თვითდასაქმებულებისგან — სალარო აპარატებს ვგულისხმობ. დადიან საგადასახადო ინსპექტორები და ბიუჯეტის შესავსებად აბსურდულ ჯარიმებს უწერენ ამ ხალხს. ბიუჯეტი როგორღაც, ალბათ კი ივსება, მაგრამ ეს ადამიანები ჯარიმებს ვერ იხდიან, ვეღარც თავიანთ საქმიანობას განაგრძობენ და უმუშევართა დიდ არმიას უერთდებიან.

— ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, უმუშევრობა 16%-ს შეადგენს....

— ჯერ ის ვთქვათ, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით, როგორია ქვეყანაში საარსებო მინიმუმი, სხვა ციფრებსაც გადავავლოთ თვალი და თუ მეტყვით, რომ ეს ციფრები სანდოა, მაშინ დავეთანხმოთ იმას, რომ უმუშევრობა მხოლოდ 16%-ია. არადა, რეალურად, ეს მაჩვენებელი რომ დავადგინოთ, უნდა ვიცოდეთ — კონკრეტულად, ვინ არის უმუშევარი. როცა ქვეყანაში დაქირავებით დასაქმებულთა 22%-ს ხელფასი საარსებო მინიმუმზე ნაკლები აქვს და როცა თვით საარსებო მინიმუმის დადგენის მეთოდოლოგიაშიც გვეპარება ეჭვი, როგორღა ვთქვათ იმავე მასწავლებლებზე, საჯარო მოხელეებზე, რომლებიც საარსებო მინიმუმზე ნაკლებ ხელფასს იღებენ, რომ დასაქმებულები არიან?.. მაგალითად, დასაქმებულად მიიჩნევა ადამიანი, რომელსაც სოფლად რამდენიმე ასეული კვადრატული მეტრი მიწა აქვს. ეს შესაძლოა, ჰოლანდიაში ან ევროპის სხვა ქვეყანაში ნიშნავდეს დასაქმებას და ოჯახისთვის შემოსავლის წყაროდ მიიჩნეოდეს, მაგრამ საქართველოში ასე ნამდვილად არ არის...

— სტატისტიკის დეპარტამენტის გარდა, თქვენი ინფორმაციით, ვინმე თუ იკვლევს უმუშევრობას? თუ ვიცით — რეალურად, რამდენი უმუშევარი გვყავს ქვეყანაში?

— იმის ამბიცია არა გვაქვს, რომ უზუსტეს მონაცემებს ვფლობთ. ჩვენი წევრი ორგანიზაციების (დარგობრივი ეკონომიკური სფეროების მიხედვით) მონაცემებს ვეყრდნობით და ეს ციფრები შესაძლოა, არც იყოს ზუსტი, მა-

გრამ არც რეალობასაა მოწყვეტილი: ჩვენი მონაცემებით, უმუშევრობა შრომისუნარიანი მოსახლეობის 25%-ს მაინც აღწევს. ჩვენში, დასაქმებულად სულ 750-800 ათასი ადამიანი შეიძლება მივიჩნიოთ. ანუ როცა ამბობენ, რომ მილიონ-ნახევარი დასაქმებულია, გულისხმობენ იმ ფორმით დასაქმებულებს, რომელზეც წელან უკვე მოგახსენეთ.

— თქვენი ორგანიზაცია ერთ-ერთია, თუ ერთადერთი არა, რომელიც სახელმწიფოსგან, უმუშევრობის შემწეობის შემოღებას ითხოვს. ალბათ ისიც გექნებათ მიახლოებით მაინც გამოთვლილი, თუ რა თანხაა საჭირო, რომ სამსახურის გარეშე დარჩენილმა ადამიანმა არსებობა შეძლოს?

— პირველ რიგში ვიტყვი, რომ ეს ადამიანები ვერც ერთ სახელმწიფო პროგრამაში ვერ ხვდებიან. რა ქნან, რით არჩინონ საკუთარი თავი ან ოჯახები?.. რეალური საარსებო მინიმუმი ჩვენს ქვეყანაში დღეს დაახლოებით, 230 ლარს შეადგენს. ამდენს თუ არ მისცემს სახელმწიფო ყველა უმუშევარს, მინიმალური პენსიის ოდენობის შემწეობა მაინც უნდა გასცეს, რომელიც საარსებო მინიმუმის დაახლოებით 60%-ს აღწევს.

— მაგრამ სახელმწიფო სხვადასხვა ხერხით მაინც ცდილობს დასაქმების სტიმულირებას. მაგალითად, ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებით, ქალაქის სარეაბილიტაციო სამუშაოებით...

— ასე დასაქმების სტიმულირება არ ხდება. ხელისუფლებას უცებ წარმოქმნილი „ცეცხლის“ ეშინია და ამიტომაც ქმნის ასე, ხელოვნურად სამუშაო ადგილებს. ინფრასტრუქტურული პროექტები კარგია, მაგრამ ეკონომიკის გაჯანსაღების შესაძლებლობას არ იძლევა. ამისთვის საჭიროა, წარმოება განვითარდეს, ბიზნესი უფრო თავისუფალი იყოს, ვიდრე დღეს არის. იმ პროექტებზე, რომლებსაც გულისხმობთ, დასაქმების სტიმულირება კი არ ხდება, არამედ თვითონ შოულობენ ფულს. რაღაც საცოდავ „გროშებს“ უხდიან გზის მშენებლობაზე დასაქმებულ ადამიანებს, მათი დამსაქმებლები კი მილიონებს შოულობენ ამ პროექტებით!.. არ არსებობს არანაირი შეზღუდვა — თუ რამდენი უნდა იყოს ფირმის მეპატრონის ანუ დამსაქმებლის ხელფასი. დასაქმების სტიმულირება თუ გვინდა, უნდა კეთდებოდეს იმგვარად, როგორც ევროპასა და აშშ-ში, სადაც კონკრეტულადაა განსაზღვრული, თუ რამხელა ჯამაგირს უნდა იღებდეს დამსაქმებელი და რამდენს უნდა შეადგენდეს მუშახელის მინიმალური ხელფასი... ■

აფერისტობა ქართულად

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ექსპერტი ქართული აფერისტობით განცვიფრებულია. ორგანიზაციამ საქართველოში მედიის მფლობელობის საკითხებზე სპეციალური კვლევა ჩაატარა, რომელმაც რეგიონული ტელეკომპანიებიც მოიცვა. „არსად შემხვედრია ფაქტი, რომ ქვეყანაში ყველაზე დიდი და ნაციონალური ტელეკომპანიების დამფუძნებელი ორგანიზაციები რეგისტრირებული იყოს ბრიტანეთში, ვირჯინიის კუნძულებზე ანუ იმ მისამართზე, სადაც მხოლოდ საფოსტო ყუთი დგას. ასეთ აფერისტობას არც ერთი ქვეყანა არ მიმართავს“, — განაცხადა უცხოელმა ანალიტიკოსმა. ■

გია თორთლაძე „ძლიერი საქართველოს“ დაშლის მიზეზი ხდება

საპარლამენტო უმცირესობის ფარგლებში მოქმედი ფრაქცია — „ძლიერი საქართველო“ შესაძლოა, დაიშალოს. როგორც ფრაქციის მდივანი, დიმიტრი ლორთქიფანიძე აცხადებს, „საქართველო“ ოპოზიციური ფრაქციის წინაშე დაყენებულ ამოცანებს ვერ პასუხობს. მან ყურადღება თავად ფრაქციის თავმჯდომარის, გია თორთლაძის ფაქტორზე გაამახვილა, რომელიც ანტიკრიზისულ საბჭოსაც უდგას სათავეში. „ანტიკრიზისული საბჭო პარლამენტის სტუქტურულ ნაწილს არ წარმოადგენს. ეს ორგანო პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა, ხოლო ის გარემოება, რომ „ძლიერი საქართველოს“ თავმჯდომარე ანტიკრიზისულ საბჭოსაც ხელმძღვანელობს, ფრაქციას ოპოზიციური ფუნქციების განხორციელებაში აფერხებს“, — განმარტა დეპუტატმა. ლორთქიფანიძის აზრით, პრობლემას ის ფაქტიც ქმნის, რომ ექვსი წევრისგან შემდგარ ფრაქციაში ხუთი სხვადასხვა, პოლიტიკური სუბიექტის წარმომადგენელია და ისინი მთელ რიგ შემთხვევებში ერთიანი პოლიტიკური პოზიციის ჩამოყალიბებას ვერ ახერხებენ. „ძლიერ საქართველოს“ პარლამენტში დეპუტატები: გია თორთლაძე, დიმიტრი ლორთქიფანიძე, პაატა დავითაია, რომან მარსაგიშვილი, ნუგზარ ერგემლიძე და გურამ ჩახვაძე წარმოადგენენ. ერგემლიძე და ჩახვაძე ფრაქციაში მას შემდეგ გაერთიანდნენ, რაც თორთლაძესთან იდეური შეუთავსებლობის მიზეზით, „ძლიერი საქართველო“ გია ცაგარეიშვილმა და კარლო კოპალიანმა დატოვეს. აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: პარლამენტში პარტია „თავისუფლების“ ლიდერის, კონსტანტინე გამსახურდიას შესვლის შედეგად, ახალი ოპოზიციური ფრაქციის შექმნის ფაქტობრივი რესურსი გაჩნდა, მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებით, რომ ოპოზიციონერ დეპუტატებს ერთმანეთის მიმართ უფრო მეტი იდეური და პოლიტიკური შეუთავსებლობა აქვთ, ვიდრე სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლების მიმართ, ამ ეტაპზე, ახალი ფრაქციის შექმნა და ამით პარლამენტში ოპოზიციური ფლანგის გაძლიერება ნაკლებად სავარაუდოა. ■

ომის ვეტერანებს შელავათები გაუუქმეს

საქართველოს ხელისუფლებამ ომისა და ძალოვანი სტრუქტურების 100 ათასამდე ვეტერანს სოციალური შეღავათები გაუუქმა. ეს ფაქტი ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა გააპროტესტეს და ჯანდაცვის სამინისტროსთან საპროტესტო აქცია გამართეს. როგორც ისინი ამბობენ, ხელისუფლების მხრიდან ეს ხალხი სრულიად უგულებელყოფილია და მიუხედავად საკითხის არაერთხელ დაყენებისა, გაუქმებული შეღავათებისა და დახმარების აღდგენისთვის, 2010 წლის ბიუჯეტში, ერთი თეთრიც არაა გათვალისწინებული. ■

ტირძნისელი მოზარდების ბედი და ევროპელების თავზე გადახეული ხელშეკრულება

პრეზიდენტი სააკაშვილი ტირძნისიდან გატაცებული 4 მოზარდის შესახებ ამერიკის ვიცე-პრეზიდენტს, ჯოზეფ ბაიდენსა და საფრანგეთის პრეზიდენტს — ნიკოლა სარკოზის ტელეფონით ესაუბრა და მათ სთხოვა, ამ კუთხით მეტი აქტიურობა გამოეჩინათ. საქართველოს პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ევროკავშირის ლიდერების მიერ გაკეთებული განცხადებები გატაცებული ბავშვების შესახებ, საკმარისი არ არის და აცხადებს: — „რუსეთმა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება მხოლოდ საქართველოს კი არა, საერთაშორისო საზოგადოებასაც თავზე გადაახია“.

ტირძნისიდან გატაცებული ბავშვების ამბავს პრიორიტეტულ საკითხად მიიჩნევს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, გიგა ბოკერიაც: „სეპარატისტების მიერ გატაცებული მოზარდების ამბავი იმაზე მეტყველებს, რომ რეგიონში ადამიანის უფლებების დაცვა და ზოგადი უსაფრთხოება უზრუნველყოფილი არ არის“, — განაცხადა ბოკერიამ და საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებს რეგიონში მიმდინარე პროცესებში უფრო აქტიური ჩართვისკენ მოუწოდა. მისი აზრით, ამ ეტაპზე ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი კონფლიქტის ზონაში საპოლიციო ძალების შეყვანაა. ■

ახალი პრესა ყველა სოფელს!

ყურადღება!

თუ საქართველოს რომელიმე რეგიონში ან სოფელში გაქვთ სავაჭრო ობიექტი (მარკეტი ან სხვა.) და გაქვთ სურვილი, შემატოთ თქვენს ობიექტს **ჟურნალ-გაზეთების სარეალიზაციო სტენდი**, დაგვიკავშირდით:
832 377-533; 858 110-068; 893 600-315.
ჩააწერინეთ ოპერატორს თქვენი ვინაობა და საკონტაქტო ტელეფონი.

ჩვენ აუცილებლად შეგეხმიანებით!

პრესის გავრცელების სააგენტო:
„ელვა.ჯი“

ვეფიტრა მედია

მოსკოვის ახალი ბრალდების მიზანი

რუსული მხარე საქართველოს „გამალებული შეიარაღების“ ბრალდებას უყენებს. რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები აცხადებენ, რომ საქართველო დღეს ბევრად დაჩქარებული ტემპით იარაღდება, ვიდრე 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე. რუსული სპეცსამსახურები ირწმუნებიან, რომ აშშ-მა საქართველოს 100 მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის მიწოდება შესთავაზა. ქართველი ექსპერტები, რუსეთის მხრიდან განსაკუთრებულად გახშირებულ ბრალდებებს რამდენიმე ფაქტორს უკავშირებენ. მათი აზრით, რუსეთს ამ განცხადებებით სურს, გამართლება მოუძებნოს კონფლიქტის ზონაში გახშირებულ პროვოკაციებს და ადამიანთა გატაცების ფაქტებს. გარდა ამისა, რუს პოლიტიკოსებს ჟენევის მოლაპარაკების მერვე რაუნდისთვის ნიადაგის შემზადებაც სურთ. მათ იციან, რომ ქართული მხარე ტირძნისიდან გატაცებული მოზარდების საკითხს აუცილებლად დააყენებს და ამის საპირისპიროდ, ოკუპანტები, სეპარატისტებთან ერთად, ქართული მხარის დემილიტარიზაციის საკითხის დაყენებას აპირებენ. ■

რუსული აგრესია მსოფლიოს წინააღდეგ



„რუსეთის ხელისუფლება ბოლო პერიოდში კიდევ უფრო ავტორიტარული და აგრესიული გახდა“, — აცხადებს ამერიკელი სენატორი ჯონ მაქკეინი და რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას კიდევ ერთხელ აპროტესტებს. „შეხედეთ რუსეთს: ნუთუ დამთხვევაა, რომ ქვეყნის შიგნით ის უფრო ავტორიტარული გახდა, ქვეყნის გარეთ კი მეტად აგრესიული? ნუთუ დამთხვევაა, რომ რუსეთი, სადაც მთავრობის მშვიდობიან კრიტიკოსებს კლავენ, მეზობელი საქართველოს ტერიტორიაზე შეიჭრა და მისი ნაწილი კვლავ ოკუპირებული აქვს? ნუთუ დამთხვევაა, რომ ლიდერს, რომელმაც საბჭოთა კავშირის დანგრევა „XXსაუკუნის გეოპოლიტიკურ კატასტროფას“ შეადარა, ახლა ყოფილ საბჭოთა ერებზე ბატონობა სურს? მე ვისურვებდი, რომ ეს დამთხვევა იყოს, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ არის“, — დასძენს მაქკეინი და რუსეთიდან მოსალოდნელ ახალ საფრთხეებზე საუბრობს. მისი აზრით, თუ საერთაშორისო საზოგადოება არ გაითვალისწინებს იმას, რომ რეჟიმის ბუნება მის ქცევას განაპირობებს, გლობალური პოლიტიკა არასწორი გზით წარიმართება და სამყაროს მნიშვნელოვან ზიანს მოუტანს. ■

ინტერნეტპაექრობა, რომელშიც 110 პროფესიონალი მონაწილეობდა

ამ ცოტა ხნის წინ ჩვენს მკითხველს მოვუთხრობდით საერთაშორისო გამოფენა-კონკურსის — „არქიტექტურული პრემია 2009“ — შესახებ, რომელსაც მრავალი ქვეყნის წარმომადგენელი პროფესიონალების მონაწილეობით, ჟურნალი „სტილი“ და „არქიტექტორთა კლუბი“, თბილისის მერიის მხარდაჭერით ატარებდნენ. გამარჯვებულების დასახელება, მათთვის პრემიების გადაცემა თბილისობის დღესასწაულს დაამთხვიეს და თანამედროვე არქიტექტურის განვითარების დონით დაინტერესებული ადამიანები სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასის“ საპრეზენტაციო დარბაზში მიიწვიეს.

ნინო ლალიძე, *ჟურნალ „სტილის“ რედაქტორი:*

— ეს ინტერნეტკონკურსი 4 წელიწადია, ტარდება. ამჯერადაც, ნამუშევრები ნომინაციების მიხედვით, ინტერნეტში განვათავსეთ. ისინი, როგორც პროფესიულმა, ასევე საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებისგან შემდგარმა, ალტერნატიულმა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობა გასაიდუმლოებული იყო, ინტერნეტითვე შეაფასა. კონკურსში მონაწილეობდა 110 არქიტექტორი და დიზაინერი, მათ შორის, უცხოელებიც — აზერბაიჯანიდან, ლიტვიდან, დანიიდან, საფრანგეთიდან და ინგლისიდან. მათ სხვადასხვა ნომინაციაში 134 ნამუშევარი წარმოადგინეს. არქიტექტურული პრემია — მცირე ფორმის სკულპტურა და ლაურეატის დიპლომია. თავიანთი რჩეულები დაასახელა ალტერნატიულმა ჟიურიმაც და პროექტის მხარდამჭერებმაც. საუკეთესო პროექტის ავტორების დასახელება და მთლიანად, ცერემონიის გაძღოლა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის წამყვანს, ნინო არაზაშვილს მივანდვეთ. დღესასწაულს მუსიკალურად, თბილისის მერიის ჯაზ-ბენდი აფორმებდა. იქვე მოეწყო „არქიტექტორთა კლუბის“ ოფიციალური პრეზენტაცია და საზოგადოებას ჩვენი ახალი პროექტის შესახებაც ვამცნეთ: მალე გამოვცემთ ძალზე საინტერესო წიგნს — „თანამედროვე ქართველი არქიტექტორები“. წლევანდელ კონკურსში გამარჯვებულთა პროექტები ჟურნალ „სტილში“ გამოქვეყნდება და კატალოგის სახით გამოიცემა. ■

„ჩემი ალიბი — ჩემი სიმართლეა“

ბრალდებული მშრალ შიმშილობაზე გადავიდა

ექსკლუზიური ინტერვიუ ცოტნე გამსახურდიასთან

27 ოქტომბერს ძალოვანთა კლანჭებში კიდევ ერთხელ აღმოჩნდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის შუათანა ვაჟი, ცოტნე გამსახურდია. იგი ამჯერად მეგობრის, დავით ბაჯელიძის განზრახ მკვლელობის მცდელობისა და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს და ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. გამოძიების მტკიცებით, შელაპარაკებისას გამსახურდიამ ბაჯელიძე დაჭრა. ექსპერტის დასკვნით, ცოტნეს ხელზე დენთის კვალი აღმოაჩნდა. ამასთან, გამოძიებას ხელთ აქვს მოწმის ჩვენება, რომელიც პირდაპირ ამხელს ცოტნე გამსახურდიას. თავად ბრალდებული კატეგორიულად უარყოფს ბაჯელიძის დაჭრას და საქმის შეწყვეტას მოითხოვს. პროტესტის ნიშნად, დაკავების დღიდან შიმშილობს და ახლა უკვე მშრალ შიმშილობაზე გადავიდა.

თეა ხურცილავა

გამსახურდიას ადვოკატმა, ქეთი ბექაურმა ორთვიანი პატიმრობა თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, მაგრამ მოსამართლე მანუჩარ კაპანაძემ საჩივარი განუხილველი დატოვა. ადვოკატმა ამჯერად პროკურატურას ორი შუამდგომლობით მიმართა. იგი დამოუკიდებელი საექსპერტო კრიმინალისტიკური ბიუროს ექსპერტ გოგიას დაკითხვასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ექსპერტების გაცემული დასკვნის ბათილად ცნობას მოითხოვს. „კანონმდებლობით მონიჭებული უფლება გამოვიყენე და ჩავატარე გარკვეული რევიზია. გამოძიების მიერ ჩატარებულ ქიმიურ ექსპერტიზებთან დაკავშირებით წერილობითი მოსაზრების გაცემა დამოუკიდებელ საექსპერტო კრიმინალისტიკურ ბიუროს ვთხოვე, რომლის კომპეტენტურობასა და მიუკერძოებლობაში ეჭვი არავის ეპარება. გაირკვა, რომ არათუ დენთის კვალი იქნა აღმოჩენილი, საერთოდ, კვლევის მეთოდიკა ექსპერტის მიერ არასწორად იყო შერჩეული. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ექსპერტს, რომელმაც ეს ექსპერტიზა ჩაატარა, საერთოდ არ ჰქონდა ქიმიური განათლება და აქვს იურიდიული განათლება. დამოუკიდებელი ექსპერტი თავის შეფასებაში ამბობს, რომ ქიმიური ექსპერტიზა კანონდარღვევით არის ჩატარებული და 9 ანაწშენდის ნაცვლად, 4-ის აღება მოხდა, რაც დასკვნის ობიექტურობას ეჭვქვეშ აყენებს. გამოძიების ვარაუდით, ცოტნეს თითქოს მარჯვენა ხელში ეჭირა პისტოლეტი და გაისროლა. ისინი ეურდნობიან მეზობელ რაისა საიდოვას ჩვენებას. იგი ბრალდების ერთადერთი „ოქროს“ მოწმეა, რომელსაც გამსახურდიების ოჯახის მიმართ კერძო ინტერესი აქვს. თუმცა ექსპერტი ამ შემთხვევაშიც ამბობს, თუ ცოტნეს მარჯვენა ხელში იარაღი ჰქონდა და გაისროლა, მაშინ შესაბამისად, დენთის წვის პროდუქტი მარჯვენა ხელში უფრო დიდი ოდენობით უნდა ამოსულიყო, ვიდრე მარცხენაში, მაგრამ საქმეში არსებულ ექსპერტიზის დასკვნაში წერია, რომ ცოტნეს ხელებზე თანაბრად ამოვიდა მცირე დენთის კვალი. მოვითხოვ — პასუხისგებაში მიეცეს ის პირი, ვინც ეს ყალბი დასკვნა გასცა“, — აცხადებს ადვოკატი ქეთი ბექაური, რომელიც გამოძიების მიერ ჩატარებულ ქიმიურ ექსპერტიზებს ეჭვქვეშ აყენებს და საქმიდან მის ამოღებას მოითხოვს. ადვოკატმა ასევე კიდევ ერთი შუამდგომლობა დააყენა და დაზარალებულ დავით ბაჯელიძის დაკითხვა მოითხოვა. ადვოკატის მტკიცებით, ბაჯელიძე 4 დღეა, სახლშია და ის არავის დაუკითხავს. „ამდენი ხანი გავიდა და დაზარალებული არ დაუკითხავთ. საქმეში დევს ბაჯელიძის მკურნალი ექიმის დაკითხვის ოქმი. ამბობს — 27 ოქტომბერს, როცა დაჭრილი ბაჯელიძე შემოიყვანეს, ოპერაციის დაწყებამდე ის აბსოლუტურად კონტაქტური და ადეკვატური იყო და ჩემს კითხვაზე, — რა ვითარებაში მიიღო დაზიანება? — მიპასუხა, — არ ვიცი. ბაჯელიძე არ ამხელს გამსახურდიას, უფრო მეტიც — ოპერატიულად, პოლიციამ მისი ძმა დაჰკითხა. ის ამბობს, — მეგობრები არიან, კარგი ურთიერთობა აქვთ და ჩემი ძმა არავისთან კონფლიქტში არ ყოფილაო. მერწმუნეთ, ეს ადამიანი არის სინდისის პატიმარი. ფაქტია — ვიღაცას უნდა, რომ ცოტნე პატიმრობაში იმყოფებოდეს“.

— ქალბატონო ქეთი, თუ ასეა, იქნებ გვითხრათ, ვის სჭირდება ეს? ფაქტია, რომ ბაჯელიძე დაჭრილი მოათაქსეს საავადმყოფოში, ასევე ცოტა ხანში, საავადმყოფოში მიიყვანეს ცოტნე გამსახურდიაც; გინდათ თქვათ, რომ ეს უბრალო დამთხვევა იყო?

— ნამდვილად ვერ გეტყვით, ეს ვის სჭირდება. საეჭვოდ დაემთხვა ფაქტები ერთმანეთს და ვფიქრობ, ეს არის პროვოკაცია. ვიღაცას იმდენად ეჩქარებოდა და სურდა, ცოტნე გამსახურდია იზოლაციაში მოქცეულიყო, რომ სამართლებრივად ამხელა შეცდომები დაუშვა. ანაწმენდები როცა აიღეს, ცოტნეს არანაირი სტატუსი არ ჰქონდა, მოწმედაც კი არ იყო დაკითხული. საქმის მასალების მიხედვით, 7 საათსა და 30 წუთზე ხდება ანაწმენდების აღება და ცოტნე მხოლოდ 10 საათსა და 30 წუთზე ჩვენებას მოწმის სახით აძლევს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა მტკიცებულება დაუშვებლად უნდა ცნონ. როგორც ექსპერტი განმარტავს, მარტო „ნ-ო-ორის“ აღმოჩენა არ არის საკმარისი, ეს ფართოდ გავრცელებული ნივთიერებაა, რომელიც ნებისმიერ მაისურზე ამოვა, თუ ის ერთი საათი გეცმებათ. შემწვარ გოჭს ხელი რომ მოჰკიდოთ, თქვენს ხელებზეც ამოვა ეს ნივთიერება; ამასთან ერთად, სხვა ნივ-

თიერებებიც უნდა აღმოჩენილიყო, რაც არ არის აღმოჩენილი. გამოძიებას მიზეზიც კი არა აქვს დადგენილი, თუ რატომ უნდა დაეჭრა ცოტნეს მეგობარი. ბრალის დადგენილებაში ზოგადი ფრაზა წერია — რომ მათ შორის ურთიერთშელაპარაკება მოხდა. მოვითხოვ, ბაჯელიძე სასწრაფოდ დაიკითხოს!

— ცოტნე გამსახურდია ჯაშუშობასა და კიდევ ერთი პირის დაჭრაში იყო ბრალდებული და გირაო ჰქონდა შეფარდებული. ცხადია, ახალ ბრალდებებს ეს მუხლებიც დაემატება და მას საკმაოდ დიდი სასჯელი ელის.

— დღეს ცოტნე ჩვეულებრივი კრიმინალური მუხლითაა ბრალდებული; მაშინ პოლიტიკური ბრალდება წაუყენეს და გირაო შეეფარდა. მას შემდეგ, კოლხური კოშკიდან, ფაქტობრივად, არ გამოდიოდა, მხოლოდ იქვე, უბანში ტრიალებდა. ის კანონმორჩილად ელოდა, სასამართლოში როდის დაინიშნებოდა მისი საქმის განხილვა. კოლხური კოშკისკენ მიდიოდა, როცა ვიღაც მიეპარა და თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყა. მას ქალაქტვინის დახურული ტრავმა აქვს, კანქვეშ ნაფლეთი ჭრილობა, თავის ტვინის შერყევა. გონებადაკარგული მიიყვანეს საავადმყოფოში. აბსურდული ბრალდება, რომელსაც დავით ბაჯელიძის სიცოცხლის განზრახ მოსპობის მცდელობა და ცეცხლსაროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარება ჰქვია, უნდა მოეხსნას. თუკი ამას ვერ მივაღწიეთ, მაშინ არსებობს სასჯელთა შეკრებითობის პრინციპი და ზვიად გამსახურდიას შვილს ბრალდების მთელ „ბუკეტს“ წაუყენებენ. არ ვიცი, ვის წისქვილზე დაასხამს ეს წყალს და რატომ გახდა ცოტნე შურისძიების ობიექტი მაშინ, როცა ის ემორჩილებოდა კანონს. ეს ძალიან კარგად იცის ხელისუფლებამ, იქვეა ძველი თბილისის პოლიციის მესამე განყოფილება და ყოველდღე ხედავდნენ, რას აკეთებდა ცოტნე. დღეს არასახარბიელოა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. ექიმების მეთვალყურეობის ქვეშაა, საკანში მარტოა, თუმცა საავადმყოფოში არ გადაჰყავთ. ის პროტესტის ნიშნად, შიმშილობს და მაღალი წნევა აქვს.

...ასევე საშუალება მოგვეცა, თავად ცოტნე გამსახურდიას ექსკლუზიური ინტერვიუ მოგვეპოვებინა, რომელსაც გთავაზობთ.

— ბატონო ცოტნე, წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობთ; თუ უდანაშაულო ხართ, რატომ აღმოჩნდით პატიმრობაში? იქნებ მისცეთ შეფასება თქვენს დაკავებას?

— აშკარაა — ჩემი თავისუფლებაზე ყოფნა ვიღაცებს არ აძლევთ ხელს, შეიძლება, ხელისუფლებას.

— რა ურთიერთობა გაქვთ დავით ბაჯელიძესთან და ხომ არ იყო რაიმე უთანხმოება თქვენ შორის?

— ჩვენ მეგობრები და მეზობლები ვართ, ერთად გავიზარდეთ. ჩვენი ოჯახებიც იცნობენ ერთმანეთს და ჩვენ შორის არასდროს არავითარი უთანხმოება არ ყოფილა.

— მეგობრის დაჭრის დღეს თქვენც, დაზიანებებით საავადმყოფოში აღმოჩნდით. იქნებ გვიამბოთ, რა ვითარებაში მიიღეთ დაზიანება?

— ეს უკვე ყველამ იცის და ამის გამეორება ალბათ არც არის საჭირო, მაგრამ გეტყვით. სახლში მოვდიოდი, როცა მოულოდნელად თავში უკნიდან ბლაგვი საგანი ჩამარტყეს და გამთიშეს. თავზე 5 ნაკერი მადევს. რაც მოხდა, დეტალურად მაქვს აღწერილი ჩემს ჩვენებაში. თვალი შევავლე, 40 წლამდე ასაკის პიროვნება მომიახლოვდა და ჩამარტყა. იცით, საკმარისი მტერი მყავს.

— კატეგორიულად უარყოფთ მომხდართან კავშირს, თუმცა საქმეში მოიპოვება მეზობლის ჩვენება, რომელიც პირდაპირ გამხელთ...

— რაც შეეხება იმ ქალს, ის ჩვენი მეზობელია და ამაზე დედაჩემმაც გააკეთა განმარტება. 1928 წელს დაბადებული ქალბატონია, მარტო ცხოვრობს. ის არაერთგზის იყო შემჩნეული კოლხური კოშკის გაქურდვაში: საყოფაცხოვრებო ნივთები მიჰქონდა და ამას მეზობლებიც დაადასტურებენ. ბუნებრივია, მას აქვს ინტერესი ჩვენ მიმართ.

— ძალოვანთა მტკიცებით, ერთ-ერთი სამხილი — დენთის კვალია, რომელიც ხელზე აღმოგაჩნდათ. თუ უდანაშაულო ხართ, მაშინ, როგორლა აღმოჩნდა დენთის კვალი თქვენს ხელებზე?

— რაც შეეხება დენთის კვალს, ამაზე კომპეტენტურ პასუხს ჩემი ადვოკატი გაგცემთ. ერთს კი გეტყვით: წარმოდგენა არა მაქვს, საიდან უნდა აღმოჩენილიყო ჩემს ხელებზე ან ტანსაცმელზე დენთის კვალი. ყველაზე მნიშვნელოვანი რამ რამდენიმე დღის წინ აღმოვაჩინე: ჩემმა ადვოკატმა საქმის მასალები შემომიტანა; იქ იყო ტანსაცმლის ფოტოები, რომელიც თითქოს იმ დღეს მეცვა. ქურთუკი, რომელზეც ვითომ დენთის კვალი ამოიღეს, შემთხვევის დღეს არ მცმია, ის ქურთუკი ვიწრო მაქვს და თვეებია, არ მცმია. ვფიქრობ, ეს ტანსაცმელი პოლიციამ მაშინ წამოიღო, როცა ბინა გაიჩხრიკა.

— გაქვთ თუ არა ალიბი?

— ჩემი ალიბი — ჩემი სიმართლეა.

— თქვენ დაკავების დღიდან შიმშილობთ. კონკრეტულად, რას მოითხოვთ?

— მოვითხოვ, საქმეზე მიუკერძოებელი და ობიექტური გამოძიება ჩატარდეს. ■

ქართველი გემოვნებიანი მკითხველის სამსჯავროზე კიდევ ერთი ახალი ჟურნალი — „ათიანში“ გამოვიდა, რომელიც „ათიანის“ პირმშოა. საინტერესო ავტორებით, რუბრიკებით, მრავალფეროვანი სტატიით ჟურნალი თქვენს ყურადღებას აუცილებლად მიიპყრობს. „ათიანში“ პირველი ნომერი ჯერ გულდასმით წავიკითხე, უფრო სწორად, შემომეკითხა და მერე მის მთავარ რედაქტორს, გიორგი გორგოძეს ვესტუმრე.

თამუნა კვინიკაძე

— ბატონო გიორგი, ვიდრე ახალ ჟურნალზე გკითხავდეთ რაიმეს, მინდა, „ათიანის“ შესახებ მიამბოთ. ეს ჟურნალი როგორ „დაიბადა“?

— „ათიანის“ ლოგო ბევრი რამის მთქმელია! დათო ყიფიანი ჩემი უახლოესი მეგობარი, მეჯვარე და შვილის ნათლია იყო. ეს ადამიანი მთელი ცხოვრება დღესასწაულებს გვიწყობდა და ძალიან მინდოდა, მისი გარდაცვალების შემდეგ დათოს სახელი ისევ ქართული ფეხბურთის სამსახურში დარჩენილიყო. ამიტომაც, მისი სახელობის ჟურნალის გაკეთება გადავწყვიტეთ. „ათიანზე“ ხშირად მეკითხებოდნენ: რომელ ჟურნალს ჰგავს? მისი უცხოური ანალოგი რომელიაო? მერწმუნეთ, არც ერთს არ ჰგავს! ეს ჟურნალი ქართველ მკითხველზეა გათვლილი: „ათიანის“ ნიშა სპორტია. ჟურნალი უეფას მედია-პორტალში გაწევრდა და ნებისმიერი მაღალი რანგის თამაშზე დასწრების აკრედიტაცია გვაქვს. მთავარია, სპონსორი გვყავდეს, რათა იქამდე ჩავიდეთ. ბოლოს რომში გახლდით, ჩემპიონთა ლიგის ფინალზე. „ათიანმა“ შეძლო ფიფას პრეზიდენტთან ექსკლუზიური ინტერვიუს ჩაწერა, შევხვდით უეფას პრეზიდენტსაც. უკვე ჟურნალის 31-ე ნომერი გამოვიდა. თავიდან, ჩვენი ავტორების მკითხველთან ურთიერთობა ფეხბურთით შემოიფარგლებოდა, მერე ფეხბურთიდან სპორტის სხვა სახეობაზეც გადავედით და 80 გვერდს 40 გვერდი დავამატეთ, მაგრამ მაინც, ჩვენი სათქმელი უფრო მეტი იყო, ვიდრე სპორტი. ამიტომაც გადავწყვიტეთ, კიდევ ერთი ჟურნალი გაგვეკეთებინა.

— თქვენი ჟურნალის პირველი ნომერი უკვე წავიკითხე, „ათიანში“ ბევრ საინტერესო თემას ეხებით.

— ვეცდებით, ჩვენს მკითხველს თავი არ მოვაბეზროთ ქართულ პოლიტიკაზე საუბრით, კრიმინალსა და ყოფით პრობლემებზე საწუწუნო თემატიკით. „ათიანში“ სხვა საკითხავს შევთავაზებთ, გამორჩეულს და განსხვავებულს. ქართველ მკითხველს თვალსაწიერი კი გაუფართოვდა, მაგრამ ცოდვა გამხელილი ჯობს და ზოგს კითხვა საერთოდ დაავიწყდა. ადრე წერილები იწერებოდა, გენიალური რამ იყო; ცარიელ ფურცელთან ასეთ ინტიმურ განმარტოებას, კომპიუტერის ეკრანი ვერასდროს შეცვლის. ასეა კითხვაც — როცა

„ათიანში“ — მკითხველთან ურთიერთობის ხარისხი

„ჩვენ არ გვინდა ვუგორეთ კოჭი მდარე გემოვნებას“

გადაშლი, ფურცელს ხელით ეხები, მასთან მარტო რჩები, ამას სხვა ემოცია ახლავს თან.

— „ათიანში“ — ეს მამაკაცების ჟურნალია, ქალბატონებს რა თემებით დააინტერესებთ?

— მართალია, მამაკაცების ჟურნალია, მაგრამ ქალბატონებმაც უნდა წაიკითხონ. ნებისმიერი ქალისთვის საინტერესო უნდა იყოს, რას ფიქრობს მისი გულის მურაზი. გვაქვს მუდმივი და პერიოდული რუბრიკები. ყველა ნომრის ე.წ. გამხსნელი რუბრიკა „წარმატების ისტორია“ იქნება. ჩვენ გვჭირდება დადებითი მაგალითები, მართალი და სწორი გზით მიღწეული წარმატება და არა — მოჩვენებითი, გაპიარებული. ჩვენი პირველი ნომრის სტუმარი მამუკა ხაზარაძე გახლავთ. ის არა მარტო წარმატებული ბიზნესმენი, არამედ ძალიან საინტერესო ადამიანი, გახსნილი რესპონდენტია, აზრს კარგად აყალიბებს, სათქმელიც ბევრი აქვს. რაც მთავარია, მისი ამოსავალი წერტილი საკუთარი ქვეყანაა და ეს საქმით არაერთხელ დაამტკიცა.

— ინტერვიუში საკუთარ წარსულზე, მიზანსა და ცხენებთან „მეგობრობაზე“ მართლაც ძალიან საინტერესოდ ლაპარაკობს.

— მამუკამ თამასა იმდენად მაღლა აგვიწია, ცოტა შეგვეშინდა, იმავე რუბრიკაში, მეორე ნომრისთვის ვინ შეგვერჩია.

— მეორე ნომერში ვისი „წარმატების ისტორიას“ შემოგვთავაზებთ?

— პაატა ბურჭულაძესთან ჩავწერეთ ძალიან საინტერესო ინტერვიუ. მე და პაატა ახლობლები ვართ, მისი შვილი ჩემი ნათლულია. 3 წელია, რაც პაატაზე ფილმს ვიღებ, უამრავი მასალა დამიგროვდა. ამ მასალიდან ნაწილი სტატიისთვის გამოვიყენე და ცოტა უცნაური ინტერვიუ გამოგვივიდა.

— „ჩვენ არ გვინდა „სიყვითლე“ შეგვეპაროს, ჩვენ არ გვინდა



გიორგი გორგოძე

ვუგოროთ კოჭი მდარე გემოვნებას“, — წერთ რედაქტორის სვეტში. რა რუბრიკებს ვიხილავთ მომავალში „ათიანში“?

— ბევრი საინტერესო რუბრიკა გვექნება. ყველა ნომერში ქართულ მწერლობას დაეთმობა ადგილი. ძალიან მინდა, კოტე ჯანდიერის, დათო მაღრაძის და ა.შ. სახით ახალი ავტორები შემოგვემატონ. დიდი სურვილი მაქვს, იყოს რუბრიკა ქართულ ოჯახზე. საქართველოში იყვნენ და დღესაც არიან შესანიშნავი ოჯახები, სადაც 3 თაობის ადამიანები ერთად ცხოვრობენ. ახლა თაობათა შორის ჯაჭვი თანდათან წყდება და ეს არ უნდა მოხდეს; სითბო, რომელიც მრავალრიცხოვან ქართულ ოჯახებში იყო, არ უნდა გაცივდეს! ამასთან დაკავშირებით შესანიშნავი ამბავი გამახსენდა: ერთხელ ერთ-ერთმა ამერიკელმა ტურისტმა რაჭაში ამოყო თავი. სუფრასთან მშობლების სადღეგრძელო რომ შეუსვამთ, იმ ამერიკელს ცოტა გულაჩუყებულს უთქვამს: თქვენ ახლა მამაჩემი გამახსენეთ, 9 წელია, არ მინახავსო. — რატომ, სად არისო? — დაინტერესებულან მასპინძლები. — მოხუცებულთა თავშესაფარში ცხოვრობს, ჩემი სახლიდან ცოტა შორია — 60 მილის სავალი გზაა და ვერ მივდივარო. რაჭველ მასპინძელს ამერიკელის თანმხლები პირებისთვის უკითხავს: ეს კაცი აქ რამდენ ხანს რჩება? სუფრასთან აღარ დამანახვოთ, საჭმელი იქ მიუტანეთ, სადაც სძინავსო.

— ამ ამბის გაგრძელება როგორია?

— 3-4 თვის შემდეგ, რაჭულ ოჯახში იმ ამერიკელი მამის წერილი მივიდა: თქვენ გაიხარეთ, 9 წელია, საკუთარ შვილს არ ვუნახავვარ, მაგრამ საქართველოდან დაბრუნდა თუ არა, პირველად ჩემთან მოვიდა, თავისთან წამიყვანა და ახლა ძალიან კარგად ვარ, ბედნიერად ვცხოვრობო. — აი, ეს არ უნდა გაცივდეს, ქართული ოჯახი საინტერესო ფენომენია.

— ალბათ, ბევრი გიფიქრიათ იმაზეც, გიერთგულებთ თუ არა მკითხველი...

— თუ ნიჭიერი ავტორები გვეყოლება, თუ მკითხველისთვის საინტერესო თემებს ზუსტად შევარჩევთ, კარგი ქართულით დავწერთ, სიმართლეზე თვალს არ დავხუჭავთ, ვიღაცას ტყუილად არ გავაპიარებთ და ა.შ. მკითხველი აუცილებლად გამოგვყვება. ჩვენი მთავარი სლოგანი მკითხველთან ურთიერთობის ხარისხია.

— „ათიანს“ მკითხველის არაერთი წერილი მიუღია...

— კარგია, რომ ამ თემას შეეხეთ. ზოგჯერ უამრავი პრობლემა ერთად იყრის თავს, აღარაფრის გაკეთება არ გინდა, საქმეზე ხელის ჩაქნევას აპირებ და ამ დროს, რედაქციაში მკითხველის წერილი მოდის, კითხულობ, გული გინათდება და რაც მთავარია, ხვდები, რომ ტყუილად არ მუშაობ. ეს ყველაზე დიდი ჯილდოა.

— ბატონო გიორგი, თქვენს შესახებაც მიამბეთ.

— ჟურნალისტიკა ჩემი მეოთხე პროფესიაა: პირველი სპეციალობით ინჟინერ-ტექნოლოგი ვარ, მეორე სპეციალობით — კინოდრამატურგი (ჩემი ჯგუფის ხელმძღვანელი რეზო გაბრიაძე იყო), შემდეგ ეკონომიკის მართვა ვისწავლე, ბოლოს კი კალიფორნიის უნივერსიტეტში მასმედიის მენეჯმენტის შესასწავლად გავემგზავრე. სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურაში დიდხანს ვმუშაობდი: 21 წელი ვაჭრობის სამინისტროში გავატარე, ბოლოს მინისტრის მოადგილე ვიყავი და საგარეო ვაჭრობის საკითხებს ვკურირებდი; 90-იან წლებში ამერიკაშიც ვმუშაობდი, მერე ჟურნალისტიკით „მოვიწამლე“ და, ჯერ იყო გაზეთი „კავკასიონი“, შემდეგ კი ირაკლი ტრიპოლსკისთან ერთად „მეცხრე არხის“ კეთება დავიწყე. ამ საქმეში ბოლომდე გადავეშვი და სამსახურში მისვლა მიხაროდა.

— როგორც ვიცი, თქვენ დათო ყიფიანის ხსოვნას წიგნი — „დღესასწაულის წადილი“ მიუძღვენით.

— ბედნიერია ყველა ის ადამიანი, ვისაც მინდორზე ან მის გარეთ დათოსთან ურთიერთობის პატივი ჰქონდა. სიმართლე გითხრათ, ამ წიგნზე მუშაობა თავიდან ძალიან გამიჭირდა. ერთ დღეს ჩემს შვილს წასაკითხად სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“ მივეცი. ამ ნაწარმოებში ასეთი ფრაზა ამოვიკითხე: „სიკვდილის გამო ხომ არ გადაიყვარეს ადამიანს, მით უმეტეს, ცოცხლებზე ათასჯერ უკეთესი თუა“. ეს წინადადება ეპიგრაფად გამოვიყენე, მერე კი გონების კარი თავისთავად გაიხსნა... რატომღაც მჯერა, რომ დათოს „ათიანი“ მოეწონებოდა და მინდა, „ათიანშიც“ ისეთი იყოს, როგორიც მას გაუხარდებოდა.

— თქვენ სხვადასხვა ქვეყნის სპორტულ ჟურნალისტებთან აქტიურად თანამშრომლობთ და „ათიანში“ „გაძეტა დელო სპორტის“ რომის განყოფილების მთავარი რედაქტორის, რუჯერო პალომბოს ინტერვიუს გვთავაზობთ. უცხოელებთან თანამშრომლობა რამდენად მნიშვნელოვანია?

— აზრთა გაცვლა-გამოცვლა ძალზე მნიშვნელოვანია. „გაძეტა დელო სპორტში“ გამოქვეყნდა მასალა, რომლითაც იტალიელმა მკითხველებმა „ათიანი“ გაიცნეს. რუჯერო პალომბო 2007 წლის „სპორტული ჟურნალისტიკის ოსკარის“ მფლობელია.

— მინდა, ქართული ფეხბურთის თემასაც შევეხოთ. სპორტის ეს სახეობა ერის ტკივილად იქცა. ამ მდგომარეობამდე რამ მიგვიყვანა?

— ისეთი კითხვა დამისვით, რომელზეც მოკლე პასუხის გაცემა ძალიან ძნელია. თავიდათავი ამ უბედურებისა სიცრუე, უსამართლობა და კორუფციაა. დათა თუთაშხიას სიტყვები მახსენდება: „რას ჰგავხართ, ხალხო, რას! რას დაგამგვანათ მამაძაღლმა აბელა სეთურმა და მოსასპობმა თაბაგარმა!..“

— ქართული ფეხბურთის ხვალინდელი დღე როგორ წარმოგიდგენიათ?

— ჯერ სათავე უნდა გაიწმინდოს, მერე ყველაფერი დალაგდება. თემურ ქეცბაიას უდიდეს პატივს ვცემ, ამ საქმეს სწორედ მისნაირი ადამიანები უნდა ემსახურებოდნენ. ღმერთმა ხელი მოუმართოს.

— მისთვის ხელის შეშლა ვის ინტერესებში შედის?

— იმათ ინტერესებში შედის, ვისაც ფეხბურთი სამარიაჟოდ, სატრაბახოდ და ფულის საშოვნელად სჭირდება.

— ქართულ ფეხბურთზე ნულარ ვილაპარაკებთ, მგონი, ცოტა ანერვიულდით. ახლა ქართული სიგარა რომ გქონდეთ, არ მოსწევდით?

— ჩვენი ჟურნალი კარგად წაგიკითხავთ. ქართული სიგარა აჭარაში დავაგემოვნე. იქ სიგარის წარმოების მცდელობა აქვთ. ქართული თუთუნით დამზადებული აჭარული სიგარა სულაც არ იყო ურიგო და ვინ იცის, იქნებ, სულ მალე, ბათუმში ჩამოსულმა ტურისტმა პირველ რიგში, აჭარული სიგარა მოიძიოს...

— წარმატებას გისურვებთ, მე კი ჟურნალის მორიგ ნომერს ინტერესით დაველოდები! ■

სახე

„დუტამ რომ შემცვალა, ამ ფაქტმა ვერ დაამაშვიდა“

მიშა მშვილდაძის უცვლელი აზრი და კეისიანი ანგელინას არჩევანი

გადაცემა „ვა-ბანკის“ ყოფილი წამყვანი — მიშა მშვილდაძე ჯერ-ჯერობით, ტელეეკრანზე აღარ ჩანს, მაგრამ თურმე წამყვანობის „მუღამები“ გასჩენია და ქართველთა (უმეტესობის) უვიცობით აღშფოთებულს დიდი სურვილი აქვს, რამე ინტელექტუალური ვიქტორინა წაიყვანოს, სადაც ზოგადად ადამიანების უვიცობას დასცინებს. ამჟამად, მიშა „ფორმულა კრეატივთან“ ერთად, აქტიურად მუშაობს და იუმორის „გურმანებს“ საინტერესო სიახლეებს ჰპირდება. მოუცლელობის გამო, განახლებული „ვა-ბანკი“ ტელეეკრანზე ჯერ არ უნახავს, თუმცა გადაცემის წამყვანად დუტას დანიშვნამ მიშა ვერ დაამშვიდა. თუ — რატომ, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.

ეთო ყორღანაშვილი

— სხვათა შორის, ახლახან „ვა-ბანკში“ სწორი სოციალური პოლიტიკა განხორციელდა, როცა „ჯეოსტარის“ „გიჟი“ — „დნნ დშნ“ მიიწვიეს. მგონი, გადაცემის არსებობის განმავლობაში პირველად ითამაშა ადამიანმა, რომელსაც ფული მართლა სჭირდებოდა. რაკი კულტურის სფეროში იმდენი ფული არ ტრიალებს, რომ კულტურის მოღვაწეებმა საკმარისი თანხა მიიღონ, ამიტომ მოდი, ცოტა ფული „ვა-ბანკიდანაც“ მივცეთო — ამ ლოგიკას არ ვეთანხმები.

— რატომ?

— არასწორია. მომღერალმა ისეთი სიმღერა უნდა ჩაწეროს, რომელსაც ხალხი იყიდის — ასე ფულის შოვნასაც მოახერხებს. ტელევიზიაში თანხის მოსაგებად ღარიბი ადამიანი უნდა მივიდეს.

— ...მაგრამ შოუბიზნესის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ შეუძლებელია, საქართველოში სიმღერა შემოსავლის წყარო იყოს.

— ადამიანები სიმღერით ფულს დედამიწის ნებისმიერ წერტილში შოულობდნენ, ოღონდ — ისინი, ვინც კარგად მღეროდნენ (იმღერებდა მეფესთან მონა — კარგი მომღერალი და მეფე ქისას გადაუგდებდა). ახლა მეფის ნაცვლად, მომღერალს „ქისას“ ხალხი უგდებს, რომელიც ფულს აგროვებს და მიდის მის კონცერტებზე ან ყიდულობს დისკს. თუკი საზოგადოება ფულს არ გიხდის, ე.ი. რაღაცას ცუდად აკეთებ — ესაა შენი საქმის ერთადერთი საზომი. რა თქმა უნდა, გამონაკლისებიც არსებობს, მაგრამ ეს ზუსტად ის გამონაკლისებია, რომლებიც ადასტურებს ამ წესს: არც ერთი წესი გამონაკლისის გარეშე არ არსებობს (*იცინის*).

— მიშა, რატომ აღარ ხართ „ვა-ბანკის“ წამყვანი?

— გადაცემის წამყვანად თავიდანვე დუტას დანიშვნას ფიქრობდნენ — ანონსებიც გადიოდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ მას სხვა პროექტები ჰქონდა და ველარ მოხერხდა. ახლა, რაც დუტამ „ვა-ბანკის“ წაყვანაც შეძლო, გადაცემა თავის გოგონებიან-კეისებიანად დიდი სიამოვნებით გადავუღოცე. ყველაფერი — ცრემლების, ისტერიკებისა და ნოსტალგიური გრძნობების გარეშე მოხდა. სიმართლე გითხრათ, დაკარგული სულიერი სიმშვიდის რაღაც ნაწილიც აღვიდგინე.

— რამ დაგაკარგვინათ სულიერი სიმშვიდე?

— ტელეეკრანზე გამოჩენა ეიფორიული „დვიჟენიაა“ და მაინცდამაინც არ მიყვარს... ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, კვირაში ერთ დღეს (გადაცემის ჩაწერისას) წვერი უნდა გაიპარსო, „ილიმო“ და ტიპებს რაღაც „ეგზოთერულ თემებზე“ ელაპარაკო; მაგალითად, ასე — ბედისწერის გჯერა, ვაჟა? ამ დროს სულ „გკიდია“, „ვაჟას“ ბედისწერის სჯერა, თუ — არა (*იცინის*).

— მოთამაშის წაგება-მოგებას არ განიცდიდით?

— ზუსტად ისე განვიცდიდი, როგორც — მოთამაშე. გადაცემა მაყურებლისთვის

უფრო საინტერესოა, როცა ცოტა მეტაფიზიკურ თემებში „შედიხარ“ — „აი, შენ 14 ნომერი რატომ ჩაიფიქრე?“ არადა, ტიპმა „პროსტა“ თქვა, რა... ასეთ „სიბრტყეებში“ ვერ შევდიოდი, რადგან მათემატიკური სკოლა მაქვს დამთავრებული და მათემატიკურად ვაზროვნებ — ალბათობის თეორიის მჯერა: თუ 4 კეისია დარჩენილი და ერთ მათგანში 2 ათასი ლარი დევს, მოგების შანსი 1/4-ია. 100%-ით დარწმუნებული ვერ ვიქნები, რომ ნახსენები თანხა აუცილებლად 7 ნომერში იქნება... თუმცა მაყურებელი ამ მხრივაც უნდა დაინტერესო. არ ვიცი, ამას დუტა როგორ ახერხებს — მოუცლელობის გამო, ჯერ გადაცემა არ მინახავს, მაგრამ ის შოუმენია და ამ „გასაღებს“ უფრო მოძებნის. ამ თემაზე პროდიუსერებთან არ გვისაუბრია. უბრალოდ, გაუჩნდათ იდეა, რომ გადაცემაში სიახლის შეტანა კარგი იქნებოდა. მეც დავეთანხმე და ყველაფერი კარგადაა — ყველა კმაყოფილია!..

— არ გენატრებათ 26 ლამაზმანის მიერ წარმოთქმული „გამარჯობა, მიშა“?

— „გამარჯობა, მიშა“ — საკმაოდ სასიამოვნო მოსასმენი იყო, თუმცა იცი, როგორაა? პირველად, მეორედ, მესამედ და შემდეგ უკვე ეჩვევი... ამიტომ, განსაკუთრებული ნოსტალგია არ მაქვს (*იცინის*). ისე, კარგი იყო, სერიოზული გამოცდილება მივიღე და დიდი მადლობა „ვა-ბანკის“ პროდიუსერებს, რომ შანსი მომცეს, ჩემი თავი ტელეწამყვანის ამპლუაში გამომეცადა: დიდი ხანი იყო გასული, რაც ეკრანზე არ გამოვჩენილვარ და არც კი მეგონა, თუ ოდესმე ამ მიმართულებით ვიაქტიურებდი. ახლა კი უკვე ზოგადად, წამყვანის „მუღამები“ გამიჩნდა და შეიძლება, ჩემთვის რაღაც გადაცემა მოვიფიქრო.

— რა ტიპის გადაცემის წაყვანის სურვილი გაქვს?

— რამე ინტელექტუალური ვიქტორინის, სადაც ადამიანის უვიცობას დასცინებდნენ. მაგალითად, დიდი სიამოვნებით წავიყვანდი გადაცემას — „ვის უნდა ოცი ათასი“, მაგრამ ისეთი კეთილი არ ვიქნებოდი, როგორიც მისი ამჟამინდელი წამყვანია. არადა, ადამიანთა უტიფრობისა და უმეცრების ხარისხი ყოველგვარ ზღვარს სცდება.

— განსაკუთრებით, რომელი მოთამაშის უვიცობამ გაგაღიზიანათ?

— მის ვინაობას ნუ დაწერ, მაგრამ საერთოდ, ის ადამიანი რაღაც კანონ-პროექტზე ხელს რა სინდისით აწერს, ეს არის საკითხავი. წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ დედამიწა მზის გარშემო ტრიალებს, რატომ არსებობს ნაკიანი წელიწადი და ა.შ. რომ არ იცოდე, ამას უბრალოდ, უნდა გრძნობდე ადამიანი! დათო გოგიჩაიშვილის „ღამის შოუს“ სტუდიის ნახევრად შემდგარი გადაცემის ნაწილი „პრესის მიმოხილვა“ ძალიან მომწონს...

— ნახევრად შემდგარი — რატომ?

— იმიტომ, რომ ვერაფრით ჩამოყალიბდნენ. გადაცემის ერთადერთი მინუსი ისაა, რომ გოიმური საერთოდ არ არის. სწორედ ამის გამო ვერ გახდა ის მასობრივი მოხმარების პროდუქტი. შარშანდელი სეზონის განმავლობაში დიდი სიამოვნებით ვუყურებდი. იქ არის ასეთი რუბრიკა — „ტვინების ომი“, რომელიც ჩემი აზრით, მაყურებელს არასწორად მიაწოდეს, რადგან თავადაც არასწორად მიუდგნენ: იაფფასიან პოპულარობას „გამოეკიდნენ“ და გადაცემაში ძალიან იდიოტები მიჰყავდათ, რომლებიც ცხოვრებაშიც იდიოტები არიან. იქ ჩვეულებრივი ადამიანები უნდა მიეყვანათ და მათი უვიცობისთვის დაეცინათ. სამწუხაროდ, დღესდღეობით საქართველოში ჩვეულებრივი ადამიანების უმრავლესობა არის უვიცი — ეს დიდი ტრაგედიაა! რუსეთთან ომი ზუსტად ამიტომ წავაგეთ. ჩვენ რომ ჭკვიანები ვიყოთ, ისინი ჩვენთან ომს ვერც გაბედავდნენ — ეს არის პრობლემა!..

— ამჟამად რას საქმიანობთ?

— ვმუშაობთ სერიალზე — „ჩვენი ოფისი“. 10 დღეში ფილმის — „რაც ყველაზე ძალიან გიყვარს 2“ გადაღებას ვიწყებთ. მალე ახალი პოპჯგუფის (რომლის ხელმძღვანელები ჩვენ ვართ) ალბომზე მუშაობას დავასრულებთ. მუსიკას დათო ფორჩხიძე „აკეთებს“. ჯგუფის რამდენიმე სიმღერა ფილმის საუნდტრეკი იქნება. პარალელურ რეჟიმში, სარეკლამო ბაზარზე მუშაობასაც ვაგრძელებთ — სარეკლამო კლიპებს ვიღებთ. გარდა ამისა, კიდევ რაღაცას ვაკეთებ (*იცინის*).

— არ გაგვიმხელთ — რას?

— „რაც ყველაზე ძალიან გიყვარს 2“-ის გადაღებას დავასრულებთ თუ არა, გვსურს, ძალიან ორიგინალური ჟანრის — „შავი კომედიის“ მიმართულებით მუშაობა მალევე დავიწყოთ. იუმორის „გურმანებს“ აუცილებლად ეცოდინებათ ბრიტანელების კომედიური დაჯგუფება — „მონტი პაიტონი“ (ჯგუფის წევრების უმეტესობა ამჟამად, ჰოლივუდში მოღვაწეობს), რომელმაც „შავი კომედიის“ ჟანრში ყველაზე დიდ სიმაღლეს მიაღწია. ჩვენ „მონტი პაიტონი“ ძალიან მოგვწონს. გვაქვს რაღაც იდეა, სცენარი... „მონტი პაიტონს“ აქვს საკულტო ფილმი — The meaning of life, ჩვენ გვინდა გადავიღოთ — The meaning of death. ეს იქნება „გაბაასებასავით“; კასტინგს ჩავატარებთ და მაშინვე გადაღებას დავიწყებთ — ხარისხიანად და კულტურულად, რატომღაც, საქართველოში შავი იუმორი დედის გინება ჰგონიათ. სინამდვილეში, ეს ნიშნავს ყველაზე საშიშ, საკრალურ, ტაბუდადებულ თემებზე ხუმრობას, მაგალითად — რელიგიაზე, სიკვდილზე, გარკვეულ სოციალურ უთანასწორობაზე (რომელზეც წესით, არ ხუმრობენ), ხშირ შემთხვევაში — სექსუალურ ორიენტაციაზე და ა.შ. ჩვენი ფილმი — „სიკვდილის აზრი“ — ლიტერატურული, გამართული, ორიგინალური საერთაშორისო პროდუქტი იქნება. მის აღსაქმელად მაყურებელი მომზადებული უნდა იყოს — იდიოტები ვერ გაიგებენ, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია, მხოლოდ თანავუგრძნოთ ყველას, ვინც ამ ფილმს ვერ გაიგებს, ისევე, როგორც თავის დროზე, „მონტი პაიტონი“ თანაუგრძნობდა ყველას, ვისაც მისი არ ესმოდა (*იცინის*).

— ქართველი მაყურებელი ფილმის სწორად აღქმას შეძლებს?

— რა თქმა უნდა. დედამიწაზე რთული არაფერია — ყველაზე რთული იდეაც კი ძალიან მარტივად ითქმება. კულტურისა და ხელოვნების ფუნქციაც ესაა. უბრალოდ, ადამიანები ამას არ ეძებენ, რადგან ვერ წარმოუდგენიათ, თუ ასეთი რაღაც არსებობს, მაგრამ სადაც გადააწყდებიან, იქვე უყვარდებათ. შესაბამისად, ტელევიზიაში თუნდაც სერიალის ფუნქციაა, ეცადო, გააკეთო არა ის, რაც ხალხს უნდა, არამედ ის — რაზეც ხალხი იტყვის, რომ თურმე ყოველთვის ეს უნდოდა და მისი არსებობის შესახებ არაფერი იცოდა!

— ეი. მაყურებლის გემოვნების ჩამოყალიბებაზე ზრუნავთ.

— ჩვენი გემოვნების ექსპანსიას ვცდილობთ და არა პირიქით — ბრბოს გემოვნებაზე მორგებას, მაგრამ აქ ორმხრივი პროცესია: დანარჩენ კაცობრიობას არ უნდა მოსწყდე და საკუთარი სულის „დარგ-საიტებს“ ღრმად არ უნდა ჩაეძიო, არც მასაში გაითქვიფო ანუ დოზირება უნდა მოახდინო: „უნდა მისცე ღმერთს ღმრთისა და კეისარს კეისრისა“.

— შეგიძლიათ, „სიკვდილის აზრის“ სცენარიდან ერთი ეპიზოდის შესახებ მაინც გვიამბოთ?

— მაგალითად, ერთ-ერთი სკეტჩი ასეთია: კაცი სიკვდილის სააგენტოში მიდის და საკუთარ სიკვდილს უკვეთს ანუ — აცნობს, როგორ უნდა, რომ მოკვდეს. ამაზეა ხუმრობა. ალბათ ფილმს ეპიგრაფად ვაჟა-ფშაველას სიტყვებს წავუმძღვარებთ: „შენი ჭირიმე, სიკვდილო, სიცოცხლე ფასობს შენითა“! დაახლოებით, ამ იდეას გავატარებთ — უფრო ღრმა, ფილოსოფიურ ასპექტში. რეალურად გასართობი ფილმი იქნება, ბევრი ადამიანისთვის — მწარე და მკბენარე. მოკლედ, ბევრს ააღელვებს... მანამდე აქცენტი — „რაც ყველაზე ძალიან გიყვარს 2“-ის გადაღებაზე გვაქვს გადატანილი.

— ამ ფილმთან დაკავშირებით, საინტერესოს რას გვპირდებით?

— ძალიან ბევრ რამეს. მთელ სიუჟეტს არ მოგიყვებით, მაგრამ გაგანდობთ: მთავარი მოვლენა ისაა, რომ ნიკას და რობიკოს ერთდროულად, ახალი წლის ღამეს შვილები შეეძინებათ. დანარჩენს ფილმში ნახავთ...

— მიშა, „გზისთვის“ მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში ქართველ ტელეწამყვანებზე საუბრისას ცოტა ხნის წინ აღნიშნეთ: გამხდრებმა პროფესიონალიზმის დონე აიმაღლონ, რომ მსუქანი „შარლატანებისთვის“ ტელესივრცეში ადგილი არ დარჩესო..

— დუტამ რომ შემცვალა, ამ ფაქტმა საერთოდ არ დამამშვიდა, რა (*იცინის*)! ვინმე ახალ სახეს რომ შევეცვალე, ვიტყოდი: აი, ყოჩაღ, გამხდრების პროფესიონალიზმი იზრდება-მეთქი. მსუქანი „შარლატანების“ ადგილი ტელესივრცეში არ უნდა იყოს, მაგრამ გამხდრების არაპროფესიონალიზმის გამო, ახალი ტელესახეების დეფ-

იციტია. ამიტომაა იძულებული დუტა, რომ ოცდათოთხმეტი პროექტი წაიყვანოს და ღამე არ ეძინოს... მოკლედ, მე ისევ ძველ აზრზე ვრჩები!

„ანგელინა, გახსენი კეისი!“ — ჯერ მიშა მშვილდაძის ამ „ბრძანებას“ ემორჩილებოდა, ახლა კი იდუმალებით მოცულ 26-ე ნომერ კეისს მხოლოდ დუტა სხირტლაძის მოთხოვნით ხსნის. გადაცემა „ვა-ბანკის“ ერთ-ერთ კეისიან ლამაზმანს — 21 წლის ანგელინა მუსაევას, მართალია, კეისის გახსნა, მოთამაშეთა ანერვიულება და რაც მთავარია, ახალი წამყვანი ძალიან მოსწონს, მაგრამ სამომავლოდ, ძალის მოსინჯვას ტელეწამყვანის ამპლუაში გეგმავს:

— დუტა ძალიან კარგი წამყვანია. მხიარულია — სულ ხუმრობს, კარგ ხასიათზეა და გოგონებსაც გვახალისებს...

— „ანგელინა, გახსენი კეისი!“ — შენთვის დუტას წარმოთქმული ეს ფრაზა უფრო სასიამოვნოა, თუ — მიშასი?

— არა, მიშაც ძალიან მიყვარს, რადგან კარგი ადამიანია, მაგრამ დუტა უფრო ცოცხალი და მხიარულია. ჩემი აზრით, „ვა-ბანკს“ დუტა უფრო უხდება...

— წამყვანთან ერთად, „ვა-ბანკის“ კეისიანი ლამაზმანების ჩაცმულობაც შეიცვალა.

— სიმართლე რომ გითხრათ, მე ადრინდელი — ნაცრისფერი კაბა უფრო მომწონდა, ლამაზი იყო. ახლა ჩვეულებრივი წითელი კაბა გვაცვია, მაგრამ წითელი ფერი ეკრანსაც და სტუდიასაც ძალიან უხდება. მალე ახალი ფორმა გვექნება, ოღონდ — როგორი, ჯერ არ ვიცი...

— ანგელინა, იდუმალ ბანკირს პირადად თუ იცნობ?

— კი, ძალიან კარგი ბიჭია (*იცინის*)... თუმცა კეისში რა თანხა დევს, არც გოგონებმა ვიცით და არც — დუტამ. ეს მხოლოდ ბანკირმა იცის, ოღონდ იმან — არა, ვინც სტუდიაში ზის.

— მოთამაშეების ბედი თუ გაღელვებს?

— მართალია, კეისის გახსნისას გადაცემის სტუმარს მიმიკით „ვაშინებთ“, მაგრამ ასე იმიტომ ვიქცევით, რომ მოთამაშე ვანერვიულოთ და „ვა-ბანკმა“ ტემპი არ დაკარგოს. უფრო უბრალო ადამიანებს ვგულშემატკივრობ, ვიდრე — ცნობილებს, რომლებსაც ფული ისედაც აქვთ! თუმცა მაინც მინდა ხოლმე, რომ გადაცემის ყველა სტუმარმა დიდი თანხა მოიგოს.

— როგორ ფიქრობ, მაყურებელს 26 ლამაზმანიდან შენ განსაკუთრებულად რატომ დაამახსოვრდი?

— ალბათ — იმიტომ, რომ ცოტა არ იყოს, უცნაური სახელი მქვია (*იცინის*).

— ანგელინა ვინ დაგარქვა? შენთვის სახელის შერჩევას რამე განსაკუთრებული ამბავი ხომ არ უკავშირდება?

— არა, უბრალოდ, დედამ მითხრა: ანგელინა დაგარქვით, რადგან როცა დაიბადე, ისეთი ლამაზი იყავი, რომ ანგელოზს ჰგავდიო (*იღიმება*).

— ამაში ეჭვიც არ მეპარება — მართლა ძალიან ლამაზი ხარ. „ანგელინა, გახსენი კეისი!“ — ეს ფრაზა შენს საახლობლოში ხუმრობის საგანი არასოდეს გამხდარა?

— კი, კი, ყოველთვის ასეა! სახლში, უნივერსიტეტში სულ „მეკაიფებიან“: როცა ჩემი ნებისმიერი ახლობელი კარგ ხასიათზეა და ამ დროს ჩანთიდან რამეს ვიღებ, შანსს არ უშვებს ხელიდან, რომ არ მითხრას — ანგელინა, გახსენი კეისო! ჩემი ჩანთა ჩანთა აღარაა — კეისია უკვე (*იცინის*).

— შენს საკუთარ „კეისში“ რა დევს?

— ყველაფერი, რაც მჭირდება და რაც არ მჭირდება — მასში სულ ქაოსია, რის გამოც ვერაფერს ვპოულობ (*იცინის*).

— მოგწონს „ვა-ბანკში“ მუშაობა?

— ძალიან. ნამდვილად აზარტული გადაცემაა! ხალხს 50.000 ლარის მოგების შანსი აქვს — ეს მცირე თანხა არაა. ახალ წამყვანთანაც კარგად ვგრძნობ თავს.

— თუმცა თქვენი მისალმებით დუტა, ცოტა არ იყოს, უკმაყოფილოა ხოლმე...

— ჰო, რადგან ბევრნი ვართ და სალამზე ერთხმად ვერ ვპასუხობთ. სულ გვასწავლის, რომ „გამარჯობა, დუტა“ ნორმალურად ვთქვათ, მაგრამ არ გამოგვდის — მაინც ქაოსია (*იცინის*). ერთი დიდი ოჯახივით ვართ. ყველასთან ვმეგობრობ. ვცდილობ, გოგონებთან არ ვიჩხუბო, მაგრამ ზოგჯერ მაინც ვჩხუბობ...

— რის გამო?

— სისულელის: მაგალითად, მაკიაჟის გასაკეთებლად 1-ელი ვინ დაჯდება! ერთი რბილი დივანი გვაქვს და ყველას მასზე დაჯდომა სურს — მიიწიე, გაიწიე (*იცინის*).

— საგრიმიოროში ეტევით?

— ძნელია (*იცინის*). 4 ვიზაჟისტი გვყავს, რადგან ერთი ადამიანი 26 გოგონას 1 საათში მაკიაჟს ვერ გაუკეთებს. ვიდრე დარბაზში შევალთ, ძალიან „ვგიჟობთ,“ სულ კარგ ხასიათზე ვართ!..

— „ვა-ბანკში“ მუშაობა იოლია?

— ეკრანიდან ჩანს, რომ ყველაფერი კარგადაა, თორემ რეალურად, ძალიან ვიღლებით, განსაკუთრებით — მაშინ, როცა ზედიზედ 2 გადაცემის ჩაწერა მიმდინარეობს და მთელი დღის განმავლობაში, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები გვაცვია. ქუსლიანები ისე მომბეზრდა, რომ ვეღარც ვუყურებ: 15 წლის ასაკიდან სამოდელო საქმეში ვარ ჩართული. თავდაპირველად, ქუსლებზე სიარული და მაკიაჟი ძალიან მახარებდა. ახლა უკვე — აღარ. რა თქმა უნდა, კლასიკური სტილის ფეხსაცმელებიც მაქვს, მაგრამ ძალიან რომ არ დავიღალო, ყოველდღიურად უპირატესობას ბოტასებს ან კედებს ვანიჭებ. ჩემთვის მთავარია, ფეხსაცმელი და ტანსაცმელი კომფორტული იყოს, თან — ზედმეტი ყურადღება არ მჭირდება (*იცინის*).

— გათხოვილი ხარ?

— დიახ. ჯერჯერობით ორნი ვცხოვრობთ — შვილი არ გვყავს. დედისერთა ვარ, მაგრამ მე და ჩემს მეუღლეს ცალკე ცხოვრება გვირჩევნია. სხვათა შორის, ისიც ტელევიზიაში მუშაობს — ოპერატორია და შეკვეთებს უცხოური ტელეარხიდანაც იღებს.

— „ვა-ბანკს“ ხშირად უყურებს?

— როცა სახლშია, ტელევიზორში ან ინტერნეტში უყურებს ხოლმე. ცხოვრებაში სულ მიყურებს და ეკრანი საჭირო არაა — ის ისედაც ჩემი მთავარი ფანია (*იცინის*)!

— არ ეჭვიანობს?

— თავდაპირველად, ისტერიკები და სკანდალები ნამდვილად იყო. ახლა ასე ძალიან აღარ ეჭვიანობს — დაწყნარდა, დამშვიდდა... მოდელობა ჩემი პროფესიაა და ამის გამო, პრობლემა აღარ აქვს.

— კიდევ რას საქმიანობ?

— მოსკოვის უნივერსიტეტის ფილიალში ეკონომიკურ ფაკულტეტზე ვსწავლობ. მოდელის პროფესია მიყვარს — ბავშვობიდან „თავიდან ფეხებამდე“ ამ საქმეში ვარ ჩაბმული, მაგრამ მინდა, უფრო სერიოზული პროფესიაც მქონდეს. მსურს, ეკონომისტი გავხდე. მოდელობა კი ჰობია.

— ამჟამად რომელიმე სააგენტოსთან თანამშრომლობ?

— არა, თავისუფალი მოდელი ვარ. ადრე სააგენტოში დავდიოდი, ვსწავლობდი... უკვე ყველაფერი ვისწავლე, რაც შემეძლო და დამოუკიდებლად ვმუშაობ — პირდაპირ მე მირეკავენ ხოლმე. ჩვენებებში წინათ უფრო ხშირად ვმონაწილეობდი, ახლა ძირითადად, სატელევიზიო რეკლამებში მიღებენ.

— ტელეწამყვანობასაც ხომ არ აპირებ?

— მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ვიღლები, ტელევიზიაში მუშაობა მაინც მომწონს, წამყვანობა მინდა და ალბათ გამომივა კიდეც, რადგან ახლა სპეციალურ კურსებზე სიარულს ვიწყებ, სადაც სწორად მეტყველებასა და სუნთქვას მასწავლიან...

■

„მამაჩემს ჩემი არც ერთი გაკადაცემა ჯერ არ უნახავს“

„რუსთავი 2“-ის დილის გადაცემის წამყვანმა, საკმაოდ სიმპათიურმა და ენერგიულმა ვასო ჩიჟოვანმა, როდესაც ინტერვიუს შესათანხმებლად დავუკავშირდი, გაკვირვებულმა მკითხა, — რით დავიმსახურე თქვენი ყურადღებაო? ტელეწამყვანს, რომელიც ენერგიას არ იშურებს იმისათვის, რომ მაყურებელს დილიდანვე კარგი განწყობილება შეუქმნას, თურმე ქალაქში გამვლელები ვერ ცნობენ!.. რაც იმის მაუწყებელია, რომ იმ საათებში, როცა ვასო ეთერშია, ადამიანების უმრავლესობა დილის ძილს ამჯობინებს.

ელენე გასილიძე

— „რუსთავი 2“-ის დილის გადაცემამ ერთ-ერთი წამყვანზე კასტინგი გამოაცხადა, ამის შესახებ მეგობარმა, რომელიც „რუსთავი 2“-ში მუშაობს, გამაგებინა; მეც მივედი კასტინგზე, მაგრამ გაირკვა, რომ არხს მხოლოდ ინტერნეტმიმომხილველის ვაკანსია ჰქონდა, რომელსაც ჩემამდე ალექსანდრე (ბაგრატიონ-დავითაშვილი) დაეპატრონა. მან კასტინგზე ისეთი ნიჭი გამოავლინა, რომ ულაპარაკოდ მიიღეს! რამდენიმე დღის შემდეგ ნინო არაზაშვილმა დამირეკა და მთხოვა, მათთან კიდევ ერთხელ მივსულიყავი. წამყვანის ამპლუაში გამომცადეს და გადაწყდა, რომ ეკა სამხარაძესთან ერთად, დილის პროგრამას მეც წავიყვანდი.

— მანამდე თუ გქონდა რაიმე კავშირი ტელევიზიასთან?

— კი, როგორ არა?! ადრე I არხზე ვმუშაობდი, მაშინ იქ საინფორმაციო სამსახურის უფროსი თაკო ფხაკაძე იყო და ჟურნალისტიკაში ფეხი მისი დახმარებით ავიდგი. ასე რომ, „მოამბეში“ მუშაობის გამოცდილება მაქვს. მერე ცოტა ხნით (2 წელი) ტელევიზიიდან წავედი, მაგრამ ახლა ისევ ამ სფეროს დავუბრუნდი...

— ტელევიზიაში დაბრუნება არ გაგიჭირდა?

— თავიდან ცოტა არ იყოს, მეუხერხულა, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ეს ისეთი საქმე იყო, რომელსაც თავს იოლად გავართმევდი. ამას ჩემზე ადრე კი ნინო არაზაშვილი მიხვდა (*იღიმება*). ნინომ იმდენი ყურადღება დამითმო, რომ ადვილი მისახვედრი იყო, თავის გუნდში ჩემი აყვანა ძალიან უნდოდა. სიმართლე გითხრა, წამყვანობა ნამდვილად მინდოდა. ვფიქრობდი, რომ ტელევიზიაში დაბრუნების შემთხვევაში, აუცილებლად წამყვანად ვიმუშავებდი.

— ვასო, დილით გაღვიძება წესით არ უნდა გიჭირდეს, ხომ?

— (*იღიმება*) არაა, გაღვიძება ნამდვილად არ მიჭირს, დილის 5 საათზე ვდგები, ჯერ კიდევ არ არის ხოლმე გათენებული. შემდეგ აუცილებლად ვსაუზმობ. ბავშვობიდანვე ერთი ჩვევა მაქვს — დილით გაღვიძებისთანავე ძალიან მშია და მაშინვე უნდა დავნაყრდე! ასე რომ, გაღვიძების შემდეგ, პირველი ეტაპი — მაგარი ყავა და საუზმეა. მერე უკვე ვემზადები და სამსახურში მივდივარ. სამსახურში მისული კი თვალს გადავავლებ პროგრამისთვის მომზადებულ თემებს. მერე 15-20 წუთი მაკიაჟის გაკეთებას მიაქვს და ეთერის დროც მოდის..

— როგორ ეგუები საეთერო მაკიაჟს?

— მაკიაჟი აუცილებლად მჭირდება და თანაც დიდი რაოდენობით (*იცინის*), რადგანაც თეთრი კანი მაქვს და ამიტომ ჩემი შელებვა აუცილებელია... რა ვქნა, სხვა გზა არ მაქვს და ამიტომაც ვეგუები...

— „რუსთავი 2“-მა შენი მოლოდინი თუ გაამართლა?

— დილის გადაცემას ისეთი გუნდი ჰყავს, რომ ყველაფერმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ერთი ოჯახივით ვართ და ვცდილობთ, ერთმანეთს ყველაფერში მივეხმაროთ. ჩვენთან შეუძლებელია, ვინმე უსაქმოდ იყოს. საკმაოდ დაძაბული სამუშაო რეჟიმია და ამ რეჟიმს ფეხი მეც ავუწყვე (*იცინის*).

— ვასო, წყვილები ეთერში დღეგამოშვებით ხართ? რა მოხდებოდა, ყოველდღე რომ მუშაობდეთ?

— ოოოო... ეს ძნელი იქნებოდა! ნინო არაზაშვილი ადრე ყოველდღე იჯდა ეთერში, მაგრამ ის ხომ პროფესიონალია. ისეთი ენერგიული ადამიანია, რომ მის ენერგიას ნამდვილად ვნატრობ (*იღიმება*).

— მითხარი, რომ არაჩვეულებრივი გუნდი ხართ, ალბათ კარგადაც მხიარულობთ, არა?

— კი, როდესაც ეთერში რეპორტაჟი გადის, ჩუმად არასოდეს ვართ! სტუდიის ხალხი ნამდვილად არ ვიწყენთ. თუ ეთერში სიმღერა გადის, მაშინ სტუდიაში ჩუმად ცეკვაც შეიძლება (*იცინის*). სასწაული ოპერატორები გვყავს, მაგრად მხიარულობენ; თან შეიძლება, რაიმე ისეთი მოგაძახონ, რომ სიცილისაგან ცუდად გახდე... დილით ახალგაღვიძებული ადამიანი ტელეეკრანზე რომ შემოგვხედავს, გული არ უნდა გაუსკდეს, ამიტომაც, ვცდილობთ, მაყურებელი კარგ ხასიათზე დავაყენოთ. ეთერში მოწყენილი ყოფნა არ შეიძლება. თავიდან ძალიან დაძაბული ვიყავი და ხშირად რაღაცები მეშლებოდა. ერთხელ, იმედა არაბული იმედა კახიანად გამოვაცხადე, მეორე დღეს კი იმედამ სამაგიერო გადამიხადა და ხვალინდელ გადაცემას ეკა სამხარაძე და ვასილ ბარნოვი გაუძღვებიანო (*იცინის*), — ეთერში მაყურებელს აცნობა, — რაზეც კარგად ვიხალისეთ. ეთერის დაწყებამდე მუდმივად ვღელავ, მაგრამ როგორც კი გადაცემა იწყება, სანერვიულოდ აღარ მცალია.

— **ქართველები ცოტა არ იყოს, მძინარა ხალხი ვართ. თუ ჰყავს თქვენს გადაცემას მაყურებელი?**

— სხვაზე რა უნდა ვთქვა, როცა მამაჩემს ჩემი არც ერთი გადაცემა ჯერ არ უნახავს (*იცინის*)? ზოგადად კი (*მხრებს იჩეჩს*) რა ვიცი, ქუჩაში არავინ დამხვედრია. ალბათ, ჯერ არ ვარ პოპულარული. ამას წინათ, ქუთაისში ვიყავი, იქ ერთმა ბავშვმა მიცნო და დედას ეკითხებოდა, — დედა, დედა, ეს ის არ არის, ტელევიზორში რომ არის ხოლმეო?! სიმართლე გითხრა, ცოტა დავიბენი, აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი...

— **მამას ინტერესის გულისთვის მაინც არ შეუვლია თვალი დილის გადაცემისთვის?**

— აი, გუშინ მითხრა, უნდა ვუყურო (*იღიმება*). ის დილით საკმაოდ დაკავებულია, ხშირად ტყეში მიდის, სოკოსა და მცენარეებს აგროვებს. ასე რომ, ჩემი გადაცემისათვის ნაკლებად სცალია. მამა — დევი ივანოვ-ჩიქოვანი დრამატურგია, 15 ფილმის სცენარის ავტორი, 1936 წელს არის დაბადებული, რამდენიმე პროფესია აქვს გამოცვლილი და უკვე დიდი ხანია, რაც თავის მეგობართან, შურა ჭელიძესთან ერთად, ფეხით კოჯორსა და წყნეთში ადის, სადაც სამკურნალო ბალახებს აგროვებენ და წამლებს ამზადებენ. მამა თვითონაც სვამს და მეც მასმევს იმ წამლებს, — ორგანიზმს უხდებაო.

— **მამამ თუ იქონია გავლენა შენი პროფესიის არჩევაში?**

— უფრო — დედამ. დედა, დოდო შონავა ჟურნალისტია, ერთ-ერთი პირველი დილის გადაცემის — „ალიონის“ წამყვანი გახლდათ. ამის გამო ბავშვობიდან, შეიძლება ითქვას, არხის კულისებში გავიზარდე. როცა სახლში არავინ იყო, დედა ხშირად ტელევიზიის „ბავშვთა ოთახში“ მტოვებდა.

— **როგორი იყო შენი თვალით დანახული მაშინდელი I არხი?**

— სადაც მტოვებდნენ ანუ „ბავშვთა ოთახი“ ძალიან არ მიყვარდა, მთელი დღე ფანჯარასთან ვიჯექი და დედას ველოდებოდი. ტელევიზია ძალიან მომწონდა; მომწონდა ის სამუშაო გარემო, სადაც დედა ტრიალებდა, მაგრამ რომ გითხრა, მაშინ „ალიონს“ ვუყურებდი-მეთქი, მოგატყუებ.

— **ბოლოს რას ეტყვი იმ მძინარა ადამიანებს, რომლებიც დილით ვერ გიყურებენ?**

— მე ვიცი დილის მადლი და სხვებსაც ვურჩევ, რომ ის შეიგრძნონ. დილით რომ გაიღვიძებენ, ტელევიზორები გადართონ ჩვენს არხზე და მათ კარგ განწყობილებაზე ჩვენ ვიზრუნებთ (*იღიმება*). ■

დამსხვრეული სტერეოტიპი და რჩევა მომავალ ტელეჟურნალისტებს

განახლებული „მოამბის“ რეპორტიორისგან

ტელეჟურნალისტი ელისო ჯაჯანაშვილი ამაყობს, რომ განახლებული „მოამბის“ ეთერში გასული პირველი სიუჟეტის ავტორი თავადაა. უკვე 4-5 წელია, რაც ელისო „მოამბის“ რეპორტიორია. ცოლის დაძაბულ სამუშაო გრაფიკს „რუსთავი 2“-ის ყოფილი ჟურნალისტი — გიორგი კეპულაძე გაგებით ეკიდება. ელისოც პროფესიულ საქმიანობას აქტიურად განაგრძობს. მუშაობა ქარში, ყინვაში და „სირცხვილის დერეფნის“ პირობებშიც არ შეუწყვეტია — მიაჩნია, რომ ჟურნალისტიკის ხიბლი სწორედ ექსტრემალურ სიტუაციაშია.

ეთო ყორღანაშვილი

— ბავშვობაში, როცა საინფორმაციო გამოშვებას ვუყურებდი, წამყვანის სიტყვებს გულში ვიმეორებდი და ვცდილობდი, მასზე სწრაფად მეთქვა, მაგრამ ეს წარმოუდგენელი იყო, რადგან ტექსტი არ ვიცოდი (*იცინის*). მეშვიდე-მერვე კლასში, ერთ-ერთი ამერიკული ორგანიზაციის გაზეთისთვის სტატიებს ვწერდი. ეს საქმე მეც ძალიან მომწონდა და ჩემი ნამუშევრებით რედაქტორიც კმაყოფილი იყო. ამან ჟურნალისტის პროფესიის არჩევისას დამატებითი სტიმული მომცა. საბოლოოდ, სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დავამთავრე — ბაკალავრიატი, მაგისტრატურა.

— **ტელევიზიაში როგორ მოხვდით?**

— ძალიან მომწონს ის გზა, რომლითაც ტელევიზიაში მოვხვდი; რადგან ის ამსხვრევს სტერეოტიპს, რომ ტელევიზიაში ვერ მოხვდები, თუ ნაცნობი არ გყავს, თუ არ „ჩააწყვე“ და ა.შ. ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ, დამსაქმებელთა ფორუმი გაიმართა, რომლის საშუალებითაც საინფორმაციო სააგენტოდან დამიკავშირდნენ. კონკურსის გავლის შემდეგ, 8 თვის განმავლობაში სააგენტოში ვიმუშავე. როცა „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ კონკურსი გამოაცხადა, ჯგუფელმა მითხრა: წამოდი, ბედი ვცადოთო. გარკვეული მიღწეული წარმატების მიუხედავად, მაინც სკეპტიკურად განწყობილი წავედი. რადგან მეგონა, არაფერი გამომივიდოდა. მაქსიმალურად ვცდილობდი, ზედმეტად მობილიზებული არ ვყოფილიყავი — ვიყავი ისეთი, როგორიც ვარ. თურმე ამან უფრო გაამართლა: როცა შთაბეჭდილების მოხდენას ძალიან არ ცდილობ, უფრო ახდენ (*იცინის*).

— **თქვენს ჯგუფელს რა ბედი ეწია?**

— იმ კონკურსით ტელევიზიაში ვერ მოხვდა, მაგრამ ახლა კარგ ადგილას მუშაობს, ოღონდ — სხვა ტელეარხზე.

— **ელისო, თავიდანვე „მოამბის“ რეპორტიორად დაიწყეთ მუშაობა?**

— კი, პირველი სიუჟეტი ნაღმზე აფეთქებული ახალგაზრდის შესახებ გავაკეთე, რომელიც სასამართლოში ჩიოდა, რადგან ფეხი დაკარგა და სახელმწიფოსგან გარკვეული დახმარების გამოყოფა სურდა. მახსოვს, 1-ელი სიუჟეტის მომზადებისას ძალიან ვინერვიულე, მაგრამ პროდიუსერები, კოლეგები მამხნევებდნენ.

— **მუშაობა სერიოზული თემით დაგიწყიათ.**

— რატომღაც გამიმართლა და თავიდანვე სერიოზულად აღმიქვეს (*იცინის*). საკუთარ თავზე მუშაობა არ შემიწყვეტია. ჟურნალისტობა ისეთი პროფესიაა, რომ მოდუნების საშუალებას არ გაძლევს: ყოველი ახალი დღე ახალი სფერო, ახალი თემა, ახალი ამბავია და ყველაფრისთვის მზად უნდა იყო.

— შეცდომას ხშირად უშვებთ?

— რასაკვირველია, უშეცდომო არავინაა, მით უმეტეს — როცა პირდაპირ ეთერზეა ლაპარაკი. ხშირად ჩართვისთვის ვერც ემზადები, რადგან ახალი ამბების გამოშვება ძალიან დინამიკური, ოპერატიულია. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ, 12-ის 20 წუთზე რაღაც ამბავი გავიგეთ, 12 საათზე კი ჩართვა მქონდა. ამ ხნის განმავლობაში ინფორმაციაც უნდა მომეპოვებინა, რესპონდენტებიც მომეძებნა და ეთერში გამართული ქართულითაც მესაუბრა. ზოგჯერ რაღაც ამბავი ემოციურ ზეგავლენას შენზეც ახდენს, შენ კი მაინც „მომართული“ უნდა იყო. მოკლედ, იმ დღეს წინადადების სიტყვათა წყობაში შეცდომა დავუშვი და ვთქვი: „მხოლოდ ერთი მოლაპარაკებათა რაუნდი გაიმართა“. იმ ჩართვაშივე შევასწორე. შეცდომები ყველას მოსდის, მაგრამ საკუთარ თავს ვუსურვებდი, რომ მსგავსი შეცდომის რიცხვი ძალიან მცირე იყოს (*იცინის*).

— გრამატიკას რომ თავი დავანებოთ, სხვა პროფესიული შეცდომა თუ მოგსვლიათ?

— ამის უფლებას ჟურნალისტებს მკაცრი კოდექსი არ გვაძლევს. ამაზე პროდიუსერი და გამომშვები რედაქტორიც (რომელიც ეთერში გასულ მასალაზეა პასუხისმგებელი) ზრუნავენ. ამ მხრივ, მაქსიმალურად დაზღვეული ვარ და თავს კომფორტულად ამიტომ ვგრძნობ. მაპატიონ, თუკი ჩემი სიჟეტით ვინმეს რამე დავუშავე, მაგრამ მაქსიმალურად ვცდილობ, არც ერთ მხარეს არ მივცე იმის საშუალება, რომ ჩემს სიტყვას გამოედავოს.

— თუმცა ქართველ ტელეჟურნალისტებს რომ არაობიექტურობაში სდებენ ბრალს, ცნობილი ფაქტია.

— ობიექტურობაზე ყველას თავისი აზრი აქვს. ერთმა ცნობილმა ადამიანმა თქვა: ფაქტიც კი არ არის თავისთავად ობიექტურიო. ვფიქრობ, ობიექტური ვარ — სხვა შემთხვევაში ვერ ვიმუშავებდი.

— სხვათა შორის, ცნობილი „სირცხვილის დერეფნის“ პერიოდში, საზოგადოების ნაწილი ე.წ. ტენდენციურ ჟურნალისტებს ამართლებდა კიდეც: ყველანაირად ცდილობენ, ობიექტურობა დაიცვან და არც სამსახური დაკარგონო.

— ერთი შემთხვევა მქონდა, როცა რესპონდენტი ინტერვიუზე არ მთანხმდებოდა: ცოტა ხნის წინ ჩამწერეს, მაგრამ მერე ჩემი საუბარი ეთერში სხვაგვარად გაუშვესო. მოკლედ, ჟურნალისტებს არ ენდობოდა. ავუხსენი, რომ სხვის მასალაზე პასუხს მე ვერ ვაგებდი და პირადი ნომერი დავუტოვე — თუკი რამე შენიშვნა გექნებათ, დამიკავშირდით-მეთქი. სიუჟეტის ეთერში გასვლის შემდეგ, მადლობა გადამიხადა. ხშირად „მოამბე“ მიკერძოებული იმ ადამიანებს ჰგონიათ, რომლებსაც სიუჟეტები არ უნახავთ. ვურჩევ, გადართონ და ნახონ... საერთოდ, ყველას მოსაწონს ვერასდროს გააკეთებ — როცა ინტერესებზეა ლაპარაკი, ბუნებრივია, ყველა კმაყოფილი ვერ იქნება. ჟურნალისტს იმის გამო არ უნდა გაუბრაზდე, რომ რეალობას ასახავს. რეალობის ტრანსფორმირების უფლება არ მაქვს და ამას არც გავაკეთებ. „სირცხვილის დერეფნის“ პერიოდში, როცა ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი მეკითხებოდა: „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ არის თუ არა ობიექტური ტელეარხი? თქვენი მოქალაქეობრივი პოზიცია დააფიქსირეთო, — ვუპასუხე: ჩემს მოქალაქეობრივ პოზიციაზე ვერ გესაუბრებით, რადგან როცა სამსახურში მოვდივარ, მას სახლში ვტოვებ-მეთქი. ამ საუბრის მერე, 12 საათზე პირდაპირი ჩართვა გვქონდა და ახალგაზრდა აქტივისტები შემოცვივდნენ. გვისტვენდნენ, — გრცხვენოდეთ, გრცხვენოდეთო! საკუთარ არჩევანში ყველა თავისუფალია, მაგრამ ვფიქრობ, ჯობია, რომ ახალგაზრდებმა ერთმანეთის მიმართ უკმაყოფილება ნაკლებად აგრესიულად გამოვხატოთ.

— თქვენს დაძაბულ სამუშაო გრაფიკს ოჯახის წევრები როგორ ეგუებიან?

— ჩემი მეუღლე — გიორგი კეპულაძე „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი იყო (ამჟამად ნატოს საინფორმაციო ცენტრში მუშაობს), როცა გავიცანი. ალბათ, სწორედ ამიტომაა, რომ მას კარგად ესმის ჩემი. სიმართლე გითხრათ, ბიჭი რომ ვიყო, ჟურნალისტს ცოლად არ შევირთავდი (*იცინის*). ერთი წელია, რაც მე და გიორგი დავქორწინდით. გათხოვების მერე, ბევრი ქალი პროფესიულ საქმიანობას თავს ანებებს. საბედნიეროდ, მეუღლე ყველაფერში ხელს მიწყობს: გადაღებებზე საქართველოდან შორსაც მივემგზავრები და შინ გვიანაც ვბრუნდები — პრობლემა არ არის.

— ალბათ რთული იყო, როცა ცოლ-ქმარი სხვადასხვა ტელეარხზე მუშაობდით, არა?

— პროფესიას და პირად ცხოვრებას ერთმანეთში არ ვურევდით. იმის შეგნება გვქონდა, რომ პროფესიული საიდუმლოებები ერთმანეთისთვის არ გაგვემხილა და ეს წყენის საბაბი არ გამხდარიყო. ერთგვარი ზღვარი გვქონდა. ახლა უფრო თამამად მაძლევს რჩევებს და მეც ვითვალისწინებ.

— ელისო, მოდი, განახლებულ „მოამბეზეც“ ვისაუბროთ.

— განახლებული „მოამბე“ ეთერში დაახლოებით, 2 კვირის წინ გავიდა. ამაყი ვარ, რომ პირველი სიუჟეტის ავტორი მე გახლავართ (*იღიმება*). „მოამბეს“ ბევრი ვიზუალური ეფექტი აქვს და ჟურნალისტებს დამატებითი სტიმული ამანაც მოგვცა. ვცდილობთ, მაყურებელს განსხვავებული, საინტერესო თემები შევთავაზოთ. ბევრი საინტერესო რუბრიკა გვაქვს, მაგალითად — „წერილი მოამბეში“, სადაც სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებით, მოსახლეობა წერილს ტოვებს, მასზე რეაგირებას კი ჟურნალისტები ჩვენი სიუჟეტით ვახდენთ. შესაბამისი სამსახურების რეაგირებას კი ალბათ წლის ბოლოს შევაჯამებთ. უმრავი წერილი მოგვდის, ზოგი — არაადეკვატურიც, როცა მაყურებლები პირად ცხოვრებაზე გვწერენ (*იცინის*).

— „მოამბის“ შემოქმედებით კოლექტივს რაც შეეხება?

— ჟურნალისტების შემადგენლობა თითქმის უცვლელია. ერთადერთი, „მოამბის“ მთავარ გამოშვებაში ახალი წამყვანი — ეკა მიშველაძე დაგვემატა.

— რა რჩევას მისცემთ სტუდენტ ტელეჟურნალისტებს, რომელთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ გავლენიანი ნაცნობის გარეშე, ტელევიზიაში მუშაობას ვერ დაიწყებს?

— ასეთი სტერეოტიპი საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებით დაანგრიონ! „მფარველი“ საჭირო არაა. საკუთარი თავის მფარველი თავად ხარ, რის გამოც უფრო ძლიერი ხდები. წინ გადადგმული შენი ყოველი ნაბიჯი უფრო ღირებული ხდება, რაც უკან დახევის საშუალებას არ გაძლევს. ■

რისი პერსპექტივა აქვს ჯონდი ბაღათურიას

ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმარი ინტერვიუს დასაწყისში დამპირდა, რომ გულწრფელი იქნებოდა. გარკვეულწილად, პირობა შეასრულა. არაერთ (პირად და ოჯახურ) საკითხზე გულახდილად ვისაუბრეთ. თუმცა ზოგჯერ თვალები ისე ეშმაკურად უციმციმებდა, ვეჭვობ, რომ ცრუობდა... ასეა თუ ისე, ქართველ პოლიტიკოსთაგან ამგვარი გულწრფელობით განებივრებულნი არ ვართ. მით უფრო, რომ როგორც ბატონმა ჯონდიმ გამომიცხადა, ინტერვიუს პარალელურად სხვა რაღაცებზეც ფიქრობდა.

ნინო მჭედლიშვილი

— როცა ინტერვიუს აძლევთ, ცდილობთ, რომ იმაზე უკეთ წარმოჩნდეთ, ვიდრე სინამდვილეში ხართ?

— ამას არ დავკვირვებივარ, მაგრამ სავარაუდოდ, ასე იქნება. მიდრეკილება იმისკენ, რომ კარგად გამოიყურებოდე, ყველა ადამიანს გარკვეულწილად აქვს. როცა სატელევიზიო კომენტარს ვაკეთებ, რა თქმა უნდა, თავს ვიწესრიგებ. ეს ჩვეულებრივი ამბავია.

— ყველაზე მეტად რის დამალვას ცდილობთ?

— იმის დამალვას ვცდილობ, რაც ჩემს ხარვეზად მიმაჩნია.

— რა მიგაჩნიათ თქვენს ხარვეზად?

— ისევე, როგორც ყველა ადამიანს, ალბათ მეც ბევრი ხარვეზი მექნება...

— ესე იგი, თქვენს ხარვეზზე ლაპარაკს არ აპირებთ?

— ხასიათში რა ხარვეზებიც მაქვს, ეს ინტერვიუში არც გამოჩნდება... ტელეინტერვიუს დროს გარეგნულ მხარეს კი ნამდვილად ვაკვირდები. მაგალითად, ქალბატონები ცდილობენ, ინტერვიუს პროცესში კამერასთან იმ პროფილით დადგნენ, რომელიც უკეთესი აქვთ.

— თქვენ რომელი პროფილით დგებით კამერასთან?

— ნუთუ მამაკაცები კამერის წინ ასე ვიპრანჭებით? თუმცა არ ვიცი, გამორიცხული არაფერია, შეიძლება, ამაზე ქვეცნობიერად მეც მიფიქრია. მაგალითად, როცა სატელევიზიო გრიმს მიკეთებენ და გაუპარსავი ვარ, სახეზე მეტი ჩრდილის გაკეთებას ვითხოვ. ასეთ შემთხვევაში, ახლო კადრს ვაპროტესტებ. თუმცა გაუპარსავი იშვიათად ვარ...

— რას გსაყვედურობენ მეგობრები?

— ბევრ რამეს. პოლიტიკასთან დაკავშირებით გაინტერესებთ?

— მოდი, თავიდანვე შევთანხმდეთ, რომ ეს არაპოლიტიკური ინტერვიუა...

— ერთი მუდმივი საყვედური არა აქვთ, თუ ტრაფარეტულ ფრაზას — „როგორ დაიკარგე“, არ ჩავთვლით. ეს დაკარგვა ორმხრივიცაა და ამას საყვედურად ვერ მივიღებ. საყვედური სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვაგვარია. მაგალითად, სუფრასთან მსაყვედურობენ, რატომ არ ვცლი ჭიქას ბოლომდე...

— მართლა არ ცლით ჭიქას ბოლომდე?

— მიყვარს ჭიქის დაცლა, მაგრამ როცა მეორე დღეს ფორმაში ყოფნა მინდა, ვცდილობ, თავი შევიკავო... თორემ მერე ჩემი არც ერთი პროფილი აღარ ივარგებს საიმისოდ, რომ კამერის წინ დავდგე და ინტერვიუ მივცე (*იცინის*). მეორე მიზეზი, რის გამოც ჭიქას ბოლომდე ვერ ვცლი, ის არის, რომ გონებამ სხარტად უნდა იმუშაოს...

— ნაბახუსევზე თქვენი გონება სხარტად ვერ მუშაობს?

— გააჩნია ნაბახუსევის ხარისხს. თუ ბოლომდე ცლი ჭიქას, მაშინ რთულია გონების გაღვიძება. ასე რომ, თუ ჩემი რომელიმე გამოსვლა არ მოგეწონებათ, ესე იგი, წინადღეს გვარიანად მოვილხინე. ისე, ღვინის ზომიერად მიღება, ადამიანის გონებასაც, სულსაც და ხორცსაც ერთნაირად უხდება.

— თქვენ თანდასწრებით, მამაკაცი სიტყვიერ შეურაცხყოფას რომ აყენებდეს ქალს, ჩაერევით ასეთ ინციდენტში თუ გვერდს აუვლით?

— ქალისთვის რაიმე ტიპის შეურაცხყოფა მამაკაცის მხრიდან სამარცხვინო საქციელად მიმაჩნია. ამაზე ყოველთვის მექანიკური რეაქცია მაქვს. ასეთ სიტუაციაში ადრე უფრო აგრესიულად ვიქცეოდი. ზოგადად კი ადამიანის ნებისმიერი შეურაცხყოფის წინააღმდეგი ვარ. თუმცა ასეთი შეცდომა, რა თქმა უნდა, მეც მომსვლია...

— სწორედ ეს მინდოდა მეკითხა.

— შეურაცხყოფა ქალისთვის არასდროს მიმიყენებია. ეს უღირსი ადამიანის საქციელია, ღირსებას უნდა მოუფრთხილდე. შეიძლება, გააკრიტიკო ადამიანი, მაგრამ კრიტიკა შეურაცხყოფაში არ უნდა გადაიზარდოს.

— ყველაზე მეტად რას ნანობთ?

— ახლა აღსარებას ვერ ჩაგაბარებთ...

— ადამიანებს ქათინაურებით ხშირად ამკობთ?

— ამ მხრივ ხელგაშლილი ვარ... მინდა, თქვენც გითხრათ, რომ ძალიან კარგად გამოიყურებით. თუმცა, ქათინაურებს ჰაერზე არ ვისვრი და არც ქულების დასაწერად ვამბობ. ასე რომ, თქვენ მართლა კარგად გამოიყურებით...

— გმადლობ... როდის წითლდებით?

— ადამიანი მაშინ უნდა წითლდებოდეს, როცა სამარცხვინო საქციელს ჩაიდენს. ისე არ გამომივიდეს, რომ ასეთი საქციელი არასდროს ჩამიდენია, მაგრამ... მგონი, არ ვწითლდები.

— ტყუილი გითქვამთ?

— მითქვამს... ისევ აღსარების ჩაბარებას მთხოვთ? არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ტყუილი არ უთქვამს. დავით მეფე ამბობს — „არა არს კაცი, რომელიც ცხონდეს და არა სცოდოს“...

— როცა ტყუილში გამოუჭერიხართ ვინმეს, არც მაშინ გაწითლებულხართ?

— ეს უნდა იყოს გაწითლების საფუძველი, მაგრამ ასეთი შემთხვევა არ მახსენდება...

— როცა გაქებენ, არც მაშინ წითლდებით?

— ძალიან უხერხულად ვგრძნობ თავს. რომ გითხრა, არ მსიამოვნებს-მეთქი, ტყუილი იქნება, მაგრამ ზოგჯერ, როცა ეს გადაჭარბებულია, ერთი სული მაქვს, როდის დამთავრდება ჩემი ქება...

— თუ გიტირიათ?

— კი, ალბათ, ბავშვობაში.

— გახსოვთ, რის გამო?

— ალბათ, „მაროჟნი“ არ მიყიდეს (*იღიმის*).

— ზრდასრულ ასაკში როგორ გამოხატავთ მწუხარებას?

— სხვადასხვაგვარად. ზოგჯერ მრისხანებითაც...

— როგორია განრისხებული ჯონდი

ბაღათურია?

— ცუდი...

— **როგორ? ხელში რა ნივთიც მოგხვდებათ, ყველაფერს ამსხვრევთ?**

— ბოლო დროს არ ყოფილა ასეთი პრეცედენტი. „თავ კანტროლ“ ვუწევ ხოლმე. ადამიანის ერთ-ერთი ღირსება თავშეკავებაა. ეს მის სიძლიერეს გამოხატავს.

— **ზოგადი ფრაზებით მელაპარაკებით. მინდა, რომ თქვენზე მესაუბროთ. რა შეიძლება, დაუშავოს გაბრაზებულმა ჯონდიმ გარშემო მყოფებს?**

— თუნდაც „ხურდა“ დაუბრუნოს. თუმცა ვცდილობ, ეს არ გავაკეთო.

ჯონდი ბაღათურიას ცოლ-შვილი

ზოგიერთი იმის ღირსიც არ არის, „ხურდა“ რომ მიიღოს შენგან.

— **ბოლოს როდის იჩხუბეთ?**

— თუ აქციებზე ფიზიკურ შეხლა-შემოხლას არ ჩავთვლით, კარგა ხანია, არ მიჩხუბია.

— **სხვის ნაცვლად საქმის გაკეთება გიყვართ?**

— კი. ხმამაღლა შემიძლია ვთქვა, რომ დიდ სიამოვნებას მანიჭებს, როდესაც სხვას ვეხმარები.

— **როცა თქვენ ნაცვლად აკეთებენ რამეს, გსიამოვნებთ თუ მიგაჩნიათ, რომ იმ საქმეს თქვენ უკეთ გააკეთებდით?**

— გააჩნია, რას. ზოგჯერ მართლაც მაქვს განცდა, რომ მე უკეთესად გამომივა. თუმცა მადლიერების გრძნობა არასდროს მტოვებს, როდესაც სხვები მეხმარებიან. მაგალითად, მძღოლი მემსახურება, მაგრამ ზოგჯერ მისთვის მითქვამს, საჭეს დღეს მე მივუჯდები-მეთქი...

— **მძღოლს ასეირნებთ, არა?**

— დიდხანს არ ვასეირნებ, ჩემი მძღოლი ჩემი მეგობარია...

— **ოჯახში რაზე ბრაზობთ?**

— რა გითხრათ... კერძი თუ არ არის მომზადებული, პერანგი თუ არ არის დაუთოებული, რა თქმა უნდა, არ მსიამოვნებს, მაგრამ ასეთ შემთხვევებში, ქვების სროლას არ ვიწყებ, თუმცა ვბუზღუნებ... არადა, ზოგჯერ, დილით შეიძლება, სწორედ იმ პერანგის ჩაცმა მომინდეს, რომელიც დაუთოებული არ არის.

— **რა პრეტენზიული ყოფილხართ. მეუღლე როგორ ეგუება თქვენს პრეტენზიებს?**

— ისიც ბუზღუნებს და დღეები ასე ბუზღუნ-ბუზღუნში გადის... ოღონდ მე ჯანმრთელობას ვუფრთხილდები და ბრაზი მალე გადამივლის ხოლმე.

— **მას არა?**

— არა, და იბოღმება ხოლმე.

— **როცა ნაჩხუბრები ხართ, პირველი ვინ დგამს ნაბიჯს შესარიგებლად?**

— როგორც წესი, ასიდან ასივე შემთხვევაში — მე. 2 დღესაც კი არ ვაგრძელებ უმძრახობის პერიოდს. ეს მას აქვს ორდღიანი და ორთვიანი უმძრახობის პერიოდები.

— **მეუღლეს რა ჰქვია?**

— (*იცინის*) ნათია...

— **ნათიას შემორიგების რაიმე მეთოდი თუ გაქვთ?**

— ჩვეულებრივი მეთოდი მაქვს. ზოგჯერ, როცა დამნაშავე ვარ, ვაღიარებ. ეს არ მიჭირს. ცოლისთვის თავზე ხელიც გადამისვამს, მითქვამს, დავივიწყოთ-მეთქი. მისთვის საჩუქარიც გამიკეთებია. არაერთი მეთოდი არსებობს, ყველაფერს ნუ მათქმევინებთ (*იცინის*).

— **შენშენა თუ მიგიციათ მეუღლისთვის ჩაცმის სტილთან დაკავშირებით?**

— გიხდება ან არ გიხდება, — მითქვამს, მაგრამ ეჭვიანი არ ვარ, არც თვითონაა ეჭვიანი.

— **მესაკუთრე ხართ?**

— ვარ!..

— **როცა წვეულებაზე თქვენი მეუღლე ყურადღების ცენტრში მისი გარეგნობის გამო ექცევა, გსიამოვნებთ თუ გაღიზიანებთ?**

— ვხვდები, რა შეკითხვა გინდათ, დამისვათ. ჩაცმასთან დაკავშირებით, კონსერვატიული შეხედულება მაქვს, მაგრამ ცოლს არც ჩადრით სიარულს ვთხოვ. მომწონს ქალი, რომელიც ვულგარულად არ გამოიყურება. საერთოდ, ქართველ კაცებს ვულგარულად ჩაცმული სხვისი ცოლები მოსწონთ და არა — თავისი. ეს ისე, ნახევრად ხუმრობით.

— **თქვენ რომელ კატეგორიას მიეკუთვნებით?**

— მე კონსერვატორი, ტრადიციების მოყვარული ვარ.

— **ცრუობთ. არადა, ინტერვიუს დასაწყისში შემპირდით, გულწრფელი იქნებოდით...**

— არ ვიტყუები. თქვენ, რა, სიცრუის დეტექტორით ხართ მოსული?

— **არა, სახეზე გატყობთ...**

— მართალს ვამბობ, ზედმეტი არაფერი მიყვარს და მათ შორის — არც სიშიშვლე. მომწონს ზომიერი ადამიანები.

— **თქვენი მეუღლის ჩანთაში საქართველოს პრეზიდენტის ფოტო რომ იპოვოთ, რას გაიფიქრებთ?**

— გამორიცხულია. ამის წარმოდგენაც კი მიჭირს. ისე კი ვიკითხავ, ამას აქ რა უნდა-მეთქი (*იცინის*)? სხვათა შორის, ჩემს შუათანა შვილს მოსწონდა შევარდნაძე. როცა ჩავეკითხე, მიზეზი გავარკვიე: განიცდიდა, შეურაცხყოფას რომ აყენებდნენ. 5 წლის იყო და როგორც ბაბუას, მას ისე უყურებდა.

— **თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?**

— თავისუფლად.

— **კარგი პასუხია, მაგრამ სად?**

— ხშირად ოჯახთან ერთად. შეიძლება, სრული შემადგენლობა ვერ შევიკრიბოთ, მაგრამ სულ პატარას ხშირად ვასეირნებ, ზოოპარკში ატრაქციონებზე უყვარს გართობა. თუ სახლში ვართ, წიგნებს ვუკითხავ.

— **რა ჰქვიათ თქვენს შვილებს?**

— უფროსი — თორნიკე უკვე 20 წლის არის, 1989 წელს დაიბადა. სხვათა შორის, მე და ნათია 9 აპრილის აქციაზე რომ ვიყავით, ის თორნიკეზე 5 თვის ფეხმძიმე იყო. შუათანას — მარიამს, მადუდა დაარქვა პატარამ, რომელიც 13 წლის არის. უმცროსი კი ჯერ 5 წლის გახლავთ.

— **ვინმეს ვალი თუ გაქვთ?**

— კი, დამტანჯა საქართველოს ბანკის „ორეინჯ ბარათმა“. შევიტან, გამოვიტან, დავხარჯავ... შევიტან, გამოვიტან, დავხარჯავ. ერთხელაც ვერ მოვახერხე, რომ შეტანისთანავე დავხიო ბარათი. თუმცა პასუხისმგებლობით სავსე ტიპი ვარ. ვალს ყოველთვის დროულად ვაბრუნებ.

— **ბალიშზე თავის დადებისას, მაშინვე იძინებთ თუ ფიქრობთ?**

— მე სულ ვფიქრობ. ახლა ხომ გელაპარაკებით, პარალელურად სხვა რაღაცებზე ვფიქრობ.

— **ეს განსაკუთრებული ნიჭია, ბატონო ჯონდი.**

— კეისარს ჰქონდა ასეთი ნიჭი და ვისაც ამის ნიჭი აღმოაჩნდება, კეისრობის პერსპექტივა აქვს (*იცინის*). ■

თორნიკე უკვე 20 წლის არის, 1989 წელს დაიბადა

ტკბილი ჯენტლმენები ანუ ტამტამებით გაერთიანებული ადამიანები

მათ პირველად თბილისობის დღესასწაულზე, გადაჭედილ მოედანზე შევხვდი, გარშემო იმდენი ხალხი ეხვია, თავიდან მეგონა, რომ ოპოზიცია მიტინგს მართავდა. მერე კი, როდესაც შეკრებილ საზოგადოებას თვალი მოვავლე, ყველაფერს მივხვდი... ახალგაზრდები ტამტამზე უკრავდნენ... შემდეგ მათთან მიახლოება და გასაუბრებაც მოვახერხე. ოღონდ მსმენელებს თავი მაინც ვერ დავაღწიეთ და ბაღში ინტერვიუს ჩასაწერად „მეტამტამეებთან“ განმარტება არავინ მაცალა. მათგან ყველაზე სასაცილო ის ნასვამი მსმენელი აღმოჩნდა, რომელიც იქ შეგროვილ ხალხს გამოეყო და ხმამაღლა გაყვიროდა: ჯიგრებო, მაიტათ, „შალახო“ დაუკარითო!..

ელენე გასილიძე

ერეკლე:

— ჩვენ შორის ყველაზე „ვეტერანი“ დრამერი მე ვარ. გიტარამ მეშვიდე კლასიდან გამიტაცა, ვუკრავდი, სიმღერებისთვის ტექსტებს ვწერდი, მუსიკასაც ვადებდი და სიმღერებიც მზად იყო... მოგვიანებით მე და ჩემმა მეგობრებმა ბენდი შევქმენით, სადაც გიტარაზე ვუკრავდი... აი, ტამტამს რაც შეეხება, პირველად 2 წლის წინ ავიღე ხელში; 1 წელია უკვე, რაც მასზე დაკვრა სერიოზულად დავამუღამე.

— ბენდში ისევ ხარ?

— ბენდს პროდიუსერი სჭირდებოდა, რომლის ფუნქციებიც მე შევითავსე, ყველაზე კარგად ხალხთან ურთიერთობა და მოლაპარაკებები მე გამომივიდა (*იღიმება*). ვინმე შინაური გვჭირდებოდა, ჩვენი ინტერესები რომ დაეცვა და ამიტომ ბენდს ჩამოვშორდი და მხოლოდ საორგანიზაციო საქმეები დამეკისრა. საერთოდ, ძალიან მოუსვენარი ადამიანი ვარ, არ შემიძლია, რეპეტიციაზე ისე ვიჯდე და მხოლოდ „საღოლ, ბეჭებო!“ — ვიძახო. ჰოდა, ერთ-ერთ რეპეტიციაზე, როცა ბენდს ვუსმენდი, ხელში ტამტამი ავიღე და მასზე ტყაპუნი დავიწყე. მერე რიტმი „დავიჭირე“ და მას შემდეგ უკვე ხელიდან აღარ გამიშვია ტამტამი.

— რა ჰქვია თქვენს ბენდს?

— Sweet Gentlemen...

— რატომ მაინცდამაინც ტკბილი?

— (*იცინის*) ოოო, ჩვენი ბენდის სახელს დიდი ისტორია აქვს, თავიდან, Big Lips დავარქვით...

— რატომ? ბენდში ყველას დიდი ტუჩები გქონდათ?

— (*იცინის*) პირველი ადამიანი ხარ, ვინც გამოიცნო! მართალი ხარ, ყველას დიდი ტუჩები გვქონდა! მერე კი ბენდში გიტარისტი მოვიდა, რომელსაც ტუჩები საერთოდ არ ეტყობოდა (*იცინის*)! ამიტომ, რაიმე სხვა სახელი უნდა მოგვეფიქრებინა. ჰოდა, ახალი სახელის იდეებზე ტვინს რომ ვიჭყლეტდით, დეიდაშვილის ქორწილში წასვლამ მოგვიწია... ყველა სმოკინგებში გამოვეწყვეთ და ისე წავედით. იქ ჯერ გვითხრეს, — რა „ტკბილები“ ხართ, მერე — როგორი ჯენტლმენებიო!.. ჩვენი ბენდის სახელიც ასე გაჩნდა.

— სახელს თუ ამართლებთ?

— (*იცინის*) „ტკბილები“ რამდენად ვართ, არ ვიცი, ისე კი, ჯენტლმენობაზე პრეტენზია მართლაც გვაქვს! მუსიკასაც ტკბილს ვწერთ, ძირითადად — როკ-ენ-როლს, ლაით როკსა და ჯაზ-როკს ვუკრავთ, მაგრამ ჯაზ-როკის რეპერტუარიდან ამოღება მოგვიწევს, რადგან საქართველოში, სადაც დავუკარით, ვერავინ ვიპოვეთ, ვინც ამ მიმდინარეობას სიამოვნებით მოუსმენდა. როკი საქართველოში მეტალიკასა და თმაგაჩეჩილ ადამიანებთან ასოცირდება და „ლაითი“ როკის შესახებ ბევრს გაგონილიც არა აქვს.

— მოდი, ახლა ის მიამბეთ, როგორ აღმოაჩინეთ სამმა ტამტამის მოყვარულმა ერთმანეთი?

ილია:

— მე, ერეკლეს და მარის კახეთში სოფელი გვაქვს. შილდაში ყოველ ზაფხულს ჩავდივართ და ერთმანეთიც იქ გავიცანით. შემდეგ საერთო ინტერესი აღმოგვაჩნდა და მას მერე განუყრელი მეგობრები ვართ, აბა!..

მარი:

— ჩემი მეგობრები ტამტამზე უკრავდნენ. რომ ვთქვა, ჩემი ოცნება ტამტამზე დაკვრა იყო-მეთქი, მოგატყუებთ; მომწონდა ტამტამების რიტმი და ასე ვთქვათ, მეგობრებს ავყევი... მთელი ზაფხულის განმავლობაში მოსწავლედ ვიყავი მიბარებული ამათთან... ჩემთვის ტამტამები გართობასა და მხიარულებასთან ასოცირდება. როცა გარშემო ხალხი გვახვევია, მათ ჰგონიათ, რომ ჩვენზე მეტად ერთობიან, მაგრამ დაკვრით ჩვენ უფრო მაგრად ვერთობით.

ილია:

— დასარტყამი ინსტრუმენტები ბავშვობიდან მიტაცებდა, დაკვრა ბავშვობაში ვისწავლე, მაგრამ ახლა, რა თქმა უნდა, უკეთესად ვუკრავ, ძალიან დავიხვეწე. გასულ ზაფხულს სოფელში ერთად ვისვენებდით, ერთად ვუკრავდით და ისე შემიყვარდა ტამტამი, ლამის მასთან ერთად მძინავს (*იცინის*). ახლა 2 ტამტამი მაქვს, ერთი მარის ვათხოვე და ასე ტყაპა-ტყუპით დავდივართ.

მარი:

— ჰო, ახლა ჩემი ტამტამი „ავადაა“ და ამიტომ ვერ წამოვიღე... ცოტა გაფუჭებულია და მალე „გამოვაკეთებთ“.

ერეკლე:

— ტამტამზე დაკვრისას უარყოფითი ემოციებისგან თავისუფლდება ადამიანი. ხშირად, როცა ცუდად ვყოფილვარ, მდგომარეობიდან ტამტამის საშუალებით გამოვსულვარ. ეს მანამდე იყო, სანამ სერიოზულად დავიწყებდი ტამტამზე დაკვრას. ახლა კი ეს ინსტრუმენტი უკვე ჩემი მუსიკალური საკრავია და არა ემოციებისგან დამცლელი საშუალება.

— წეღან ერეკლემ მითხრა, რომ სუფრასთან ტამტამების სადღეგრძელოს აუცილებლად სვამთ...

ილია:

— მართალია, სუფრასთან ტამტამებს აუცილებლად ვადღეგრძელებთ. ამას ვენაცვალე, ამ საკრავმა დაგვამეგობრა და გაგვაერთიანა (*იცინიან*)...

— გავიგე, რომ ფეხბურთის მატჩებს მუსიკალურად აფორმებთ...

მარი:

— კახეთში ტურნირებზე ჩვენი ტამტამებით დავდიოდით, ვერთობოდით და სხვებსაც ვართობდით, მაგრამ ხშირად დაკვრას გვიშლიდნენ (*იღიმება*).

ილია:

— ხანდახან მეც მაღიზიანებს ტამტამის ხმა, პირდაპირ ტვინში „ურტყამს“.

ერეკლე:

— როცა ხასიათზე არ ხარ, ტამტამის ხმა ძალიან გამაღიზიანებლად გეჩვენება, მით უმეტეს მაშინ, როცა ისეთი ადამიანი „წვალობს“ მასზე, რომელმაც დაკვრა არ იცის. ამ დროს ტამტამი ისეთ ხმებს გამოსცემს, ღამისაა, „ვიფრინო“ ის „მეტამტამე“ (*იცინიან*).

მარი:

— ვერ გაიგებ, ვის შეიძლება, ჩვენი მუსიკა მოეწონოს და ვის — არა: ყოფილა შემთხვევა, ჩვენი მუსიკის მოსმენისას მოხუცს უთქვამს, — შვილებო, გაიხარეთ, თქვენ გენაცვალეთო! — და ახალგაზრდას გაუფრენია.

ილია:

— ყვარელში ფეხბურთის მატჩზე გაგვიგიჟდა ხალხი: ეგ რაღაცები გააჩუმეთო! — ითხოვდნენ. არადა, თამაში დარბაზში მიმდინარეობდა და ისეთი „გემრიელი“ აკუსტიკა ჰქონდა კედლებს, ჩვენი გაჩერება საცოდაობა იყო (*იცინიან*).

ერეკლე:

— ყოველ შაბათს ერთმანეთს ვხვდებით, ვუკრავთ ჩვენთვის და ხალხისათვის. ჩვენ მხოლოდ სოფელი აღარ გვაკავშირებს, თბილისშიც ერთად ვართ და ვმხიარულობთ.

ილია:

— ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ თუ ერთ საღამოს დიდი ხნის განმავლობაში ვუკრავთ ტამტამზე, ლითონის სარტყელი, რომელიც გარს აკრავს, ხელებს გვიბეჟავს და მეორე დღეს საშინლად გვტკივა, დასივებული გვაქვს ხოლმე...

— იქ, სადაც უკრავთ, როგორც ჩანს, ყოველთვის ბევრი ხალხი გახვევიათ...

ერეკლე:

— არიან ადამიანები, რომელთაც ტამტამების მუსიკა უყვართ. ისინი ძალიან იოლად გვპოულობენ. სადაც უნდა ვიყოთ, ჩვენი მუსიკის ხმა საკმაოდ შორს ისმის და ხალხიც სმენით მოდის ჩვენამდე. თუ სადმე ერთმანეთს უნდა შევხვდეთ და ვერ ვაგნებთ, ტამტამს ვახმაურებთ და ერთიმეორესთან ამ ხერხით ვიგნებთ გზას. კიდევ ერთი მიზეზი, რომლის გამოც ხალხი არ გვაკლია, მარია: მისი გარეგნობა საზოგადოებაში ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს (*მარის მწვანედ აქვს თმა შეღებილი. — ავტ.*)

მარი:

— ადრე ლურჯად და ვარდისფრად მქონდა შეღებილი... მომწონს ჩემი სტილი, რატომღაც, მსგავსი ვარცხნილობა პანკებთან და ემოებთან ასოცირდება. არადა, მე უბრალოდ, ასე მინდოდა და შევიღებე.

ერეკლე:

— ამას წინათ, ვაკის პარკში 2 მთვრალი ქალბატონი მოვიდა და მეგრული და აფხაზური ცეკვის მელოდია დაგვიკარითო, — გვითხრა. ჯერ ასეთი ცეკვები თუ იყო, არც ვიცოდი და ტამტამზე როგორ უნდა დაგვეკრა?! მერე ჩემმა ძმამ და ჩვენი ბენდის ერთმა წევრმა მეგრული სიმღერა უმღერეს, სადაც ასეთი სიტყვები იყო: „აფხაზეთი საქართველო არის“...

ილია:

— ამას წინათ, მეტროში ვუკრავდით. დისპეტჩერი გამოვარდა და გვეუბნება: — ოპერაში კი არა ხართ, წადით აქედანო (*იცინიან*)! საერთოდ, მეტროში დაკვრა არ შეიძლება. საქართველო-იტალიის საფეხბურთო თამაში რომ იყო, კალაძის ავტოგოლებით გამწარებულებმა, შუა ბაქანზე დავიწყეთ დაკვრა და თქვენ წარმოიდგინეთ, პოლიციელებს არ შეუწყვეტინებიათ! მეტროში ხალხის ტევა არ იყო და ხალხმა წრე შემოგვარტყა, რომ დაკვრის საშუალება გვქონოდა და ალბათ პოლიცია მსმენელების გაბრაზებას მოერიდა.

— მსმენელები მადლიერებას როგორ გამოხატავენ?

ერეკლე:

— რამდენიმე დღის წინ მარი ჩვენთან არ იყო და ბიჭებმა გადავწყვიტეთ, ცხოვრებაში პირველად, მიწისქვეშა გადასასვლელთან დაგვეკრა და ლუდის ფული მოგვეგროვებინა. იქვე ჩასასვლელთან ასაკოვანი ქალი მზესუმზირას ყიდდა, მოვიდა და მადლიერების ნიშნად, მიწის თხილი და კოწახურის კანფეტები გვაჩუქა. ვაიმე, ეს ჩვენთვის იცი, რა იყო?! მერე ვიღაც ბიჭი მოვიდა და, — აგერ, ჩემთან კორპუსში ავიდეთ, ყავასა და არაყზე გეპატიჟებითო (*იცინიან*). მეტი მადლიერება რაღა გვინდა?!

— ანუ ფულის საშოვნელად არასოდეს უკრავთ?

— არა-ა, მასე ნამდვილად არ გვიჭირს. თავზე არ გადაგვდის, მაგრამ ლუდის ფული გვაქვს და პატივისცემა ვისაც უნდა, ამას ისედაც ახერხებს.

— სამომავლოდ თუ გაქვთ რაიმე გეგმა?

— ახალ წელს ვაპირებთ მუსიკალური საღამოს გამართვას და იმედია, ყველაფერი გეგმის მიხედვით განვითარდება. ■

მერილ სტრიპი კულინარიის ჯადოქრად გადაიქცა

ამერიკული კულინარიის „ბებიად“ წოდებულმა ჯულია ჩაილდმა ფრანგული სამზარეულოს რეცეპტები ამერიკაში ჩაიტანა და თანამემამულეებს ახალი პროდუქტებისგან გემრიელი კერძების დამზადება ასწავლა. სამოციან წლებში გამოცემული მისი ცნობილი წიგნი — „ფრანგული სამზარეულოს ხელოვნების ათვისება“ განკუთვნილი იყო იმ „დიასახლისებისთვის, რომელთაც შინამოსამსახურეები არ ჰყავდათ“. ჯულია ჩაილდი დიასახლისებს გაყინულ და შემწვარ პროდუქტებზე უარის თქმას და ახალი ხორცის, ბოსტნეულისა და მწვანილისგან დამზადებული როსტბიფებით, პაშტეტებითა და საკუთარ სამზარეულოში შექმნილი ჩინებული დესერტებით კვებას ურჩევდა.

რეჟისორ ნორა ეფრონის ფილმში — „ჯული და ჯულია: რეცეპტით დამზადებული ბედნიერება“ ამ საოცარი ქალის — აგენტის, სპორტსმენის, ერთგული ცოლისა და ამერიკული სამზარეულოს ჯადოქრის როლს ბრიტანელი მსახიობი — მერილ სტრიპი ასრულებს. მისი გმირი სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებული, კულულებიანი ქალია, რომელსაც სახეზე მუდამ ღიმილი დასთამაშებს.

როდესაც მსახიობმა ნორა ეფრონისგან ფილმის სცენარი მიიღო, რამდენიმე საათში სულმოუთქმელად ჩაიკითხა.

„თუ ვნების შესახებ ვისაუბრებთ, ვერ ვიტყოდი, რომ ჩემი გმირი მხოლოდ ქმრისა და კერძების მომზადებისადმი ვნებით იყო შეპყრობილი. მას ცხოვრებისადმი უსაზღვრო ვნება, ე.წ. „ჯოიე დე ვივრე“ (ფრანგულ ენაზე „სიცოცხლის სიხარული“) ამოძრავებდა. მისი შთაგონების წყარო თავად სიცოცხლეა! ჯულიას თითოეული დღე ენერგიით, სიმტკიცითა და გემოვნებით იყო გამსჭვალული. იგი ცხოვრებისეულ სიმძიმეს თითქოს ისხლეტდა და ეს ადამიანის ხასიათის უმნიშვნელოვანესი თვისებაა“... „სცენარში ძალზე ლამაზი ამბავია აღწერილი. ოჯახური კავშირები, სასიყვარულო ხაზი და შეყვარებულთა ურთიერთობა იმდენად გულის ამაჩუყებლადაა გადმოცემული, რომ ცრემლები ვერ შევიკავე. ფილმის დასაწყისში ჩემი გმირი ქმართან ერთად პარიზში ცხოვრობს, სადაც წყვილი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასახლდა. ქმარი დიპლომატიურ კორპუსში მუშაობს, ცოლი ძალზე საინტერესო პიროვნებაა, მას საშუალება აქვს, სამსახურებრივ კარიერაზე არ იზრუნოს და შეუძლია, მისთვის სასურველი სამუშაო მონახოს. ჯულია ხასიათის ორი დამახასიათებელი თვისებით — დაუოკებელი მადითა და დაუოკებელი ცნობისმოყვარეობით გამოირჩევა, ამერიკული კერძების მომზადება კი სრულიად არ ხიბლავს. იგი მუდამ დახვეწილი კერძების მოყვარული იყო და პარიზში დასახლების შემდგომ აღმოაჩინა, რომ ფრანგებისთვის კულინარია პირველ რიგში ხელოვნებაა და არა შიმშილის დაოკების საშუალება. ამიტომ ჯულიამ „გორდონ ბლიუს“ კურსებზე დაიწყო სიარული და ცნობისმოყვარეობისა და გამომგონებლობის მადის დასაოკებლად კერძების მომზადების შესწავლა ნულიდან დაიწყო“, — ამბობს მერილ სტრიპი თავისი ახალი გმირის შესახებ.

ჯულია ჩაილდი კულინარიის ხელოვნებას ეუფლება, ქმარი ჯულიას თვალს ადევნებს და გაოგნებულს ცოლი კიდევ უფრო მეტად უყვარდება. ის ხომ ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ ჯულიას ენერგიის ესოდენ „გემრიელ კერძებად გარდაქმნა“ შეიძლებოდა! მაგრამ ფრანგული სამზარეულოს საიდუმლოს ამოხსნამდე ჯულია ჩაილდს მრავალი განსაცდელის დაძლევა მოუხდა: ჯერ მარტო ფრანგული დასახელებების დამახსოვრება რად ღირდა!

კინოფილმში პოპულარული მემუარების ორი ტომი ერთმანეთში უცნაურადაა გადახლართული. პირველი ტომი ჯული პაუელის მემუარების — „ჯული და ჯულია: ვამზადებთ ბედნიერებას რეცეპტის მიხედვით“ და ჟულია ჩაილდისა და ალექს პრუდომის წიგნისაგან — „ჩემი ცხოვრება საფრანგეთში“ შედგება, მეორე წიგნი კი ჯულია ჩაილდის ომის შემდგომი წლების ცხოვრებას ეძღვნება.

სურათში ადამიანურ ურთიერთობებზე არანაკლები ადგილი კვების საკითხს ეთმობა. ჯულია ჩაილდის ფრანგული სამზარეულოს გაკვეთილების გარდა ფილმში თანამედროვე ამერიკელი ქალის, ჯული პაუელის კულინარიული ექსპერიმენტებიცაა ნაჩვენები. 35 წლის დიასახლისმა ცხოვრების შეცვლისა და დეპრესიის დაძლევის მიზნით, 365 დღის განმავლობაში ჯულია ჩაილდის კულინარიულ წიგნში აღწერილი 524 რეცეპტის მიხედვით, კერძების დამზადება

და ბლოგში საკუთარი შთაბეჭდილებების დაწვრილებით აღწერა გადაწყვიტა. ფილმში საკვებთან დაკავშირებული იმდენი სცენაა, რომ გადაღებებისთვის ორი პროფესიონალი — კულინარიის კონსულტანტი სიუზან სპანჯენი და შეფ-მზარეული კოლინ ფლინი მიიწვიეს, რომლებიც კერძების მომზადებასა და სუფრის გაწყობაზე იყვნენ პასუხისმგებელნი. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ეკრანზე კერძები ესოდენ მადის აღმძვრელად გამოიყურება. პროფესიონალთა დახმარების მიუხედავად, მსახიობებს მაინც მძიმე სამუშაო ჰქონდათ შესასრულებელი. მერილ სტრიპს კამერის წინ ომარი უნდა მოეკლა, ომლეტი ტაფაზე განსაკუთრებული წესით გადაებრუნებინა, იხვი დაეკეპა და ეს ყველაფერი ისე უნდა მოემზადებინა, რომ მაყურებელს მასში მოყვარული მზარეულის ნაცვლად პროფესიონალი დაენახა. მერილ სტრიპი სახლში კერძებს, რა თქმა უნდა, სიამოვნებით ამზადებს, მაგრამ მსახიობს გადასაღებ მოედანზე სრულიად სხვა რამ მოეთხოვებოდა. კონსულტანტებმა მერილს ფრანგული სამზარეულოს საიდუმლო შეასწავლეს. „განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა იმ სცენის კოორდინირება, სადაც „გორდონ ბლიუს“ კურსების სტუდენტები ომლეტს მერილ სტრიპთან ერთად აბრუნებენ. გადაღების დაწყების წინ მას რამდენიმე გაკვეთილი ჩავუტარეთ. ეს ტექნიკა მცირე ხანში სრულყოფილად აითვისა, გადასაღებ მოედანზე გავიდა და არაჩვეულებრივად ითამაშა. რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ თევზს საფანელში ისე სწრაფად ავლებდა, რომ ვერავინ ამჩნევდა, ამას როგორ აკეთებდა“, — ამბობს სიუზან სპანჯენი. მერილ სტრიპი კი აცხადებს, რომ კულინარიული სცენების გადაღების შემდეგ მან ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა გამოიტანა:-კარგ დიასახლისს კარგი, ბასრი დანა უნდა ჰქონდეს! „ხახვის დაჭრაც კი ადვილია, როდესაც ხელში მძიმე, კარგად ალესილი დანა გიჭირავს. ჟულია ჩაილდი ტყუილად როდი ამბობდა: — „დანები მუდამ საგულდაგულოდ გარეცხილი, გამშრალებული და ალესილი უნდა გქონდეთ. ბასრ დანას სასწაულის მოხდენა შეუძლია!“

■

140.000 დოლარად ნაყიდი შარლიზ ტერონის კოცნა

შარლიზ ტერონმა საქვეყნოდ დაამტკიცა, რომ კეთილი საქმისთვის ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. ამ დღეებში მსახიობი სან-ფრანცისკოში გამართულ საქველმოქმედო ტელეშოუში მონაწილეობდა, სადაც აუქციონზე სამხრეთ აფრიკაში მოგზაურობას ყიდდა, რომლის პროგრამაში 2010 წლის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატზე დასასწრები ბილეთები, საფარიში გასეირნება და ნელსონ მანდელასთან ერთად ვახშამი შედიოდა. სამწუხაროდ, აუქციონი ცუდად წარიმართა და ვაჭრობა 37.000 დოლარზე შეჩერდა. „ღვთის გულისათვის, თქვენ ხომ გაცილებით მეტის გადახდა შეგიძლიათ!“ — წამოიძახა სასოწარკვეთილმა შარლიზმა და ფსონის გასაზრდელად ლოტს საკუთარი 7-წამიანი მხურვალე კოცნაც დაამატა, იმ პირობით, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სექსუალური ქალის ბაგეზე დაკონების მსურველი 130.000 დოლარს გადაიხდიდა. „ქვეყანაში ღორის გრიპი მძვინვარებს. ასე რომ, ძალიან ვრისკავ,“ — შეუძახა შარლიზმა მაყურებელს და ისიც აფორიაქდა. ჰოლივუდის ელვარე ვარსკვლავის კოცნა ხუმრობა საქმე ხომ არ არის? ამასთან მოხუც ნელსონ მანდელასთან ერთად ვახშმობა რა მოსატანია?!. მას შემდეგ, რაც ერთ-ერთმა მამაკაცმა ფსონი 135.000 დოლარამდე გაზარდა, ინიციატივა ხელში ქალბატონმა აიღო, შარლიზ ტერონს კოცნაში 140.000 დოლარი შესთავაზა და გაიმარჯვა კიდეც. ქერათმიან ლამაზმანს წუთითაც არ უყოყმანია, გამარჯვებული ქალის ტუჩებს დააკვდა და მთელი 20 წამის განმავლობაში კოცნიდა. იმ დროს კი დარბაზი წამებს ხმამაღლა ითვლიდა...

„საბედნიეროდ, ჩემი შეყვარებული დღეს დარბაზში არ ზის“, — განაცხადა შარლიზმა აუქციონის დასრულების შემდეგ. იგი, რა თქმა უნდა, 36 წლის მსახიობ სტიუარტ ტაუნსენდს გულისხმობდა!

■

ტელეპროექტი, რომელსაც მაყურებელი სულმოუთქმელად ელის

პორტალ HeadHunter-ის ინტერნეტ-მომხმარებელთა ორკვირიანმა საზოგადოებრივმა გამოკითხვამ ის ტელეპროექტები გამოავლინა, რომელთაც მაყურებელი მოუთმენლად ელის. რუსული აუდიტორიის უდიდესმა ნაწილმა უპირატესობა თინა კანდელაკის საპროდიუსერო პროექტს — პროგრამა — „ინფომანიას“ მიანიჭა, რომელიც არხ CTC-ზე გასულ კვირას დაიწყო. თინა კანდელაკისა და ტელეარხის ერთობლივი პროექტი ქსელში მთელი თვის განმავლობაში აქტიურად განიხილებოდა. მრავალრიცხოვან ინტერვიუში თავად ტელეწამყვანიც სიამოვნებით ლაპარაკობდა, „ახალი ამბების“ ახალი ფორმატის შესახებ — რომელსაც წამყვანი არ ჰყავს, სამაგიეროდ, სატელევიზიო ეკრანს ქსენია სობჩაკი, იგორ მატვიენკო, დიმა ბილანი და მიხეილ ფიშმანი დაიკავებენ. მაყურებელს პროგრამის შესახებ პირველი შთაბეჭდილება ტრეილერის (სარეკლამო რგოლი) მიხედვით შეექმნა, რომელიც 8 დღის მანძილზე 80 ათასმა მაყურებელმა იხილა, ეს რიცხვი კი ახალი პროექტისადმი დიდ ინტერესზე მეტყველებს.

ცოტა ხნის წინ, კაფე „Библиотека“-ში „ინფომანიის“ დახურული საპრემიერო ჩვენება გაიმართა. სტუმრებს შორის იყვნენ: ფოტოგრაფი ვლადიმერ შიროკოვი, CTC მედიას გენერალური პროდიუსერი ვიაჩესლავ მურუგოვი, რესტორატორი არკადი ნოვიკოვი და სხვები. „ახლი ამბების ბლოკბასტერ — „ინფომანიის“ ღია საპრემიერო ჩვენება CTC-ის ეთერში 28 ოქტომბერს შედგა.

■

შაკირა დედობისთვის ემზადება

კოლუმბიელი პოპმომღერალი შაკირა, რომლის მოქნილობამ და პლასტიკამ კლიპში She Wolf ყველა გააოგნა, აცხადებს, რომ მზადაა ოჯახი შექმნას და შვილები გააჩინოს. Hips Don`t Lie-ს შემსრულებელი მომღერალი უკვე 9 წელია, რაც ანტონიო დე ლა რუას ხვდება. საკონცერტო ტურნეს დასრულების შემდეგ შაკირა დაორსულებას და შვილის გაჩენას გეგმავს. „ჩემი სხეული გრძნობს, თუ როგორ სურს, რომ მის წიაღში ბავშვი იზრდებოდეს; რომ მუცელი გამეზარდოს და უზარმაზარი გახდეს“, — განაცხადა მომღერალმა ჟურნალისთვის Rolling Stone მიცემულ ინტერვიუში.

■

ცხოვრება

ფელიჩიტა



მარიო
კასტელნუოვო

ჟურნალისტებიც ხშირად ვისმენთ ისეთივე საინტერესო ამბებს, როგორც თქვენ, მაგრამ ჩვენ მაშინვე ვიწყებთ იმაზე ფიქრს, თუ მოსმენილი ამბიდან, როგორ მოვამზადოთ საჟურნალო ან საგაზეთო წერილი... ამას წინათ ერთ-ერთ ქალბატონზე (რომელსაც მხოლოდ შორიდან ვიცნობდი) ისეთი რამ გავიგე, გულმა არ მომითმინა, რომ არ შევხმიანებოდი. თანაც, მითხრეს, — მისი ნაცნობების წრეში ეს ამბავი ცნობილია, მაგრამ სასტიკად გასაიდუმლოებულიო. ზოგჯერ ადამიანი შეიძლება, გულახდილობის გუნებაზე იყოს და სწორედ მაშინ დაუკავშირდე ინტერვიუზე შესათანხმებლად... სწორედ ამ იმედით დავურეკე ქალბატონ ირინას. რა თქმა უნდა, თავიდან არ იყო გათვალისწინებული, რომ რესპონდენტი ინკოგნიტოდ დარჩებოდა, მაგრამ შემდეგ გადაწყვეტილება შევცვალე — ასე რომ არ მოვქცეულიყავი, ამ ქალბატონის ბიოგრაფიის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი და წარმატების საიდუმლოც მკითხველისთვის უცნობი დარჩებოდა.

მარი ჯაფარიძე

— გამარჯობა! ქალბატონ ირინას სთხოვეთ, თუ შეიძლება.

— ვინ კითხულობს? — ზრდილობიანად დააზუსტა მდივანმა გოგონამ.

— ჟურნალისტი ვარ.

— ახლავე გადაგრთავთ.

ყურმილში სასიამოვნო მელოდია გაისმა. მუსიკის დიდი მცოდნე და მოყვარული არ გახლავართ, მაგრამ მივხვდი, 80-იანი წლების იტალიური ესტრადის ნიმუში იყო.

— დიახ, — ყურმილში ქალის მკაცრი, მაგრამ სასიამოვნო ხმა გაისმა.

— ქალბატონი ირინა ბრძანდებით?

— დიახ.

— ჟურნალისტი გაწუხებთ, მარი ჯაფარიძე, ჟურნალ „გზიდან“. თქვენთან შეხვედრა მინდა.

— ინტერვიუ გნებავთ?

— დიახ.

— რა თემაზე?

— ჩვენ გვაქვს რუბრიკა „საქმიანი ქალი“. მიმაჩნია, რომ საკმაოდ წარმატებული ქალბატონი ხართ და მინდა, თქვენ შესახებ დავწერო.

— რამ მოგაფიქრათ ჩემთან დარეკვა? არც ისეთი ცნობილი ვარ და არც მაინცდამაინც მდიდარი და წარმატებული.

— მართალია, ცნობილი არ ხართ, მაგრამ წარმატებული ნამდვილად ხართ და უარს ნუ მეტყვით, იქნებ თქვენი წარმატების საიდუმლო გაგვიმხილოთ და ზოგიერთს დაეხმაროს კიდეც თქვენი რჩევები.

— პირადი კითხვებიც იქნება?

— რა თქმა უნდა, ოჯახის, მეუღლისა და შვილების შესახებ აუცილებლად გკითხავთ. იმის შესახებაც, რა გზა გაიარეთ, სად გაიზარდეთ და როგორ მოხვედით დღემდე.

— კარგი, ხვალ 2 საათზე რესტორან „მეიდანში“ დამელოდეთ.

— კარგი, მოვილაპარაკეთ.

რესტორანში ნახევარი საათით ადრე მივედი. მშიოდა და მოწყენილ მიმტანს პიცა და ყავა შევუკვეთე. დარბაზში სიმშვიდე იყო, წყნარი მუსიკა და არც ისე ბევრი კლიენტის დანა-ჩანგლის „ინტელიგენტური“ ხმაური...

ზუსტად 2 საათზე რესტორანში ლამაზი, კარგად ჩაცმული ქალი შემოვიდა. სახეზე ოდნავ ეტყობოდა დაღლილობა.

დარბაზი მოათვალიერა და ჩემკენ გამოემართა.

— გამარჯობა, თქვენ ხართ ჟურნალისტი?

— დიახ, ქალბატონო ირინა, დაბრძანდით.

მედიდური სახით დაჯდა მაგიდასთან და გამიღიმა.

— შეგიძლია, ირინა დამიძახო, — და პაუზის გარეშე დააყოლა: — მარი, ძვირფასო, ამ სისაძაგლეს რატომ ჭამ?! მე შევუკვეთ კერძს.

მოწყენილ მიმტანს დაუძახა და რამდენიმე კერძი ჩამოუთვალა.

— კარგი, ქალბატონო ირინა, — უპასუხა ბიჭმა.

როგორც ჩანს, ჩემი რესპონდენტი ამ რესტორნის ხშირი სტუმარია...

თანამშრომლები ირინას „რკინის ქალს“ ეძახიან, მაგრამ ის ძალზე ჰაეროვნად და ქალურად გამოიყურება. ღიმილით მეუბნებოდა:

— პიცა ძალიან მძიმე კერძია. არ ვიცი, რატომ უყვართ ასე. ეს ჩვეულებრივი პურის ცომია, რომელზეც ღარიბი იტალიელები საკვების ნარჩენებს აწყობდნენ და აცხობდნენ. თეფშები და ჯამები ყველა ოჯახს არ ჰქონდა, პიცა კი ჭურჭლისა და საკვების ფუნქციასაც ასრულებდა.

— როგორც ჩანს, იტალიას კარგად იცნობთ.

— დიახ, ძალიან კარგად, — მოწყენილი სახით თქვა ირინამ, მაგრამ მაშინვე გაიღიმა. — რა გაინტერესებთ ჩემი სამსახურის შესახებ?

ჩანთიდან დიქტოფონი ამოვიღე და წინასწარ დაგეგმილი კითხვების დასმა დავიწყე.

— ირინა, დიდი ხანია, რაც ბიზნესს მოჰკიდეთ ხელი?

— 10 წელია. 1999 წლიდან.

— როგორ შეძელით, რომ საკმაოდ მოკლე ხანში ასეთ წარმატებას მიაღწიეთ?

— ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ძალიან კარგად ვიცნობ იტალიას. წლების განმავლობაში ვცხოვრობდი ამ ქვეყანაში. შესანიშნავად ვფლობ იტალიურ ენას და მაქვს საჭირო კავშირები. საქმე მცირე თანხით წამოვიწყე. მერე, როდესაც მივხვდი, რომ ბიზნესმა გაამართლა, მაგრამ მის გასაფართოებლად კიდევ უფრო მეტი ფული იყო საჭირო, მოვძებნე იტალიელი პარტნიორები, ჩავახედე საქმეში, დავაინტერესე და ერთად განვაგრძეთ საქმის კეთება.

— ხშირად ჩადიხართ იტალიაში?

— არა, 5 წელია, იქ არ ვყოფილვარ. ამ ქვეყანაში 9 წელი ვიცხოვრე და მაშინდელი შთაბეჭდილებები მთელი ცხოვრება მეყოფა. ხშირად ვმოგზაურობ, მაგრამ სხვა ქვეყანაში გამგზავრებას ვამჯობინებ ხოლმე. ამაზე ლაპარაკი არ მინდა...

— როგორ ასწრებთ საქმეს, ოჯახის მიხედვას (2 შვილი) და მოგზაურობას?

— ეს ძალზე იოლია, თუ დროს სწორად გაანაწილებ. მით უმეტეს მაშინ, როცა კარგი ქმარი გყავს და მხარში გიდგას.

— თქვენი მეუღლე სად მუშაობს?

— ჩემს ფირმაში, ბუღალტრად.

— მაპატიეთ ასეთი „ინტიმური“ შეკითხვისთვის, მაგრამ ის თავს უხერხულად არ გრძნობს იმის გამო, რომ ცოლი ფირმის ხელმძღვანელია, ის კი — ბუღალტერი?

— მგონი, ეს მას უნდა ჰკითხოთ, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ის უბრალო ბუღალტერი კი არა, მთავარი ბუღალტერია. თანაც, მე ადამიანებს სტატუსითა და საზოგადოებრივი მდგომარეობით არ ვაფასებ, მთავარი — ადამიანის შინაგანი სამყაროა. ჩემი ქმარი ძალიან კარგი ადამიანია, თავისი საქმის პროფესიონალი და ყველაფერში მისი იმედი მაქვს.

— როგორ გაიცანით მომავალი მეუღლე?

— სამსახურს ეძებდა და ჩვენთან CV ჰქონდა დატოვებული. როდესაც ჩემი ბუღალტერი სამსახურიდან წავიდა, გასაუბრებაზე დავიბარე.

— გამოდის, სამსახურიც იშოვა და მდიდარი ცოლიც...

— (იღიმება) ასე გამოდის.

— არ გიფიქრიათ, რომ ანგარების გამო ქორწინდებოდა თქვენზე?

— არა, არ მიფიქრია, რადგან ვიცი, რომ კარგი გარეგნობა მაქვს, საინტერესო ქალი ვარ და იოლი შესაძლებელია, მამაკაცს შევუყვარდე, თუნდაც მდიდარი არ ვიყო. ჩემი ქმარი ოჯახის უფროსია და ოჯახურ პრობლემებს თვითონ აგვარებს...

— ბედნიერი ხართ?

— დიახ, ძალიან.

— შვილებთან ბევრ დროს ალბათ ვერ ატარებთ.

— შვილების აღზრდაში ძიძა მეხმარება. ახლა იმდენი საქმე აღარ მაქვს, როგორც წინათ. მაშინ საქმე ახალი წამოწყებული მქონდა და დღე და ღამე ვმუშაობდი. ახლა კი ბიზნესი აწყობილია და ცოტა მეტი თავისუფალი დროც გამომიჩნდა.

— იტალიაში ცხოვრების წლებზე რას მეტყვით? ვიცი, რომ იქ დამლაგებლადაც კი გიმუშავიათ.

— იცი, რა, მარი, საყვარელო, მე ჩემი ფირმის ბუკლეტებს გამოგიგზავნი და ეგ შენი ინტერვიუ ისე დაწერე. მგონი, საკმარისზე მეტი ვილაპარაკე. საშინელი პროფესია გაქვს, ადამიანს სულში უძვრები და ცდილობ, რაღაც დააცდენინო... ახლა თუ რამეს წამოვაყრანტალებ, დაწერ ალბათ დიდი სათაურით — „როგორ მუშაობდა დამლაგებლად ირინა“... „გამოაცხობ“ სკანდალს და პრემიასაც მოგცემენ...

— დასამალი რა გაქვთ? მგონი, ისეთი არაფერი მიკითხავს...

— მე წავალ... ხომ არ წაგიყვანო?

— არა, გმადლობთ, მანქანით ვარ...

რესტორნიდან თითქმის ერთდროულად გამოვედით... იმედგაცრუებული ვიყავი. მისი მონათხრობის მიხედვით პატარა ინტერვიუს აწყობა შეიძლებოდა, მაგრამ ის, რაც ყველაზე მთავარი იყო, არ მითხრა.

მთავარი კი აი, რა იყო.

ირინა ერთ პატარა ქალაქში დაიბადა. ჩვეულებრივი, „საბჭოური“, „პროვინციული“ ბავშვობა ჰქონდა... პლასტმასის თოჯინები, სოფელში ბებიასთან გატარებული საზაფხულო არდადეგები, პიონერთა და კომკავშირელთა რიგებში ყოფნა, მაკულატურისა და ჯართის მოგროვება, სახტუნაო, „კლასობანა“, პირველი სიყვარული... ასეთი გახლდათ მისი ბავშვობა.

როდესაც ირინა 14 წლის გახდა, მეგობარმა დაბადების დღეს იტალიელი მომღერლის, მარიო კასტელნუოვოს ფირფიტა აჩუქა. ყდაზე არაჩვეულებრივად ლამაზი მამაკაცის სურათი იყო დაბეჭდილი, რომელსაც სევდიანი მზერა ჰქონდა. ირინამ ფირფიტა ფირსაკრავში ჩადო და... მორჩა! ცხოვრების ახალი ეტაპი დაიწყო. დაივიწყა თოჯინებიც, პარალელურკლასელი ვანოც და მხოლოდ მარიოთი და მისი ხმით სულდგმულობდა.

ყველა გოგონას ჰქონია ჰერიოდი, როცა ვარსკვლავზე ყოფილა შეყვარებული — კედელზე გაკრული პლაკატები, მათი სიმღერების მოსმენისას ტირილი და ფერადი ოცნებები... თუმცა, ალბათ არც ერთ მათგანს არ სჯეროდა, რომ შესაძლებელი იყო, ოდესმე თავის კერპს შეხვედროდა... ირინას კი მარიო მართლა შეუყვარდა. მტკიცედ გადაწყვიტა, რომ ეს კაცი ოდესმე მისი გახდებოდა და დარწმუნებული იყო, ამ ოცნებას აუცილებლად აისრულებდა. თავისი პატარა ქალაქის ბიბლიოთეკაში შემთხვევით, იტალიური ენის სახელმძღვანელო აღმოაჩინა. საღამოობით იჯდა და თავისი კერპის ენას სწავლობდა. ეს რთული აღმოჩნდა. მაშინ იმ პატარა ქალაქში იტალიური არავინ იცოდა, რომ გოგონას ენის სრულყოფილად დაუფლებაში დახმარებოდა, მაგრამ მიზანი ისეთი „დიადი და ნათელი“ იყო, რომ ირინა სიძნელეებს არ უშინდებოდა. 3 წლის განმავლობაში სწავლობდა იტალიურს და აგროვებდა ყველა ინფორმაციას თავისი კერპისა და მისი სამშობლოს შესახებ. ენის ცოდნამ მარიოს სიმღერები უფრო გასაგები გახადა ირინასთვის. გოგონას ეჩვენებოდა, რომ მამაკაცი მხოლოდ მისთვის მღეროდა...

სკოლის დამთავრების შემდეგ სტუდენტი გახდა და საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. იტალიურის სწავლა უნივერსიტეტში განაგრძო. ეს ის დრო იყო, როდესაც საბჭოთა კავშირი იშლებოდა და ყველანი ახალი ცხოვრების შეგუებას იწყებდნენ. ერთხელ ირინა გაზეთში გადააწყდა განცხადებას: „გვესაჭიროება ახალგაზრდა გოგონები იტალიაში სამუშაოდ“. მან განცხადებაში მხოლოდ ერთი სიტყვა გაარჩია — „იტალია“!.. მითითებულ ნომერზე დარეკა.

...გულუბრყვილო პროვინციელი გოგონა, რომელიც დიდ სიყვარულზე ოცნებობდა, თავისი ოცნების ქვეყანაში აღმოჩნდა. მაგრამ იტალია ისეთი სულაც არ აღმოჩნდა, როგორიც წარმოედგინა. ირინა რამდენიმე რუს და ერთ ქართველ გოგოსთან ერთად ერთ სახლში ცხოვრობდა. უკვე დედიკოსა და მამიკოს გოგო კი არა, იაფფასიანი მეძავი გახლდათ და ყოველდღე რამდენიმე კლიენტს ემსახურებოდა. „სუტენიორი“ ფულს მთლიანად ართმევდა და „გროშებს“ უტოვებდა, რის გამოც ამ სახლიდან თავის დაღწევა ძალიან გაუჭირდა. ამ ჯოჯოხეთში მხოლოდ ერთი ნათელი სხივი არსებობდა — ძველი ფირსაკრავი და მარიოს სიმღერები.

გაქცევაში იტალიური ენის ცოდნამ შეუწყო ხელი. ერთ-ერთ იტალიელ კლიენტს თავისი გასაჭირი გაუმხილა, ის კი გაქცევაში დაეხმარა. ის კი არა, ყალბი საბუთების დამზადებაც საკუთარ თავზე აიღო.

ირინას იტალია არ დაუტოვებია. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მარიოს მოძებნა — ის ხომ ასე ახლოს, ერთი ხელის გაწვდენაზე იყო. გოგონამ ქვეყანაში ხეტიალი დაიწყო. ჭურჭლის მრეცხავი, დამლაგებელი, ნახევრად მშიერი ყოფა... მარიო კი მაინც უყვარდა.

მალე ირინამ თავისი კერპის გასტროლების მთელი გრაფიკი ზეპირად იცოდა. მას ქალაქიდან ქალაქში დაჰყვებოდა, ყოველთვის სცენასთან ახლოს, პირველ რიგში იდგა ან იჯდა და მის გამოჩენას

ყვირილით ხვდებოდა — Amor mio! ის ვერც კი ამჩნევდა, რომ „მისი“ მარიოს პოპულარობა თანდათან იკლებდა და სწორედ ამის ბრალი იყო, რომ მომღერალმა გოგონა შენიშნა: ერთხელ, კონცერტის შემდეგ თავისთან იხმო.

ირინა შიშის, ნერვიულობისა და ბედნიერებისგან ცახცახებდა. სულ მალე მის გვერდით აღმოჩნდებოდა — იმის გვერდით, ვინც ამდენი წელი უყვარდა, იმის გვერდით, ვის გამოც ამდენი დამცირება, ტკივილი და გასაჭირი გადაიტანა!.. სამაგიეროდ, თავისი მაინც გაიტანა და ახლა, სულ მალე, თავისი ოცნების მამაკაცის გვერდით აღმოჩნდებოდა და თავს ისე შეაყვარებდა, რომ მარიო მის გარდა აღარავის ინდომებდა. სულ რამდენიმე წუთი რჩებოდა ბედნიერებამდე და ძალიან ღელავდა...

შიშველი, გაოფლილი, ბანჯგვლიანი მარიო არაფრით განსხვავდებოდა ირინას ყოფილი კლიენტებისგან — ისეთივე ბინძური და ჟინიანი ცხოველი აღმოჩნდა, როგორიც დანარჩენები და ისიც ისევე ცდილობდა, გოგონა დაემცირებინა და ტკივილი მიეყენებინა.

...ატირებული და დალურჯებული გამოვარდა სასტუმროს ნომრიდან. მთელი ღამე ტიროდა თავის პატარა ოთახში. დილით კი საქართველოს საელჩოს მიადგა. კარგა ხნის განმავლობაში არ უშვებდნენ იტალიიდან, ბოლოს და ბოლოს, თბილისამდე მაინც ჩამოაღწია. მაგრამ... აქ არავინ ელოდა. იდგა 1993 წელი. ქალაქში ბანდიტური დაჯგუფებები დათარეშობდნენ.

ირინამ ბევრი რამ გადაიტანა და გაჭირვებამ და ცხოვრების მორევმა ლამის შთანთქა. ამ ყველაფრისგან თავის დაღწევაში ერთი უბრალო შემთხვევა დაეხმარა. ახლობელმა დაურეკა და აუწყა, რომ მის მდიდარ მეგობარს, ოჯახთან ერთად სამოგზაუროდ იტალიაში წასვლა სურდა და ისეთ ადამიანს ეძებდა, რომელიც გარკვეული გასამრჯელოს ფასად, გაჰყვებოდა და გიდობას გაუწევდა. ირინამ სიხარულით იკისრა ეს მისია. ამ ოჯახის აღფრთოვანებულმა წევრებმა დაუვიწყარი მოგზაურობის შესახებ თავიანთ ახლობლებს უამბეს... ირინას წელიწადში რამდენჯერმე უხდებოდა იტალიაში წასვლა და გიდის მოვალეობის შესრულება. მალე სოლიდური დანაზოგიც გაუჩნდა და საკუთარი ფირმა დააარსა...

დანარჩენი უკვე იცით.

დამღლელი სამუშაოს გამო ფიქრისთვის დრო აღარ რჩებოდა. მალე მიხვდა, რომ ჭრილობებმა პირი შეკრა და წყენამაც გაუარა. ის მადლიერიც კი იყო „უნამუსო“ მარიოსი. მისივე სულელური სიყვარულის გამო მოხდა ის, რომ ახლა პროვინციელი, ღარიბი დედაკაცი კი არა — ბიზნესლედია. ქმარიც ჰყავს, შვილებიც და ბედნიერიცაა... ჩვეულებრივი, „ქართული“ ბედნიერება აქვს და არა — „იტალიური“ — ყალბი „ფელიჩიტა“... ■

მის გარეშე უაზრო იქნებოდა ჩემი ცხოვრება

თავდაპირველად ჩანაწერები მომიტანა, აქ ჩემი მეგობრის, დეას ცხოვრებაა აღწერილი, მინდა „გადაიკითხოთ და გამოაქვეყნოთო. გამოვაქვეყნე („ყველა ხომ ვერ იქნება გმირი?“ — „კვირის პალიტრა“, 2008 წლის 7 ივლისი). მოგვიანებით, როცა დეას მეგობარი ჩანაწერების წასაღებად მოვიდა, დარცხვენით აღიარა: მომერიდა, მეთქვა, რომ დეა მე ვიყავი, სახელიც შეგნებულად შევცვალე, რადგან საზოგადოებაში ნამდვილი სახელით გამოჩენის მრცხვენოდა, არადა, ძალიან მინდოდა გამეგო, რას იტყოდა ხალხი იმ ქალზე, რომელმაც ინვალიდი ქმარი მიატოვაო...

მარინა ბაბუნაშვილი

ამბავი პირველი „არავინ მეცოდება... ალბათ აღარ მეღირსება დედობა“

ოთხი წელი უყვარდათ დეას და ირაკლის ერთმანეთი. შემდეგ დაქორწინდნენ. ირაკლი ეკონომისტი იყო, თავისი საქმის კარგი სპეციალისტი, თუმცა მისი დიდი გატაცება მთამსვლელობა გახლდათ. ხშირად მიდიოდა მთაში. ამის გამო დეა ძალიან ნერვიულობდა... ერთმა წელმა მალე გაირბინა, ერთადერთი საწუხარი უშვილობა იყო, მაგრამ ერთი წლის შემდეგ დაორსულდა და ექიმებმა ხანმოკლე წოლითი რეჟიმი დაუნიშნეს. ირაკლი ალპინისტთა ჯგუფთან ერთად სვანეთში წასვლას აპირებდა, თუმცა ამას ცოლს არ უმხელდა — არ ინერვიულოსო. პირველად, თავის სიცოცხლეში, მოიტყუა — ენერგოკომპანია მივლინებით მგზავნის დასავლეთ საქართველოში. როგორც კი დავბრუნდები, შვებულებას ავიღებ და გვერდიდან აღარ მოგცილდებიო.

...მეხუთე დღეს ირაკლი საკაცით ჩამოიყვანეს თბილისში — მწვერვალიდან მომწყდარიყო. ურთულესი ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ 30 წლის ახალგაზრდა კაცი დაინვალიდდა... დეამ ისე ინერვიულა, ბავშვი დაკარგა.

ნაწყვეტი დეას ჩანაწერებიდან: *„ვოცნებობდი იმ დღეზე, როცა ჩემი პაწაწა ქვეყანას მოევლინებოდა. ამას წინათ დედაჩემმა მისაყვედურა: ნუ ხარ ასე სასოწარკვეთილი, ნუთუ, ირაკლი არ გეცოდებაო? არავინ აღარ მეცოდება, საკუთარი თავის გარდა. რატომ ირაკლიმ არ შემიცოდა? რატომ დამიმალა, რომ მთაში მიდიოდა? თავის გატაცებას შესწირა ცოლიც და შვილიც, ის შვილი, რომელსაც მოუთმენლად ველოდებოდით. ახლა რაღაა ჩვენი ურთიერთობა? უნდა მებრალებოდეს,*

მე კი მისი დანახვაც არ მინდა. ალბათ, აღარ მეღირსება დედობა. ამაზე საშინელება რა უნდა იყოს?“

6 თვის შემდეგ დეამ ირაკლის ოჯახი დატოვა.

ნაწყვეტი დეას ჩანაწერებიდან: *„ალბათ უსინდისოს, უმადურს და ბოროტს მეძახიან ირაკლის ახლობლები... რა ვქნა, სხვანაირად არ შემეძლო. ამ კაცმა ხომ უშვილობისთვის გამწირა... ასე მითხრა, ბავშვი ავიყვანოთ და გავზარდოთო. ნუთუ, ვერ ხვდება, რომ აღარ მიყვარს?“*

დეამ მტკიცედ გადაწყვიტა, ბავშვი გაეჩინა და მარტოს გაეზარდა. მალე, ერთი სიმპათიური, 48 წლის მამაკაცი გაიცნო და „დაუმეგობრდა“. რამაზი ცოლიანი იყო, ორი შვილი ჰყავდა. დეამ თავიდანვე ყველაფერი გაანდო კაცს. ისიც დათანხმდა ქალის „საქმიან წინადადებას“, მაგრამ გამოხდა ხანი და რამაზს დეა თავდავიწყებით შეუყვარდა. როცა გაიგო, რომ დეა მისგან ორსულად იყო, სულ მის გვერდით ყოფნა უნდოდა. ერთხელ, ისიც კი გაუმხილა, უშენოდ არ შემიძლია, ცოლს გავშორდები და შენთან გადმოვალო, რაზეც დეამ სასტიკი უარი უთხრა — ირაკლის ნათესავებმა ერთი ცოდვა უკვე ამკიდეს, მეორე ცოდვა — სხვისი ოჯახის დანგრევა — აღარ მინდაო.

დეამ ბიჭი გააჩინა და დავითი დაარქვა. სამშობიაროდან სახლში ახალდაბრუნებულს, რამაზის ცოლი მიუვარდა. დეამ რამაზს კატეგორიულად აუკრძალა მასთან სტუმრობა. ამჯერად, ქალსა და მამაკაცს დიდი კონფლიქტი მოუვიდათ. რამაზმა, — რას ჰქვია, შვილის ნახვას მიკრძალავ, გამომიყენე და ახლა უვარგისი ნივთივით მიპირებ გადაგდებასო?! დეამ რაღაც დათმო — მხოლოდ დათუნას ნახვის უფლება მისცა კაცს, თვითონ კი სამუდამოდ გაწყვიტა მასთან ურთიერთობა.

ამბავი მეორე
„შვილის გაჩენის შემდეგ გონს მოვედი“

დეამ გაცილებით გვიან გამიმხილა, რომ სანამ დედა გახდებოდა, გაბოროტებული იყო და რას აკეთებდა, ვერც კი აცნობიერებდა...

— დათუნას გაჩენის შემდეგ ნელნელა გონს მოვედი. ჩანაწერები რომ დაგიტოვეთ, უკვე ვნანობდი ჩემს საქციელს — ირაკლი არ უნდა მიმეტოვებინა. მაინტერესებდა, რას იტყოდა ხალხი ჩემზე და რასაც ველოდი, ის წავიკითხე. ერთი მსაყვედურობდა, მკილავდა, მეორე კი მაინც ამართლებდა ჩემს ნაბიჯს რადგან, მაშინ უსაზღვროდ მინდოდა დედობა და როცა ქალს ეს სურვილი მოეძალება, სხვა ყველაფერი უკან იწევს.

— ნუთუ, მართლა იმედგადაწურული იყავი მაშინ და გჯეროდა, რომ ირაკლისთან არასოდეს შეგეძინებოდა შვილი?

— ექიმებს კატეგორიულად არ უთქვამთ, ირაკლი უშვილო დარჩებაო, მითხრეს, დროა საჭირო, რათა საბოლოოდ განიკურნოსო, მაგრამ ისეთი გულნატკენი და უიმედო ვიყავი, აღარ მინდოდა მის გვერდით ყოფნა. მაშინ ვერ ვპატიობდი, რომ მომატყუა და მივლინების ნაცვლად, მთაში წავიდა.

— ახლა აპატიე?

— დათუნას დაბადების შემდეგ ბევრი რამ გადავაფასე და ბევრსაც სხვა თვალით შევხედე. რა თქმა უნდა, ვაპატიე. ეგ კი არა, იმასაც მივხვდი, რომ ირაკლი ძველებურად მიყვარდა.

— სთხოვე პატიება?

— ვთხოვე, მაგრამ მაშინ პირი არ მიჩვენა. ისიც ხომ გულნატკენი იყო ჩემზე... სანამ მისი ოჯახიდან წამოვიდოდი, რამდენჯერმე მთხოვა, ნუ დამტოვებ, ვიშვილოთ ბავშვი და გავზარდოთ, დარწმუნებული ვარ, რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენი საკუთარიც გვეყოლებაო. მე კი არ დავუჯერე, ნერვები მეშლებოდა, როცა შვილზე მიწყებდა ლაპარაკს. მაინც დავტოვე და წამოვედი. მისიანებს ვინ ჩივის, დედაჩემმაც კი შავი დღე მაყარა. ირაკლი ხომ არაჩვეულებრივი ადამიანია, დედა მას ძალიან აფასებდა და ჩემგან მისი მიტოვება უსაზღვროდ განიცადა. მოგვიანებით, ირაკლის ახლობლისგან გავიგე, რომ ჩემი წამოსვლის შემდეგ, ირაკლიმ თვითმკვლელობა სცადა. აი, მაშინ შემერხა პირველად ის მგრძნობიარე სიმი, რომელიც მეგონა, რომ საერთოდ აღარ გამაჩნდა.

— ახლა რა ხდება? არის სიახლე თქვენს ურთიერთობაში?

— არის და ძალიან მიხარია, რომ მე და ირაკლი ისევ ერთად ვართ. ის ნელნელა, ჯოხის დახმარებით, ახერხებს გადაადგილებას.

— დათუნას მამასთან საბოლოოდ გაწყვიტე ურთიერთობა?

— პირადად მე — კი, მაგრამ არ შემიძლია, რამაზს ბავშვის ნახვა ავუკრძალო. მას სრული უფლება აქვს, როცა უნდა, მაშინ ნახოს დათუნა. სხვათა შორის, რამაზი ძალიან კარგი მამაა და ყველაფერს უკეთებს ბავშვს, რაც კი სჭირდება.

— ირაკლი და დათუნა როგორ შეეწყვნენ ერთმანეთს?

— ძალიან კარგად. დათუნა თბილი ბიჭია, ირაკლი მალე შეიყვარა, უყვარს მასთან ერთად თამაში.

— ალბათ, კიდევ აპირებ შვილის გაჩენას, არა?

— აბა, რა! რამდენსაც ღმერთი მომცემს, იმდენს გავაჩენ. მე ერთხანს დედობის სურვილმა ლამის ჭკუიდან გადამიყვანა და ახლა, მეორე და მესამე შვილის გაჩენაზე უარს როგორ ვიტყვი? ■

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61
ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com

„ჩემი ნენე სულით ქრისტიანი იყო, დამპყრობლების მოსაჩვენებლად მეჩეთში კი დადიოდა“...



„აჭარლებს თურქების ბატონობის შედეგად მიყენებული იარების მოშუშების საშუალება ჯერ კიდევ არ გვეძლევა, ბაბუ“ — ეს 82 წლის ნიაზ ომერაძემ, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ, მეჯინისწყალში ყოფნის დროს მითხრა. ბატონი ნიაზი მე და ჩემმა ქობულეთელმა კოლეგამ, ქეთი ჭყონიამ სოფლის „სალაყბოზე“ მაშინ შევნიშნეთ, როდესაც ნარდის თამაშით იყო გართული. ისეთი სუფთა თვალები და კეთილი ღიმილი ჰქონდა, ვიფიქრეთ, კარგი მოსაუბრეც იქნებოდა.

არც შევმცდარვართ, მივედით თუ არა გულთბილად მოგვესალმა: „ღმერთმა გაგიმარჯოთ, ბაბუ, რისთვის შეწუხებულხართ ბაღნები?“ აღმოჩნდა, რომ ის ერთ დროს სკოლის დირექტორი და ისტორიის მასწავლებელი ყოფილა. მადლიერი მოწაფეების მონდომების შედეგად, ახლა სოფლის დამსახურებული პედაგოგია და ახალგაზრდების ცხოვრებას შორიდან ადევნებს თვალყურს. როგორც ბაბუა ნიაზმა გვითხრა, ყველაზე მეტად გული იმის გამო სტკივა, რომ ზოგიერთი თბილისელი აჭარლებს დღემდე, „ნათურქალებად“ მოიხსენიებს. ერთიან, ძლიერ საქართველოზე ოცნებობს და იმედი აქვს, რომ მისი შვილიშვილები მაინც გათავისუფლდებიან „ნათურქალის“ დამღისგან.

ნათუნა ბახტურიძე

— ბატონო ნიაზ, როგორ ფიქრობთ — რითი განსხვავდებიან თქვენგან ის ქართველები, რომლებიც თურქებად მოგიხსენიებენ?

— არ ვიცი ბაბუ, არა მგონია, რომ ქართლსა და კახეთში ან თუნდაც იმერეთში ჩვენზე მეტად უყვარდეთ საქართველო ან იქ ჩვენზე ჭეშმარიტი ქრისტიანები ცხოვრობდნენ. აქ ყველა ჩემსავით, ქრისტიანი არ არის, მაგრამ მერწმუნეთ, სამშობლო მათაც ძალიან უყვართ. იცით, ზვიად გამსახურდია რატომ მიყვარს?.. საქართველოს პრეზიდენტი გახდა თუ არა, მაშინვე წაშალეს თბილისი-ბათუმის მატარებელზე გაკეთებული წარწერა — „თბილისი-თურქეთი“. ამ საშინელი წარწერის დანახვისას გულზე ეკლები მესობოდა. იმ ქართველებმა, რომლებიც ჩვენ თურქებს გვეძახიან, ალბათ არ იციან, რომ ქრისტიანობა საქართველოში აჭარიდან შემოვიდა. ანდრია პირველწოდებულმა პირველად სწორედ სოფელ დიდაჭარაში იქადაგა. ჩემი წინაპრები ქართული ენისა და ქრისტიანობის შესანარჩუნებლად ყველაფერს აკეთებდნენ, რისი გაკეთებაც შეეძლოთ. მე სოფელ ერგეში დავიბადე და გავიზარდე. იქ დღემდეა შემორჩენილი იმ უძველესი ეკლესიის ნანგრევები, რომელშიც ჩემი წინაპრები ლოცულობდნენ. მამაჩემი, ჰუსეინ აღა სოფელში ცნობილი კაცი იყო. საჭაპანე ჰქონდა და სოფლის ცენტრში იდგა, მგზავრებს ელოდა. მისთვის გამზადებულ სადილს დედა მე მატანდა ხოლმე.

— საჭაპანე რა არის?

— „საჭაპანე“ ქართული სიტყვაა, ბაბუ, ცხენებშებმული ტრანსპორტია, რომელზეც სულ ცოტა, 12 კაცი მაინც ეტევა. თუ ვინმეს სავაჭროდ წასვლა ან სხვა სოფელში გამგზავრება უნდოდა, მამას მიაკითხავდა... როდესაც მამასთან სადილი მიმქონდა, გზად თუ ვინმე უცხო შემომეყრებოდა, მკითხავდა — ვისი შვილი ხარო? როდესაც ვეტყოდი, ჰუსეინ ომერაძის შვილი ვარ-მეთქი, — თავზე ხელს გადამისვამდა და მეტყოდა, — შენ დიდი წინაპრის შთამომავალი ხარო. მაშინ ვერ ვხვდებოდი, რომელ წინაპარზე მელაპარაკებოდნენ. ერთხელ მამას ვკითხე, — მამი, ვინ მყავს მე ასეთი დიდი წინაპარი, მის შესახებ ყველამ რომ იცის-მეთქი? მამამ მიპასუხა, — მამაჩემის დედა, მერი მიქელაძე მართლაც დიდი ადამიანი იყოო, — და მისი ამბავი მომიყვა. თურმე ნენე მარიამი დილით ეკლესიაში ავიდოდა, ლოცვას იტყოდა, პირჯვარს გადაისახავდა, მერე მეჩეთში „ფოსტზე“ (ცხვრის ტყავისგან დამზადებული, იატაკზე დასაფენი) დაიჩოქებდა და მუჰამედის სადიდებელ ლოცვას აღავლენდა. გაოცებული ნუ მიყურებ, ბაბუ, იმ პერიოდში აჭარაში თურქები ბატონობდნენ, ქართულად ლაპარაკი და ქრისტიანულად ლოცვა სიკვდილის ტოლფასი იყო. ჩემი ნენე სულით და გულით ქრისტიანი იყო, დამპყრობლების მოსაჩვენებლად მეჩეთში კი დადიოდა, მაგრამ ფარულად, ქართულ, ქრისტიანულ საქმეს აკეთებდა. სოფელ მაჭახელაში მდინარე მაჭახელასა და ჭოროხის შესართავთან თურქებს თავსაკვეთელი ჰქონდათ დადგმული. თუ ვინმე ქართულად დაილაპარაკებდა ან გამუსლიმებაზე უარს იტყოდა, მაშინვე იქ მიჰყავდათ, თავს ჰკვეთდნენ და ჭოროხში აგდებდნენ. როგორც მამაჩემი მეუბნებოდა, აჭარაში თურქების შემოსვლიდან ერთი კვირის განმავლობაში ჭოროხის წყალი სულ წითელი იყოო. უმძიმესი დრო ედგათ აჭარლებს. თაობები ისე იზრდებოდნენ, ქართული სიტყვა აღარ ესმოდათ. იმის საშიშროებაც კი შეიქმნა, რომ მშობლიური ენა სრულ დავიწყებას მისცემოდა. ნენე მერიემმა გამოსავალი იპოვა — არაბული და ლათინური ასოებისგან ახალი ანბანი შეადგინა. ამ ასოების თანწყობით ქართული სიტყვები გამოდიოდა. ჩემი დიდი ბებო იმ დროს უკვე მოხუცებული იყო, მაგრამ ანბანი სოფლიდან სოფელში დაჰქონდა, ქალებს ქართულს ასწავლიდა და სთხოვდა, ეს ცოდნა შვილებისთვისაც გადაეცათ. გადმოცემით ვიცი, რომ ხულოსა და შუახევის სოფლები სულ ფეხით მოუვლია... აჭარელი ქალები ქართულად ხმამაღლა ლაპარაკს მაინც ვერ ბედავდნენ, მაგრამ შვილებს ჩუმად ელაპარაკებოდნენ. მისი წყალობით, აჭარის ზედა სოფლებში

დღემდე ისეთი ქართული სიტყვებია შემორჩენილი, რომელთაც თბილისში უკვე აღარ ხმარობენ.

— თქვენმა დიდმა ბებიამ წერა-კითხვა ან არაბული და ლათინური საიდან იცოდა? ამ ანბანის შესახებ ისტორიაში არაფერია ცნობილი.

— თავადის ქალი იყო, ბაბუ და მშობლებმა ყმაწვილ-ქალობაშივე ასწავლეს, როგორც ქართული, ისე არაბული, ლათინური და თურქული წერა-კითხვა. მის მიერ შედგენილ ანბანს კი „დედაბრული“ ჰქვია და აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დღემდე ინახება. 14 წელი ვიმუშავე მუზეუმში, მაგრამ ოცნებაშიც კი ვერ წარმომედგინა, რომ „დედაბრულს“ ხელით შევეხებოდი. საიდუმლო საცავშია შენახული და იქ შესვლის უფლება მხოლოდ გამგეს და დირექტორს აქვთ. როდესაც მუზეუმის გამგე ჩემი ყოფილი მოსწავლე, ნაზი მიქელაძე გახდა, მითხრა, — თუ გინდა, საცავში შევიპაროთ და შენი ბებოს ხელნაწერი ვნახოთო. შესვენებაზე, ყველანი რომ წავიდ-წამოვიდნენ, შევედით და ვნახე ის დალოცვილი... მთლად გაყვითლებული იყო... რომ გადავშალე, პირველ ფურცელზე ეს ლექსი ეწერა:

„დუნია რომ მოიარო, ვერსად ნახო მისებრ ქალი.

დიდი ნენე მერიემი — მთელი ერგეს არის თვალი. იცის წერა, იცის კითხვა და ლექსები გრძელზე გრძელი.

იგი ჯამეს სტუმარია და ქილისეს მასპინძელი.

— ჯამე და ქილისე რას ნიშნავს, ბაბუ?

— ჯამე — მეჩეთია, ქილისე კი — ეკლესია. ხვდებით, ბაბუ, რაშია საქმე? ჩემი ნენე ეკლესიაში მასპინძელი იყო მეჩეთში კი — სტუმარი.

— ეს ლექსი „დედაბრულზე“ ალბათ მოგვიანებით მიაწერეს...

— კი, ბაბუ, ეს ლექსი მოგვიანებით, აჭარის ჯანმრთელობის მინისტრმა — რამაზ სურმანიძემ მიაწერა.

— თქვენ პირადად თუ მოგისმენიათ ის სიტყვები, რომლებიც თქვენმა დიდმა ბებომ შემოინახა?

— კი, ბაბუ, როგორ არა?! ერთხელ შუახევის ხეობაში მანქანით მივდიოდი. გზად ძალიან დამცხა და წყაროსთან გავჩერდი. იქვე ახლოს მაღაზია დავინახე და შევედი. კიბეზე ღრმად მოხუცებული ქალი ჩამოდიოდა. ხელი მივაშველე. მერე ვკითხე, — ნენე, რამდენი წლის ხარ-მეთქი? — ნენე — არა, ნენაო, შემისწორა. დიდაჭარელი ქალი ყოფილა, 96 წლის. ისევ ვკითხე — დიდაჭარიდან მარტო როგორ მოხვედი ან საით მიდიხარ-მეთქი? — შვილები და შვილიშვილები აქვე მყავს, ხულოში, პატარებისთვის ნუგბრის საყიდლად მოვედიო. უბიდან მარლაში შეკოჭილი ფული ამოიღო, ნოქართან მივიდა და უთხრა, — ეს მსხვილი ფული დამიწვრილმანეო. გამიკვირდა, ეს 96 წლის ქალი სუფთა ქართულით რომ მეტყველებდა. მერე თავადვე მითხრა, — სუფთა ქართული დედამ მასწავლა, მისივე ნაამბობიდან ვიცი, რომ ჩვენს სოფელში ვინმე ნენა მარიამი მოსულა და ქალებისთვის ქართული უსწავლებია, თან დაუფიცებია, — შენს შვილებსაც ასწავლეო. ასეა, ბაბუ, ჩვენ, აჭარლებს სიცოცხლის ფასად გვიჯდებოდა ენისა და სარწმუნოების შენარჩუნება. მე ის მაინტერესებს, თბილისელებს რა რჯით, ამ ღვთით კურთხეულ ქართულში ამდენ ქაჯურ სიტყვებს რომ ურევენ? ნუთუ „მესიჯის“, „ლაივის“, „ტუსოვკის“, „მარკეტის“ შესატყვისი სიტყვები ჩვენ არ გვაქვს?! ამ ბოლო დროს ტელევიზორს რომ ვუყურებ, გული მისკდება: ცნობილი და გავლენიანი ადამიანები სრულიად გაუგებარი ქართულით ლაპარაკობენ. მერე ეს ადამიანები ჩვენ მოგვიბრუნდებიან და თურქებს დაგვიძახებენ!..

— არა, ბაბუ თურქებს თქვენ მხოლოდ გაუნათლებელი თბილისელი თუ დაგიძახებთ... როგორც უკვე აღნიშნეთ, ქრისტიანი ხართ. დიდი ხანია, რაც მოინათლეთ?

— კი, შვილო. მიუხედავად იმისა, რომ მამა სულ მეუბნებოდა, — ჩვენ წმინდა სისხლის ქართველები და მართლმადიდებელი ქრისტიანები ვართო, — თავად მაინც ვერ გაბედა მონათვლა. მე კი მაშინვე მოვინათლე, როგორც კი ამის საშუალება მომეცა.

— თურქებმა თავის დროზე ალბათ გვარიც გადაგიკეთეს.

— კი, თურქიანობის დროს, ომერიღლები ვიყავით. ღმერთს მადლობა, რომ დამპყრობლებმა ჩვენს ფესვებს საბოლოოდ მაინც ვერ მოგვწყვიტეს. დაილოცოს გენერალ კვინიკაძის მარჯვენა, მან გამოჰგლიჯა ჩვენი თავი თურქებს. სხვათა შორის, მე ჩემი გვარის ისტორიაც გამოვიძიე და გავარკვიე, რომ ჩემი წინაპრები წარმოშობით კახეთიდან, კერძოდ კი გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყიდან, გვარად ომარაშვილები ყოფილან.

— კახელი ომარაშვილები აჭარაში როგორ მოხვდნენ?

— კახეთიდან სპარსელებს გამოჰქცევიან. ხომ გაგიგონიათ — გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო. ასე მოუვიდათ ჩემს წინაპრებსაც... სპარსელების უღელი არ ინდომეს, მაგრამ მათმა შთამომავლებმა 300 წელი თურქთა ბატონობის ქვეშ იცხოვრეს. ის სოფელი, სადაც ჩემი კახელი წინაპრები აჭარაში გადმოხვეწის შემდეგ დასახლდნენ, ახლა თურქეთის ტერიტორიაზეა. ალბათ იცით — „ამასიის ზავის“ დროს აჭარა შუაზე რომ გაჰყვეს. უამრავი ლამაზი, თვალწარმტაცი ქართული სოფელი მითვისეს მაშინ თურქებმა, ბაბუ. არ გეგონოთ, რომ იქაური ქართველები დღეს არხეინად ცხოვრობენ. ატკივებული სულით და დამძიმებული გულით დადიან. შეიძლება, ეს ტკივილი თქვენ ვერც გაიგოთ და ვერც გაითავისოთ, მე კი ძალიან კარგად მესმის მათი...

— ალბათ თქვენი შვილები და შვილიშვილებიც ქრისტიანები არიან, არა?

— კი, ბაბუ, მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან. ღმერთმა მიმრავლოს მათი თავი! ■

მარი ჯაფარიძე

მამაკაცი რომ ვიყო...

ამ ბოლო დროს ხშირად ვისმენ ჩემი მისამართით გამოთქმულ ნათქვამს: შენ კაცად უნდა დაბადებულიყავიო. ვერ გამიგია — რატომ? ჩემი გარეგნობა ამის თქმის საბაბს არ იძლევა, მანერები, მიხრა-მოხრა და საუბარიც ქალის მაქვს...

ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც „სევდიანი, ფიქრთ გასართველად“ მცხეთაში, სვეტიცხოველში წავედი, ისე შემომაღამდა, ვერც გავიგე. მაგრამ გარეთ ჩემი „მერანი“ მელოდა და დაღამების გამო სულაც არ მინერვიულია. გუნებაგამოკეთებული, თბილისისკენ მომავალ გზას დავადექი. გზაზე მანქანები არ მოძრაობდნენ, მაგრამ წვიმდა და ნელა მოვდიოდი. უეცრად, უცხო მანქანა წამომეწია. ჯერ გამასწრო, მერე ისე მიღოღავდა, მე გავასწარი. ისევ გადამასწრო და ისევ „ღოღვა“ დაიწყო. როგორც ჩანს, დაინახა, რომ საჭესთან ქალი იჯდა და გადაწყვიტა, ცოტა გავეწვალებინე. მერე უკან მომადგა და ფარებს მინთებდა, გაჩერდიო. ახლა კი ცოტა შევშინდი. უკაცრიელ ადგილას ვიღაც მავიწროებდა და გასაქანს არ მაძლევდა. ცოტა ჩამომრჩა და დიდი სისწრაფით გამოექანა. რომ მომიახლოვდა, მერეღა დაამუხრუჭა და ლამის ზედ შემომეჭყლიტა... უკვე შეუძლებელი იყო ამის გაძლება. გადავწყვიტე, პატრულისთვის დამერეკა და საშველად მეხმო. რამდენიმე ზარის შემდეგ ქალმა მიპასუხა.

— ქალბატონო, მე ახლა მცხეთის ტრასაზე ვარ, უკან კი ვიღაც მამაკაცი მომყვება და მავიწროებს... მაიძულებს, გზიდან გადავიდე. თანაც, ახლა ისეთ მონაკვეთზე შევდივარ, სადაც ტყე იწყება. გთხოვთ, რამენაირად დამეხმარეთ, — ჩამოვარაკრაკე ჩემი საწუხარი.

— გაიქეცით, ქალბატონო, გაიქეცით, ვიდრე საპატრულო ბრიგადა მოვა, — ჭკუა დამარიგა ოპერატორმა.

— გავიქცე? — დავიბენი. — როგორ გავიქცე?

— როგორ და მაგრად გაიქეცით, ქალბატონო, ძალიან მაგრად... — აშკარად შევიდა ჩემს მდგომარეობაში.

— მანქანა გავაჩერო და ისე? — დავაზუსტე, ყოველი შემთხვევისთვის. თან მესმოდა, როგორ გადასცემდა საპატრულო ბრიგადას ჩემს თხოვნა-ვედრება-აჯა-მუდარას.

— მანქანით ხართ, ქალბატონო? — მკითხა ცოტა დამშვიდებულმა.

— დიახ, მანქანით ვარ.

— ის?

— ვინ — ის?

— უიმე, რა დაგემართათ, გენაცვალე?! ვინც მოგდევთ, ისიც მანქანითაა?

— დიახ, — გამეცინა, — ისიც მანქანითაა.

— ნომერი მითხარით და მაგას უჩვენებენ ახლა სეირს! — დაემუქრა „მოძალადეს“ და საპატრულო ბრიგადას ჩემ მიერ ნაკარნახევი ნომერი გადასცა.

ამასობაში „მოძალადე“ გვერდით ამომიდგა და მაიძულებდა, მარჯვნივ, გზის ნაპირზე გადავსულიყავი.

ჩემი მშველელი პატრულიც ამ დროს გამოჩნდა. ორივე გაგვაჩერა. მცირე გამოკითხვის შემდეგ (ფაქტობრივად, ჩვენება ჩამომართვეს), იმ მანქანის მძღოლს მისი ქმედების მიზეზი ჰკითხეს.

— ვეარშიყებოდი...

— რატომ კაცი არა ვარ, რომ ეგ ცხვირ-პირი დაგინაყო?! — გაბრაზებულმა და პატრულისგან იმედმოცემულმა მუშტები მოვუღერე.

— ქალბატონო, კაცი რომ ყოფილიყავი, განა მერეც გაგეარშიყებოდი...

მოკლედ, პატრულმა ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვის გამო 150 ლარით დააჯარიმა, მე კი გულდამშვიდებულმა გზა განვაგრძე. თუმცა გულში მაინც იმას ვფიქრობდი, — კაცი რომ ვყოფილიყავი, აუცილებლად ვცემდი მაგ თავხედს-მეთქი. მერე — კიდევ რას გავაკეთებდი...

ისე, თუ დაკვირვებიხართ, რომ ქალები ხშირად ამბობენ, — ნეტავ, კაცად დავბადებულიყავიო! მაგრამ ჯერ არ შემხვედრია მამაკაცი, რომელიც „ქალობას“ ინატრებდა. საინტერესოა, მაინც რომელი ჯობია, „ქალობა“ თუ „კაცობა“?

წარმოვიდგინე, რომ დილით გავიღვიძე და უკვე მამაკაცი ვარ. ავდგები, სააბაზანოში შევალ და პირველ რიგში, წვერს გავიპარსავ (ვაიმე, დედა!); მერე ჩავიცვამ შარვალსა და პერანგს (სინამდვილეში, ჩემი ჯინსის ქვედაბოლო ყველაფერს მირჩევნია) და ყოველდღე შარვლით ვივლი (არა, ამას ვერ ავიტან). მერე სამსახურში წავალ, გზადაგზა ქალებს შევავლებ თვალს... სამსახურის შემდეგ ლუდს დავლევ. როგორც ქალს, სრული უფლება მაქვს, ლუდი არ მიყვარდეს, მაგრამ მამაკაცობის დროს ეს აუცილებელია. იმავეს თქმა შეიძლება ფეხბურთზეც — სულაც არა ვარ ვალდებული, ვიცოდე, ვინ გაიტანა გადამწყვეტი გოლი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში და სიმართლე გითხრათ, არც ის, თუ საერთოდ, რისთვისაა საჭირო ეს ჩემპიონატი, მაგრამ ახლა, როცა „მამაკაცი ვარ“, ეს აუცილებლად უნდა ვიცოდე. აქამდე უფლება მქონდა, ურჩი მძღოლისთვის შემეკურთხებინა (მერე რა, რომ ქალი ვარ, ყველა მძღოლი იგინება და ცოდვად არ ითვლება), მაგრამ ახლა გზაზე ფრთხილად უნდა ვიყო: შემთხვევით, ქალივით, ვინმეს რომ მივაწყევლო, რას იფიქრებენ?! ისე, ერთი კია: ქალები თურმე მამაკაცებზე 10 წლით მეტს ცოცხლობენ...

ახლა გამახსენდა: თურმე ჰონკონგში ცოლს შეუძლია, მოღალატე ქმარი სიცოცხლეს გამოასალმოს და ამისთვის არავინ გაასამართლებს, ოღონდ, ერთი პირობით — მოღალატე შიშველი ხელით უნდა მოკლას, ნებისმიერი იარაღის გამოყენება აკრძალულია. ქმრის საყვარლის მოსაკლავად კი, რასაც უნდა, იმას გამოიყენებს, თუნდაც — ტანკს.

ყველაზე „ძვირად ღირებული“ ადამიანიც ქალი გახლავთ. თურმე, ბრიტნი სპირსის მშვენიერი სხეული ერთ-ერთ სადაზღვევო კომპანიაში 1 მილიარდ ევროდაა დაზღვეული...

ყველაზე მთავარი: როგორც გამოკვლევებმა უჩვენა, მსოფლიოში მამაკაცების 73% მელოტია; ქალებს ეს საშიშროება არ ემუქრებათ...

ჯერჯერობით რაც ჩამოვთვალე, იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებ, ქალად ყოფნა ნამდვილად ჯობია... იმედია, მეთანხმებით... თუმცა, გავაგრძელოთ...

მაგალითად, ფროიდი — ასეთი სერიოზული, ასკეტი და პედანტი მამაკაცი წლების განმავლობაში იქექებოდა ქალის სულში, მაგრამ საწყალმა, ბოლოს მხრები აიჩეჩა და იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ ვერ გაიგო, რა სურთ ქალებს. მე თუ მკითხავთ, ქალსა და მამაკაცს შორის ძირითადი განსხვავება კრედოშია: მამაკაცს მწვერვალების დაპყრობა სურს, ქალს — მწვერვალების დამპყრობი მამაკაცი. მგონი, ამ შემთხვევაში ქალის პოზიცია ჯობია... დაიპყროს, ბატონო, მწვერვალი... ქალს კი მზამზარეული შეხვდება...

როდესაც მამაკაცი ეუბნება ქალს — „ჩემო ოქრო“, — ის აზრზეც არაა, რომ ამას ამ სიტყვის ზუსტი გაგებით ამბობს: ქალის ორგანიზმში ოქროს შემცველობა 5-6-ჯერ მეტია... მგონი, ამ შემთხვევაშიც „ქალობა“ ჯობია.

ქალის სხეულის უჯრედებში ცხიმის შემცველობაც მეტია. ახლა კი მგონი, „მამაკაცობისკენ“ გადავიხარე... ცხიმი ყველა ქალს სძულს...

მამაკაცი რომ ვიყო, ანჯელინა ჯოლის შევაბამდი... ჩემი მეზობლის, მარტოხელა ლიას კართან ჩუმად ყვავილებს დავაწყობდი და გავახარებდი... მძღოლ ქალს გზას დავუთმობდი, ქალს არასოდეს ვატკენდი გულს, მიმტანს აუცილებლად დავუტოვებდი „ჩაის“; არაფრის შემეშინდებოდა, კაცობაში არასოდეს ჩავიჭრებოდი, პოლიტიკაში არასოდეს გავერეოდი და არც მიტინგებზე ვივლიდი, ყურს, ჭიპსა და წარბს არ გავიხვრეტდი, „კაცებში“ არ ვივლიდი, არასოდეს შევიგინებდი „ჩემი დედას“, უგონოდ არ დავთვრებოდი და სახლში ბარბაცით არ მივიდოდი... მე რომ მამაკაცი ვიყო, აუცილებლად ვინატრებდი, რომ ქალი ვყოფილიყავი...

დამნაშავე თუ მსხვერპლი — კითხვა, რომელიც ირაკლი დოკვაძეს თან სდევს

ფეხმძიმე ქალსა და მის ქმარს თავი ჩაქუჩით გაუხეთქეს

დახვრეტას ერთხელ გადარჩენილ ყოფილ პოლიტპატიმარს, 48 წლის ირაკლი დოკვაძეს თბილისის საქალაქო სასამართლო (მოსამართლე ეკა არეშიძე) მალე ვერდიქტს გამოუტანს. მას 25 აპრილს, თბილისში, ფალიაშვილის ქუჩაზე მომხდარ დანაშაულში ედება ბრალი. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი — გოჩა კვირჭიშვილი და 6 თვის ფეხმძიმე ელზა გულიაშვილი საკუთარ სახლში, უგონო მდგომარეობაში თავგატეხილი და დასისხლიანებული იპოვეს. ოთახში სისხლის გუბე იდგა. იქვე ეგდო სისხლიანი ჩაქუჩი, რომლითაც ბოროტმოქმედმა წყვილს თავი გაუხეთქა. ისინი სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს. საკეისრო კვეთის წყალობით, ჩვილი სიკვდილს გადაურჩა. გიორგი ორი კილოგრამი დაიბადა. ბავშვის ძირითადი პრობლემა უმწიფრობა იყო, კარგა ხანს იაშვილის კლინიკაში სპეციალურ აპარატზე ჰყავდათ შეერთებული. საბედნიეროდ, დღეს ჯანმრთელია. რაც შეეხება ელზას, მას უმძიმესი ოპერაცია გაუკეთდა. ქალა-ტვინის ღია ტრავმა, შუბლის ტვინის ძვლოვანი ნაწილები და რბილი ქსოვილები დაზიანებული ჰქონდა, გადარჩენის შანსი თითქმის არ არსებობდა. ახალგაზრდა ქალი დიდხანს ებრძოდა სიკვდილს. ახლა იგი სახლშია და თავისუფლად გადაადგილდება, მაგრამ ვერ მეტყველებს. არანაკლებ მძიმედ იყო გოჩა კვირჭიშვილი, დაზიანებები მასაც თავში ჰქონდა. გოჩას მეტყველება დაუბრუნდა, მაგრამ პარალიზებულია.

თეა ხურცილავა

ამ უსასტიკესი დანაშაულიდან 3 საათში ოჯახის ახლობელი, ირაკლი დოკვაძე დააკავეს. შს სამინისტრომ კი 7 მაისს გაავრცელა ინფორმაცია, რომ ცოლ-ქმრის დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობის მცდელობაში ეჭვმიტანილი დოკვაძე იყო. დადგენილია, რომ ამ შემზარავ ფაქტამდე იგი კვირჭიშვილებთან სტუმრად იმყოფებოდა. დოკვაძის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებულ ნივთებს შორის, გადასაყრელად გამზადებული, მისი შავი ფერის ფეხსაცმელიც ამოიღეს, რომელზეც ბიოლოგიური ექსპერტიზა ჩატარდა. მასზე 3 კვალი აღმოჩნდა, დნმ-ის ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ერთ-ერთი გოჩა კვირჭიშვილის, მეორე ელზა გულიაშვილის, ხოლო მესამე ცოლ-ქმრის შერეული სისხლი იყო. მართალია, სამინისტრომ ეს ინფორმაცია გაავრცელა, მაგრამ საქმის მასალები სხვა რამეზე მეტყველებს. გაირკვა, რომ ცოლ-ქმრის მკვლელობის მცდელობას დოკვაძეს 4 ივნისამდე არავინ ედავებოდა და რეალურად, ბრალი მას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის ედებოდა (სსკ 376-ე მუხლი, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით 2-დან 4 წლამდე). მაგრამ შემდეგ დოკვაძეს, მისივე ჩვენების საფუძველზე, 376-ე მუხლით წაუყენეს ბრალი. პოლიციაში მოწმედ მიყვანილი დოკვაძე ამბობდა: გოჩა კვირჭიშვილი რძლის, აწ გარდაცვლილი ძმის ცოლის მოკვლას აპირებდა, მათთან სტუმრად ყოფნისას გოჩას ნათქვამი, თავიდან არასერიოზულად მივიჩნიე, მაგრამ შემსრულებელიც სახლში ჰყავდა, სახელად ოთო, ხეღში იარაღი ეჭირა და ისინი ერთად დავტოვე ბინაშიო. დოკვაძე ამ ოჯახში სტუმრობას დღემდე ადასტურებს, მაგრამ კატეგორიულად უარყოფს მომხდარ დანაშაულთან კავშირს და გამართლებას ითხოვს.

კვირჭიშვილები ფალიაშვილის ქუჩაზე, მრავალსართულიან კორპუსში ცხოვრობენ. იმ ადგილას ადრე სამსართულიანი სახლი ჰქონდათ, რომელიც დაინგრა და კორპუსი აშენდა. მათ 4 სართული უკავიათ. გოჩას კიდევ ორი ძმა ჰყავდა, ერთი 2 წლის წინ გარდაიცვალა. მისი ცოლშვილი ამ კორპუსის მეოთხე სართულზე ცხოვრობს. როგორც ირკვევა, აღნიშნულ ვერსიას არსებობის უფლება ჰქონდა: დადგინდა, რომ კვირჭიშვილებს ბინის გამო რძალთან უთანხმოება ჰქონდათ და დავა სასამართლომდე იყო მისული. ისიც დადასტურებულია, რომ გოჩა კვირჭიშვილს პროცესი რძლის შეურაცხყოფის გამო დაატოვებინეს.

„25 აპრილს, როდესაც ირაკლი გოჩასთან მივიდა, ოთახის კუთხეში ვიღაც უცნობი დახვდა, რომელსაც ხელში იარაღი ეჭირა და მაყურს უკეთებდა. ირაკლიმ გოჩას კომპიუტერში რაღაცები გადააყენა. ამბობს, რომ მაყურის მორგების შემდეგ, ოთახში იარაღიდანაც გაისროლეს, რაც შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითაც დასტურდება — ოთახიდან ტყვიის მასრაა ამოღებული და ნატყვიარი კედელსაც ეტყობა. გოჩას უთქვამს ირაკლისთვის, რომ ამ უცნობისთვის მისი გარდაცვლილი ძმის ცოლის მკვლელობა ჰქონდა დავალებული. ამ უცნობ კაცს, ვინმე ოთოს, გოჩა 20 ათას დოლარს უხდიდა. დოკვაძე ოთოს აღნაგობასაც აღწერს. ამბობს, რომ ის 35 წლამდე ასაკის, საშუალოზე ცოტა მაღალი, შავგვრემანი, ცოტა მელოტი იყო და ქუდს ატარებდა. გამოძიების პროცესში დოკვაძე ითხოვდა ფოტორობოტის შექმნას და მისი ვინაობის დადგენას, მაგრამ ამას ვერ მიაღწია. გამოძიებას სიმართლის დადგენა არ უცდია“, — ამბობს ადვოკატი **ალიოშა არახამია**. იგი ვლადიმერ ტაბაღუასთან და ლუნა ჯიჯელავასთან ერთად იცავს დოკვაძის ინტერესს და მის უდანაშაულობაში დარწმუნებულია. საბრალდებო დასკვნაში კი აღნიშნულია, რომ უთანხმოება უახლოეს მეგობრებს შორის მანქანის გამო დაიწყო. *„კვირჭიშვილმა დოკვაძეს მანქანა უყიდა 5.100 დოლარის გადახდის სანაცვლოდ, მაგრამ 2008 წლის 30 დეკემბერს თანხის გადაუხდელობის გამო მანქანა უკან გამოართვა. ამის შემდეგ მათ შორის ურთიერთობა დაიძაბა და გოჩამ დოკვაძის ფინანსური დახმარება შეწყვიტა.*

დოკვაძემ კი განიზრახა, შური ეძია და მოეკლა იგი. 25 აპრილს მათ შორის ურთიერთშელაპარაკება მოხდა, რომლის დროსაც ირაკლი დოკვაძემ იქვე ლითონის ჩაქუჩი აიღო და გოჩას განსაკუთრებული სისასტიკით რამდენჯერმე თავში ჩაარტყა. შემდეგ გავიდა ჰოლში, სადაც შეხვდა კვირჭიშვილის მეუღლეს, სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით, განიზრახა ორსული ქალის მკვლელობა, მასაც თავში მიაყენა დაზიანებები, რის შემდეგ შემთხვევის ადგილიდან მიიმალა“.

ბრალდების ფაბულა ასეთია. ეს მოტივი დაუჯერებლად მიაჩნიათ განსასჯელის ადვოკატებს და ამაში ლოგიკას ვერ ხედავენ.

„ირაკლის ქალიშვილი გოჩას ჰყავს მონათლული. მათ ერთმანეთი ციხეში, მე-5 იზოლატორში გაიცნეს. ცნობილია, რომ დოკვაძეს პეტრე გელბახიანთან ერთად 1992 წელს, ჩიქოვანის ქუჩაზე ჯაბა იოსელიანზე განხორციელებულ ტერაქტში ედებოდა ბრალი, იგი ბანდიტიზმის, ტერაქტის მცდელობისა და დივერსიის ბრალდებით გაასამართლეს და დახვრეტა მიუსაჯეს. ორწელიწად-ნახევარი სიკვდილმისჯილთა საკანში იჯდა. თუმცა, ვინაიდან სიკვდილით დასჯა გაუქმდა, სასჯელი 20-წლიანი პატიმრობით შეუცვალეს. დოკვაძემ ციხეში 10 წელზე მეტი გაატარა, პრეზიდენტის შეწყალებაზე უარი თქვა და ბოლოს „უდოთი“ გამოვიდა. შემდეგ, მისი რეაბილიტაცია მოხდა. მორალური და მატერიალური ზიანისთვის 10 მილიონ ევროს ითხოვდა, თუმცა სასამართლომ სახელმწიფოს დოკვაძის სასარგებლოდ 20.000 ლარის გადახდა დააკისრა. საბრალდებო დასკვნაში კი რეაბილიტირებულ ადამიანს ძველი ბრალდება დამამძიმებელ გარემოებად ჩაუთვალეს და ბრალი შეგნებულად დაუმძიმეს... კვირჭიშვილ-დოკვაძეს შორის ციხეში კარგი ურთიერთობა დამყარდა. მას შემდეგ, რაც გოჩამ ციხე დატოვა, ირაკლის ოჯახს ყურადღებას აქცევდა, ფინანსურად ეხმარებოდა, სულ გვერდით ედგა. შემდეგ კი, მათი მეგობრობა ნათელ-მირონობაში გადაიზარდა. ფაქტია, რომ მკვლელობამდე, დაახლოებით დღის პირველ საათზე დოკვაძე კვირჭიშვილებთან იყო, ამას არც უარყოფს, მაგრამ ამბობს რომ იქ ვიღაც ოთო იყო. იმ კორპუსში ვიღაცას ქორწილიც ჰქონდა. ირაკლის თქმით, როდესაც გოჩა აცილებდა, კიბეზე ამომავალი სამი პიროვნება შეხვდათ. ამის შემდეგ ირაკლიმ სუპერმარკეტში შეიარა, მანქანაში ზეთი გამოცვალა და სახლში ზეთით დასვრილი მივიდა. ტანსაცმელი ამიტომ გამოიცვალა. როდესაც დააკავეს, უთხრეს, რომ საქმე ქალის მიმართ ჩადენილ დანაშაულს ეხებოდა. ირაკლიმ იფიქრა, რომ ოთომ გოჩას რძალი მოკლა და ეგონა, ამაზე დააკავეს. ამიტომ მისცა ჩვენება, ასე რომ არა, გოჩას წინააღმდეგ ჩვენებას არ მისცემდა. ირაკლი დოკვაძე კატეგორიულად გამორიცხავს, რომ მის ფეხსაცმელზე ელზა გულიაშვილის სისხლი აღმოჩენილიყო. რაც შეეხება გოჩას სისხლს, ეს დასაშვებად მიაჩნია: 17 აპრილს, ის გოჩასთან ერთად, მის აგარაკზე, წავკისში იყო. გოჩას დიდი აზიური ნაგაზი ჰყავს და მიდიოდა ხოლმე, საჭმელი რომ აეტანა. იმ დღეს ირაკლისთან ერთად მივიდა, მაგრამ თამაშისას ძაღლმა პატრონს უკბინა. გოჩამ ბევრი სისხლი დაკარგა. ჭრილობა ირაკლიმ დაუმუშავა და არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა, სისხლი მაშინ მოეცხო. რაც შეეხება ექსპერტიზის დასკვნას, მართალია, ფეხსაცმელზე ლაქა აღმოჩნდა, მაგრამ როგორც დასკვნაშია აღნიშნული, გოჩა კვირჭიშვილისა და ელზა გულიაშვილის სისხლის ჯგუფი არაა გამოკვლეული, რადგან შესადარებელი ნიმუში იმდენად მცირე იყო, სისხლის ჯგუფის დადგენა ვერ მოხერხდა. ეს კი ექსპერტიზას ძალიან საეჭვოს ხდის. ფეხსაცმელი იმ დღეს იმიტომ გამოიცვალა, რომ წვიმა იყო, გახვრეტილ ფეხსაცმელში წყალი შეუვიდა. სახლში მისულ პოლიციელებს თავად ირაკლის დედამ უჩვენა ეს ფეხსაცმელი. კვირჭიშვილიც ამბობს, რომ ისინი ჩვეულებრივად განაგრძობდნენ ურთიერთობას და არანაირი ჩხუბი მათ შორის არ ყოფილა. მოტივი არ ჩანს, გაუგებარია, რატომ უნდა მოეკლა ახლობლები“, — აცხადებენ დოკვაძის ადვოკატები.

სასამართლო პროცესზე მოწმეები დაიკითხნენ. უკვე დაზარალებულმა გოჩა კვირჭიშვილმაც მისცა ჩვენება. იგი პროცესზე რეანიმობილით მიიყვანეს. ბრალდებულს დანაშაულის ჩადენაში ამხელს.

,,ერთმანეთი ციხეში გავიცანით, მას მერე მეგობრული ურთიერთობა მქონდა. ვძმაკაცობდით. ციხიდან რომ გამოვედი, მის ოჯახს ვპატრონობდი, რადგან მეგობარი ციხეში დავტოვე... 2007 წლის აგვისტოში მანქანა ვუყიდე. თვეში 300-300 დოლარი უნდა მოეცა, საერთოდ არ მნახულობდა და ფულსაც არ იხდიდა. პირველი წყენა ამ დროს მოხდა. მითხრა, მანქანას ერთ კვირაში გავყიდი და 2.000 დოლარს მოგცემო, მაშინ ვუთხარი, 4.000 დოლარი 28 დეკემბერს უნდა მოეცა. თათარი ვერ გადაგიგდია და ფულს მე მთხოვო. მერე მანქანის გამოყვანა მოვთხოვე. ამაზე გაბრაზდა, ჭიშკართან დააყენა, თუ წაიყვან, უკან აღარ მოიყვანოო. ის მანქანა 4.000 დოლარად გავყიდე, ფული თათრის ვალის გასასტუმრებლად მინდოდა. სამი თვის შემდეგ მივაკითხე, ძალიან ნაწყენი იყო, მაგინა კიდეც, იქვე შევრიგდით, ძველ მეგობრობას ხაზი არ გადაესვა... შემდეგ სახლში რამდენჯერმე მოვიდა, უკმაყოფილო იყო, ასეთი რა გაწყენინეო?!. მეგონა, მანქანის გაყიდვას არ მაპატიებდა, მაგრამ მაპატია... 15 თუ 16 აპრილი იყო, მომაკითხა, მაშინ მითხრა, რომ იარაღი, „მაუზერი“ იყიდა. ირაკლი ძალიან მენდობოდა, მანქანის სავარძლის ქვეშ ან „ბარდაჩოკში“ ტოვებდა იარაღს. რამდენჯერ ვუთხარი გამომძიებელს — იარაღი იქ იქნება-მეთქი, მაგრამ არ ამოიღო თუ ვერ ნახეს, არ ვიცი. იარაღი ოქროსფერი იყო და დაზიანებული. მითხრა, წამომყევი წავკისში, იარაღის გასინჯვა მინდაო. არ მიკითხავს, იარაღი რისთვის უნდოდა, თურმე ჩემს მოსაკლავად ნდომებია, მაგრამ მაშინ ვერ მესროლა, რადგან იარაღი მარტო ერთ ტყვიას ისროდა. იმ დღესვე შემეძლო გაკეთება, მაგრამ არ გავაკეთე, მივხვდი, ცუდი საქმისთვის უნდოდა. სამჯერ ავედით წავკისში და სამჯერვე ჩემი მანქანით. 24 აპრილს გავაკეთე იარაღი და გავისროლე, რომ მენახა, გაკეთებული იყო თუ არა. გამორიცხულია, ის იარაღი იმ დღეს მანქანაში არ ჰქონოდა“, — აღნიშნა დაზარალებულმა და შემთხვევის დღე გაიხსენა:

„25 აპრილს 11 საათსა და 40 წუთზე ირაკლი მოვიდა. სათვალთვალოში რომ დავინახე, გულში

შევაგინე კიდეც, რადგან წინასწარ არ დაურეკავს. კარი 3-4 წუთის შემდეგ გავუღე. ელზასაც ვუთხარი, ირაკლი მოვიდა-მეთქი. სახლში შემოვიდა, კომპიუტერის მაგიდასთან დავსვი და ჩავურთე, რადგან ძალიან უყვარს კომპიუტერი. ისევ საძინებელ ოთახში შევბრუნდი და ელზას მოვეფერე. ნახევარი საათი კომპიუტერთან იჯდა, ელზა გამოვიდა და ძალიან თბილად, ფეხზე წამოდგომით დაელაპარაკა. ირაკლისთვის გრამოფონი უნდა მეჩვენებინა, რადგან ტექნიკა კარგად ესმის, მერე სარემონტო ოთახში გავედით, სადაც გრამოფონის პასპორტი მედო. ვკითხე, ღირდა თუ არა ყიდვა. პატარა ტაბურეტზე ვთხოვე ჩამოჯდომა, რადგან რემონტის გამო სხვა დასაჯდომი იქ არ იყო. მე კი წინ და უკან დავიწყე სიარული, მინდოდა, პასპორტი დროზე წაეკითხა და წასულიყო. სადილად დედასთან უნდა ჩავსულიყავით და ირაკლის ვერ წავიყვანდი, მით უმეტეს, უარს ამბობდა. ვერაფრით ვიფიქრებდი, გულში ასეთი რამ ექნებოდა ჩადებული. მეზობელს ქორწილი ჰქონდა, მექორწილეები მიდიოდნენ, ფანჯარა გავაღე და მათ დავემშვიდობე, ისევ უკან შემოვბრუნდი, ფანჯარას ვკეტავდი, სწორედ იმ მომენტში პირველად მომხვდა თავში ჩაქუჩი. გვერდულად დაეცი, პირით ფანჯრისკენ, დავინახე, ჩაქუჩი ირაკლიმ როგორ ჩამარტყა, მაგრამ გონება არ დამიკარგავს. ისევ ჩამარტყა 3-4-ჯერ, გონებაც დავკარგე. არაფერი უთქვამს. მერე მესმოდა მისი ჩქარი ნაბიჯების ხმა. 3-4 წუთის შემდეგ გავიგონე ელზას ხმა, ვიღაცას შეეხვეწა, — ხომ იცი, ბავშვი უნდა მეყოლოსო, — და მაშინ გავიგონე თავში ჩარტყმის ხმაც, ნამდვილად ვიცი, რომ ელზას ჩაარტყა და ისევ უკან გამობრუნდა. მერე სმენაც დამიბრუნდა, მესმოდა ჩემი ბინის კარის ხმაც...“

რატომ უნდა გაემეტებინა ასე სადისტურად ოჯახის უახლოეს მეგობარს ისინი? — ამ კითხვაზე **კვირჭიშვილს** ასეთი პასუხი აქვს:

„რატომ ჩაიდინა, არ ვიცი, ალბათ იმ მანქანის გამო გააკეთა ან, მეორე ვერსიით, შეიძლება, ჩემმა რძალმა დაიქირავა დოკვაძე“. კითხვას — თუ რატომ უნდა დაექირავებინა რძალს დოკვაძე? — ასე უპასუხა: *„ჩემი ძმა მეოთხე სართულზე ცხოვრობდა, რძალს ამ სართულის დაკავება უნდოდა, განქორწინებულები იყვნენ. დედაჩემი ბავშვების სრულწლოვანებამდე ქონების დამტკიცების წინააღმდეგი იყო. 11 მარტს პროცესზე ჩემი რძალი მოვიდა, ვკითხე — სასამართლო რაში გჭირდებოდა-მეთქი?.. პროცესზე დამემუქრა, — ნახავ, რას გაგიკეთებო. მაშინ ცუდად ვუპასუხე, შეურაცხყოფა მივაყენე და მოსამართლემ გარეთ გამომაგდო“.*

როგორც დოკვაძე ირწმუნება, მის ფეხსაცმელზე აღმოჩენილი სისხლის კვალი ადრინდელია. კერძოდ, კვირჭიშვილის აგარაკზე გოჩას რამდენიმე დღით ადრე ძაღლმა უკბინა და შესაძლოა, შეხვევის დროს დაეწვეთა. თუმცა ეს ფაქტი დაზარალებულმა არ დაადასტურა. *„აგარაკზე ძაღლმა მართლა გამკრა ხელზე კბილი, მაგრამ სისხლი არ წამომსვლია. მაშინ მარტო ვიყავი, დოკვაძე ჩემთან ერთად არ ყოფილა“.*

განსასჯელი იმასაც ამბობს, რომ ხმის ჩამხშობი აპარატი თავისი ხელით მიუტანა გოჩას. ეს ფაქტი არ უარყო დაზარალებულმა. თქვა, აპარატი დავიტოვე, მაგრამ ის არასდროს გამომიყენებიაო. მან სახლში სხვა ადამიანის ყოფნა კატეგორიულად გამორიცხა და განაცხადა, ელზა ჩემ გარეშე კარს არავის გაუღებდაო.

სასამართლომ მოწმის სტატუსით ის პოლიციელები და გამომძიებლები დაჰკითხა, რომლებსაც ამ საქმესთან შეხება ჰქონდათ, ისინი ამბობდნენ, რომ გარეცხილი ტანსაცმელი აივნიდან ჩამოხსნეს, ხოლო ნაგვის ყუთში გადასაგდებად გამზადებული იპოვეს ფეხსაცმელი, რომელიც დოკვაძეს იმ დღეს ეცვა. დაკითხულების მტკიცებით, ფეხსაცმელი გაწმენდილი იყო. თუმცა ამას არ ადასტურებენ დოკვაძის ოჯახის წევრები, მათი თქმით, სწორედ დოკვაძის დედამ უთხრა ძალოვნებს, თუ რა ეცვა მის შვილს ფეხზე და მიუთითა ნაგვის ყუთისკენ. დოკვაძის მეუღლის, თამარის თქმით, საღამოს სახლში მოსული პოლიციელებისგან შეიტყო, რომ კვირჭიშვილების სახლში უბედური შემთხვევა მოხდა და რომ მისი ქმარი მოწმის სტატუსით იყო დაბარებული.

„სახლში არ დაულუქავთ ნივთები. ჩემმა დედამთილმა მისცა მათ დიდი ცელოფნის პარკი, ყველაფერი იმაში ჩაყარეს და ისე წაიღეს...“

განსასჯელის მხარე ეჭვობს, რომ მტკიცებულება გაყალბდა. ამის დასამტკიცებლად, პროცესზე ადვოკატები ბინის ჩხრეკის ოქმს აფრიალებენ და ამბობენ, რომ ეს ოქმი მათ გამომძიებელმა ჟამიერაშვილმა გადასცა, სადაც ფეხსაცმელი მითითებული არ არის; მათი ვარაუდით, შემდეგ მოხდა მეშვიდე პუნქტის დამატება ახალ ოქმში და ის ჩაიდო საქმეში. ბუნებრივად ისმის კითხვა — როგორ აღმოჩნდა თითქმის დასრულებული დოკუმენტი ადვოკატების ხელში? — გამომძიებელი სირაძე ამბობს, რომ ეს დოკუმენტი ნაგავში გადასაყრელად გადასცა დოკვაძის დედას, თუმცა ადვოკატები ხელს ადებენ გამომძიებელ ჟამიერაშვილს, რომელმაც ეს ფაქტი დაკითხვისას არ დაადასტურა.

დაზარალებულთა ინტერესს ნანა და თამარ გოჩელაშვილები იცავენ. ოჯახთან მათაც მეგობრობა და ნათელ-მირონობა აკავშირებთ.

„დაზარალებულების ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა, გოჩას მეხსიერება აღუდგა, მაგრამ პარალიზებულია. ელზა ვერ მეტყველებს, მისი გადარჩენის შანსი ერთი პროცენტი იყო. სამი ადამიანი დღეს რომ ცოცხალია, ეს უფლის სასწაულია, ამ საქმეზე უნდა დადგეს მიუკერძოებელი განაჩენი. ყველას უნდა აინტერესებდეს იმის დადგენა, ვინ არის ის მხეცი, რომელმაც ფეხმძიმე ქალზე ხელი ასწია და ასე გაუსწორდა. ის, ვინც სამ ადამიანს ცხოვრებას უნგრევდა, არ შეიძლება, გარეთ დადიოდეს. დაზარალებულმა დოკვაძე როგორც ჩუმი პიროვნება, ისე დაახასიათა, რომელიც ემოციებს არასდროს გამოხატავს. ჩარტყმამდე კონფლიქტი არ ყოფილა. როცა დოკვაძემ განაცხადა, თითქოს გოჩა გეგმავდა რძლის მკვლელობას, მას ეგონა, რომ ისინი გარდაცვლილები იყვნენ. ამ ზღაპრით ის შეეცდებოდა სიტუაციიდან თავის დაძვრენას. რძალთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, ვიდრე დაისმებოდა მემკვიდრეობის საკითხი. დღეს ყველა ოჯახში ხდება კონფლიქტები ქონებასთან დაკავშირებით და მიგვაჩნია, რომ ეს არ არის ისეთი საკითხი, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს. ერთს გეტყვით, ის ქონებაც არ არის უკვე სადავო, რადგან ერთი მესამედი ქონებისა ეკუთვნით ბებიას და შვილიშვილებს. ვფიქრობთ, საკმარისი მასალებია იმისთვის, რომ საქმეზე დადგეს ობიექტური ჭეშმარიტება. საინტერესოა, რა ჩვენებას მისცემს დოკვაძე და რა არგუმენტები ექნება. სასამართლო ამის მიხედვით იმსჯელებს და გამოიტანს განაჩენს. თუმცა არის საეჭვო გარემოებები, ტანსაცმელი გარეცხა, ფეხსაცმელი გაიწმინდა და გადასაყრელად გაამზადეს. სისხლის კვალი ექსპერტიზის დასკვნით, ნამდვილად აღმოჩნდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მტკიცებულება არსებობს, სხვა უკვე სასამართლოს გადასაწყვეტია და ჩვენ უდანაშაულობის პრეზუმციას ვერავის დავურღვევთ, სანამ გამამტყუნებელი განაჩენი არ დადგება“.

ჯერჯერობით ბევრი დეტალი შემზარავი ფაქტის ირგვლივ ბურუსითაა მოცული და ბევრი კითხვა — პასუხგაუცემელი. იმედია, სასამართლო პროცესზე სრული ჭეშმარიტება დადგინდება. ჩვენ მივადევნებთ თვალს საქმის მსვლელობას და ვნახოთ, რა ვერდიქტს გამოიტანს სასამართლო. ■

სამყარო

„ოცნებაზე“ შეყვარებული ოსტატის ჯადოსნური სამყარო და თოჯინები, რომლებიც დარდს გაგიქარვებენ

„სიზმრად ნანახი მეფე გიორგი უნდა გამოვძერწო“

ქეთი კახნიაშვილი ხელოვნების სიყვარულმა აიძულა, თოჯინები შეექმნა. ის ახლა ზღაპრულ სამყაროში ცხოვრობს და ყოველდღიური საზრუნავით დატვირთულ ცხოვრებას ილამაზებს. მისი გამოძერწილი თოჯინები ჩვენც გვეპატიჟება ჯადოსნურ სამყაროში, სადაც ამქვეყნიური სადარდებელი გავიწყდება და თითქოს, შენც ერთ-ერთი ზღაპრის გმირი ხდები.

თამუნა კვირკველია

„14 წლის ვიყავი, სამხატვრო სკოლაში რომ მიმიყვანეს, შემდეგ თოიძის სახელობის სასწავლებელში ვსწავლობდი. მინდოდა, სამხატვრო აკადემიაშიც ჩამებარებინა, მაგრამ იმ დროს „ჩაწყობები“ იყო და ვერ მოვხვდი“, — მითხრა ქალბატონმა ქეთიმ, რომელიც პროფესიით გერმანისტია და ამჟამად მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში მუშაობს. ხელოვნების სიყვარულმა თავისი ქნა — ხატვას და ძერწვას ვერ შეეშვა, უფრო მეტიც, ამ საქმის სიყვარულმა პოპულარულ ქალბატონად აქცია. სხვათა შორის, ხელოვან ქალბატონს ლექსების კრებულიც აქვს გამოცემული.



— მე ნამდვილად ვიპოვე საყვარელი საქმე და მადლობას ვწირავ უფალს, ასეთი ნიჭი რომ მარგუნა. როცა განგება განსაკუთრებული ნიჭით გაჯილდოებს, თითქოს, უფლისა და ადამიანების წინაშე მეტ პასუხისმგებლობას გრძნობ. შინაგანი მოთხოვნილება მაქვს, რომ ხელოვნებას ვემსახურო. სხვათა შორის, ჩემი საქმიანობა ბავშვობაში მაბრუნებს, რაც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს.

— თოჯინას შესაქმნელად მუზა გჭირდებათ?

— მუზას ნამდვილად არ ველოდები. იდეები გამუდმებით, დღის ნებისმიერ დროს — დილას, საღამოს თუ შუაღამით მომდის და მეც, მონახაზის გასაკეთებლად ფეხზე წამოდგომა არასდროს მეზარება.

„ბარბარე“

მე ნამდვილად ვიპოვე საყვარელი საქმე

— თოჯინებს რა მასალისგან ძერწავთ?

„მეღვინე“

„თოვლის დედოფალი“

„ოცნება“

„აღმოსავლელი ქალი“

— იტალიურ თიხას ვყიდულობ. ამ თიხას ღუმელში გამოწვა არ სჭირდება და 3 საათში შრება. მომავალში ფაიფურისგანაც ვაპირებ თოჯინების შექმნას. მათ ძირითადად, ხელოვნურ თმას ვუკეთებ, ზოგიერთს კი ნამდვილი თმაც აქვს. სხვათა შორის, თოჯინების დამზადებისას სამხატვრო იარაღებს არ ვიყენებ, სამედიცინო იარაღებით ვმუშაობ.

— **თოჯინას შექმნას დაახლოებით, რამდენი ხანი სჭირდება?**

— ძალიან სწრაფად ვძერწავ, მაგრამ ტანსაცმლის შექმნა ცოტათი რთულია. ერთი ლექტორი მეუბნებოდა: მამაკაცურად დახატეო — ანუ ჩვენ, ქალები ყველაფერში ძალიან ვწვრილმანდებით და ეს ხელოვნებაში არაა საჭირო, ხელოვანი წვრილმანებისგან თავისუფალი უნდა იყოს... მე ვქმნი ადამიანებს, თავისი ხასიათითა და იერით. არის ცხოვრებაში მომენტები, როცა სრულიად მარტო რჩები საკუთარ ტკივილთან და ამ დროს გჭირდება ისეთი საქმე, რომელიც დარდს გაგიქარვებს. მე ვიპოვე ასეთი საქმე და ამით ძალიან ბედნიერი ვარ.

— **თქვენი ნამუშევრებიდან განსაკუთრებულად, რომელი გიყვართ?**

— განსაკუთრებით, „ოცნება“ მიყვარს. რამდენიმე თოჯინას გადაკეთებაზე უკვე ვფიქრობ, „ოცნება“ კი ერთადერთი ნამუშევარია, რომელსაც არასდროს შევცვლი. ჩემი აზრით, ის სრულყოფილია. ძალიან მომწონს „თოვლის დედოფალიც“, რომელსაც ოდნავ მკაცრი სახე აქვს.

— **თქვენი პირველი ნამუშევარი თუ გახსოვთ?**

— პირველად „ბარბარე“ დავამზადე. ამ თოჯინაზე მუშაობას 17 დეკემბერს მოვრჩი და მამამ მას „ბარბარე“ დაარქვა. ძალიან მინდა, შევქმნა ნადირობის ქალღმერთის, დალის სახე. თუ ამ ჩანაფიქრს განვახორციელებ, მას აუცილებლად, ძალიან გრძელი ქერა თმა ექნება; ასევე ვგეგმავ „დიდოსტატის მარჯვენის“ გმირების — შორენას და მეფე გიორგის სახეების შექმნას. მათ გამოძერწვას განსაკუთრებით ძვირფასი მასალით ვაპირებ. ერთხელ მეფე გიორგი მესიზმრა: კიბეზე ავდიოდი, კიბის თავში კი ის იდგა. შუა გზაზე შემაჩერა და მითხრა, — აწი აღარ ამოხვიდე, ჩემთან ამოსვლა არ შეიძლებაო. ზუსტად სიზმრად ნანახი მეფე გიორგი უნდა გამოვძერწო, ის ძალიან ჰგავდა ოთარ მელვინეთუხუცესს.

— **მუშაობისას სიმშვიდე, მარტოობა გჭირდებათ?**

— არა, მარტოობა არც მუშაობის პროცესში მიყვარს. რემარკს აქვს ასეთი გამონათქვამი: „ადამიანი მუდამ მარტოა, მაგრამ არასდროს არ არის მარტო“. მაშინაც, როცა მარტო ვარ და ვმუშაობ, ვგრძნობ, რომ ჩემ გვერდით გამუდმებითაა ვიღაც.

— **ეგ როგორ?**

— სამყარო იმდენად დიდია, იმდენად მრავალფეროვანია და იმდენ რამეზე გვიწევს ფიქრი, რომ მარტო ვერასდროს ვიქნებით.

— **ქალბატონო ქეთი, თქვენი ნამუშევრების გამოფენის მოწყობაზე არასდროს გიფიქრიათ?**

— „კოპალაში“ მქონდა გამოფენა, მაგრამ ასე მგონია, ამ გამოფენას რაღაც დავაკელი...

— **დაბოლოს, საინტერესოა, რაზე ოცნებობს ზღაპრების სამყაროში ჩაძირული ადამიანი?**

— იცით, ძალიან ვნანობ, რომ ბევრი დრო დავკარგე უქმად, წლები ძალიან სწრაფად გავიდა და მე მას ხელი ვერ ჩავჭიდე. ვოცნებობ, რომ ჩემი თოჯინები სხვასთანაც იყვნენ, სხვასაც მიანიჭონ სიამოვნება და ძალიან მინდა, ისინი მეტად პოპულარულები გახდნენ.

■

„ბალერინა“

„ჭორიკანები“

„სევდა“

გოეთეს ინსტიტუტების სამწლიანი პროგრამა და „ბიბლუსისა“ და „პალიტრა L-“ის წარმომადგენელი ფრანკფურტში

ამ ცოტა ხნის წინ, აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში მოქმედი გოეთეს ინსტიტუტების პროგრამით — „კულტურა და განვითარება“, ფრანკფურტში წიგნების საერთაშორისო ფესტივალი ჩატარდა. წიგნის მესვეურთა ამ ფორუმში საქართველოს წარმომადგენელი — ირმა ბაძრაძეც მონაწილეობდა და იქიდან მრავალგვარი შთაბეჭდილებით დატვირთული დაბრუნდა...

თავდაპირველად, ირმა, როგორც წიგნების მაღაზიათა ქსელის, „ბიბლუსისა“ და გამომცემლობა „პალიტრა L-“ის წარმომადგენელი, გერმანელების მიერ თბილისში გამართულ ორდღიან სემინარს ესწრებოდა, ერთი კვირის შემდეგ კი ფრანკფურტიდან მოულოდნელი და სასიამოვნო მიწვევა მიიღო...

ეთო ყორღანაშვილი

— საქართველოში მოქმედ გოეთეს ინსტიტუტს გერმანელები (მათ შორის — „მედიიკამპუსის“ დირექტორი) ესტუმრნენ და ორდღიანი სემინარი ჩაატარეს. დასასწრებად მიგვიწვიეს ყველა, ვინც წიგნის საქმეში ვართ ჩაბმული.

— სემინარს მხოლოდ ქართული გამომცემლობების წარმომადგენლები ესწრებოდით?

— არა, ქართველების გარდა, აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ. სემინარის დასრულებიდან ზუსტად ერთ კვირაში გერმანიიდან მიწვევა მივიღე — საგამომცემლო საქმეში კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე მეპატიჟებოდნენ. პროგრამაში სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ბელორუსია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, რუსეთი, უზბეკეთი და უკრაინა მონაწილეობდნენ — სულ 18 წარმომადგენელი; საქართველოდან კი — მხოლოდ მე. ეს ჩემთვის დიდი და სასიამოვნო მოულოდნელობა იყო!.. ამ სფეროში ახალბედა ვარ — ჩემ გარდა, საქართველოს წარმომადგენლებიდან ფრანკფურტში თითქმის ყველა ნამყოფი იყო, ოღონდ სხვა პროგრამით... 3 დღის განმავლობაში

ფრანკფურტში სტუმრობისას, საგამომცემლო საქმეში კარგად გავერკვეე

სემინარებს ვესწრებოდით, მომდევნო 3 დღე კი — წიგნების ბაზრობაზე ვიმყოფებოდით, რომელიც ფრანკფურტში ყოველწლიურად იმართება. ვიდრე ბაზრობა დაიწყებოდა, წიგნების გამოფენაზე დასასწრებად, სპეციალური მოსაწვევები დაგვირიგეს. გახსნაზე გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი მოვიდა, რომელმაც ყველა გამომცემელს წარმატება უსურვა.

— ქალაქის დასათვალიერებლად თუ მოიცალეთ?

— სამუშაო დღეს დილის 7 საათზე ვიწყებდით: 8-ზე სემინარზე მივდიოდით და საღამომდე ვესწრებოდით (პატარ-პატარა შესვენებები გვქონდა). სემინარების შემდეგ კი ქალაქს გვათვალიერებინებდნენ, რამდენჯერმე წვეულებაზეც მიგვიპატიჟეს...

— ცხადია, სემინარებზე საგამომცემლო საქმეში არსებულ პრობლემებზე საუბრობდით. ყველაზე მეტად რა აწუხებთ აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში ამ სფეროში დაკავებულ ადამიანებს?

— თბილისში, სემინარების შემდეგ, იმართებოდა დებატები, სადაც ასევე ვბჭობდით იმ საკითხებზე, რომლებიც ჩვენ-ჩვენს ქვეყნებში მწვავედ დგას. შემდეგ, ფრანკფურტშიც იგივე ხდებოდა. გაირკვა, რომ ბევრისთვის ყველაზე მთავარი პრობლემა — წიგნის მაღაზიის მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციაა. ამის თაობაზე გერმანიაში იმსჯელეს და დაგვპირდნენ, რომ გაისად გამოგვიზავნიან სპეციალისტებს, რომლებიც მაღაზიის გამყიდველ გოგონებს ტრენინგებს ჩაუტარებენ.

— გერმანიაში საგამომცემლო სახლებს თუ ესტუმრეთ?

— კი, ერთ-ერთ გამომცემლობაში ვიყავით, რომელიც მხოლოდ არქეოლოგიაზე მუშაობს. გვაჩვენეს ყველაფერი, რაც ამ საქმეში შეიძლება, ისწავლო. როგორც მითხრეს, იქ ერთ წიგნზე 8 რედაქტორი მუშაობს. საქართველოში არა მგონია, ასე იყოს (*იცინის*)... იქ ცოტა სხვანაირადაა ყველაფერი: უფრო მობილიზებული არიან, სხვადასხვა ქვეყანაში აგენტები ჰყავთ, რომ გაიგონ — როგორია ბაზრის მოთხოვნა, რამდენად კარგად იყიდება წიგნები და კონკრეტულად, რა ჟანრის ლიტერატურა... იქაური სტატისტიკის მიხედვით, ყოველი 5 გერმანელიდან 3, წიგნს აქტიურად კითხულობს, რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია... ფრანკფურტში სტუმრობისას, საგამომცემლო საქმეში კარგად გავერკვეე; პროგრამის მონაწილეებს სერტიფიკატებიც მოგვცეს. მართალია, ჩემი საქმიანობა გამომცემლობას არ უკავშირდება — „ბიბლუსის“ გაყიდვების მენეჯერი გახლავართ, მაგრამ რომელიმე წიგნზე მეც სიამოვნებით ვიმუშავებდი!

— კიდევ რა პროექტებს ითვალისწინებს გოეთეს ინსტიტუტების პროგრამა და თუ გაქვთ პროგრამაში მეორედ მონაწილეობის უფლება?

— პროგრამა სამწლიანია. ის ითვალისწინებს პროექტების ციკლს — „კულტურა და განვითარება“. პირველი წელი გაცნობითი (საინფორმაციო) ხასიათის გახლდათ. სურდათ, გაერკვიათ — საგამომცემლო საქმესთან დაკავშირებით, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს რა მოთხოვნები აქვთ. კიდევ ბევრი საინტერესო პროექტი იგეგმება და, როგორც ვიცი, მასში მონაწილეობის უფლება მეც ისევე მაქვს, როგორც საგამომცემლო საქმეში ჩაბმულ ნებისმიერ სხვა მსურველს.

■

3 დღის განმავლობაში სემინარებს ვესწრებოდით, მომდევნო 3 დღე კი – წიგნების ბაზრობაზე ვიმყოფებოდით

ეთო ყორღანაშვილი

— ფაქტობრივად, ჩოგბურთიდან წავედი. ბაქოდან რაღაც შემოთავაზება კი მქონდა, მაგრამ ვერ მოვილაპარაკეთ. ალბათ, იანვრამდე საქართველოში ვიქნები, მერე კი გერმანიაში ან ამერიკაში გავემგზავრები, სადაც დღესაც მელოდებიან. მსურს, ახალი წლის დღესასწაული ჩემს ქვეყანაში გავატარო. ჩოგბურთთან დაკავშირებით, საქართველოში საინტერესო არაფერი ხდება. მინდა, ყველაფერი ისე ვთქვა, რომ არავის ეწყინოს... დღესდღეობით რამდენიმე კარგი მოთამაშე გვყავს. მაგალითად, ახლახან ცივაძემ საქართველოს პირველობა მოიგო, ის ბათუმელი ბიჭია და როცა თბილისშია, ვეხმარები ხოლმე.

— ახლა მწვრთნელი ხართ?

— ჯერჯერობით, „არავინ“ ვარ. ვიდრე საქართველოში გახლავართ, ვვარჯიშობ და რამდენიმე ბავშვს ვეხმარები. სამშობლოში დარჩენა ძალიან მინდა, მაგრამ აქ ჩოგბურთს არასერიოზულად უყურებენ, გერმანიასა და ამერიკაში კი დიდი სურვილი აქვთ, მათთან ჩავიდე. ამერიკაში ვიყავი კიდეც, მაგრამ წამოვედი — საქართველოში ყოფნა ვარჩიე: როცა ადამიანს ეხმარები, გინდა, შენიანს დაეხმარო. როგორც ჩანს, აქ არავის არაფერი სჭირდება. ჰოდა, წავალ ისევ ამერიკაში (*იცინის*).

— კონკრეტულად, რა ფუნქციას შეითავსებთ ამერიკაში?

— იქ არის აკადემია, სადაც მწვრთნელები აჰყავთ. მე უფროსი მწვრთნელი ვიქნები.

— ირაკლი, თქვენი კარიერის დასაწყისში ჩოგბურთში როგორი სიტუაცია იყო?

ასპარეზი

„ტაფით შეიარალებული“ ჩოგბურთელის ფანტასტიკური კარიერა

ქართველმა ჩოგბურთელმა — ირაკლი ლაბაძემ მსოფლიოს ბევრ წარმატებულ სპორტსმენთან თამაშისას გვასახელა. სამწუხაროდ, ტრავმის გამო ის აქტიურ ჩოგბურთს უკვე ჩამოშორდა. ირაკლის გული სწყდება, რომ სპორტის ამ სახეობას საქართველოში დიდ ყურადღებას არ უთმობენ და სამშობლოში დარჩენის ძლიერი სურვილის მიუხედავად, იძულებულია, გერმანიაში ან ამერიკაში გაემგზავროს და წარმატების მიღწევაში უცხოელებს დაეხმაროს.

„აქ არავის არაფერი სჭირდება და წავალ ისევ ამერიკაში“

— საქართველოში მაშინ ბევრი თამაშობდა და შესაბამისად, კონკურენციაც დიდი იყო. დღესდღეობით, როცა საქართველოს პირველობის მოსაპოვებლად შეჯიბრება იმართება, მხოლოდ 10-15 მოთამაშე გამოდის. მოკლედ, ჩოგბურთის განვითარების დონე ნელ-ნელა ქვევით ჩამოდის. სპორტის ამ სახეობაში ასეთი კატასტროფული მდგომარეობა არასოდეს ყოფილა.

— იქნებ იმიტომ, რომ ჩოგბურთში ვარჯიში ყველასთვის ხელმისაწვდომი არაა?

— ბავშვები თვეში დაახლოებით, 180 ლარს იხდიან — ეს სასაცილო თანხაა!

— ჩვენი ქვეყნის პირობებში...

— (*მაწყვეტინებს*) მაინც ძალზე სასაცილოა: თუ გინდა, პროფესიონალი ჩოგბურთელი გახდე, წელიწადში 100.000 დოლარი უნდა გქონდეს. საჭიროა, სპორტის ამ სახეობას სპონსორები გამოუჩნდეს, ბავშვებს კარგი მწვრთნელის ყოლისა და „პაეზდკაში“ წასვლის საშუალება რომ ჰქონდეთ, მერე ვიღაც რაღაც წარმატებას მიაღწევს და ჩოგბურთიც ნელ-ნელა განვითარდება... მართალია, ჩოგბურთის მოედნები იხსნება, რაც მისასალმებელია, მაგრამ ხალხს საშუალება არა აქვს, ბავშვები შეჯიბრებაზე ატაროს და მაშინ ამას რა აზრი აქვს?!

როცა მოთამაშე სამშობლოდან მიემგზავრება, ცოგა დეპრესიაც აქვს

— როგორც ვიცი, ჩოგბურთის ფედერაცია რამდენიმე ნიჭიერ ბავშვს თავად აფინანსებს.

— როგორც ვიცი, თითოეულს წელიწადში 20.000 დოლარს აძლევენ, ეს კი ძალიან ცოტაა — მწვრთნელისთვისაც არ არის საკმარისი ნახევარი წლის განმავლობაში.

— ალბათ, სწორედ ამიტომაა, რომ ქართველი სპორტსმენები შეჯიბრებაზე სხვა ქვეყნის სახელით გამოდიან.

— გაბაშვილს გულისხმობთ? ეს პრობლემა მას ნამდვილად ჰქონდა: 7 წლის იყო, როცა საქართველოდან გაემგზავრა. მას მატერიალურად ძალიან უჭირდა. მწვრთნელმა უთხრა: თუ რუსი „გახდები“, დაგასპონსორებო. შეიძლება, ცუდად ჟღერს, მაგრამ თუკი შენს ქვეყანაში არავინ გეხმარება, ჩოგბურთელი აღარ უნდა გახდე და კორტებზე უაზროდ იარო?! კაცი გაემგზავრა და წარმატებას მიაღწია! სამწუხაროა, მაგრამ ჩოგბურთის განვითარების მხრივ, საქართველოში სასიკეთო არაფერი ხდება.

— თქვენც ამიტომ გაემგზავრეთ საზღვარგარეთ?

— დიახ. როცა საქართველოდან გავემგზავრე, 14 წლის ვიყავი. 18 წლის ასაკამდე, მამაჩემი სულ ჩემ გვერდით იყო, მაგრამ თავდაპირველად, ნახევარი წლის განმავლობაში, მარტო ვცხოვრობდი, ეს კი მერწმუნეთ, ძალიან რთული გახლდათ... სკოლა, უნივერსიტეტი, მეგობრები — არაფერი მქონია! თუ გინდა, სპორტსმენი იყო, ბავშვობა „გვერდზე უნდა გადადო“. როცა მოთამაშე სამშობლოდან მიემგზავრება, ცოტა დეპრესიაც აქვს, მაგრამ წარმატებას რომ მიაღწევს, ისეთი ძლიერი გრძნობა ეუფლება, ამას ვერც გადმოგცემთ!

— მოდი, თქვენი პირველი წარმატება გაიხსენეთ.

— ლონდონში, 16 წლამდე მოთამაშეთა შორის მსოფლიო ჩემპიონატი მოვიგე — პირველი ჩოგანი გავხდი. ამ შემთხვევაში, სპონსორი არ გყავს, უბრალოდ, თანხას გიხდიან, გარკვეული ფირმის ტანსაცმელი რომ ჩაიცვა. მე ფულს „სერჯიო ტაჩინი“ მიხდიდა და შესაძლებლობა მქონდა, მწვრთნელი მყოლოდა, კარგად თამაშისთვის ყველაფერი გამეკეთებინა. მოკლედ, ნელ-ნელა წინ წავედი, მერე იუნიორებს შორის, ლონდონის ფინალში ფედერერთან ვითამაშე. მაშინ 17 წლის ვიყავი. ის თამაში ახლახან, ტელევიზიით უჩვენეს — სახლში რომ შევედი, უყურებდნენ და თვალი მოვკარი; მეზობელთან ჩავედი, იქაც უყურებდნენ; ახლობლები მირეკავდნენ, — რა გამხდარი იყავიო (*იცინის*)! მართალია, ხანგრძლივი — არა, მაგრამ 4 წლის განმავლობაში ფანტასტიკური კარიერა მქონდა! სამწუხაროდ, მერე ჩოგბურთისთვის თავის დანებება მომიხდა — მაჯაზე ოპერაცია გავიკეთე.

— ხელი თამაშის დროს დაიშავეთ?

— ბავშვობაში, 10-11 წლის ასაკში წავიქეცი. მოტეხილი ხელი შეხორცდა, შემდეგ კიდევ მომტყდა — ცუდად შეხორცებული მალევე ტყდებოდა. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში მოტეხილი ხელით ვთამაშობდი: უბრალო ტრავმა მეგონა და ვიხვევდი ხოლმე. ვფიქრობდი, „გავქაჩავდი“, მაგრამ მერე ტრავმა ისე განვითარდა, რომ თითებსაც ვეღარ ვამოძრავებდი, ამიტომ ოპერაცია გავიკეთე. ჩემი ბოლო ტურნირი 2006 წელს, ლონდონში იყო, სადაც მერვედფინალში რაფაელ ნადალთან წავაგე.

— ტრავმა აქტიურ ჩოგბურთში დაბრუნების საშუალებას არ გაძლევთ?

— რატომღაც, ზოგს ჰგონია, რომ ჩოგბურთს სიზარმაცის გამო დავანებე თავი. ვვარჯიშობ ხოლმე და მინდა გითხრათ, რომ ისევ კარგად ვთამაშობ. ვინც ჩოგბურთზე დადის, ის ხალხი მიყურებს და მეუბნება, რომ ჩოგბურთელობას კიდევ შევძლებ. სიზარმაცე არაფერ შუაშია: ვერ ხვდებიან, რომ დღეში 8 საათის განმავლობაში თუ ვითამაშებ, 2 დღის მერე ხელი ძლიერად ამტკივდება, ხოლო 2-3 დღეში 1 საათს თუ ვითამაშებ, „პატარა“ ტკივილი მექნება და „ვსიო“. შარშან ზაფხულში თამაში ვცადე, მაგრამ ტკივილმა შემაწუხა... რომ შემეძლოს, სიამოვნებით დავუბრუნდებოდი სპორტის ჩემთვის ყველაზე საყვარელ სახეობას!

— როგორც მივხვდი, ჩოგბურთელობა ძალიან რთულია...

— უჰ, ძალიან!.. ჯერ ერთი, ტრავმის შანსი დიდია და მეორეც — ბევრი სირბილი გიწევს: შესაძლოა, არ ჩანს, მაგრამ ერთ თამაშში საშუალოდ, 12 კმ-ის გარბენა გიხდება. თან, პირველიდან ბოლო ბურთამდე კონცენტრირებული უნდა იყო. ეს გუნდური თამაში არაა, სადაც თუ რაღაც არ გამოგივა, შენს შეცდომას სხვა დაფარავს. საკმარისია, 5-წუთიანი მოდუნება და შეიძლება, წააგო კიდეც.

— პირობები — არა, მაგრამ ჩოგბურთის თამაშის ნიჭი თუ აქვთ ქართველებს?

— ქართველები სპორტის ყველა სახეობაში ნიჭიერები ვართ!

— განსაკუთრებით — ფეხბურთში, არა?

— ფეხბურთში (*იცინის*)?.. სხვათა შორის — ფეხბურთშიც, მაგრამ ეს „მე“ მაინც გვაქვს ქართველებს და სწორედ ეგ გვღუპავს!

— ანუ?..

— ანუ თამაშისას ფიქრობენ, — მე სხვაზე მაგარი ვარ, პასს არ მივცემო! ვიღაც პატარა წარმატებას მიაღწევს და თავი მაგარი ჰგონია. ძალიან ცუდია, როცა მცირედით კმაყოფილდებიან. ჩოგბურთი ისეთი სპორტია, რომ წელიწადში 50-60 თამაშში მაინც მონაწილეობ და 50-დან ერთს თუ მოიგებ, ეს არაფერია, რამდენიმე უნდა მოიგო, რათა რეიტინგით წინ წახვიდე.

— თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი თამაში რომელი იყო?

— ყველა მნიშვნელოვანია, მაგრამ ერთი — განსაკუთრებულად, რომელიც ქართველ ხალხს დღემდე ახსოვს — 20 წლის ასაკში, შანხაიში ანდრე აგასს მოვუგე: აგასი რეიტინგით პირველი იყო. მასთან მოგების ნაკლები შანსი მქონდა. თამაშის წინადღეს, ვიდრე „ბადეს“ შეადგენდნენ, მწვრთნელს ვუთხარი: — აგასისთან თამაში მინდა-მეთქი. 1 საათის შემდეგ, მწვრთნელი მოვიდა და მითხრა: — ირაკლი, ვისთანაც გსურს, იმასთან ითამაშებო. ისე გამიხარდა, რომ ღამით დაძინებას ვერ ვახერხებდი, მეორე დილით კი ფანტასტიკურად ვითამაშე, ძალიან გამიკვირდა!

— ალბათ, აგასისაც გაუკვირდა.

— თამაშის დაწყებამდე, ჩემი ერთ-ერთი მეგობრისთვის უთქვამს: სად არის ჯორჯია?! იქ ვინმემ ჩოგბურთის თამაში იცის ან სპორტის რომელიმე სახეობა იციან, საერთოდო? ძალიან გაუკვირდა, რომ მოვუგე (*იცინის*). ის თამაში დღემდე ყველას ახსოვს, არადა, კიდევ ბევრ ცნობილ მოთამაშეს შევხვედრივარ, ბევრჯერ მომიგია და ბევრჯერაც წამიგია! კარგი ჩოგბურთელი ისაა, ვისაც არ გამოსდის, მაგრამ მაინც იბრძვის და მოიგებს! — ასე ამბობენ ხოლმე.

— ყველაზე დიდი მარცხი ვისთან თამაშისას იწვნიეთ?



კარგი ჩოგბურთელი ისაა, ვისაც არ გამოსდის, მაგრამ მაინც იბრძვის და მოიგებს!

— 2 ასეთი თამაში მქონდა: ერთი ფედერერთან, მეორე — კაფელნიკოვთან. ვიდრე ფედერერთან გავიდოდი, საფინთან „ვხურდებოდი“. ისე საშინლად ვთამაშობდი, რომ საფინმა მითხრა: ძმურად, კორტზე არ გახვიდე, სირცხვილიაო (*იცინის*). ზოგჯერ მოედანზე რომ გადიხარ, თავს ისე საშინლად გრძნობ, გგონია, ჩოგნის ნაცვლად, ხელში ტაფა გიჭირავს! ასეთი გრძნობა მქონდა კაფელნიკოვთან თამაშისას: ძლიერი ქარი ქროდა. ასეთ დროს ყველა ცუდად თამაშობს, მაგრამ მე ისე „სასტიკად“ ვთამაშობდი, რომ ალბათ, შენთანაც წავაგებდი (*იცინის*)! „შეცვლაზე“ კაფელნიკოვმა მითხრა: მოდი, ბურთს ცოტა ნელა დავარტყამ, რომ აქეთ გადმოაგდო, თორემ სირცხვილია — როგორ თამაშობ, ბიჭოო!.. მსგავსი რამ მოწინააღმდეგისთვის ხუმრობით მეც ხშირად მითქვამს.

— წარუმატებელი თამაშის შემდეგ შეცდომის აღიარება არ გაგჭირვებიათ?

— არა, ყოველთვის უნდა აღიარო, რომ წააგე, თორემ წინ ვერასოდეს წახვალ. წარუმატებლობას თუ ვინმეს დააბრალებ, შენს შეცდომას ვერასოდეს მიხვდები და ვერც გამოასწრებ.

— ირაკლი, დასასრულ, რამის თქმა ხომ არ გინდათ?

— გული მწყდება, რომ საქართველოში ჩოგბურთი ასეთ რთულ მდგომარეობაშია. ბავშვობიდან მას დავუთმე ჩემი ცხოვრება — ძალიან მიყვარს! იმედს არ ვკარგავ, რომ სპორტის ეს სახეობა საქართველოში განვითარდება. ■

ერიდეთ მამაკაცს, თუ...

შეგვიძლია, რამდენიმე საინტერესო რჩევა მოგაწოდოთ იმასთან დაკავშირებით, თუ რა შემთხვევაში უნდა ერიდოთ მამაკაცთან ურთიერთობას. თუ ხშირად ხდება ისე, როგორც ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებშია აღწერილი, მაშინ წინასწარ შეეგუეთ იმ აზრს, რომ თქვენს ურთიერთობას სასიკეთო დასასრული არ ექნება.

მაშ ასე, ერიდეთ მამაკაცს, თუ...

● **გეუბნებათ, რომ მის პირველ სიყვარულს აგონებთ.**

მას ან სძულს, ან ჯერ კიდევ ახსოვს ის: ორივე შემთხვევაში, წაგებული ხართ.

● **მეგობრები არასდროს არაფერს გეკითხებიან მის შესახებ.**

თუ თქვენს საუკეთესო მეგობარს არ აინტერესებს, თქვენი და თქვენი რჩეულის ურთიერთობის დეტალები, საკუთარ თავს ჰკითხეთ: რატომ? ეჭვიანობს?! — ნაკლებსარწმუნოა. ალბათ ეს უფრო იმით აიხსნება, რომ მეგობარი თქვენს ურთიერთობაში სასიკეთოს ვერაფერს ხედავს, მაგრამ უყვარხართ და გულს არ გტკენთ.

● **შინ ურეკავთ, მისი ოჯახის წევრები კი ცივად გპასუხობენ.**

თუ თქვენი ზარი მისთვის მნიშვნელოვანია, მისი ახლობლები უხეშად არ დაგელაპარაკებიან.

● **ფიზიკური სიახლოვის შემდეგ, თქვენდამი ინტერესი დაკარგა; გახდა ცივი, უხეში, გულგრილი, ირონიული ან თავდაჯერებული.**

ეს ნიშნავს, რომ აჩქარებულხართ და ახლა ბედნიერება სხვაგან უნდა ეძებოთ.

● **ავიწყდება თქვენი დაბადების დღე.**

● **ძალზე გულჩათხრობილია, იშვიათად გიზიარებთ განცდილს.**

თავიდან ეს თავშეკავებულობა მოგწონდათ კიდეც, მაგრამ ახლა... ფხიზლად იყავით: თუ საყვარელი მამაკაცი კითხვებზე არ გპასუხობთ, უეჭველია, თქვენდამი გულწრფელი არ არის ან რაღაცას საგანგებოდ გიმალავთ.

● **პაემანს ყოველთვის კვირის ბოლოს ან გარკვეულ დღეებში გინიშნავთ.**

თავიდან ამის საწინააღმდეგო არაფერი გქონდათ, მაგრამ დროთა განმავლობაში, მისი ნახვის სურვილი სულ უფრო და უფრო ხშირად გეუფლებათ; გსურთ შეხვდეთ სამუშაო დღეებშიც ან თუნდაც — ორი დღე ზედიზედ. თუ ასე არასდროს ხდება, ე.ი. თქვენ მას არ უყვარხართ ისე, როგორ სიყვარულზეც ოცნებობდით.

● **მეორე შეხვედრისას გეუბნებათ — „მიყვარხარ“.**

ეს თითქოს არარეალურია. „მართლა ვუყვარვარ?“ — ეკითხებით საკუთარ თავს. შეიძლება მართლაც უყვარდეთ, მაგრამ არ არის გამორიცხული, ჩვეულებრივი, ქალების მუსუსი გირევდეთ თავგზას.

● **თავს შეუძლოდ გრძნობთ, ის კი თქვენს ამბავს არც კითხულობს.**

● **ავიწყდება ყველაფერი, რაც თქვენ გიკავშირდებათ.**

ის, რომ მას არ ახსოვს თქვენი საყვარელი ფერი, წვრილმანი როდია — მამაკაცს, რომელსაც ნამდვილად უყვარხართ, ასეთი წვრილმანები არასოდეს დაავიწყდება.

● **არ გაცნობთ მშობლებს, დედმამიშვილებს, მეგობრებს.**

● **ეუბნებით, რომ დასასვენებლად მიდიხართ, ის კი ბედნიერ მგზავრობას და სასიამოვნო დროს ტარებას გისურვებთ.**

თუ ოდნავ მაინც არ გაგრძნობინათ, რომ მოენატრებით, არ გამოგიტყდათ, რომ ძალიან უნდა თქვენთან ერთად წამოსვლა, საკუთარ თავს ახალი მეგობარი უსურვეთ.

● **სრულიად არ ეჭვიანობს თქვენზე.**

● **გადაწყვეტით ვერასდროს ვერაფერს გეუბნებათ.**

თუ თქვენს წინადადებაზე — ერთად გაატაროთ გამოსასვლელი დღეები, გპასუხობთ: „შეიძლება“, ანდა: „ვნახოთ, მოგვიანებით დაგირეკავ“ — ყველანაირი საბაბი გაქვთ, იფიქროთ, რომ ის უფრო მაცდურ წინადადებას ელის. თუ მას ნამდვილად უყვარხართ, სიხარულით, უყოყმანოდ მიიღებს თქვენს შეთავაზებას.

● **ის ჩინებულად გრძნობს თავს... უთქვენოდ.**

თუკი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს უმეტესწილად თქვენ გარეშე სტუმრობს, არასდროს ახსენდებით, როცა მეგობრებთან ერთად რესტორანში მიდის, გონების ხმამ უნდა გიკარნახოთ, რომ თქვენ მისი ოცნების ქალი არ ხართ.

● **ამბობს, რომ „სერიოზული კავშირებისთვის“ მზად არ არის.**

თუკი ფიქრობთ, რომ თქვენნაირი ქალი ჯერ არ შეხვედრია და არ იცის, თუ რა არის ნამდვილი სიყვარული, თავს იტყუებთ! გახსოვდეთ: მამაკაცი ქალისგან განსხვავებით, ყოველთვის კმაყოფილია საკუთარი ცხოვრებით და ფრთხილობს, თუ მისგან ბევრს ითხოვენ.

● და კიდევ ერთი: ყური მიუგდეთ შინაგან ხმას — ხანდახან მაინც...

■

რომელი ფერის თეთრეული მოგწონთ?

აღმოჩნდა, რომ ესოდენ ამოუცნობი და იდუმალი არსების — ქალის უკეთ შეცნობა და მისი ხასიათის დაფარული მხარეების გაგება იმის მიხედვითაც შეიძლება, თუ რა ფერის თეთრეულს ამჯობინებს იგი.

ყვითელ თეთრეულს კეთილგანწყობილი და ოპტიმისტი ქალები ეტანებიან, ისინი არ ცნობენ არსებულ ტრადიციებს და საზოგადოებაში ქცევის მიღებულ ნორმებს. ასეთი ქალები სიცოცხლით სავსენი და გულახდილები არიან. ერთი შეხედვით, თითქოს გულუბრყვილოებიც ჩანან, მაგრამ სინამდვილეში კარგად იციან საჭირო ზღვრის დაცვა ურთიერთობაში.

თეთრი — ე.წ. ცივსისხლიან და ჭკვიან ქალებს მოსწონთ. ამ ტიპის ქალებისათვის მთავარი შედეგია, ხოლო ის, რა გზით შეძლებენ სასურველი მიზნის მიღწევას, სრულებით არ აღელვებთ. მათთვის „მიზანი ყოველთვის ამართლებს საშუალებას“.

სტაფილოსფერს ახალი იდეებით სავსე, გმირული საქციელისთვის მუდამ მზად მყოფი ქალები ამჯობინებენ. ასეთი ქალები მძაფრი განცდებისკენ ისწრაფვიან. რეალობა მათთვის ზედმეტად პირქუში და ნაცრისფერია, ამიტომ მუდამ ცდილობენ ცხოვრების გადახალისებას; ძალიან უყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა.

წითელი — ენერგიული, აქტიური ქალებისთვისაა განკუთვნილი. მათ არ ერიდებათ თავიანთი სურვილებისა და გრძნობების დემონსტრირების, საოცარი ფანტაზიის უნარი აქვთ და ტემპერამენტიანებიც არიან. წითელი თეთრეულის მოყვარული ქალბატონები ბავშვობიდანვე ლიდერობისკენ ისწრაფვიან და ენთუზიამით ჰკიდებენ ხელს ახალ საქმეებს. მათ გარშემო მყოფებს კი სიფრთხილე მართებთ — არავინ უნდა შეეხოს მათ თავმოყვარეობას.

ვარდისფერი — ნაზი და დელიკატური ქალების არჩევანია. სენტიმენტალობა და მოჭარბებული რომანტიკულობა სწორედ რომ მათი საქმეა. ასეთი ტიპის ქალებს ყველაფერი ადვილად სწყინთ, ეშინიათ კონფლიქტების და ამიტომ მზად არიან, იოლად დათმონ პოზიციები, ოღონდაც კი ირგვლივ სიმშვიდე და ურთიერთთანხმობა სუფევდეს.

იასამნისფერს საკუთარ თავში ჩაკეტილი და გარეგნულად ცივი ქალები ანიჭებენ უპირატესობას. ისინი უმეტესწილად, გულგრილი ადამიანის როლს თამაშობენ, სინამდვილეში კი მთელი არსებით სურთ, საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოხვდნენ.

ლურჯი — პუნქტუალური, მოწესრიგებული ქალების საყვარელი ფერია. ამ ტიპის ქალებს სიამოვნებას ანიჭებს სხვებისთვის დახმარების გაწევა, დაინტერესებულნი არიან გარშემო მყოფთა პირადი ცხოვრებით; ახლობლებს კი ჭკუის დარიგებითა და მორალის კითხვით ხშირად თავს აბეზრებენ — შეიძლება ითქვას, ეს მათი ჰობია.

ცისფერი — მეოცნებე ქალებს უყვართ. ისინი ვერასოდეს სჯერდებიან მიღწეულს, დაუღალავად იქექებიან წარსულში და ოხვრით იხსენებენ გარდასულ ტკბილ დღეებს. ამასთანავე, გამუდმებით რაღაცით უკმაყოფილონი არიან, რაღაც არ მოსწონთ პარტნიორ მამაკაცში და ხელახლა, კვლავ უშედეგოდ იწყებენ იდეალის ძებნას.

მწვანე თეთრეულის მოყვარულ ქალებს საოცრად გამახვილებული ინტუიცია აქვთ; ძალიან უყვართ მეგობრებთან ყოფნა, მაგრამ არანაკლებ — ოჯახური გარემო და მოვლილი სახლი. დაუღალავად ზრუნავენ ბავშვებსა და შინაურ ცხოველებზე. ემოციის სახალხოდ გამოხატვა მათი სტილი არ არის.

რუხი თეთრეული თითქმის არაფრით გამორჩეულ ქალებს მოსწონთ. სამაგიეროდ, ისინი უზომოდ ერთგულნი არიან და კარგად იციან მეგობრობის ფასი.

რაც შეეხება **შავ** თეთრეულს, ის იმდენად მასობრივ მოხმარებაშია, რომ თითქმის ყველა ტიპის ქალი იყენებს, ამიტომ ამ ფერის თეთრეულის მიხედვით მისი ხასიათის გამოცნობა ნაკლებად შესაძლებელია. ■

ნამცხვარი „საოჯახო“

მასალად საჭიროა:

250 გ მარგარინი;
1,5 ჩ/ჭ შაქრის ფხვნილი;
2 ცალი კვერცხი;
4 ჩ/ჭ ფქვილი;
1/8 ჩ/კ მარილი;
1/4 ჩ/კ სოდა (ძმრით);
1 ს/კ არაჟანი.

მოამზადების წესი:

მარგარინი დაჭერით, მოათავსეთ ქვაბში და გაადნეთ. გადმოდგით ცეცხლიდან, დაუმატეთ შაქართან ერთად ათქვეფილი კვერცხი, არაჟანი და კარგად აურიეთ. შემდეგ დაუმატეთ მარილი, სოდა, ფქვილი და მოზილეთ ცომი. ცომი გაყავით 5-6 ნაწილად და ფქვილმოყრილ დაფაზე 2-3 სმ სისქემდე გააბრტყელეთ. შემდეგ დაჭერით სასურველ ფორმებად (გულის, ნახევარმთვარის და ა.შ) და ჰაერღუმელში გამოაცხვეთ. ■

რუბრიკა მოამზადა **ეკა გუნთაიშვილმა**

სიამის ტყუპი და ჩვილის სხეულში აღმოჩენილი საოცრება

ყველაზე ცნობილი შეზრდილი ტყუპი სიამიდან (ახლანდელი ტაილანდი) იყო და მათ სიამის ტყუპს ამიტომაც ეძახიან. ერთმანეთთან შეზრდილი პატარები პირველად 945 წელს, სომხეთში დაბადებულან და ჩვილები გამოსაკვლევად კონსტანტინოპოლში წაუყვანიათ.

XIX საუკუნეში, ჩრდილოეთ კაროლინაში, ერთ-ერთ მონას თურმე, სიამის ტყუპი გაუჩნდა და დები შოუმენ ჯონ სმიტისთვის მიუყიდიათ. სმიტმა ტყუპს 5 უცხო ენა, სიმღერა და მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრა ასწავლა. „ორთავიან ბულბულად“ წოდებული დები სიცოცხლის ბოლომდე ბარნუმის ცირკში მართავდნენ წარმოდგენებს.

იტალიელი სიამის ტყუპი — ჯოვანი და ჯაკომო ტოჩები მარკ ტვენის ნაწარმოების Those Extraordinary Twins პროტოტიპები იყვნენ. ნაწარმოებში მათ ანჯელო და ლუიჯი ერქვათ.

200 ათას მშობიარობაზე თითო სიამის ტყუპი იბადება და ისინი ძირითადად, სუსტი სქესის წარმომადგენლები არიან.

არსებობს სიამის ტყუპის რამდენიმე სახეობა:

ტორაკოპაგი — სიამის ტყუპი გულმკერდის არეშია შეზრდილი და საერთო გული აქვს.

ომფალოპაგი — ტყუპს ღვიძლი, საჭმლის მომნელებელი სისტემა, დიაფრაგმა და სხვა საერთო ორგანოები აქვს.

ილიოპაგი — ტყუპი ერთმანეთთან ზურგითაა დაკავშირებული.

ცეფალოპაგი — ისინი თავით არიან შეზრდილები. ასეთ ტყუპს იანუცეპსსაც (ორსახოვანი ღმერთის — იანუსის სახელის მიხედვით) უწოდებენ.

ცეფალოტორაკოპაგი — ტყუპი თავითა და სხეულითაა შეზრდილი.

დიცეფალი — ტყუპს 2 თავი, 1 ტანი, 2-3 ან სულაც, 4 ხელი აქვს.

იშიოპაგი — წელს ქვემოთა ორგანოებითა და ხერხემლით შეზრდილი ტყუპი.

იშიო-ომფალოპაგი — ერთამანეთთან შეზრდილ დედმამიშვილებს ასო y-ს ფორმა აქვთ. შეიძლება, ასეთ ტყუპს 4 ხელი, 2 ან 3 ფეხი ჰქონდეს. მათი განცალკევება შეუძლებელია.

დიპროზოლი — ერთი თავი ორი სახით.

ტრიცეფალი — ამ უიშვიათეს შემთხვევაში, ტყუპს 1 ტორსი და 3 თავი აქვს.

ხანმოკლე სიცოცხლისა და სუსტი ჯანმრთელობის მიუხედავად, ზოგიერთი სიამის ტყუპი შვილებსაც აჩენს. ჩანგ და ენგ ბანკერები დებზე იყვნენ დაქორწინებულები და ჯანმრთელი შვილებიც ეყოლათ; 28 წლის როზა და ჟოზეფინა ბლაჟეკებმა (მათ საერთო სასქესო ორგანო ჰქონდათ) როზას თაყვანისმცემლისგან ნორმალური ვაჟი გააჩინეს.

როგორც წესი, ერთი ტყუპის გარდაცვალების შემთხვევაში, მეორეც მალევე იღუპება. დაბოლოს, 2001 წლის ოქტომბერში მედიცინის ისტორიაში უნიკალური შემთხვევა დაფიქსირდა — შანხაიში დაბადებულ გოგონას ექიმებმა მუცელში უჩვეულო სიმაგრე აღმოუჩინეს. კომპიუტერული ტომოგრაფიის გადაღების შემდეგ, 5 დღის ჩვილს მუცლიდან სიამის ტყუპის ჩანასახი ამოუღეს. როგორც გაირკვა, ჩვილის დედას სამი ნაყოფი ერთდროულად ჩაესახა, მაგრამ როგორ აღმოჩნდა ორი ნაყოფი მესამეს მუცელში, უცნობია. ■

უკანასკნელი არქეოლოგიური აღმოჩენები

მეცნიერების ვარაუდით, იაპონიაში აღმოჩენილი თიხის ქოთნებით საჭმელს 16500 წლის წინ ამზადებდნენ. ქოთნებს უჩვეულო და რთული ორნამენტები ამშვენებს.

ჩინეთში 5000 წლის წინ დამზადებული აბრეშუმის ქსოვილები აღმოაჩინეს. სხვათა შორის, აბრეშუმს საბერძნეთშიც ამუშავებდნენ, მაგრამ ჩინური და ბერძნული ქსოვილები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან.

ცენტრალურ ამერიკაში სააბაზანოს ნარჩენები აღმოაჩინეს, სადაც მაიას ტომის წარმომადგენლები 900 წლის წინ ბანაობდნენ.

ფინეთის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისას აღმოაჩინეს საღეჭი რეზინი, რომელსაც მეცნიერების ვარაუდით, ნეოლითის ხანის ადამიანი ღეჭავდა.

ლონდონში, რომაული ტაძრის ნანგრევებში ნელსაცხებლის კოლოფს მიაგნეს, რომელსაც თითის ანაბეჭდიც ამჩნევია. ■

თვითმგორავი ანუ „ჯანმრთელი“ ტრანსპორტი

ველოსიპედს ლათინურად „სწრაფი ფეხი“ ჰქვია. 1817 წელს გერმანელმა ბარონმა, კარლ ფონ დრეზამ ორბორბლიანი თვითმგორავი შექმნა და მას „გადასაადგილებელი მანქანა“ უწოდა. 1839 წელს შოტლანდიელმა მჭედელმა, მაკმილანმა დრეზას გამოგონება გააკეთილშობილა — დასაჯდომი და პედალი დაურთო, რომლის მეშვეობითაც უკანა ბორბალი მოძრაობდა; 1845 წელს პიერ ლალმანმა პედალი წინა ბორბალს დაუკავშირა, ხოლო კონსტრუქციას ჯაჭვი ლოუსონმა, 1878 წელს მიუერთა.

პირველი ველოსიპედი, რომელსაც ერთი ზომის ბორბლები ჰქონდა, ინგლისელმა ჯონ კემპმა გამოიგონა და მას „როვერი“ უწოდა (სხვათა შორის, მოგვიანებით „როვერი“ მსხვილ საავტომობილო კონცერნად იქცა, მაგრამ 2005 წელს გაკოტრდა). კაუჩუკისგან რეზინის გასაბერი ბორბლები შოტლანდიელმა ჯონ ბოიდ დანლოპმა, 1888 წელს შექმნა. ველოსიპედი გადაადგილების საუკეთესო საშუალებად იქცა და 1890 წელს მას „ოქროს ხანა“ უწოდეს.

1905 წელს ველოსიპედი ავტომობილმა „შეავიწროვა“ და „ოქროს ხანა“ ბავშვთა გასართობი გახდა, მაგრამ მოგვიანებით, ჯანსაღი ცხოვრების მიმდევრებმა ავტომობილიდან ისევ ველოსიპედზე გადაინაცვლეს.

აღსანიშნავია, რომ 1880 წელს ბრიტანეთში 37 ათასი, ხოლო გერმანიაში 27 ათასი ფოსტალიონ-ველოსიპედისტი იყო. XIX საუკუნის ევროპაში ველოპატრულიც გაჩნდა. პირველი ველოსიპედის შექმნისთანავე ჩატარდა ველოშეჯიბრება, ხოლო 1890-იანი წლებიდან რამდენიმედღიანი შეჯიბრებებიც ეწყობოდა. რაც შეეხება „ტურ დე ფრანსს“, ის 1903 წლიდან ტარდება.

არსებობს რამდენიმე სახეობის ველოსიპედი: საქალაქო, მთის, სარბოლო, ტანდემი, ველორიქშა (ველოტაქსი), წყლის, სამბორბლიანი (ძირითადად, ბავშვებისთვის, ველორიქშებისთვის და ცხოველების საცირკო წარმოდგენებისთვის), უნიციკლი (ერთბორბლიანი), უნარშეზღუდულთათვის და სხვა. ■

მსოფლიოს დანგრეული საოცრებები



როდოსის კოლოსი

კოლოსი არის უდიდესი ძეგლი, რომელიც ეგეოსის ზღვაში მდებარე კუნძულ როდოსზე, მზის ღმერთის — ჰელიოსის პატივსაცემად ააგეს. ისტორიული წყაროების მიხედვით, ბრინჯაოს ქანდაკება, რომელსაც 12 წელი აგებდნენ, სიმაღლით 33 მეტრი იყო. 50 წლის შემდეგ ქანდაკება მიწისძვრამ დაანგრია, მაგრამ მოსახლეობის თხოვნით, იგი აღადგინეს. ამბობენ, — როცა სირიელმა დამპყრობლებმა ქალაქი ალყაში მოაქციეს, ქანდაკება დააქუცმაცეს და მისი ნაწილები 900 აქლემით, სამშობლოში წაიღესო.

ჰალიკარნასის მავზოლეუმი

თურქეთში, ახლანდელი ბოდრუმის ტერიტორიაზე (ისტორიული წყაროების მიხედვით, ადრე ამ ადგილს ჰალიკარნასე ერქვა), ჩვ.წ.აღმდე 377-353 წელს მეფე მავსოლის პატივსაცემად უდიდესი ტაძარი ააგეს და მას მავზოლეუმი უწოდეს. მშენებლობის დასრულებიდან რამდენიმე საუკუნეში მავზოლეუმი დაინგრა. 1857 წელს, ბოდრუმის შემოგარენში, ინგლისელმა არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ქანდაკებები (სავარაუდოდ, მეფე მავსოლისა და მისი მეუღლის), რომლებიც ბრიტანეთის მუზეუმში წაიღეს და ისინი დღემდე იქ ინახება. ■

რუბრიკა მოამზადა ***რუსუდან ბელაშვილმა***

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. ჩე გევარას მთელი ცხოვრება ასთმა ტანჯავდა.
2. შრომის განაწილებისას მატულობს წარმოება და კლებულობს ხელფასი.
3. ადამიანის ძვალი ორმოცჯერ მეტ სიმძიმეს უძლებს, ვიდრე — ბეტონი.
4. „პულია დურა, სუდბა ინდეიკა, ა ჟიზნ კაპეიკა!“ — ამბობენ რუსები.
5. ივანე მაჩაბელსა და ილია ჭავჭავაძეს — ყოფილ მეგობრებსა და კოლეგებს ერთმანეთი საოცრად სძულდათ.
6. მახინჯი თავის ქალის გამო, პერიკლეს მოქანდაკეები მუზარადით თავშემკულს გამოსახავდნენ.
7. კორდობა სიდიდით მეორე ქალაქია არგენტინაში. იქ ძალიან ბევრი ეკლესიაა და ამიტომაც, მას სამრეკლოების ქალაქსაც ეძახიან.

8. დიეგო ველასკესი სევილიაში, მონათლული პორტუგალიელი ებრაელების ოჯახში დაიბადა.
9. ტელეარხებზე — „დისქავერი“ და „ჰისტორი“ — დოკუმენტურ ფილმებს რუსულ ენაზე დიმიტრი შანდრო ახმოვანებს.
10. ცოლის მკვლელობისათვის სიკვდილმისჯილი უილიამ კემლერი პირველი იყო, ვინც ელექტროსკამზე დასვეს და ისე გამოასალმეს სიცოცხლეს.
11. კვებეკში ფრანგულენოვანი ბრიტანული პოლკის ყარაული ყოველ 24 საათში ერთხელ იცვლება, ზუსტად ისევე, როგორც ლონდონში ოცდამეორე პოლკის ყარაული.
12. ჯვაროსნული ომები რომის პაპის მიერ იყო კურთხეული. თუ ჯვაროსანი ომში იღუპებოდა, მას ყველა ცოდვა მიეტევებოდა.
13. ინგლისურ ტანკებს, რომლებსაც ძალზე ადვილად უჩნდებოდა ცეცხლი, გერმანელი არტილერისტები დაცინვით „რონსონებს“ ეძახდნენ. „რონსონი“ სანთებელას მწარმოებელი ფირმაა.
14. რუსი მონარქებიდან სტალინს ყველაზე მეტად ივანე მრისხანე მოსწონდა და ხშირად, შრიფტოგრამას ხელს ასე აწერდა — „ივან ვასილევიჩ“.
15. მთელი ცხოვრების მანძილზე ვან გოგმა მხოლოდ ერთი ტილო გაყიდა 50 დოლარად. მისი „მზესუმზირები“ დღეს 120 მილიონი დოლარი ღირს.
16. წმინდა მდინარედ შერაცხილი განგი ნახევარ მილიარდ ადამიანს ამარაგებს წყლით. იგი იმდენადაა დაბინძურებული, რომ წელიწადში მილიონზე მეტ ბავშვს წამლავს.

ტიუნინგირებული „შევროლე“

დანიურმა დიზაინ-ატელიემ — Hermann and Brandt — და ბრიტანულმა ტიუნინ-კომპანიამ, რომლის სახელწოდებაც ამ ეტაპზე უცნობია, კუპეს — Chevrolet camaro-VR Camaro — სპეციალური ვერსია მოამზადეს. ავტომობილს ძარას განახლებული ვერსია აქვს — წინა ბამპერზე ორიგინალურად შესრულებული ჰაერცხაურებით, რომელიც სუპერავტოს — Lamborghini Reventon — სტილშია შესრულებული. მანქანას კარბონის უკანა დიფუზორი, 70-იანი წლების Pontiac Trans-Am-ის სტილის უკანა სპოილერი და 22-დუიმიანი ალუმინის შენადნობის ბორბლების დისკები აქვს. კუპე სუპერავტო Chevrolet Corvette ZR1-ის 6,2-ლიტრიანი, 8-ცილინდრიანი ძრავათია აღჭურვილი. აგრეგატს 6-საფეხურიანი სიჩქარის გადაცემათა მექანიკური კოლოფით ან „ავტომატით“ მუშაობა შეუძლია. VR Camaro მძლავრი, წინა ღერძზე 410-მმ-ის, ხოლო უკანაზე 385 მმ-ის დისკების მქონე სამუხრუჭე მექანიზმებით დაკომპლექტდება. კუპე VR Camaro სპეციალურად დიდი ბრიტანეთის ბაზრისთვისაა შემუშავებული. ავტომობილი მხოლოდ თეთრად ან შავად შეიღებება. სიახლის ღირებულება სავარაუდოდ, 50 ათასი გირვანქა სტერლინგი იქნება. ■

გენეტიკურად „დეფექტიანები“ ცუდი მძღოლები არიან

„მანქანის ცუდად მართვის მიზეზი გენების თანამიმდევრობის დეფექტურობაა“, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ კალიფორნიელი მეცნიერები მას შემდეგ, რაც ადამიანების საქციელზე გენების კომბინაციის ზეგავლენა გამოიკვლიეს. დადგინდა, რომ გენების დეფექტიანი განლაგების შემთხვევაში, ადამიანს მეხსიერება და კოორდინაციის უნარი უქვეითდება, შედეგად კი მანქანასაც ცუდად მართავს. ■

სპეციალური პროგრამა Ford Focus RS-ისთვის

კომპანიამ, — Wolf Racing — რომელიც გასული საუკუნის 70-იან წლებში რბოლისთვის — DTM, Ford Sierra-ს სარბოლო ვერსიას ამზადებდა და ჯგუფის რალიში მონაწილეობდა, ჰეჩბეკისთვის — Ford Focus RS — სპეციალური პროგრამა წარმოადგინა. ატელიეში ავტომობილის მოტორის სიმძლავრეს 300-დან 360 ცხ.ძ-მდე გაზრდიან. Ford Focus-ის 2,5-ლიტრიანი, 5-ცილინდრიანი ძრავას გაძლიერება მოტორის მართვის ბლოკის პროგრამის შეცვლით განხორციელდება. ასეთი განახლების ფასი 1.299 ევროა. გარდა ამისა, ჰეჩბეკის სპორტ-პაკეტში 219 ევროს ღირებულების დამოკლებული ზამბარების დანადგარი და 20-დუიმიანი ბორბლების დისკებიც შედის (თითოეულის ღირებულება 399 ევრო იქნება). Wolf Racing კლიენტებისთვის ძარაზე დასაკრავ ნაირგვარ წებოვანასაც ითვალისწინებს. ისინი რუხ, ვერცხლისფერ, ცისფერ, წითელ, ნარინჯისფერ, ყვითელ, შავ ან თეთრ ფერებში იქნება შესრულებული. ასეთი წებოვანების ფასი 98 ევროა. სპორტ-პაკეტის მქონე Ford Focus RS-ის პრემიერა ნოემბრის ბოლოს, გერმანიის მოტორშოუზე შედგება. ■

„ოპელის“ ახალი კომპაქტვენი

ორიოდე დღის წინ ჰოლანდიურმა ჟურნალმა — AutoWeek — კომპაქტვენის — Opel Meriva — მორიგი ფოტოები გამოაქვეყნა, რომლებზეც ძარას წინა ნაწილია აღბეჭდილი. ავტომობილს გაისად, ჟენევის მოტორშოუზე წარადგენენ. მანქანა მარკის ახალ საფირმო სტილშია შესრულებული, რომელიც პროტოტიპ Meriva-ზე, ასევე, მოდელებზე — Insignia და Astra — არის წარმოდგენილი. ფოტოების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სერიული Opel Meriva ისევე, როგორც კონცეპტ-ავტო ფართო კარებს შეინარჩუნებს, რომლებიც ერთიმეორის შემხვედრი მიმართულებით, 90 გრადუსამდე გაიღება. მანქანას მინის პანორამული სახურავი ექნება. ავტომობილისთვის გათვალისწინებულია იგივე ძრავათა გამა, რომელიც ჰეჩბეკ Astra-ს მომავალ თაობაზე — ოთხცილინდრიანი ატმოსფერული და ტურბინის მოტორები 1,4-დან 1,6 ლიტრამდე მოცულობით და 1,3-1,7-ლიტრიანი ტურბოდიზელები. ევროპულ ბაზარზე ახალი კომპაქტვენი 2010 წლის ზაფხულიდან გამოჩნდება. ■

რუბრიკა მოამზადა **ალექსი რეხვიაშვილმა**

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა ღვალი

უბის წიგნაკიდან:

17. ერთხელ ტომას ედისონმა ლაბორატორიაში ზედიზედ 45 საათი გაატარა მხოლოდ იმიტომ, რომ ცდა არ შეეწყვიტა. „ედისონს თივის ზვინში ნემსის პოვნა რომ დასჭირვებოდა, იმაზე ფიქრშიც არ დაკარგავდა დროს, თუ სავარაუდოდ, ზვინის რომელ ნაწილში იქნებოდა ეს ნემსი. ის ღერა-ღერა გადაარჩევდა მთელ ზვინს და მას მაინც იპოვიდა“, — ჰყვებოდა უფროსი კოლეგის შესახებ სერბი ფიზიკოსი, ნიკოლა ტესლა.

18. ბალერინა სოფია გოლოვკინა, ერთი წერტილიდან ფეხმოუცვლელად, ტრადიციული 32 ფუეტეს ნაცვლად, 100 ფუეტეს ასრულებდა. საფოსტო მარკაზე ტრიალესო, — აღფრთოვანებით ამბობდნენ სოფიაზე მისივე ნიჭის თაყვანისმცემლები. მაია პლისეცკაია ისე სრულყოფილად ვერ ასრულებდა ფუეტეს, როგორც თავად სურდა და ამიტომაც, ჩაიკოვსკის „გედების ტბაში“ ფუეტე წრეზე ტრიალით შეცვალა.

19. ავსტრია-თურქეთის ომის დროს ავსტრიელი ლანდსკნეხტები ხელში ჩავარდნილ თურქ ჯაშუშებს ხელ-ფეხზე თოკებს აბამდნენ და ოთხ ნაწილად გლეჯდნენ. ეს სასჯელი იმითაც იყო საშინელი, რომ სიკვდილმისჯილს იმ ქვეყნად ცხოვრების გაგრძელების იმედსაც უსპობდა. მუსლიმანთა რწმენით, ამგვარად დამახინჯებული სხეული მკვდრეთით ვეღარ აღდგებოდა.

20. მეფის სასახლეში აუდიენციაზე მისული მიხაილ სუვოროვი, თავისი უცნაური საქციელით, იმპერატორ პავლე პირველს ჭკუაზე შლიდა. დიდი მხედართმთავარი, მარმარილოთი მოპირკეთებულ დარბაზებში ცალ ფეხზე ხტოდა და მამალივით ყიოდა.

21. ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი 1975 წელს გამეფდა. თავიდან ესპანელები სკეპტიკურად უყურებდნენ ახალგაზრდა მეფეს, რადგან გენერალ ფრანკოს აღზრდილი მონარქი მისივე მემკვიდრედ აღიქმებოდა, მაგრამ როცა 1978 წლის კონსტიტუცია მიიღეს, რომლის მიხედვითაც საგრძნობლად შეიზღუდა მეფის მმართველობა და ყველა პოლიტიკური ძალისა თუ პარტიისათვის მოიძებნა საარსებო სივრცე და არეალი, ესპანელების დამოკიდებულება მეფისადმი მკვეთრად შეიცვალა. დღეს ხუან კარლოსი ძალიან უყვართ ქვეშევრდომებს და მას მოფერებით გარდაქმნათა მესაჭესაც ეძახიან.

მესამე მსოფლიო საეკლესიო კრება და სასულიერო სასწავლებლების დაარსება

V საუკუნის დასაწყისში გაჩნდა კიდევ ერთი მწვალებლური მიმდინარეობა — ნესტორიანელობის სახით, რაც გახდა უმთავრესი მიზეზი მესამე მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევისა. ამჯერად სწორედ ნესტორის ცრუსწავლების, სასულიერო სასწავლებლების დაარსების და კიდევ რამდენიმე საკითხის შესახებ ვისაუბრებთ. გვესაუბრება არქიმანდრიტი მაკარი (აბესაძე).

ეფესო

შორენა მერკვილაძე

— მესამე მსოფლიო საეკლესიო კრება ჩატარდა ქალაქ ეფესოში, 431 წელს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძარში. კრების მოწვევის უმთავრესი მიზეზი და განხილვის საგანი კონსტანტინოპოლელი ეპისკოპოსის — ნესტორის მწვალებლური სწავლა-მოძღვრების მხილება და უარყოფა გახლდათ. ნესტორი ღვთისმშობელს არა ღვთის მშობელს, არამედ ქრისტეს მშობელს უწოდებდა და ამტკიცებდა, რომ ქალწულმა მარიამმა ჩვეულებრივი ადამიანი შვა, რომელსაც შემდეგ, მისი წმინდა ცხოვრების გამო, ღმრთეება მიენიჭა და ამდენად, წმინდა მარიამს არ შეიძლება ეწოდოს ღვთისმშობელიო. როგორც მართლმადიდებელი ეკლესია გვასწავლის, არასწორი სწავლებისთვის, ერთსულოვნად დასდო ბრალი და მას ეპისკოპოსობა ჩამოართვეს. ეს დადგენილება საჯაროდ გამოაცხადეს და იმპერატორ თეოდოსსაც აცნობეს, მაგრამ იმ ეპისკოპოსებმა, რომლებიც მხარს ნესტორს უჭერდნენ (ანტიოქიის ეპისკოპოსი იოვანე და რამდენიმე სირიელი ეპისკოპოსი), კრების გადაწყვეტილება უკანონოდ ცნეს და ნესტორსა და მის მომხრეებთან ერთად ცალკე კრება მოიწვიეს, რომელზეც წმინდა კირილე — ალექსანდრიელი ეპისკოპოსი ერეტიკოსად გამოაცხადეს, მისთვის ეპისკოპოსობის ხარისხის ჩამორთმევის დადგენილება გამოიტანეს და იმპერატორს გაუგზავნეს, როგორც გადაწყვეტილება ვითომდა ჭეშმარიტი მსოფლიო კრებისა. იმპერატორი თეოდოსი შექმნილ ვითარებაში ვერ გაერკვა და ორივე მხარის დადგენილება დაამტკიცა ანუ ნესტორსაც ჩამოართვა ეპისკოპოსობა და წმინდა კირილე ალექსანდრიელსაც. იმპერატორის საქციელმა კონსტანტინოპოლის მოსახლეობა და დედაეკლესიის წიაღში მყოფი პირებიც აღაშფოთა. მათ იმპერატორს საქმის გადახედვა სთხოვეს. თეოდოსმა ორივე მხრიდან 8-8 ეპისკოპოსი მოიწვია და საქმის ხელახლა, საფუძვლიანად განხილვის შემდეგ ჭეშმარიტება საბოლოოდ გაირკვა — ნესტორის ცრუ, მწვალებლური სწავლება დაგმეს. ეფესოს მესამე მსოფლიო კრების დადგენილებებს ორასზე მეტმა ეპისკოპოსმა დაუჭირა მხარი. ეს განსაზღვრებანი 8 წესისგან შედგებოდა და ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, იკრძალებოდა როგორც რწმენის ახალი სიმბოლოს შექმნა, ასევე რაიმე ცვლილების შეტანა ნიკეის კრებაზე მიღებული სარწმუნოების სიმბოლოში.

არ შეიძლება ვთქვათ, რომ ღმერთი იშვა ადამიანისგან, რადგან ღმერთი დაუსაბამოა

იესო ქრისტე არის სრულყოფილი ღმერთი და სრულყოფილი ადამიანი — ერთი ჰიპოსტასი ორი — ღვთაებრივი და ადამიანური ბუნებით, განუყოფლად და შეუერთებლად. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა შვა იესო ქრისტე და თავისთავად, ის არის ამ ჰიპოსტასის მშობელი: წმინდა ქალწულმა მაცხოვარი ხორციელად შვა, ის არის ქრისტეს ხორციელი მშობელი და არ შეიძლება ვთქვათ, რომ ღმერთი იშვა ადამიანისგან, რადგან ღმერთი დაუსაბამოა (ასევე, არ შეიძლება, იესო ქრისტეს კაცობრივი და ღვთაებრივი ბუნება გავყოთ ერთმანეთისგან); რადგან თავად ქრისტე არის სრულყოფილი ღმერთი და სრულყოფილი კაცი, მისი მშობელი არის ღვთის მშობელი...

200 ეპისკოპოსისგან შემდგარმა მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებამ, რომელსაც კირილე ალექსანდრიელი თავმჯდომარეობდა, ნესტორს, მისი

მეორე მხრივ, ეფესოს კრებამ ეკლესიის ერთგულ, ორთოდოქსულ ეპისკოპოსებს ანტიოქიელ ეპისკოპოსებთან ერთად ცალკე კრება მოიწვიეს, რომელზეც ნესტორიანელობა ერეტიკულად გამოაცხადეს, ნესტორი ეპისკოპოსობიდან ჩამოართვეს, ანათემა ეცხადა ნესტორიანელობისა და ნესტორიანელ ეპისკოპოსებს.

მიმართული. მონოფიზიტობის ჩამოყალიბებას მესამე მსოფლიო კრების პერიოდიდანვე ჩაეყარა საფუძველი, როდესაც მიმდინარეობდა საღვთისმეტყველო კამათები მაცხოვრის ღვთაებრივ და ადამიანურ ბუნებათა თანაარსებობის შესახებ. მესამე და მეოთხე მსოფლიო კრებებს შორის სხვაობა 20 წელია და ამ ხნის მანძილზე ურთიერთბრძოლა მიმდინარეობდა ორ რადიკალურ ფრთას შორის — ერთი, რომელიც მაცხოვრის ღვთაებრივ ბუნებას და მასთან დაკავშირებულ ყველაფერს აკნინებდა და მეორე, რომელმაც ისე დაიწყო ქადაგება და ისე განადიდა მაცხოვრის ღვთაებრივი ბუნება, რომ ადამიანური ბუნება დაავიწყდა და ის მთლიანად გამორიცხა. მოკლედ, ჭეშმარიტ, მართლმადიდებელ ეკლესიას ორივე მხარიდან უტევდნენ.

— რამდენიმე სიტყვით ქრისტიანულ მწერლობასაც შევეხოთ. საინტერესოა, როგორი სახე მიიღო ქრისტიანულმა მწერლობამ დევნის შეწყვეტის შემდეგ?

— როგორც უკვე ვთქვით, დევნის დროს ქრისტიანული მწერლობა ძირითადად, აპოლიგეტური იყო. არსებობდა ჰაგიოგრაფიული მწერლობაც — მოწამეთა ცხოვრების აღწერა. დევნის შეწყვეტის და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სხვადასხვა მწვალებლობა გაჩნდა, განვითარდა საღვთისმეტყველო მწერლობა — ყოველი ახალი მწვალებლური მიმდინარეობის სამხილებლად უამრავი ნაშრომი იწერებოდა და იქადაგებოდა ჭეშმარიტება: მწვალებლური მიმდინარეობების წარმომადგენლები ჭეშმარიტების სხვაგვარად, დამახინჯებულად წარმოდგენას ცდილობდნენ. მათი ცრუმოძღვრების წინააღმდეგ მართლმადიდებელი ეკლესია ქადაგებდა ჭეშმარიტებას, რაც იწერებოდა ასობით და ათასობით საღვთისმეტყველო ნაშრომის სახით. საღვთისმეტყველო შრომების უმეტესობა პირველიდან მეშვიდე მსოფლიო კრებების ჩატარების პერიოდშია დაწერილი; პარალელურად გრძელდებოდა ჰაგიოგრაფიული და აპოლოგეტური ნაშრომების წერაც.

მობა

საერთოდ, საეკლესიო მწერლობის აბსოლუტური დაყოფა ვერ ხერხდება, რადგან ჰაგიოგრაფიულ მწერლობაშიც — წმინდანთა ცხოვრებაშიც არის საღვთისმეტყველო ნააზრებები და საღვთისმეტყველო ნაშრომებშიც ხშირად გვხვდება ჰაგიოგრაფიული მომენტი — წმინდანთა ცხოვრებიდან მოყვანილი მაგალითები. არსებობს ეპისტოლარული მწერლობის ჟანრიც (ეპისტოლე სასულიერო შინაარსის წერილია).

— ეკლესიების ადგილობრივ ეკლესიებად ჩამოყალიბება და ავტოკეფალიის მოპოვებაც ხომ V საუკუნიდან ხდება... ამ პერიოდში, მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში რამდენი საეკლესიო ცენტრი არსებობდა?

— თავდაპირველად, საეკლესიო ცენტრები საეპისკოპოსოების სახით არსებობდა. V საუკუნიდან საეპისკოპოსოები, მძლავრი საეკლესიო ცენტრები ადგილობრივი ეკლესიების სახით ჩამოყალიბდა. მათ მოიპოვეს ავტოკეფალია და დამოუკიდებლად წყვეტდნენ საეკლესიო საკითხებს. ამავე პერიოდში დაშლა დაიწყო რომის იმპერიამაც და იმ საეკლესიო ცენტრების — საეპისკოპოსო ეკლესიების ნაწილი, რომელიც ამ დრომდე რომის იმპერიის ტერიტორიაზე იყო, მის გარეთ აღმოჩნდა და რომის ტერიტორიაზე არსებულ ეკლესიებს ნაკლებად მიუწვდებოდათ მასზე ხელი, რამაც ადგილობრივი ეკლესიების უფლებების განმტკიცება, მათი დამოუკიდებლობა გამოიწვია.

კონსტანტინოპოლი

ამ პერიოდამდე და საერთოდაც, გვიან შუა საუკუნეებამდე არსებობდა რომის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის და კონსტანტინოპოლის ეკლესიები. რომის იმპერიის ტერიტორიის გარეთ აღმოჩნდა საქართველოს და სომხეთის ეკლესიები, რომელთაც ავტოკეფალია ჰქონდათ, მაგრამ VI საუკუნეში სომხეთის ეკლესია მონოფიზიტობით დაეცა და ჩამოშორდა დედაეკლესიის წიაღს.

გვიან შუა საუკუნეებიდან გაჩნდა რუსეთის, შემდეგ ვლახეთის — რუმინეთის, უფრო გვიან ბულგარეთის და სხვა ადგილობრივი მართლმადიდებლური ეკლესიები. სულ ბოლოს, XX საუკუნეში დაარსდა ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესია.

— რა პერიოდიდან იღებს სასულიერო სასწავლებლების არსებობა სათავეს და თავდაპირველად, როგორი ტიპის სასულიერო სასწავლებლები არსებობდა?

— სასულიერო სასწავლებლების არსებობა ჯერ კიდევ I საუკუნიდან მომდინარეობს. როდესაც ადამიანებმა დაიწყეს მოქცევა ქრისტიანობაზე და შეუძლებელი იყო, ცალ-ცალკე ყველა ადამიანისთვის განემარტათ ქრისტიანული ცხოვრების არსი, გაჩნდა ე.წ. კატეხიზატორული სკოლები, სადაც ადამიანებს მოსანათლავად ამზადებდნენ, მათ ქრისტიანული სარწმუნოების არსს განუმარტავდნენ, მაგრამ შემდეგ, ეს სკოლები ისე განვითარდა, რომ ფაქტობრივად, უმაღლესი დონის საღვთისმეტყველო სასწავლებლებად იქცა. საღვთისმეტყველო სკოლები სხვადასხვა ადგილას ჩნდებოდა, როგორც საეპისკოპოსო კათედრები და მონასტრები. გვიან შუა საუკუნეებიდან მონასტრებშიც დაიწყო სასულიერო სასწავლებლების დაარსება.

პირველივე საუკუნიდან, კატეხიზატორულ სკოლებში ხდებოდა სასულიერო პირების მომზადებაც. თავდაპირველად არ არსებობდა კურსობრივი სწავლება ანუ არ ხდებოდა კურსიდან კურსზე გადასვლა, ქრისტიანული სწავლება ერთიანად მიმდინარეობდა. ასეთივე სწავლების წესი იყო შემდგომში, ადგილობრივ ეკლესიებსა და მონასტრებში არსებულ სასულიერო სასწავლებლებშიც. რაც შეეხება კურსობრივი სწავლების წესს, ის XVII საუკუნიდან მომდინარეობს. ■

რუბრიკას უძღვება ექიმი **ნინო ჩარგეიშვილი**

მეცნიერები დედის რძის შენახვას არ გვირჩევენ

ესპანელი მეცნიერები გვირჩევენ, დედის რძე რამდენიმე საათზე მეტხანს არ შევინახოთ. მათ შეისწავლეს 30 ქალის რძის ნიმუში, რომლებიც დღის სხვადასხვა პერიოდში იყო აღებული და რძეში განსაზღვრეს 3 ნუკლეოტიდი (ადენოზინი, ურიდინი და გუანოზინი), რომლებიც აღაგზნებენ ან თრგუნავენ ნერვულ სისტემას. აღმოჩნდა, რომ დედის რძეში, ღამის საათებში — ძილის მომგვრელი, დღისით კი ის ნუკლეოტიდები ჭარბობს, რომელიც ფხიზელ ქმედებებს უწყობს ხელს. „დედამ ბავშვს ძუძუ სარძევე ჯირკვალში რძის გამომუშავებისთანავე უნდა მოაწოვოს, ეს პატარას დღისა და ღამის ერთმანეთისგან გარჩევაში დაეხმარება“, — აცხადებენ მეცნიერები. ■

ზეითუნის ზეთი ალცჰაიმერის დაავადების წინააღმდეგ



ფილადელფიის შტატის (აშშ) ქიმიური სენსორების ცენტრის მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ ზეითუნის ზეთი ალცჰაიმერის დაავადების რისკს აქვეითებს. მათი მონაცემებით, ზეითუნის ზეთში შემავალი ნივთიერება ცვლის იმ ტოქსიკური ქიმიური ნივთიერებების სტრუქტურას, რომლებიც ნერვულ უჯრედებს აზიანებს და ამ საშინელი დაავადების განვითარებას იწვევს.

ახლო მომავალში მეცნიერები დაიწყებენ ფართომასშტაბიან კლინიკურ გამოცდას, რათა ზეითუნის ზეთის ეს არაჩვეულებრივი თვისება პრაქტიკულადაც დაამტკიცონ. ■

თუ სიმაღლეში გაზრდა გსურთ, მიირთვით ნარინჯისფერი ხილი

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ნარინჯისფერი ბოსტნეული, როგორიცაა: გოგრა, სტაფილო, ტკბილი წიწაკა და ა.შ. ბავშვებს სიმაღლეში ზრდაში ეხმარება. კვლევაში 3-დან 16 წლამდე ასაკის 300 ბავშვი მონაწილეობდა, რომელიც თანატოლებს სიმაღლეში ჩამორჩებოდა. მონაწილეები ორ ჯგუფად დაყვეს: ერთი ჯგუფის მენიუში ყოველდღიურად ჩართეს ნარინჯისფერი ბოსტნეული, მეორე ჯგუფის წარმომადგენლები კი კვებას ჩვეულებრივად აგრძელებდნენ. პირველი ჯგუფის ბავშვებმა, თანატოლებთან შედარებით, სიმაღლეში ინტენსიური ზრდა დაიწყეს და წელიწადში საშუალოდ, 8 სმ მოიმატეს, მეორე ჯგუფის ბავშვებმა კი მხოლოდ — 4 სმ.

სიმაღლეში ჩამორჩენილი პატარების უმრავლესობა ჯანმრთელია, მაგრამ აღენიშნებათ ვიტამინების ფარული ნაკლებობა. მეცნიერებმა ბავშვები სინთეტური ვიტამინებით კი არ „გაჭყიპეს“, არამედ უპირატესობა ნატურალურ ბეტა-კაროტინს მიანიჭეს. „ქიმიისგან“ განსხვავებით, მის ვიტამინად გადაქცევას თავად ორგანიზმი, მოთხოვნილებების შესაბამისად არეგულირებს, რის გამოც, მისი გადაჭარბებული დოზით მიღება პრაქტიკულად, გამორიცხულია.

À ვიტამინი მონაწილეობს ძვლების ზრდის პროცესში, იცავს თვალებს, სასუნთქი სისტემის ლორწოვან გარსს და სისხლძარღვებს. მისი დეფიციტის შემთხვევაში ბავშვები არა მარტო ცუდად იზრდებიან, არამედ ხშირად აღენიშნებათ გაცივება, კარიესი, დაღლილობა, სქესობრივი მომწიფების დაგვიანება; მოზრდილთათვის ბეტა-კაროტინის ყოველდღიური დოზა დაახლოებით, 6 მგ-ია, ბავშვებისთვის, ასაკიდან გამომდინარე — 2,5-დან 5,5 მგ-მდე.

ნარინჯისფერი ბოსტნეულის საჭირო რაოდენობის გამოთვლა ძნელი არაა, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გვეცოდინება, რომ 100 გ გოგრა შეიცავს 1,5 მგ-ს, სტაფილო — 1,1 მგ-ს, ტკბილი წიწაკა — 2 მგ-ს. პროდუქტის დამუშავებისას ბეტა-კაროტინის დაახლოებით მესამედი იკარგება. სასარგებლო პიგმენტს შეიცავს ატამი (0,5 მგ), ნესვი (0,4 მგ), პომიდორი (1,2 მგ), მწვანილი და მუქი მწვანე ბოსტნეული, მაგრამ ყველაზე მეტი რაოდენობით იგი არის ქაცვში (10 მგ), ცირცელსა (9 მგ) და მშრალ ასკილში (6,7 მგ).

გასათვალისწინებელია, რომ À ვიტამინი ცხიმში ხსნადია და ამიტომაც, ბავშვის რაციონში აუცილებლად უნდა იყოს ცხიმები. ■

ყავის მოულოდნელი ეფექტი

ამერიკელ მეცნიერთა ჯგუფი, რომელიც ორგანიზმზე ყავის გავლენას შეისწავლიდა, მოულოდნელ დასკვნამდე მივიდა — ყავას C ჰეპატიტის მქონე ავადმყოფების სიცოცხლის გახანგრძლივება შეუძლია. თურმე, დღეში რამდენიმე ფინჯანი ყავა ანელებს პათოლოგიური ცვლილებების და მასთან დაკავშირებული ღვიძლის დაავადებების განვითარებას.

4-წლიანი კვლევის მანძილზე მეცნიერები აკვირდებოდნენ 766 პაციენტს, რომელთაც ჰქონდათ C ჰეპატიტთან დაკავშირებული ღვიძლის დაავადებები და მათზე ჩვეულებრივი ანტივირუსული პრეპარატები არ მოქმედებდა. ავადმყოფები დაყოფილნი იყვნენ ჯგუფებად, იმის მიხედვით, თუ რამდენ ფინჯან ყავას მიირთმევდნენ ყოველდღიურად. ყურადღება ექცეოდა ჩაის მიღებასაც.

კვლევის შედეგებმა უჩვენა, რომ ყავისადმი გულგრილ მონაწილეებთან შედარებით, მათ, ვინც ყოველდღიურად სამ ან მეტ ფინჯან ყავას მიირთმევდა, მდგომარეობის გაუარესების 47%-ით ნაკლები რისკი აღენიშნებოდათ. უნდა ითქვას, რომ ჩაის მოხმარება არანაირად არ მოქმედებდა

დაავადებით გამოწვეული პათოგენური პროცესების განვითარებაზე. ■



პირსინგი შეიძლება, სიკვდილის მიზეზი გახდეს

ისრაელელი მეცნიერები ჩატარებული კვლევის საფუძველზე მივიდნენ დასკვნამდე, რომ პირსინგი შეიძლება, უეცარი სიკვდილის მიზეზი გახდეს. კერძოდ, ენის პირსინგმა შესაძლოა, თავის ტვინის ლეტალური ინფექციის განვითარება გამოიწვიოს.

ცოტა ხნის წინ ბრიტანეთის სამედიცინო საზოგადოება 22 წლის ახალგაზრდის უეცარმა გარდაცვალებამ შეაშფოთა. გაკვეთის შედეგად ექიმებმა თავის ტვინის მრავალრიცხოვანი დაზიანება აღმოაჩინეს. გარდაცვლილის მეგობრები ჰყვებოდნენ, რომ გარდაცვალებამდე ორიოდე კვირით ადრე მან ენაზე პირსინგი გაიკეთა.

ჩატარებული კვლევებისა და გამოკითხვის საფუძველზე მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ენის პირსინგთან დაკავშირებული პრობლემები საკმაოდ სერიოზულია. ადრე მხოლოდ ის იყო ცნობილი, რომ პირსინგის მფლობელს შეიძლება, კბილები დაზიანებოდა — ენაზე გაკეთებული საყურის კბილებზე დარტყმების შედეგად, განვითარებოდა ანთებითი პროცესები პირის ღრუში, მაგრამ ახლა გაირკვა, რომ ენის გახვრეტის ადგილზე განვითარებული ანთებითი პროცესი შეიძლება, უმძიმესი გართულების მიზეზი გახდეს, რადგან მოსალოდნელია, ანთებას დაერთოს ინფექცია, რომელიც სისხლის ნაკადით თავის ტვინში მოხვდება. აღნიშნული დაავადება ცუდად ექვემდებარება მკურნალობას და ხშირად, სიკვდილის მიზეზი ხდება.

პროფესორ დემიელ უომსლის თქმით, სტომატოლოგები დიდი ხანია, პირსინგის მფლობელებს პირის ღრუში მოსალოდნელი პრობლემების (როგორიცაა: ტკივილი, ღრძილების ანთება და ხანგრძლივი სისხლდენა და ა.შ.) შესახებ აფრთხილებენ, მაგრამ თავის ტვინის ინფექციასთან დაკავშირებული რისკის გამო, მისი გაკეთება საერთოდ უნდა აიკრძალოს. ■

ტკბილეულის მოყვარული პატარები აგრესიულები ხდებიან

კარდიფის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის ფსიქიატრებმა შეისწავლეს 1970 წელს დაბადებული 17,5 ათასი ადამიანის მონაცემი და დაადგინეს, რომ ის ადამიანები, რომლებიც ვთქვათ, 10 წლის ასაკში ბევრ ტკბილეულს ჭამდნენ, 34 წლის ასაკში ხშირად ავლენენ აგრესიის ნიშნებს.

მეცნიერების აზრით, როცა ბავშვს არასდროს უკრძალავენ ტკბილეულის ჭამას, მას ეკარგება მოთმინებით ლოდინის გრძნობა, რაც „ასაკთან ერთად ჯდება ხასიათში (თავშეუკავებლობის სახით) და ხშირად ვლინდება აგრესიით“, — ასე ხსნიან ტკბილეულსა და აგრესიას შორის არსებულ კავშირს მეცნიერები. ■

ინტერნეტი დადებითად მოქმედებს ხანში შესული ადამიანების ჯანმრთელობაზე

ინტერნეტი ხანში შესული ადამიანების თავის ტვინის მუშაობას ასტიმულირებს და შეუძლია, ჭკუასუსტობის განვითარების გამომწვევი ასაკობრივი ცვლილებების შენელება და უკუგანვითარებაც კი.

კალიფორნიის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა თავის ტვინის სკანირების საშუალებით აღმოაჩინეს, რომ ინტერნეტი წიგნებზე ძლიერი სტიმულატორია, თანაც ეფექტის შენარჩუნება ხდება კომპიუტერის გამორთვიდან საკმაოდ დიდხანს. მინიმალური ვებ-გამოცდილების მქონე ასაკოვანი ადამიანებისთვის ქსელში ხანმოკლე ძიებასაც კი შეუძლია თავის ტვინის სტრუქტურის შეცვლა და მისი ფუნქციონირების გაუმჯობესება.

მეცნიერებმა ამ ექსპერიმენტისთვის 55-დან 78 წლამდე ასაკის 24 ადამიანი შეარჩიეს. მონაწილეთა ნახევარი გამოცდილი ინტერნეტმომხმარებელი იყო, სხვები კი ინტერნეტკავშირს არ ცნობდნენ. მათ სთხოვეს მსოფლიოს ქსელში რაიმეს მოძიება და ამ პერიოდში მეცნიერები მონაწილეთა თავის ტვინში მიმდინარე პროცესებს აკვირდებოდნენ.



ექსპერიმენტში მონაწილე მოხალისეებს ორი კვირის განმავლობაში ყოველდღიურად, ინტერნეტისთვის საათზე მეტი დრო უნდა დაეთმოთ. ამის შემდეგ მათ კვლავ ჩაუტარეს ტომოგრაფიული კვლევა.

მეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ თავის ტვინში ცვლილებები კვლევის დასაწყისშივე აღენიშნათ მეტყველებაზე, კითხვაზე, მახსოვრობასა და მხედველობაზე პასუხისმგებელ უბნებს. მეორე შემოწმებისას აქტივიზებული აღმოჩნდა შუბლის ხვეულები, რომლებიც აკონტროლებს ოპერატიულ მახსოვრობასა და გადაწყვეტილებების მიღებას.

აქედან გამომდინარე, ინტერნეტი რეკომენდებულია ხანში შესული ადამიანებისთვის. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ვებ-სერფინგი უფრო ეფექტურია, ვიდრე კითხვა, რადგან ქსელში ძიებისას ადამიანებს ერთდროულად რამდენიმე დავალების შესრულება უხდებათ: ინფორმაციის მოძიება, შეფასება და დამახსოვრება. ■

P.S. **ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე:** nino.char@yahoo.com **ის თქვენს ნებისმიერ კითხვას გასცემს პასუხს.**

იყიდეთ თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის



ფანფარა

ბაგეებისფერსაბის ქაღალ-ისფერსაბში სინამდვილეში ეკუნ-ვეს ნოსტალგიური კოლექციური ეი ეფექტიანი ნეფერტიტის ნა-ბეჭდი კი ისინი კოლექციური ალბომის და ტალიანის ინტერ-ესებისა ბეჭდავდა. ინტერესი ეი-ნანდელ ფოტოალბომებისა ეი-ნანდელ ტალიანეზე ინტერ-ესის ბოლოებზეა.

ბარბა ნაბუნი ფანფარა

ეკონომიკური მოსენებიანი ფენომენის ისეთის – ეკონომიკის ინტერესის ნებელი ინტერესის ინტერ-ესებისა ინტერესი ფენომენის ინ-ტერესი ინტერესი ბოლოებზეა და ეს ის, ხელი ეხმიანეთ ეთერეს. ინტერ-ესიანი ალბომ-ინტერესი ინტერ-ესებია ეკონომიკა. ბოლო ინტერ-ესებია – ინტერ-ესების ფენომენ.

ანანასიანის ფანფარა

ანანასის ფოთლიანი ინტერ-ესიანი ფოტოალბომების ფენომენ ფა-ნანასიანი ანანასი ბოლოდროინ-დელ ინტერესებს ანანასიანი ინტერ-ესებია.

ეკეთი ეკეთების ანანასია ინ-ტერესიანობის ფენომენ ინტერესი-ანი ინტერ-ესებიანის ბოლოდროინ-ინტერესებს ანანასიანი ანანასი ინ-ტერ-ესებია.

ადამიანი

„მთვრალი ზღარბით“ მოხიბლული კლიენტი

და სტილისტის თვალში დამცირებული მომღერალი

სტილისტები არა მხოლოდ ხალხის ვარცხნილობაზე ზრუნავენ, არამედ კლიენტებისგან „აღსარებასაც იბარებენ“. ამიტომ ამ პროფესიის ადამიანებმა თითქმის ყველაზე ყველაფერი იციან. გაირკვა, რომ კარგი სტილისტი ხალისიანი და კონტაქტურიც უნდა იყოს: უუმურ პარიკმახერს პატარა შეცდომაც არ ეპატიება, ხალისიანს კი კლიენტები ცუდად გაკეთებულ ვარცხნილობასაც იოლად აპატიებენ.

ეთო ყორღანაშვილი

ევა შატვერიანი, *სტილისტი:*

— ერთხელ ძალიან ცუდი ამინდი იყო, თან — მიტინგი მიმდინარეობდა და კლიენტები არ გვყავდა. სალონში ლუდი და თევზი მოვიტანეთ და აქაურობა ავაყროლეთ! ლუდმა თავისი ქნა და ცოტა არ იყოს, დავთვერი. მოულოდნელად, სალონში სოლიდური ქალბატონი შემოვიდა: ვაიმე, ხელს ხომ არ გიშლით? თმის შეჭრა მინდაო. უბრალო „პრიჩოსკა“ უნდოდა. შეჭრა დავიწყე: ერთი „კრუგი“, ორი, სამი... ვატყობ, რომ თმა მოკლდება და მოკლდება! ბოლოს ქალბატონი ადგა და აღტაცებულმა მითხრა: ვაიმე, რა მშვენიერია! რა ჰქვია ამ ვარცხნილობას? დავფიქრდი, — რა ჰქვია? უცებ გონება გამინათდა და ვუპასუხე: „მთვრალი ზღარბი“-მეთქი! მეორე დღეს ისევ ის ქალბატონი გვესტუმრა, ამჯერად — დაქალთან ერთად: „შეგიძლიათ, „მთვრალი ზღარბი“ ამასაც შეაჭრათო? შევაჭერი, მაგრამ გეფიცებით, ისეთი არ გამომივიდა — რაღაც დამაკლდა. თანამშრომლებმა (მაშინ სომხები მუშაობდნენ) სომხურად მითხრეს: მიდი, ევა, ლუდი დალიე და გამოგივაო (*იცინის*)...

— **განსაკუთრებით, რა მოგწონს შენს პროფესიაში?**

— თმის შეჭრა (*იცინის*)! დავარცხნაც მაგარია, მაგრამ როცა თმას ვჭრი, ჩემს სტიქიაში ვარ! შეღებვაც მიყვარს — კარგია „თხუპნიაობა“.

— **თმის ფერთან დაკავშირებით, ექსპერიმენტებს ხშირად ატარებ?**

— კი, ჩემი დღე ექსპერიმენტებით იწყება და მთავრდება!

— **საკუთარ თავზე?**

— მხოლოდ საკუთარზე — რატომ? ცოდვა არ ვარ? სხვებზეც (*იცინის*)!

— **იოლად გეთანხმებიან?**

— არ იციან, რომ ექსპერიმენტია (*იცინის*). საბოლოოდ ყველაფერი კარგად მთავრდება და კლიენტი კმაყოფილია. მე პირადად, თმის ფერს კვირაში ერთხელ ვიცვლი. სალონში ხშირად მკითხულობენ: — დღეს ის ქერათმიანი პატარა გოგონა არ მუშაობსო? — პატარა გოგონა აქ არის, მაგრამ ქერა თმა აღარ აქვსო, — პასუხობენ (*იცინის*).

— **ევა, ცნობილია, რომ სტილისტებს კლიენტები თავიანთ ცხოვრებაზე ხშირად უყვებიან. ალბათ ყოფილა შემთხვევა, როცა საკუთარი პრობლემაც ბევრი გქონია და სხვისი მოსმენის ხასიათზე არ ყოფილხარ.**

— დილით სალონში რომ მოვალ და ჩემს მაგიდასთან კლიენტს დავისვამ, ეს უკვე დადებითად მოქმედებს. ცუდ ხასიათზე როცა ვარ, მაინც „ჩავირთვები“ ხოლმე. ვიდრე თმას მოვუწესრიგებ, იმის გაგებასაც ვასწრებ, თუ რა ექნება სადილად იმ დღეს (*იცინის*). ვერ ვიტყვი, ყველაზე ყველაფერი ვიცი-მეთქი, მაგრამ ბევრ რამეს მიყვებიან... ამიტომაც მიყვარს ჩემი კლიენტები. მათი უამრავი საიდუმლო მხოლოდ მე ვიცი!

— **რჩევებსაც გეკითხებიან?**

— ისეთი ასაკი არა მაქვს, რომ რჩევების მიცემა შემეძლოს, მაგრამ გულს რომ გადამიშლიან, დარდი უმსუბუქდებათ. ძირითადად, ასეთ „რჩევებს“ ვაძლევ: არ ინერვიულოთ, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი (*იცინის*). ზოგჯერ თმა სულ არა აქვთ შესაჭრელი, მაგრამ უნდათ, რაღაც მიამბონ. მათ ჩემს ამბებსაც ვუყვები — არაფერს ვუმალავ, რჩევებსაც მაძლევენ... შეყვარებული მყავდა. ჩვენ შორის ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ მას ჩემი სამუშაო გრაფიკი არ მოსწონდა. ყოფილა შემთხვევა, როცა დასვენების დღეს რაღაც დაგვიგეგმავს, მაგრამ ამ დროს კლიენტს დაურეკავს და სალონში წავსულვარ. ვიდრე შეყვარებული თავად მეტყოდა, — თავი დამანებეო, — თვითონვე დავშორდი. ჩემი საქმე ძალიან მიყვარს, წლების მატებასთან ერთად, ვგრძნობ, რომ უფრო შემიყვარდება, ამ პროფესიაში უფრო დავიხვეწები და თავისუფალი დრო კიდევ უფრო ნაკლები მექნება. (*იცინის*)...

— **არჩევანის გაკეთება არ გაგიჭირდა?**

— არა, არაფერს ვნანობ. ჩემი პირადი ცხოვრება აქაა, სალონში. ან პარიკმახერი უნდა „დავითრიო“, ან ისეთი ადამიანი, ვისაც ჩემთვის არ ეცლება — ორივე ძალიან

დაკავებული ვიქნებით (*იცინის*).

— ეკა, მამაკაცებსაც ემსახურები?

— არა, ქალები მირჩევნია.

— რატომ?

— მამაკაცებთან ისე ვერ ვიჭორავებ, როგორც ქალებთან (*იცინის*). ქალის ვარცხნილობაზე უფრო მეტ „ოპერაციას“ ატარებ — შეჭრა, შელებვა, დავარცხნა... ეს რთული და საინტერესო სამუშაოა. ქალებით დავიწყე და ქალებში დავრჩები (*იცინის*)!

გოგა მურადოვი:

— ჩემთვის ქალებთან მუშაობა უფრო საინტერესოა. ისე, მამაკაცების „პრიჩოსკებზეც“ რომ ვიზრუნო, უბნის ბიჭები სულ ჩემთან მოვლენ და სალონში „ბარდაგი“ იქნება, მით უმეტეს — იციან, როგორი ხათრიანიც ვარ (*იცინის*).

— დიდი ხანია, რაც სტილისტი ხარ?

— 2 წელია. სკოლა რომ დავამთავრე, ჯარში წავედი. მერე საზღვარგარეთ გამგზავრებას ვაპირებდი და მოულოდნელად დაქალმა სტილისტობა მირჩია, — ჩემმა ნათესავმა 3 თვეში ისწავლაო. იოლად სასწავლი პროფესია მეგონა, მაგრამ ძნელი ყოფილა. თავდაპირველად, არ გამომდიოდა, სწავლაშიც ბევრს ვიხდიდი, 1 წლის წინ კი თბილისში ჩატარებულ სტილისტთა ჩემპიონატზე პირველი ადგილი დავიკავე.

— სწავლაში გადახდილი თანხის ამოღება შეძელი?

— მთლიანად — არა. ძვირად ღირებული ინსტრუმენტები მაქვს — მხოლოდ მაკრატელი 200 ლარი ღირს. მობილური ტელეფონების არ იყოს, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ „მესამე თაობის“ მაკრატლით ვმუშაობ. ამას თმის შეჭრისას დიდი მნიშვნელობა აქვს — უფრო კარგი ვარცხნილობა გამოდის.

— ვარცხნილობასთან დაკავშირებით, კლიენტს არჩევანს თუ უწუნებ ხოლმე და საკუთარ ვარიანტს თუ სთავაზობ?

— რა თქმა უნდა. უნდა მიხვდე, ცხოვრების როგორი სტილი აქვს და ამის მიხედვით შეურჩიო ვარცხნილობა, თმის ფერი... კლიენტს ისეთი ვარცხნილობა უნდა გაუკეთო, როგორიც შენ გსურს და არა — პირიქით. ამისათვის მისი „შებმა“ უნდა შეგეძლოს. ცოტა ხნის წინ გოგონამ პამელა ანდერსონის სურათი მოგვიტანა, რომელსაც ფოტოზე თმა საერთოდ არ უჩანდა. ვუთხარი: თუ ასეთი მკერდი გინდა, კუზანოვის კლინიკაში მიბრძანდი-მეთქი (*იცინის*). ბოლოს და ბოლოს, ბევრად უკეთესი მელირება გავუკეთეთ თმაზე, ვიდრე პამელას ჰქონდა. ამ შემთხვევაში, კლიენტი „შებმულია“ — ის ყოველთვის შენთან მოვა, რადგან გენდობა. ზოგჯერ კლიენტები „გვაბამენ“: ტელეფონის ნომერს გვთხოვენ, სამსახურის შემდეგ, სადმე გვეპატიჟებიან... ერთხელ გოგონა მოვიდა და დაჯდა. ვიფიქრე, კონტაქტში არ შემოვიდოდა (ასეთი ადამიანებიც გვსტუმრობენ). პირველი ნაბიჯი მე გადავდგი და საუბარი წამოვიწყე. ცოტა ხანში, მანაც დაიწყო ხუმრობა.

— ...და ფიქრობ, რომ შენს „შებმას“ ცდილობდა?

— დამშვიდობებისას ტუჩებში მაკოცა, ვა (*იცინის*)!

— ყოველთვის იცი — კლიენტს რა თემაზე ელაპარაკო?

— ეს იოლია. როცა ვსწავლობდი, ჩემი მასწავლებელი მეუბნებოდა: მუშაობას რომ დაიწყებ, ფსიქოლოგი გახდებიო. მართლა ასე ყოფილა. ადამიანს ერთი შეხედვით „ვშიფრავ“, რას წარმოადგენს და საუბრის თემასაც ამის მიხედვით ვარჩევ. უკაცრავად, მაგრამ „პუტანკას“ ჭადრაკზე ხომ არ ველაპარაკები (*იცინის*)! მოკლედ, ფსიქოლოგიც ვარ, თმის მკურნალიც და „პახოდუ“, ადამიანებისგან უამრავ „აღსარებას“ ვისმენ, საკუთარ ცხოვრებაზე ხშირად მიყვებიან.

— იქნებ შენი რომელიმე კლიენტის ერთი შემაძრწუნებელი „აღსარება“ მაინც გაიხსენო?

— ერთი ჩვენი კლიენტი გოგონასგან შევიტყვე, რომ თურმე ბათუმში საცურაო კოსტიუმის ქვედა ნაწილი დაუკარგავს, რის გამოც გული ძალიან დასწყვეტია. ზუსტად ისეთ ტრუსს წლების განმავლობაში ეძებდა, მაგრამ ვერსად მიაგნო, რომ ეყიდა. ერთ ზაფხულს დასასვენებლად ისევ ბათუმში გაემგზავრა. მობილურ ტელეფონზე დავურეკე და სერიოზული ხმით ვუთხარი: — გამარჯობა, ზურა გვაზავა ვარ, საზღვაო პოლიციიდან... — რა ხდება, რა პოლიციაო? — შეშფოთდა. — თურქეთის საზღვარზე თქვენი „ტრუსიკი“ ვიპოვეთ-მეთქი, — ვუპასუხე. ეგრევე „მოწვა“, ვინც ვიყავი (*იცინის*)...

— გოგა, შენი მომსახურებით ცნობილი ადამიანები თუ სარგებლობენ?

— კი, მინისტრები, ელჩები, ბიზნესმენები მოდიან...

— ბიზნესმენები საკუთარ პრობლემებზე არ გელაპარაკებიან?

— არა, ბევრს არ ლაპარაკობენ — ძირითადად, ჩუმად არიან. ეტყობა, რაღაცას მალავენ (*იცინის*). სამაგიეროდ, „ჩაის“ გვიტოვებენ.

ეკა ბეგაშვილი:

— ცნობილ ადამიანებს ხშირად მოვმსახურებივარ, განსაკუთრებით, ერთი მათგანი დამამახსოვრდა (მის ვინაობას შეგნებულად არ დავასახელებ): თმა დავუვარცხნე; ძალიან მოეწონა და კმაყოფილი წავიდა, მადლობაც გადამიხადა. 15 წუთის შემდეგ უკან მობრუნდა და მითხრა: ეს რა არის? საერთოდ არ მომწონს, თანხა უკან დამიბრუნეთო! მისი ეს საქციელი ჩემთვის მოულოდნელი იყო. მსგავს სიტუაციაში არასოდეს აღმოვჩენილვარ...

— ალბათ, რამის ყიდვა უნდოდა და თანხა დააკლდა...

— მეც ასე ვიფიქრე (*იცინის*). შესანიშნავი მომღერალია, მაგრამ ჩემს თვალში, პიროვნულად, ძალიან „დამცირდა“.

— ეკა, თქვენი პირველი კლიენტი თუ გახსოვთ?

— პირველად თმა მეგობარს შევუღებე. საღებავი წავუსვი და საშრობში შევსვი. ცოტა ხანში განწირული ხმა გავიგონე: — ეკა, გამომიყვანე აქედან, აღარ შემიძლია — თავი დამეწვაო! — არა უშავს, უნდა დაგეწვას-მეთქი! — დავამშვიდე. 15 წუთში გამოვიყვანე — ბოლი ასდიოდა (*იცინის*)...

— მეგობრობაც ამას ჰქვია!.. კლიენტი არ გაპატიებდათ ალბათ.

— არა, რა თქმა უნდა! ყველანაირ პრაქტიკას მეგობარზე გავდიოდი, სემინარებზეც დამყავდა და ასე ვთქვათ, ჩემი „საცდელი კურდღელი“ იყო. ერთხელ მოკლე თმაზე „ქიმია“ გავუკეთე და მერე მეხვეწებოდა, — საერთოდ გადამპარსეო (*იცინის*)... ნელ-ნელა საქმე კარგად ავითვისე და დღეს ჩემი სამსახურით კმაყოფილი ვარ.

გაიანე კარაპეტიანი:

— ერთხელ უკრაინიდან კაცი ჩამოვიდა და ჩვენს სალონს ესტუმრა. თმის შეჭრის შემდეგ აღნიშნა: დაბანა საშინლად არ მიყვარსო. თავი ისე დავბანე, რომ კატასავით კრუტუნებდა: ვაიმე, ვაიმე, ისეთი მაგარია, ბავშვობაში დედა როგორც მბანდა, ზუსტად ისეაო (*იცინის*).

— თავის დაბანასაც განსაკუთრებული ცოდნა სჭირდება?

— აბა, რა! კლიენტს ყურებში წყალი არ უნდა ჩაუვიდეს, მაკიაჟი არ გაუფუჭდეს. რაც მთავარია, მისი თმისთვის შესაბამისი შამპუნი უნდა შეარჩიო. წინათ, როცა კლიენტი არ მომწონდა, ამის შესახებ სომხურად აღვნიშნავდი ხოლმე. ერთხელ თავის დასაბანად, ასაკოვანი ქალბატონი მოვიდა. დაჯდა და საკუთარ თავზე ლაპარაკი დაიწყო: რა მშვენიერი ვარ, ანგელოზს ვგავარო! არადა, რომ გენახა, შეგეშინდებოდა. ვბანდი და თან, სომხურად ვამბობდი, უფრო სწორად — ვღიღინებდი: ვაიმე, რა „კრაკადილია“, რა ულამაზოა, საიდან ჩამოვიდა-მეთქი?! მოულოდნელად მკითხა: ეს მე ვარ ულამაზო? ნეტავ, მართლაო?!. არ მეგონა, თუკი თავადაც სომეხი იყო. სირცხვილით ლამის მიწა გამისკდა. ის ქალი წავიდა და აღარ დაბრუნებულა (*იცინის*).

ანდრეი მარქაროვი:

— მამაკაცებისა და ბავშვების ვარცხნილობაზე ვზრუნავ. 17 წლის მანძილზე, ჯერ ჩემთვის საყვედური არავის უთქვამს. ყველა კლიენტთან კარგი ურთიერთობა მაქვს. ზოგ მამაკაცს ვურჩევ ხოლმე, თმა გაიზარდოს. მთანხმდებიან, მაგრამ თმის მოვლით მალე იღლებიან და ისევ მოკლე ვარცხნილობას ირჩევენ, რაც ძალიან სამწუხაროა — შრომას წყალში მიყრიან. საკუთარ ცხოვრებაზეც ხშირად მიყვებიან, თუმცა „ისეთ“ საიდუმლოებებს არ მიმხელენ — შეიძლება, ერიდებათ, რადგან იციან, რომ ძალიან კულტურული ადამიანი ვარ.

— ახალგაზრდები რას გეუბნებიან ხოლმე?

— ახლანდელ თაობას ცოტა კრიტიკულად ვაფასებ. ისინი „ველურ“ ფილმებს რომ უყურებენ, თავადაც ველურდებიან. ამასთან დაკავშირებით, რჩევებს, შენიშვნებს ვაძლევ. საბედნიეროდ, მეთანხმებიან. სტილისტებს ძალიან კარგი პროფესია გვაქვს: მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ ვიცით, ყოველდღე რაღაც ახლის სწავლის სურვილი გვიჩნდება, თან — კლიენტებისგან ბევრ საინტერესო ამბავს ვისმენთ. ■

ქართული სილამაზის სიმბოლო

თამუნა კვინიკაძე

კინოსტუდიაში დიდი ფუსფუსი იყო. ნიკოლოზ სანიშვილი — „დავით გურამიშვილის“ გადაღებას იწყებდა. როლები თითქმის განაწილებული ჰქონდათ. მხოლოდ ერთი ახალგაზრდა, ლამაზი ქალის სახე აკლდათ. რეჟისორმა დავითის სატრფოს ესკიზების შექმნა მხატვარ თამარ აბაკელიას დაავალა. დრო არ ითმენდა, ბუნებრივია, რეჟისორის დედაც ნერვიულობდა. ის თბილისის ქუჩებში დადიოდა და როლისთვის სასურველ სახეს ეძებდა. ერთ დღეს პროდუქტის საყიდლად ბაზარში შევიდა და მისი ყურადღება დახლთან მდგომმა გოგონამ მიიპყრო. მისი მზერა გოგონამაც იგრძნო. უხერხულად გაუღიმა და გზა განაგრძო. ის კი უკან გაჰყვა, დალაპარაკება არც უცდია — ვაითუ, დაფრთხესო. გოგონა შინ შევიდა, რეჟისორის დედამ მისი ვინაობა ეზოში მოთამაშე ბავშვებისგან გაიგო, შინ დაბრუნდა და ყველაფერი შვილს უამბო. მანაც დედას ხათრი ვერ გაუტეხა და ასისტენტი მეორე დღესვე იმ ლამაზი გოგონას მოსაყვანად გაგზავნა.

„ვნანობ, რომ შვილი არ ავიყვანე“

კინოსტუდიაში მეორე დღესაც ბევრი ხალხი მიდი-მოდიოდა. გოგონა კუთხეში დაჯდა და რეჟისორს დაელოდა. ამ დროს თამარ აბაკელიაც მოვიდა, ესკიზები მოიტანა, მაგიდაზე გაშალა, ნამუშევარი შეუქეს, უცებ მოხდა საოცრება, ყველამ კუთხეში მოკრძალებულად მდგარი გოგონასკენ გაიხედა. მხატვრის ესკიზებში დახატული თითქოს ქაღალდიდან გადმოსული იყო. ეს გოგონა 19 წლის დოდო ჭიჭინაძე გახლდათ.

მისი სილამაზისადმი გულგრილი არავინ რჩებოდა. როცა რომის პაპი, იოანე XIII სხვადასხვა ქვეყნის ქალთა ტიპაჟურ სახეებს აგროვებდა, საქართველოდან მედეა ჯაფარიძის, ლიანა ასათიანის, ლია ელიავასა და დოდო ჭიჭინაძის სურათები გაგზავნეს. პაპს აღფრთოვანება ვერ დაუმალავს და უთქვამს: — ესენი (მედეა ჯაფარიძე და ლია ელიავა) დიდებული ევროპაა, ეს (ლიანა ასათიანი) — მშვენიერი აღმოსავლეთი, აი, ეს სახე კი (დოდო ჭიჭინაძე), მგონი, მართლა ქართულიაო, — წერს ეთერ ავაზაშვილი-მაცხონაშვილისა წიგნში „საქართველოს მშფოთვარე ჭირისუფალი“.

ჭიჭინაძეების ძირი იმერეთშია, სოფელ ჭოლევში. მსახიობის თითქმის ყველა წინაპარი მოწამეთას ეზოშია დაკრძალული, თავად დოდო შილდაში გაიზარდა. მამამისი 1924 წლის აჯანყების მონაწილე იყო, ქაქუცა ჩოლოყაშვილთან მეგობრობდა. როცა მასობრივი დახვრეტები დაიწყეს, ისიც შორაპანთან ჩამომდგარ ვაგონში შეაგდეს. ხალხს ვაგონში რამდენიმე დღე ამყოფებდნენ, მერე გამოჰყავდათ და იქვე ხვრეტდნენ. მაგრამ დოდოს მამა გადარჩა. მსახიობი მამის გათავისუფლების ამბავს ასე იხსენებს: **„თინა მამიდამ (გურამ ასათიანის დედა) მიაკითხა ერთ ნაცნობს, მაშინდელ „წონიან“ პიროვნებას — სიმონ ჯუღელს და სთხოვა, მამა გაეთავისუფლებინათ... გულისხმიერება გამოიჩინა. რადგან კახეთი უკვე ქარიშხალგადავლილი იყო, მამას იქ წასვლა ურჩიეს. ეჭიმმა ანდრონიკაშვილმა შეიფარა, ასე დასახლდნენ შილდაში“.**

სკოლის მოსწავლე იყო მომავალი მსახიობი, როცა უმცროს ძმასთან ერთად სასწავლებლად სოფლიდან თბილისში გადმოვიდა. სკოლა ფრიადზე დაამთავრა და იმ წელსვე სამედიცინო ინსტიტუტში ჩაირიცხა. მერე ის მოხდა, რასაც ბედისწერა ჰქვია. ფილმ „დავით გურამიშვილს“ დიდი წარმატება ხვდა წილად. შემდეგ ფილმში „ბედნიერი შეხვედრა“ მიიწვიეს. **„მაშინ გადავწყვიტე, რომ საბუთები სამედიცინო ინსტიტუტიდან გამომეტანა, დიდმა ვერიკომ მითხრა: შენ უნდა იყო მსახიობი! მე მივიღე მისი და შალვა ღამბაშიძის რჩევა და თეატრალურ ინსტიტუტში შევედი. ამ ამბავმა მშობლები, განსაკუთრებით კი მამა გააბრაზა“.**

ბუნებრივია, ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა, ბევრი ეტრფოდა, მაგრამ პირად ცხოვრებაში არ გაუმართლა. 20 წლის იყო, როცა იქორწინა. მისი მეუღლე პროფესიით დრამატურგი გახლდათ, დოდოზე ბევრად უფროსი, ერთმანეთს მალე დაშორდნენ, მსახიობი მიიჩნევდა, რომ მასთან ერთად ცხოვრებას ვერ შეძლებდა... **„შემდეგ ყველა მიყურებდა, როგორც განათხოვარ, ლამაზ ქალს. ეს მე მაგიჟებდა და საშინლად ვნერვიულობდი... ვნანობ, რომ იმ კაცის ცოლი ვიყავი“.** მერე ეს ლამაზი ქალი უკარებად იქცა, როგორც კი გაიგებდა, მისით ვინმე დაინტერესდა, არ სიამოვნებდა, ცდილობდა, მისგან შორს ყოფილიყო, არ დაეახლოვებინა, ოჯახის შექმნაზე აღარც ფიქრობდა, მაგრამ ბიძაშვილი — დათო ჭიჭინაძე შეუჩნდა, ჩემს მეგობარს უსაზღვროდ უყვარხარ, შენ გარდა არავინ უნდა, მარტო როდემდე უნდა იცხოვროო და... 40 წლის ასაკში ალექსი ბუზ-ოღლიზე იქორწინა. იგი ცნობილი ინჟინერი იყო. ხშირად სხვადასხვა ქვეყნიდან მი-

„დავით გურამიშვილს“ დიდი წარმატება ხვდა წილად.

წვევა ჰქონდა: **„მასთან ერთად 23 ქვეყანა მოვიარე, ხელგაშლილი კაცი იყო, ყველას უყვარდა ჩვენთან სტუმრობა. ამ სახლში ბევრი უცხოური დელეგაციისთვის გვიმასპინძლია, მუზეუმივით იყო აქაურობა... მასთან ნამდვილად ბედნიერი ვიყავი. ერთადერთი, რაზეც მსახიობი ძალიან ნერვიულობდა, უშვილობა იყო. „ვნანობ, რომ ბავშვი არ ავიყვანე, წლების წინ უპატრონო ბავშვთა**

საქართველოში ბოლო წლებში განვითარებულ მოვლენებს ძალიან განიცდიდა

სახლში გახლდით. კართან 7-8 წლის ბიჭი იდგა, გულთან ლეკვი ჰყავდა მიხუტებული. ვკითხე, — ბები, ეს ძაღლი ვისია-მეთქი? — ეს ძაღლი უპატრონოა, არ მინდა მოკვდეს, ამიტომ წამოვიყვანე და ჩემს ულუფას ვუყოფო. ამ სიტყვებმა ადგილზე გამაშეშა. ვიფიქრე, ნეტავ, 50 წლის მაინც ვიყო, რომ ეს ბავშვი სახლში წავიყვანო და გავზარდო-მეთქი. სულ ვნანობ, რომ არ წამოვიყვანე...“

ერთხელ ჟურნალისტმა ჰკითხა: — თქვენი როლებიდან, რომელი ჰგავს ნამდვილ დოდო ჭიჭინაძეს? მსახიობმა კი ასეთი პასუხი გასცა: — რევაზ ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივში“ ქვრივის როლი, რომელიც ქართველი ქალის საოცარი თვისებების მატარებელია. ეს არის დედა და უპირველეს ყოვლისა, ქალი, რომელმაც პირადული მეუღლის ხსოვნას შესწირა. ასეთი დედები თეატრებშიც ბევრი გვყავდა.

ბედნიერი იყო იმით, რომ მთელი ცხოვრება სამშობლოსთვის შეწირულ ადამიანებს თამაშობდა. როლი, რომლის შესრულებაზეც ოცნებობდა, ქეთევან წამებული იყო. თეატ-

რისგან თავისუფალ დროს წიგნის კითხვაში ატარებდა. და ამბობდა, მსახიობი რომ არ ვყოფილიყავი, აუცილებლად საბავშვო მწერალი გავხდებოდიო. ყოველთვის ღიმილით იხსენებდა ერთ პატარა მეგრელ გოგონას. **„გასვლითი სპექტაკლი გვქონდა სამეგრელოში. ჩემთან პატარა გოგონამ მოირბინა და მითხრა: — დეიდა, თქვენ ხომ დოდო ჭიჭინავა ხართო? მსახიობებს სიცილი აუტყდათ. — რა გაცინებთ-მეთქი? ეს ქალი სადაც წავა, ყველგან იქაურიაო. ის გოგონა გულში ჩავიკარი, ძალიან რომ უნდოდა, მეგრელი ვყოფილიყავი. გამიხარდა. სასიამოვნო მოგონებებს რა დალევს. ერთხელ ყვარელში მაყურებელს „მეფე ერეკლე“ ვუჩვენეთ. სრული ანშლაგი იყო. ხომ გაგიგიათ, ყველა სოფელს თავის გიჟი ჰყავსო, ყვარელსაც ჰყავდა, „შექსპირას“ ეძახდნენ. მივედით იმ ადგილამდე, მე უნდა „მოვკვდე“, დარბაზიდან სცენაზე გააფთრებული ამოვარდა და განწირული ხმით დაიღრიალა — არ მოკლათ, თორემ ყველას დაგხოცავთო. დარბაზში სიცილი ატყდა, ძლივს დაამშვიდეს“.**

მსახიობის დიდი ბაბუა, ალექსანდრე ჭიჭინაძე პეტერბურგში ცხოვრობდა. ივანე რატიშვილთან ერთად მასაც შეუტანია წვლილი „ერმიტაჟის“ საგანძურის დაცვაში. რატიშვილს ქალბატონი დოდო თავადაც იცნობდა, სწორედ მან ასწავლა ცხენზე ჯირითი იპოდრომზე, როცა „ბაში-აჩუკის“ გადასაღებად ემზადებოდა.

საქართველოში ბოლო წლებში განვითარებულ მოვლენებს ძალიან განიცდიდა, ამა თუ იმ საკითხზე საკუთარ შეხედულებას დაუფარავად გამოხატავდა. 90-იან წლებში, როცა ყველაფერი აირ-დაირია, ძალიან შეშინდა, რაკი რუსთაველის გამზირთან ახლოს ცხოვრობდა, კარი სულ ღია ჰქონდა. სროლას გამორიდებულ, გაქცეულ ხალხს იფარებდა, ტყვიებს ჩემთან ემალებოდნენო. მან ლტოლვილების ერთი ოჯახიც შეიფარა. **„ერთი წელი ჩემთან ცხოვრობდნენ, მერე ფართობი გამოუყვეს... ზოგჯერ უკანასკნელი ლუკმაც გამიღია და მეორე დღეს გამჩენია ის, რაც საჭირო იყო. ასე ვუყვარვარ ღმერთს. სხვანაირი ქალი ვარ. მიყვარს ადამიანები. მე რომ ფული მქონდეს, ავაშენებდი ერთ დიდ და ლამაზ სახლს გარეუბანში, მივიყვანდი უპატრონო ბავშვებს და იქ ვაცხოვრებდი, ჩავაცმევდი და გამოვკვებავდი ძალიან კარგად. მივცემდი საუკეთესო განათლებას და არაფერს მოვაკლებდი. ქართულ გენში ხომ მუდამ არსებობდა სხვაზე ზრუნვისა და დახმარების კოდი.“** ეამაყებოდა, რომ ქართველი იყო. ერთხელ მისთვის არკადი რაიკინს უთქვამს: საქართველო ბუმბერაზი ფილარმონიაა, რომელიც მთელ მსოფლიოს უნდა აჩვენო, როგორც დიდი და ნამდვილი ხელოვნებაო.

ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ვკითხულობთ: **„იმდენ რამეზე ვარ აღშფოთებული... ხანდახან ჩემიანები მეტყვიან ხოლმე: დოდო, გაჩერდი, დაწყნარდი, ნერვებს გაუფრთხილდი, შენი საქმე არ არის... როგორ არ არის ჩემი საქმე? ამას წინათ ავად ვიყავი. რამდენიმე თვე გარეთ არ გავსულვარ, რომ მოვმჯობინდი, რუსთაველზე ჩავედი. ვხედავ, მთელი პროსპექტი გადაინგლისურებულია. შემზარა. არ არის ჩემი საქმე? მე მგონი, ეს ჩემი საქმეც არის, თქვენიც, იმისიც... ამაზე ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის... გვეუბნებიან, ევროპელები ხართო. კი, ბატონო, მაგრამ ჩვენ ხომ ის ერი ვართ, რომელსაც ყველა კარგი ევროპული თვისებაც ჰქონდა და ყველა კარგი აზიური თვისებაც. ევროპელობა საკუთარი ენის უპატივცემულობას და ინგლისურის გაფეტიშებას ხომ არ ნიშნავს?.. ჩვენ საკმაოდ ჭკვიანი ხალხიც ვართ და კარგად ვიცით, რომ ყველა დიდი სახელმწიფო ღლავია. ზოგი პირდაპირ, ძალით იმორჩილებს პატარა ქვეყანას, ზოგიც — თავზე ხელის გადასმით, წახალისებით, ფინანსური დახმარებით. სულ არ ენაღვლება შენი დიდი კულტურა და ტრადიციები. ვიცი, რომ ამაზე**

სხვებიც ფიქრობენ, ბევრიც იწერება, მაგრამ საქმეს თუ არ ეშველება, ეგ რა ნუგეშია? ჩვენი არხები გამუდმებით უჩვენებენ ფილმებს, რომლებშიც ადამიანები ფულისა და ნარკოტიკებისთვის ერთმანეთს ხოცავენ. ფილმებს, რომლებშიც ქალ-ვაჟი ერთად იღვიძებს და ქალი ეკითხება ვაჟს, რა გქვიაო? მე არ მინდა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ამ ფილმებზე გაიზარდოს... ყველაფერში ევროპელებს რომ ვბაძავთ, რატომ მათსავით ისტორიის პატივისცემა არ ვისწავლეთ?.. მე იმაზეც საშინლად მტკივა გული, აფხაზების და ოსების დაჩაგვრას რომ გვაბრალებენ და ათასნაირ კომისიას და დამკვირვებლებს გვიგზავნიან, რად უნდათ? აიღონ და წაიკითხონ „ვეფხისა და მოყმის ბალადა“. განა შეიძლება, მისმა შემქმნელმა ერმა ვინმე დაჩაგროს?“

შვილი არ ჰყავდა, სამაგიეროდ, ბევრისგან განსხვავებით, სხვისი შვილების საკუთარივით შეყვარება შეეძლო. მოზარდების პრობლემებზე ხშირად გულისტკივილით საუბრობდა: **„ამას წინათ ბავშვთა კოლონიაში ვიყავი. იქ 15-17 წლის ბიჭები იყვნენ, უმეტესობა საჭმლის ქურდობისთვის იხდიდა სასჯელს. შეიძლება, ქვეყანა ისე მოაწყო, ბავშვი საჭმელს იპარავდეს?“**

დოდო ჭიჭინაძეზე მის პიროვნულ თვისებებზე, მსახიობურ ნიჭსა და სილამაზეზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი. მოსაგონი კიდევ ბევრია, მაგრამ ერთ სტატიაში ჩატევა — შეუძლებელი. მისი შინაგანი სამყაროც ისეთივე მომხიბვლელია, როგორიც გარეგნული სილამაზე. **„ხშირად მეკითხებიან: ისევ ისეთი როგორ დარჩითო? ცხოვრებაში არავისი შემშურებია, არავისთვის ცუდი არ გამიკეთებია, ცუდი არც კი მიფიქრია, ყოველთვის მინდოდა, ყველა კარგად ვყოფილიყავით...“**

ასეთი იყო დოდო ჭიჭინაძე — ქართული სილამაზის სიმბოლო. ■

თავისუფალ დროს წიგნის კითხვაში ატარებდა. და ამბობდა, მსახიობი რომ არ ვყოფილიყავი, აუცილებლად საბავშვო მწერალი გავხდებოდიო

„თუ შენს სამშობლოს არ დასჭირდები, შენ დასჭირდები სხვათა სამშობლოს“...

პოეტმა ჯანსულ ჩარკვიანმა სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში გამართულ რაულ ჩილაჩავას შემოქმედებით საღამოზე ბრძანა: ეს ის ღირსეული ადამიანია, რომელიც „სხვა სამშობლოშია“, მაგრამ ნიადაგ თავის სამშობლოში რჩებაო... კიდევ ბევრი თბილი სიტყვა უთხრეს, მოეფერნენ. თვითონაც აღნიშნა: უბედნიერესი ვარ, ძალიან გავიხარე, 20 წლის უნახავ მეგობრებს შევხვდიო. მაგრამ სამშობლოში ვიზიტი ხანმოკლე აღმოჩნდა. მის წასვლამდე ჩვენი საერთო მეგობრის, მწერალ გურამ ოდიშარიას წყალობით, ინტერვიუს ჩაწერა მაინც მოვასწარით. მოლოდინისამებრ, უკრაინის ელჩს ლატვიაში, ორი ქვეყნის მწერალთა კავშირების წევრს, აკადემიკოს რაულ ჩილაჩავას ბევრრამ ჰქონდა თანამემამულეთათვის მოსაყოლიც და სათქმელიც.

ირმა ხარშილაძე

— ბატონო რაულ, როგორ აღმოჩნდით „სხვა სამშობლოში“ და როგორ გახდა ის თქვენთვის მშობლიური?

— ჯერ ერთი, მეორე სამშობლო არ არსებობს და არც აქედან წავსულვარ ისე, რომ ჩემს სამშობლოს და მის ინტერესებს დავშორებოდი. მეორეც, ეს ძალიან დიდი ხნის ამბავია: 42 წლის წინ თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი, კონკურსის გავლის შემდეგ, 2 წლით გაცვლითი პროგრამით კიევის უნივერსიტეტში უკრაინული ენისა და ლიტერატურის შესასწავლად გავემგზავრე. ის ორწლიანი მივლინება კი დღემდე გაგრძელდა — გამგზავნებს ჩემი უკან დაბრუნება დაავიწყდათ (*იცინის*). მერე ერთი „მივლინებიდან“ მეორეში აღმოვჩნდი: უკვე მეოთხე წელიწადია, ლატვიაში ვცხოვრობ. მაგრამ გეოგრაფიულ წერტილს მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, რით ცხოვრობ და რა გასულდგმულებს. მაღალფარდოვნებაში ნუ ჩამომართმევთ და, ჩემთვის უპირველესი ყოველთვის, საქართველო და ქართული ინტერესი იყო და არის!

— პოეზია და დიპლომატია — რომანტიზმისა და რეალიზმის შერწყმა... არ გერთულებათ?

— დიპლომატი ზედმიწევნით რეალისტი და შორსმჭვრეტელი უნდა იყოს, რომანტიკა მას შეიძლება, ძალიან ცუდად შემოუბრუნდეს — დიპლომატში თუ პოეტმა იმძლავრა, ის თავისი ქვეყნის ინტერესებს ვერ დაიცავს. ლირიკა მხოლოდ იარაღად შეიძლება, მოიშველიო. მსოფლიო დიპლომატიის ისტორიას მრავლად ჰყავს დიპლომატი-პოეტი, ჩვენც გვყავდა ბრწყინვალე პოეტი — ბესარიონ გაბაშვილი — ბესიკი, რომელიც რუსეთსა და უკრაინაში ერეკლე მეფის დესპანი გახლდათ... პოეზიასა და დიპლომატიას არც არაფერი აკავშირებს, გარდა იმისა, რომ პოეზიაც, ისევე, როგორც დიპლომატია, ერთგვარი ხიდია ადამიანებს შორის... ლატვიაში სამუშაოდ ჩავედი თუ არა, 5 ენაზე მაშინვე გამოსცეს ჩემი წიგნი და პრეზენტაციაზე უამრავმა ადამიანმა უფრო ღრმად სწორედ ჩემი ლექსებით გამიცნო. როდესაც ლატვიელი პოეტები ვთარგმნე და 3 ენაზე — ლატვიურად, ქართულად და უკრაინულად გამოვეცი, ბევრი ბარიერი მოიხსნა, — ლატვიელებმა შინაურ კაცად მიმიღეს. ლატვიის პრეზიდენტმა საგანგებო ბრიფინგიც კი მომიწყო. ასე რომ, პოეზია ჩემს საქმიანობაში მაშველი რგოლივითაა. სხვათა შორის, ამას წინათ რუსებმა

გამოსცეს პოეზიის დიდი ანთოლოგია და მასში აღმოვაჩინე, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის და ახლანდელი რუსეთის დიდი დიპლომატები — ალექსანდრ ბესმერტნი, ევგენი პრიმაკოვი, სერგეი ლავროვი და კიდევ სხვები ლექსებს წერენ...

— უკრაინელები და ლატვიელები ყოველთვის განსაკუთრებულ სიმპათიას იჩენდნენ ქართველების მიმართ...

— გიდასტურებთ. მტრულ გარემოცვაში ვერაფრით ვიცხოვრებდი. ხაზს ვუსვამ რიგითი უკრაინელების განწყობილებას, მასობრივად მათ პატივისცემასა და სიყვარულს საქართველოს, ქართული კულტურისა და ხალხისადმი. ასეთივე დამოკიდებულებაა ლატვიაშიც. ამავე დროს, ჩვენი და უკრაინის მიზნები ერთმანეთს ემთხვევა, ამიტომ ლატვია საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი და უკრაინის ადვოკატის, დამცველის როლშიცაა და კონსულტანტიც გახლავთ.

„უბედნიერესი ვარ, ძალიან გავიხარე, 20 წლის უნახავ მეგობრებს რომ შევხვდი“

— ეკონომიკური კრიზისი როგორ დაეტყო ლატვიელთა და უკრაინელთა ცხოვრებას?

— სამწუხაროდ, კრიზისმა ყველაზე დიდი დაღი ევროკავშირის ქვეყნებს შორის, ლატვიას დაასვა: გაიზარდა ვალები, უმუშევრობა, რასაც მიგრაცია მოჰყვა. ლატვია შენგენის წევრია და მის მოქალაქეს ნებისმიერ ქვეყანაში თავისუფლად, უვიზოდ გადაადგილება შეუძლია. ჰოდა, ყველა კარგი სპეციალისტი ქვეყანას ტოვებს... კრიზისი განსაკუთრებით, ჯანდაცვისა და განათლების სფეროს დაეტყო — ბევრი სკოლა და საავადმყოფო დაიხურა... ამ შემოდგომაზე ლატვიამ ქვეყნის ბიუჯეტი ერთ მილიარდამდე ევროთი შეამცირა, რაც საკმაოდ დიდი თანხაა და თავისთავად, კიდევ ბევრ ადამიანს უქადის სიდუხჭირეს... უკრაინაში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, რადგან უფრო რეალური ეკონომიკა არსებობს, დიდი აგრარული ქვეყანაა. ახლახან ელჩები უკრაინის საავიაციო ქარხანაში წაგვიყვანეს, სადაც მსოფლიოში უდიდეს თვითმფრინავებს — „რუსლანებს“ აწარმმოებენ. გამაოცა ამ გიგანტმა, რომელშიც ათობით ტანკი და სამასამდე სამხედრო მოსამსახურე თავსდება. ეს გახლავთ ოთხსართულიანი სახლის სიმაღლის მანქანა, რომელსაც ას მეტრამდე სიგრძის ფრთები აქვს. და ამას ერთი ქვეყანა — უკრაინა ამზადებს!

— პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უკრაინის პრეზიდენტის, ვიქტორ იუშჩენკოს დიდი მეგობარი და ამ ქვეყნის ხშირი სტუმარია. თქვენ თუ იცნობთ ბატონ სააკაშვილს ან ჩვენს მთავრობასთან თუ ურთიერთობთ?

— შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პრეზიდენტს მისი სტუდენტობის წლებიდან ვიცნობ: მოგეხსენებათ, კიევში სწავლობდა. ისიც მიცნობს და საერთაშორისო შეხვედრებზეც ერთად მოვხვედრილვათ, ორჯერ ერთმანეთს რიგაშიც შევხვდით. ზოგიერთ ქართველ პოლიტიკოსსაც კარგად ვიცნობ, მაგრამ საქმიანი ურთიერთობა არასდროს გვქონია. ვმეგობრობ ლატვიაში საქართველოს ელჩთან, კოტე კორკელიასთან. კარგი ადამიანია. ხანდახან საელჩოში ხუმრობენ კიდეც, — საქართველოს ლატვიაში ორი საელჩო აქვსო (*იცინის*).

— საქართველოს ოფიციალურ ოფიციალური უკრაინის პოზიციაც მიმაგრებდა ზურგს... მეორეც, როგორც მწერალსა და მთარგმნელს, ყოველთვის მაქვს საშუალება, ქართული სიტყვა სხვა ერებამდეც მივიტანო. წელს ლატვიაში „ვეფხისტყაოსანი“ გამოვეცი, უკრაინულად 100-ზე მეტი პოეტის ლექსი მაქვს ნათარგმნი და

უწინდელ ზუგდიდში არათუ მამაკაცები, არამედ ქართველები არ მუშაობდნენ მიმტანებად, ახლა კი იქ ქართველი ბიჭები ვნახე

ან სხვა სტრუქტურებთან რაიმე საქმიანი კონტაქტები ხომ არ გაქვთ?

— წლების განმავლობაში ხშირად წერდნენ ჩემზე ქართულ პრესაში, ადრე მართლა ხშირად ვჩანდი ჩემი საქმიანობით, მაგრამ არც ერთხელ არც შემოქმედებითი, არც სახელმწიფო სტრუქტურებისგან არ მიგრძნია, რომ ვჭირდები, არ შემოუთავაზებიათ, ჩვენთან მოდიო. გაცილებით ახალგაზრდას ბევრჯერ მიმიმართავს მწერალთა კავშირისთვისაც და მაშინდელი ცეკასთვისაც, მაგრამ არავინ შემხმიანებია. თუმცა ვინ იცის — აქ რომ დავრჩენილიყავი, რაც გავაკეთე, იმდენის გაკეთებას შევძლებდი კი? სამშობლოსგან მოწყვეტა მხოლოდ ჩემს ბიოგრაფიასა და სულიერ სამყაროს დაეტყო, მაგრამ აქედან განდეგილობაში საქმე გაცილებით მეტი ვაკეთე. იქნებ უკეთესიც იყო, რომ გახლეჩილი საზოგადოების რომელიმე ნაწილში არ აღმოვჩნდი. მაგალითად, მივხვდი, რომ ჩემს შემოქმედებით საღამოზე მეგობრების ნაწილი იმიტომ არ მოვიდა, რომ იქ სხვა, მასთან დაპირისპირებული ნაწილი ეგულებოდა. არადა, მე ხომ ორივე ნაწილი მიყვარს!.. მიწერია კიდეც ერთგან: „თუ შენს სამშობლოს არ დასჭირდები, შენ დასჭირდები სხვათა სამშობლოს“ — ზუსტად ჩემზეა ნათქვამი!.. ჩემს სამშობლოს ამ თვალსაზრისით, არ დავჭირდი, მაგრამ მან შეიძლება, უჩემოდ იცხოვროს და იცოცხლოს, მე კი ვერ ვიცოცხლებ უსამშობლოდ. სამშობლო ერთია და სადაც შემიძლია და როგორც შემიძლია, მისთვის ყველაფერს ვაკეთებ.

— მაგრამ სხვა ქვეყნის მიერ სხვა ქვეყანაში წარგზავნილ დიპლომატს თქვენი ქვეყნისთვის რისი გაკეთება შეგიძლიათ?..

— ჯერ ერთი, ნებისმიერ შეხვედრაზე ოფიციალურ საუბარს ვიწყებთ უკრაინით და ვასრულებთ საქართველოთი, რა თქმა უნდა — არაოფიციალურად, რადგან ყველამ იცის, რომ ქართველი ვარ და საქართველო მტკივა. შარშან, აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომის დროს ლატვიაში საგანგებო ბრიფინგი გავმართე და რა საშუალებასაც მაძლევდა ჩემი სტატუსი, ყველა დასმულ შეკითხვას ვუპასუხე. მე ამ ომისადმი

გურამ ოდიშარია და რაულ ჩილაჩავა სტუმრად კახეთში

გამოცემული, ახლახან უკრაინულად გამოვეცი ქართული კლასიკური და თანამედროვე პოეზიის დიდი ანთოლოგია, „დავითიანი“ და კიდევ ბევრი წიგნი. „ვეფხისტყაოსნისა“ და „დავითიანის“ უკრაინულ თარგმანზე სადოქტორო დისერტაციაც დავიცავი; ქართულად უკრაინელ მწერლებსაც ვთარგმნი, ქართულად და უკრაინულად ლატვიელი მწერლების თარგმნაც დავიწყე. ასე რომ, გულხელდაკრეფილი ნამდვილად, არ ვარ (*იღიმის*)...

— თანამედროვე ქართველი მწერლებიდან ვის გამოარჩევდით?

— ძალიან საინტერესო მწერალია აკა მორჩილაძე, ვკითხულობ დათო ტურაშვილისა და ლაშა ბუღაძის ნაწარმოებებს, ინტერნეტსივრცეში ძალიან აქტიურია ახალგაზრდა პოეტი გიორგი კეკელიძე, დამაინტერესა მისმა ღრმა, მეტაფორულმა ლექსებმა, მომწონს რატი ამაღლობელის პოეზია... შეიძლება, ვინმე კიდეც გამომრჩა, მაგრამ ინტერნეტით ყოველთვის ვეცნობი და ვაფასებ თანამედროვე ქართველი მწერლების ნაწარმოებებს. მიმაჩნია, რომ დღეს საქართველოში ლიტერატურული ცხოვრება საკმაოდ ენერგიულად ვითარდება, ლიტერატურის დარგში პრემიებიც კი არსებობს...

— რამდენიმე დღის წინ თქვენც მოგანიჭეს პრემია...

— დიახ, საქართველოში გალაკტიონ ტაბიძის პრემია მომანიჭეს, ლატვიაში — ალექსანდრე ჩაკის. ეს პატარ-პატარა აუცილებელი სტიმულებია მწერლისთვის — სასიამოვნოა იმის შეგრძნება, რომ შეგნიშნეს და შენი მუშაობა შეაფასეს, თორემ პრემიით ვერც უკეთესი გახდები, ვერც — უარესი. აქ კიდევ გადმომცეს ქალაქის მერიის საპატიო სიგელი — „ქართული კულტურის ამაგდარი“, ოქროს მედლით — სასიამოვნოა, არა?

— სამწუხაროა, რომ საქართველოში იშვიათად ჩამოდიხართ.

— ადრე ხშირად ჩამოვდიოდი. ჩემი მშობლები ცოცხლები იყვნენ, საგამომცემლო სახლებშიც ჩემი მეგობრები მუშაობდნენ, ხშირადაც ვიბეჭდებოდი. ახლა ძველი გამომცემლობები აღარ არსებობს, სამაგიეროდ, ახალია ბევრი, თუმცა იქ მომუშავენი მე არ მიცნობენ. ამიტომ ჩემს წიგნებს თვითონვე გამოვცემ და მერე ვგზავნი საქართველოში. ჩამოსვლით კი... ბოლოს ხუთწელიწად-ნახევრის წინ ვიყავი. ამ დღეებშიც თბილისი ხეირიანად ვერც დავათვალიერე, სულ მანქანით მიწევდა მგზავრობა. თბილისიდანგასული გავოცდი გაჩახჩახებული ავტობანით — თავი გერმანიაში ან კიდევ სხვა ევროპულ ქვეყანაში მეგონა. მხოლოდ ჩემს მშობლიურ ზუგდიდში მოვახერხე ფეხით გასეირნება და ბევრი სასიკეთო ცვლილება შევნიშნე. უბედნიერესი ვიყავი, როდესაც იქ გამართულ ჩემს შემოქმედებით საღამოზე დარბაზი გადაიჭედა. მითხრეს, — არც გვახსენდება, 3-საათიან პოეზიის საღამოს ამდენი ადამიანი დასწრებოდესო. გამაოცა ქუჩებში ურნების სიუხვემ — ძირს დაგდებულ ერთ ნამწვსაც კი ვერ შენიშნავთ. იგრძნობა, რომ ადამიანები უფრო დაიხვეწნენ. და კიდევ: ზუგდიდში ყველაზე მეტად გავოცდი, როდესაც რესტორანში მომუშავე მამაკაცები დავინახე — უწინდელ ზუგდიდში არათუ მამაკაცები, არამედ ქართველები არ მუშაობდნენ მიმტანებად. ჩვენებური ქალები არც კადრულობდნენ — თუ სადმე წააწყდებოდი, იფიქრებდი, ფსკერამდეა დაცემული, ან ქმარი არ ჰყავს, ან სულაც — უპატრონოაო. ახლა კი იქ ქართველი ბიჭები ვნახე (*იცინის*)... რა ვქნათ?.. ეს ჩემთვის გლობალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე აშკარა ნიშანია... ვერ გეტყვით, ეს კონკრეტული რამ ცუდია თუ კარგი, მაგრამ მე ძველი ყაიდის კაცი ვარ და ჩემთვის არ არის სასიამოვნო...

— რას უსურვებთ საქართველოს?

— უპირველესად, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას. შეუძლებელი არაფერია, მაგრამ ისტორიიდან გამომდინარე, ვიცი, რომ ომით დაკარგული ტერიტორიების მშვიდობიანად დაბრუნება ძალიან ძნელია, საქართველოს კი ომით ამ ტერიტორიების დაბრუნების ნაკლები შანსი აქვს... ესე იგი, დიდ იმედად მხოლოდ ქართული, სახალხო და სახელმწიფო დიპლომატია რჩება. ენგურს აქეთ აფხაზმა უნდა ნახოს ეკონომიკურად აყვავებული საქართველო და შეიძლება, თვითონვე მოინდომოს ჩვენთან ყოფნა. დღეს თვითონვე არიან დაპყრობილები; დაინახეს, რომ ჩვენ კი არ წაგვართვეს აფხაზეთი, არამედ მათ წაართვეს და თვითონ აფხაზები გახდნენ მონები, ამიტომ, როგორ შეძლებენ ისინი ჩვენთან დაკავშირებას და ჩვენს წიაღში დაბრუნებას, მათზეც იქნება დამოკიდებული. თანაცხოვრებისთვის კი ორმხრივი მონანიებაა აუცილებელი. და ერთიცაა: თუ დევნილი ქართველები, რომლებიც აფხაზეთში ცხოვრობდნენ, ვერ დაბრუნდნენ აფხაზეთში, საეჭვოა, რომ მათი შვილიშვილები და შვილთაშვილები დაბრუნდნენ, ამიტომ დღესვეა საჭირო ძალისხმევა. შევნიშნე, რომ ცოტათი მინელებულა ეს ტკივილი საქართველოში — თითქოს ვეჩვევით, რომ ტერიტორიები დავკარგეთ. გული მომიკვდა, წეროვანს რომ ჩავუარე. ამის შემხედვარე ქვეყანამ ზეიმებისგან ცოტათი მაინც უნდა შეიკავოს თავი. თბილისობაზე გავისეირნე; დიდი დღესასწაული მოეწყოთ. უნებლიეთ, გაუბედურებული, ულუკმაპურო ადამიანები გამახსენდნენ და ვიფიქრე, — ნეტავ, ეს ქალაქი რას ზეიმობს-მეთქი?!. ნუ ვცდილობთ, სიმართლე დავივიწყოთ: ჩვენ დაქუცმაცებული ქვეყანა გვაქვს, დამარცხებული ერი ვართ და თუ დაკარგულის დაბრუნებაზე რეალურად არ ვიზრუნებთ და ილუზიებით განვაგრძობთთ ცხოვრებას, შეიძლება, საფრთხე ჩვენი ფიზიკურად არსებობის პერსპექტივასაც გაუჩნდეს. ძლეულისა და დამარცხებულის სინდრომით მოარულ ერს მომავალი არ უწერია... ■

მიმაჩნია, რომ დღეს საქართველოში ლიტერატურული ცხოვრება საკმაოდ ენერგიულად ვითარდება

ბუღქვა ეშოპლების უსაქციელოების ესვეჯალი

ანუ ბუჩის ფქვილსა და ცელევიზოჩზე გაცვლილი ეფილი

გაშვილებული პატარები ხშირად, ძალიან აგრესიულები არიან, მაგრამ რატომ, ამაზე საზოგადოების უმეტესობას ასეთი პასუხი აქვს: ისინი გრძნობენ, რომ გვერდით ნამდვილი, ბიოლოგიური მშობლები არ ჰყავთ და ბოროტდებიან. თუმცა, ასეთი რამის თქმა ყველაზე როდი შეიძლება. ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა ბავშვი ბიოლოგიურ მშობლებს ხელს ჰკრავს და თავის აღმზრდელებს ხელისგულზე ატარებს.

„დედამ იმიტომ გამაჩინა, რომ მერე თხასავით გავეყიდე“

ლიკა ქაჯაია

მარიკუნა, *19 წლის:*

— მე ნაშვილები ვარ. ეს ამბავი 16 წლის ასაკში გავიგე და ძალიან ვინერვიულე, მაგრამ მერე მივხვდი, რომ სისულელეზე დარდი არ შეიძლება. მე მყავს არაჩვეულებრივი დედ-მამა და ვიღაც უცხო ადამიანებს ვერასდროს აღვიქვამ მშობლებად.

— როგორ გაიგე, რომ ნაშვილები იყავი?

— სკოლაში ვიღაც ქალმა მომაკითხა. ჩემს დანახვაზე ცრემლები გადმოსცვივდა, მერე ბევრი მეფერა და ბოლოს, მითხრა, რომ მისი შვილი ვიყავი. გავშრი და მართალია, გონება არ დამიკარგავს, მაგრამ ვერც რაიმეს თქმას ვახერხებდი და ვერც რაიმეზე ფიქრს. ტირილი მინდოდა და ცრემლებიც არ მომდიოდა, ყვირილი მინდოდა, მაგრამ ხმა არ მემორჩილებოდა. იმ ქალს გავექეცი, სახლამდე სირბილით მივედი და დედას გულში ჩავეკარი. როცა დავმშვიდდი, მას ყველაფერი ვუამბე. მან მამას დაურეკა, — მალე მოდიო, და ერთად მიამბეს, თუ როგორ მიმატოვა 2 დღის ჩვილი ბიოლოგიურმა დედამ და როგორ მიშვილეს. თურმე, იმ უზნეო ქალს უნდოდა, ბავშვთა სახლში დავეტოვებინე, მაგრამ ამ სახლთან უცხო ადამიანებს შეხვედრია და ჩემი თავი მათთვის შეუთავაზებია. ამ ამბავს რომ მიყვებოდნენ, სამივე ვტიროდით, მერე ჩემს ოთახში გავედი და ბევრი ვიფიქრე. ისე, სიმართლე გითხრათ, ძალიან ბევრი კითხვა მქონდა ჩემს ბიოლოგიურ მშობლებთან, მაგრამ მათთან შეხვედრის მეშინოდა.

— რატომ?

— არ მინდოდა, ჩემი გადაბირება მოეხერხებინათ და მათ გამო ჩემი ნამდვილი დედ-მამა დამეკარგა... რამდენიმე დღის შემდეგ ის ქალი სკოლაში ვიღაც კაცთან ერთად მოვიდა. მათ დანახვაზე გველნაკბენივით შევხტი და სკოლიდან გავიქეცი. იმ დღის შემდეგ დედამ მუშაობა მიატოვა, სკოლაში ყოველდღე დამყვებოდა, იქ მელოდებოდა მანამ, ვიდრე გაკვეთილები დამიმთავრდებოდა და შინ ერთად ვბრუნდებოდით. ჩემი ამბავი მთელმა სკოლამ გაიგო. კლასელები ამ ყველაფერს ძალიან განიცდიდნენ და ცდილობდნენ, ჩემთვის ნუგეში ეცათ. რამდენიმე ხნის შემდეგ ის ქალი და კაცი ისევ გამოჩნდნენ. მათ დედაჩემი შეხვდა, ელაპარაკა და მერე მე მთხოვა,

— მოდი, ამ ხალხს დაელაპარაკე, ისინი შენი ბიოლოგიური მშობლები არიან და უფლება აქვთ იცოდნენ, როგორ ცხოვრობ, რაიმე ხომ არ გიჭირსო... მათ სახლში შევხვდი. ქალბატონმა კლარამ (ასე ჰქვია იმ ქალს, რომელსაც „დედას“ ვერასდროს დავუძახებ) ამიხსნა: ახალგაზრდობაში შეცდომა დავუშვი, მამაშენს დაუფიქრებლად დავნებდი, მან კი, დავფეხმძიმდი თუ არა, მიმატოვა. ვინაიდან გათხოვილი არ ვიყავი, მშობლების შემეშინდა და გადავწყვიტე, მათთვის ეს მწარე სიმართლე დამემალა და ამ მიზნით რაიონიდან სამუშაოდ თბილისში ჩამოვედა, ბინა ვიქირავე და ისე ვიმშობიარე, ჩემს მშობლებს არც არაფერი გაუგიათ. იმ პერიოდში ძალიან დაბნეული ვიყავი და შენი გაშვილება გადავწყვიტეო. ვკითხე: წლების შემდეგ მიპოვე და საინტერესოა, ახლა ჩემგან რას ითხოვ-მეთქი? — ახლა მამაშენი ვიპოვე, ჩვენ ისევ ერთად ვართ, ძველ შეცდომებს ვინანიებთ და გვინდა, ჩვენი სიყვარულის ნაყოფი დავიბრუნოთო. — თქვენი სიყვარულის ნაყოფი დალპა და ახლა აქედან თუ არ გახვალთ, იცოდეთ, ავქოთდები-მეთქი! — ასე ნუ გველაპარაკები, რაც უნდა იყოს, შენი მშობლები ვართ და ისიც უნდა იცოდე, რომ ერთი შეცდომა ყველას ეპატიებაო. — თქვენ ერთი კი არა, ჩემთან მიმართებაში ბევრი შეცდომა დაუშვით; ახლა კეთილი ინებეთ და აქედან მოუსვით, თქვენი აქ ყოფნით ჩემს ნამდვილ დედ-მამას ნუ მინერვიულებთ-მეთქი. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ისინი სახლიდან გავყარე... ახლა ის ადამიანები, რომ-

ლებიც მზრდიდნენ და თავს მევლებოდნენ, ორმაგად მიყვარს, მათ უზომოდ დიდ პატივს ვცემ და სიცოცხლის ბოლო წუთამდე მათ გვერდით ვიქნები. ჩემს დედ-მამას ვერც მილიონ დოლარში ან ტონა ოქროში გავცვლი და ვერც — ბიოლოგიურ მშობლებში.

გელა, *19 წლის:*

— ჩემთვის ახალი მშობლების პოვნა ტანჯვად იქცა. როცა გავიგე, მერე თხასავით გავეყიდე. ახლახან ჩემმა მეზობელმაც გაყიდა შვილი და მერე იმ ფულით პურის ფქვილი და პულტიანი ტელევიზორი იყიდა. მითხარით, ეს ნორმალური საქციელია? ის პატარაც გაიზრდება, მერე ჩემსავით, დაუნდობელ ადამიანად იქცევა და შესაძლოა, საკუთარ მშობლებს ყელიც კი დაუფიქრებლად გამოღადროს.

— იმედია, შენ ამას არ აპირებ...

ის პატარაც გაიზრდება, მერე ჩემსავით, დაუნდობელ ადამიანად იქცევა და შესაძლოა, საკუთარ მშობლებს ყელიც კი დაუფიქრებლად გამოღადროს

რომ ნაშვილები ვიყავი, ტვინში სისხლი ჩამექცა. ველარავის ვიტან — ნამდვილი მშობლებიც მეზიზღება და ჩემი გამზრდელებიც. მე გზააბნეულ ადამიანად ვიქეცი. ჰო, შესაძლოა, ცუდად ვიქცევი, მაგრამ რა ვქნა, ასეთად მაქცია ბუნებისა და ადამიანების უკანონობამ, მათმა სიმხეცემ. მე საქონელივით გამყიდეს და მიყიდეს, ჰოდა, ამას ვერავის ვაპატიებ! ახლა ყველას ისე ვექცევი, როგორც დაიმსახურეს.

— მაინც რა დაიმსახურეს შენმა აღმზრდელებმა და ბიოლოგიურმა მშობლებმა?

— მათ ტანჯვა დაიმსახურეს! მათთვის ხელიც არაერთხელ გამირტყამს და უშვერი სიტყვებითაც ბევრჯერ გამილანძღავს. როცა ვთვრები, მართლაც, მძვინვარე ცხოველად ვიქცევი ხოლმე. მაგიჟებს და ტვინს „მიბურღავს“ იმაზე ფიქრი, რომ ვიღაც ბოზი ქალის „შეცდომის“ ნაყოფი ვარ.

— საკუთარ დედაზე ასე როგორ ლაპარაკობ?

— აბა, როგორ უნდა ვილაპარაკო ქალზე, რომელმაც მხოლოდ იმიტომ გამაჩინა, რომ მერე გავეყიდე და იმ ფულით ეყიდა საჭმელი, ტანსაცმელი, ბინა... თურმე, კაცი, რომელმაც მე „გამაკეთა“, ლოთი იყო და მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვისთან ექნებოდა ურთიერთობა.

— მაგრამ შენ გაჩნდი ამქვეყნად და ამისთვის მადლობელი უნდა იყო...

— მადლობელი რისთვის? საინტერესოა, ვინ გავაბედნიერე ჩემი არსებობით? — არც არავინ. პირიქით, ყველას ტანჯვას ვანიჭებ. იცი, რატომ გამაჩინა დედამ? იმიტომ, რომ

— ალბათ, ასე მართლა ვერ მოიქცევი, მაგრამ თუ მსგავს რამეს გავიფიქრებ, მერწმუნე, მაშინვე მოიკლავ თავს... ფუჰ, ადამიანები კი არა, ცხოველები ვართ.

ნანული, *45 წლის:*

— ჩემმა მეზობელმა გოგო და ბიჭი იშვილა. არ ვიცი, ისინი საიდან მოიყვანეს, ვისი შვილები არიან, მაგრამ ფაქტია, ძალიან ცუდი ზნის ადამიანებად ჩამოყალიბდნენ, მათ ვერც აღზრდამ უშველა. ჯერ კიდევ პატარები მშობლებს ისე ექცეოდნენ, როგორც უცხო ადამიანებს და მათ სისხლს უშრობდნენ. როცა გაიზარდნენ, ბიჭი დედ-მამას უმოწყალოდ სცემდა, გოგო კი იმ საცოდავებს ისე უბრაზდებოდა, მათ ისეთ სიტყვებს ეუბნებოდა, რომ მეზობლებიც შეშფოთებულები ვიყავით. ერთხელ კახამ მამამისი ისე სცემა, რომ კაცმა ტვინის შერყევა მიიღო და მეზობლებმა ის სასწრაფოდ, საავადმყოფოში გავაქანეთ. ამის გამო კახა ჩვენც გაგვიბრაზდა და როცა დათვრებოდა, მეზობლებს უშვერი სიტყვებით გვაგინებდა, გვემუქრებოდა. მისი და, ლალი ხშირად გვეუბნებოდა: ჩვენს საქმეში ნუ ერევით, საკუთარ ცხოვრებას მიხედეთო.

— კი, მაგრამ მშობლები ამას რატომ ითმენდნენ?

— იმიტომ, რომ თავისი აღზრდილები უყვარდათ, მაგრამ ბოლოს, მათაც ამოუვიდათ ყელში ყველაფერი და როცა შვილების სახლიდან გაყრა განიზრახეს, კახამ და ლალიმ ისინი სულ თმით ითრიეს, სასტიკად აწამეს. მეზობლებს ჩხუბის ხმა კი გვესმოდა, მაგრამ მათი ბინის კარის შეღებას ვერავინ ვბედავდით. გვეშინოდა, ჩვენი საქციელით კახა უფრო არ გაგვეღიზიანებინა. ბოლოს, როცა განწირული კივილი გავიგონეთ, ველარ მოვითმინეთ და პოლიციას გამოვუძახეთ. სამართალდამცავებმა მათი ბინის კარი შეამტვრიეს და ცოტა ხანში იქიდან ცოცხალმკვდარი ცოლ-ქმარი გამოათრიეს: კაცს დანით კიდურები ჰქონდა დასერილი, ცოლს კი ალაგ-ალაგ, კანი სიგარეტით ჰქონდა დამწვარი. ახალგაზრდები პოლიციამ დააკავა და ალბათ, მათ კარგა ხნით ჩაყუდებდნენ ციხეში, მაგრამ შვილებს ისევ აღმზრდელები გამოექომაგნენ.

— ახლა ისევ ერთად ცხოვრობენ?

— არა, კაცს გული საავადმყოფოშივე გაუსკდა და მისი დაკრძალვის ხარჯები მეზობლებმა გავიღეთ, ქალი კი ახლა, თუ არ ვცდები, მოხუცებულთა თავშესაფარში ცხოვრობს.

— ახალგაზრდებზე მამის სიკვდილმაც არ იმოქმედა?

— მათ ეს ამბავი თითქოს, გაუხარდათ კიდეც. სწორედ მაშინ აღიარეს, რომ იცოდნენ, აყვანილები რომ იყვნენ. კახა ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ყოფილა, როცა მისთვის რომელიღაც მეზობელს (არ გაიხაროს ამ ოჯახის ცოდვით) უთქვამს, შენ და შენი და ნაშვილები ხართო. სწორედ ამის შემდეგ გამწარებულა კახა, მერე სიმართლე დისთვისაც უთქვამს და თურმე, მშობლებს ამიტომაც აწა-

მებდნენ... ლალი ახლახან გათხოვდა, ვიღაც ნაციხარს გაჰყვა და უკვე ფეხმძიმედაა. მჯერა, მას და კახას უფალი სამაგიეროს მიუზღავს.

ლანა, *20 წლის:*

— 12 წლის ვიყავი, როცა მეზობლის ბიჭმა მითხრა: გირჩევნია, შენი ნამდვილი მშობლები ეძებოო. მაშინ ვერ გავიაზრე, რა მითხრეს და დედამამას ვკითხე, — ეგ რას ნიშნავს-მეთქი? — მას ყურადღებას ნუ მიაქცევ, ის ბიჭი ბოროტია და უნდა, გული გატკინოსო, — დამამშვიდა დედამ. მშობლის სიტყვა ვირწმუნე, რადგანაც ის არასდროს მატყუებდა... 17 წლის ვიყავი, როცა კიდევ ერთხელ შემახსენეს, რომ ჯობდა, ნამდვილი დედ-მამა მეძებნა. მშობლებს უკვე კატეგორიულად მოვთხოვე, ჩემთვის აეხსნათ, ხალხი ამას რატომ მეუბნებოდა? მათ სიმართლის გამხელა არ ისურვეს და ისევ ის ფრაზა, — ბოროტ ადამიანებს ამქვეყნად რა გამოლევსო? — შემომაგებეს. ამან ვეღარ დამაკმაყოფილა და ყველაზე ჭორიკანა ნათესავთან გავვარდი. მას ვთხოვე, ჩემთვის მოეყოლა, თუ რა იცოდა ჩემი დაბადების, დედას და მამას ქორწინების შესახებ. მართალია, ის ცდილობდა, ჩემთვის რაღაც დაეშალა, მაგრამ შევუჩნდი, — სიმართლე მითხარი-მეთქი. მანაც, ცდუნებას ვერ გაუძლო და მითხრა, რომ ნაშვილები ვიყავი.

— **ახლა იცი, ვინ არიან შენი ბიოლოგიური მშობლები?**

— რა თქმა უნდა, ვიცი და მათთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს. თურმე, მხოლოდ იმიტომ გამაშვილეს, რომ სახლში ბევრი პატარა ჰყავდათ და ჩემს რჩენას ვეღარ შეძლებდნენ. ბიოლოგიურმა დედამ ძუძუ 1 წლის მანძილზე მაწოვა, მერე კი შემელია. აბა, რა ექნა, შიმშილით რომ მოვეკალი, უკეთესი იქნებოდა?!

— **შენი მშობლები როგორ იპოვე?**

— მას შემდეგ, რაც ნათესავმა სიმართლე მითხრა, დედ-მამასთან მივედი და მათ ძალიან მშვიდად ვუთხარი: იცოდეთ, ან ჩემს ნამდვილ მშობლებს მაპოვნინებთ, ან არა და, თავს მოვიკლავ-მეთქი. გაიკვირვეს: რას ამბობ? ეს საიდან მოიტანეო? — იცოდეთ, სიმართლეს მაინც ვეღარ დამიმალავთ. მეგონა, ტყუილს არასდროს მეუბნებოდით, მაგრამ მთელი ჩემი ცხოვრება სიცრუე ყოფილა-მეთქი. გარდა ამ სიტყვებისა, მათ ბევრი ისეთი რამ ვუთხარი, რისი ღირსებიც ნამდვილად არ იყვნენ, მაგრამ თავს ვეღარ ვაკონტროლებდი და ალბათ, იმწუთას ესეც მეპატიებოდა, რადგან მართლაც უმძიმესი დარტყმაა, როცა იგებ, რომ შენი მშობლები შენთვის უცხოები არიან. სიტყვებით ვერ გადმოგცემთ იმ ტანჯვას, რომელიც მაშინ გადავიტანე... როცა ჩემი აღმზრდელები მიხვდნენ, რომ სიმართლის დამალვას აზრი არ ჰქონდა, ხელი ჩამკიდეს და მიმიყვანეს სახლში, საიდანაც უამრავმა ადამიანმა გამოყო თავი. ეს ჩემი მშობლიური სახლი გახლდათ. მართალია, უცხო გარემოში აღმოვჩნდი, მაგრამ თითქოს, ყველაფერი მაინც ძალიან ნაცნობი იყო. თავი დედისერთა მეგონა და უცებ, უამრავი და-ძმა აღმოჩნდა ჩემ გვერდით. მათზე ცოტა არ იყოს, ვიეჭვიანე კიდეც, რადგანაც ისინი ნამდვილი დედის სითბოს გრძნობდნენ და გვერდით ბიოლოგიური მამა ედგათ, რომელიც მართალია, ისე ვერ ანებივრებდა საკუთარ შვილებს, როგორც ჩემი აღმზრდელი მამა — მე, მაგრამ მერწმუნეთ, ეს ჯობია სიყალბეში ცხოვრებას.

— **ეჭვი მაქვს, რომ აღმზრდელებიც არ გაკლებდნენ სითბოსა და ალერსს.**

— ჰო, მაგრამ როცა ნამდვილი მშობელი გეფერება, ეს სხვა სითბოა. ამას თქვენ ვერ მიხვდებით იმიტომ, რომ არ განგიცდიათ ის ყველაფერი, რაც მე და ჩემნაირი ბედის მქონეებმა გამოვიარეთ.

— **როგორც შენ თქვი, იმ უცხო, მაგრამ მაინც, ძალიან ნაცნობ სახლში როგორ შეგხვდნენ?**

— როცა ჩემმა დედ-მამამ მე და ჩემი აღმზრდელები დაგვინახა, ელდა ეცა და გონზე მოსასვლელად კარგა ხანი დასჭირდა. მე მათთან მივედი და ვუთხარი: თქვენ შესახებ ყველაფერი ვიცი და თუ შვილად მიმიღებთ, ბედნიერი ვიქნები. იცოდეთ, მძიმე ტვირთად არ დაგაწვებით-მეთქი. მაშინვე გულში ჩამიკრეს და ბევრი იზლუქუნეს. და-ძმებმაც კარგად მიმიღეს, მხოლოდ უფროს ძმასა და დას გაუჭირდათ ჩემი მიღება — თავმოყვარეობა შეელახათ დედ-მამის საქციელის გამო და მშობლებს უსაყვედურეს კიდეც: თქვენი წინდაუხედაობით ყველას გვატკინეთ გული! სადაც 9 ბავშვს გვარჩენდით, იქ მეათის რჩენა რაღა პრობლემა იყო? სადღა გამოვყოთ თავი და ვთქვათ, რომ და გვყავს, რომელიც ოდესღაც, ჩვენმა მშობლებმა გააშვილესო? — და თან, თითქოს, მეც მიბრაზდებოდნენ ჩემი არსებობის გამო, მაგრამ დღეს მათთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს.

— **ახლა სად ცხოვრობ?**

— ჩემს აღმზრდელებთან, მაგრამ მშობლებთან თითქმის ყოველდღე მივდივარ, და-ძმებს ვხვდები და ისინი ჩემი უახლოესი მეგობრები გახდნენ. ისინიც ხშირად მოდიან ჩემთან, სტუმრად და თავს ძალიან ბედნიერ ადამიანად მივიჩნევ.

— **შენ „დედას“ და „მამას“ ეძახდი ადამიანებს, რომლებიც გზრდიდნენ, ახლა კი მათ მხოლოდ აღმზრდელებად მოიხსენიებ...**

— ეს შენთან ლაპარაკისას, თორემ მათ ძველებურად, „დედას“ და „მამას“ ვეძახი. მე ორი დედა და ორი მამა მყავს. ისინი არაჩვეულებრივი ადამიანები არიან. მიუხედავად იმისა, რომ ჩემმა ბიოლოგიურმა მშობლებმა გამაშვილეს, მათი მესმის კიდეც — ჩემთვის კარგი უნდოდათ, მხოლოდ ბედნიერებას მისურვებდნენ და ამიტომაც, 1 წელი არჩევდნენ იმ ოჯახს, რომლისთვისაც უნდა მივეშვილებინე. მადლობელი ვარ მათი, ასეთი არაჩვეულებრივი, მეორე დედ-მამა რომ მაპოვნინეს... ჰო, კინაღამ დამავიწყდა — თურმე, ჩემი აღმზრდელები თითქმის ყოველთვე ეხმარებოდნენ ჩემს ოჯახს, ჩემი უფროსი დისა და ძმის სწავლის ფულსაც ისინი იხდიდნენ. ამის შესახებ ცხადია, უფროსების გარდა არავინ არაფერი იცოდა. როცა ეს ამბავი გავიგეთ, ბავშვებს გული უფრო გაგვითბა და ახლა, ჩემს აღმზრდელებს ჩემი და-ძმებიც „დედას“ და „მამას“ ეძახიან, რაც ძალიან მახარებს. ხალხნო, მე უბედნიერესი ადამიანი ვარ!

■

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

ეკატერინე ჭავჭავაძეს

წინანდლის ვარდო,
სულითა ტრედო,
გულითა წმინდავ, ვით მთისა წყარო!

ვითა ცისკარი,
ხარ მოცინარი,
რომე მხილველის გული ახარო.

იმხიარულე,
ვიდრე სიცოცხლე
შენი მშვენივრებს, ვით ყვავილთ ჯაჭვი;

ვიდრემდის შენ ზე
დაგნათის, ვით მზე,
სიჭაბუკისა ნათელ ვარსკვლავი!

ჭმუნვის ღრუბელი,
გულ-დამაბნელი,
ვიდრე მხიარულს არ შეგხებია;

ვიდრე ამ სოფლის
დაუდგრომელის
ვარდნი ეკლადა არ გარდაგცვლია!

გრიგოლ ორბელიანი

პატარა ლექსიკონი

მაინც და მაინც
დრო და დრო
სხვა და სხვა

ტიპური შეცდომაა — ერთ სიტყვად უნდა იწერებოდეს:

მაინცდამაინც
დროდადრო
სხვადასხვა



მე - ფსიქოლოგი

ინგა ჯაყელი

დასაწყისი იხ. „გზა“ №40-45

ქალბატონმა მედეამ ერთხელ მითხრა:

— ღმერთი ადამიანს იმას აძლევს, რისი ატანა, მოთმენა და მიღება შეუძლია... ათასობით ქართველი ქალია შეგუებული ქართველი კაცის უმადურ ბუნებას და პროტესტის გრძნობის გარეშეა შებმული საკმაოდ უთანასწორო საოჯახო უღელში. მე და ჩემი შვილები არ ვიყავით ამის ამტანები და ღმერთმა ის მოგვცა, რაც გვინდოდა! — ალბათ მართლა ასეა და უსაზღვროდ გულმოწყალეა უფალი.

როცა დავუფიქრდი, მივხვდი, რომ მეც ის მომცა უფალმა, რაზეც მიფიქრია და მიოცნებია: ჩემი სახლი — ციხესიმაგრე, ჩემი მარტოობა და სიმშვიდე...

კარი რომ გავაღე, მედიკო (მთხოვა ასე მიმემართა: არავითარი დედა და ბიცოლა, ესეც სიბერესთან ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდიაო! — განმიმარტა) სიგარეტით ხელში იდგა (საერთოდ, ძალიან ბევრს ეწევა და მისი ჩახლეჩილი ხმაც ამის შედეგია.

— თინანომ (მისი საბერძნეთში გათხოვილი ქალიშვილია) კარგი ყავა გამომიგზავნა. თუ არ გეჩქარება, გამოვიტან და ერთად დავლიოთ, კარგი?!

— სიამოვნებით! — გავუღიმე დედის ტოლ ქალბატონს, რომელთანაც ვმეგობრობ კიდევაც, თავისებურად.

ხშირად მსტუმრობს, ან თავისთან მეძახის და ამასაც თავისებურად ხსნის:

— იმიტომ მიყვარს შენთან შემოსვლა, კაცის სუნი რომ არ მცემს...

თუმცა ერთი-ორჯერ, ჩემთან შემოსულმა, ზღაპრული დეევივით ასწია ცხვირი:

— კაცის სუუ-უნი მცემს!..

ვაჟას იცნობს და არ მალავს, რომ არ მოსწონს. განსაკუთრებით ის აგიჟებს, რომ ჩვენ შორის ინტიმი არაა (ბოლო მოვლენებზე ჯერჯერობით არაფერი იცის და არც ჩემს ნათქვამში ეპარება ეჭვი, — ჩვენ შორის მეგობრობის მეტი არაფერია-მეთქი. იცის, არ მოვატყუებ და არც არაფერს დავუმალავ...)

...მართლა კარგი ყავა შემოიტანა მედიკომ, უმაღლესი ხარისხის:

— მოდუღების თავიც არ მქონდა, ამიტომ არ დაგიძახე ჩემთან! — შემომყვა სამზარეულოში და კუთხეში მოიკალათა მაგიდასთან, ფანჯარასთან ახლოს, საიდანაც სადარბაზოში შემოსასვლელი მოჩანს და არაფერი გამოეპარება დაკვირვებულ თვალს. უყვარს მედიკოს იქ ჯდომა და ხშირად იმეორებს: — ამ პატარა კუთხეს მთელ ჩემს სახლში გაგიცვლიდიო!..

სანამ ყავას ვადუღებდი, ტკბილეული ამოიღო ცელოფანის პატარა პარკიდან:

— ესეც თინანომ გამოგზავნა, ივარგებს ალბათ...

— 12 საათზე ახალი პაციენტი დავიბარე, თორემ სულ არ გავიდოდი სახლიდან! — ვთქვი მას შემდეგ, რაც უგემრიელესი ყავა მოვსვი. მართლა დამეკარგა სახლიდან გასვლის სურვილი...

— ეგ შენი პაციენტი ფულია და ფულზე უარს ვერ იტყვი... მერე ჯიქურ შემომიტია — ის ვაჟბატონი ღამე რატომ დარჩა შენთან, ისევ და-ძმასავით გეძინათ?..

გავწითლდი. იმიტომ არა, რომ ნამოქმედარის შემრცხვა ან იმის შემეშინდა — ხალხი რას იჭორავებდა ჩემზე...

— ჰა, მოხდა, ბოლოს და ბოლოს?!.

— ყოველ შემთხვევაში, კარგი არაფერი! — არც მიფიქრია თავის მართლება.

— თუ გინდა, ნუ მომიყვები! — თვალი მომარიდა მედიკომ, მაგრამ მაინც მივხვდი, რომ ცნობისმოყვარეობამ გააგიჟა ლამის...

— საღამოს მოგიყვები. ახლა დრო არ მეყოფა, უბრალოდ! — ვთქვი და მართლა ასე იყო, თორემ ნამდვილად არ ვაპირებდი რაიმეს დამალვას, არც წმინდანის თამაშს, მით უმეტეს იმ ადამიანის წინაშე, რომელიც აქამდე მხოლოდ იმიტომ მაფასებდა, რომ სხვებივით არ ვიტყუები და არ ვთამაშობ იმას, ვინც არც ვყოფილვარ და არც ვიქნები...

მედიკომ საფულიდან ასდოლარიანი ამოიღო:

— გული მიგრძნობს, რაღაცის აღნიშვნა მოგვიწევს და რაიმე ხარისხიანი სასმელი გამოაყოლე ხელს, რომ წამოხვალ!.. — გამომიწოდა ფული.

— მეც მაქვს ფული, არ მინდა! — დავაპირე უარის თქმა.

— მე არ მითქვამს, რომ არა გაქვს... უბრალოდ, ახლა მე მინდა დაგპატიჟო! — მითხრა ისეთი ხმით, შეკამათება არ ღირდა და ფული ჩამოვართვი.

— არ დაიგვიანო! — მითხრა და წამოდგა...

...ახალი პაციენტი უკვე მელოდა. არ დამიგვიანია, ის მოსულიყო ადრიანად, რაც იმის ნიშანია, რომ ზედმეტადაც კი განიცდის იმ პრობლემას, რომლის წინაშეც ცხოვრებამ დააყენა.

დაახლოებით 35-38 წლის იქნებოდა მომხიბვლელი ქალბატონი და თუ ჩაცმულობის მიხედვით ვიმსჯელებთ, საკმაოდ შეძლებულიც.

— თქვენ ხართ ეკა? — შემომხედა კმაყოფილმა, როცა კაბინეტში შევიპატიჟე.

— კი, მე ვარ ფსიქოლოგი ეკატერინე მონიავა და მზად ვარ, გემსახუროთ...

— მიხარია, რომ ასეთი ხართ! — ისევ გამიღიმა ქალმა და ხელი გამომიწოდა — მე სალომე მინდაძე ვარ...

— ბატონი გელას ახლობელი ხომ არ ბრძანდებით? — გამახსენდა კიდევ ერთი თვითკმაყოფილი იდიოტი პოლიტიკოსი, ყოველ მეორე დღეს რომ მოძღვრავს მთელ საქართველოს ტელეეკრანიდან...

— ცოლი ვარ მისი! — მითხრა ქალმა და ახლა სულ სხვანაირი გახდა მისი ღიმილი, რაღაცნაირად ირონიაშეპარული...

ახლა უკვე აღარ გამკვირვებია არც მისი ძვირფასი სამოსი და არც სამკაულები...

— მომეწონეთ და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის! — ისევ კმაყოფილი მზერით ამხედ-დამხედა სალომემ. — ფსიქოლოგი თუ გარეგნულადაც არ იქნა ჩემთვის მისაღები, მასთან საუბარს ვერ შევძლებ.

— მაინც როგორი ვარ? — ახლა მე გამეღიმა.

— ისეთი როგორთანაც სიამოვნებით ვიმეგობრებ და არც გულის გახსნა გამიჭირდება.

— ეგ საუკეთესო კომპლიმენტია ფსიქოლოგისთვის. მადლობელი ვარ... ნდობა მართლაც გაგვიიოლებს მუშაობას... ყავას ხომ არ ინებებთ?

— თუ არ შეწუხდებით...

ყავა ჩვენი მომსახურების შემადგენელი ნაწილია და ამისთვისაც ვაძლევ ხელფასს ჩემს მდივანს:

— ფიქრია, ორი ყავა და მინერალური წყალი შემოგვიტანე! — გავძახე ჩემს ე.წ ასისტენტ-რეგისტრატორს... — რამდენი წლის ხართ? — ვკითხე ქალს.

— 37-ის...

— შვილები?

— ერთი ვაჟი მყავს, 16 წლისაა და მის გამო უფრო აღმოვჩნდი თქვენს კაბინეტში! — ამოიხვნეშა ქალმა.

— შვილთან პრობლემები ბევრს აქვს, ისიც თინეიჯერობის ასაკში...

— მე უფრო ვარ ჩემი შვილის პრობლემა და ეგ მადარდებს სწორედ... გიო საოცარი შვილია... სხვა მის ადგილზე მომკლავდა. ის კი ხმას არ იღებს, ვითომ არაფერი მომხდარა — ძველებურად პატივისცემით და სიყვარულით მექცევა...

— და რატომ უნდა დაეკარგა თქვენი პატივისცემა?

— კაცთან შემისწრო... უფრო სწორად, კაცებთან და თან, არაერთხელ...

ფიქრიამ ყავა და მინერალური წყალი შემოიტანა...

პაუზა ჩამოვარდა და ძალიანაც კარგი, უცებ დავიბენი. ყველაფერს მოველოდი სალომეს მსგავსი ქალისგან, მაგრამ ამას — არა.

ყავა მოსვა და ისევ თავად გააგრძელა ლაპარაკი:

— ქმარმა გამაბოზა... სწორედ იმ დამპალმა და არაკაცმა, სხვებს რომ ელაპარაკება ზნეობასა და მორალზე. ქვეყნის წინამძღოლობაზე აქვს პრეტენზია... ძალიან პატარა გავთხოვდი, სკოლის დამთავრებისთანავე. ხომ იცი, როგორც ხდება ქართულ რეალობაში?! — მომხიბვლელი გოგო ვიყავი, ჩემი მომავალი ქმარი კი — უკვე პერსპექტიული დემაგოგი და ინტრიგანი იყო. არც გარეგნობა დაეწუნებოდა. იმ დროისთვის პოპულარულ „ვოლგა-24-“ს დააგრიალებდა და მეც მეტი რა მინდოდა?!.. რამდენიმე წელიწადი რომ არ დავორსულდი, ექიმებში დამიწყეს ტარება. არადა, აღმოჩნდა, რომ მე კი არა, ის იყო უშვილო... მიუხედავად ამისა, თანახმა ვიყავი, რომ ბავშვი აგვეყვანა და გაგვეზარდა. ვუთხარი კიდევაც ქმარს, რაზეც უარი განაცხადა: ქვეყანას ვერ ვალაპარაკებ, რომ უშვილო და უნაყოფო ვარ, ამ პრობლემას სხვაგვარად უნდა მოვუაროთო, — და ისეთი რამ შემომთავაზა, დაჯერება გამიჭირდა. თავიდან მეგონა, გამოცდას მიწყობდა და თუ დავთანხმდებოდი, საქვეყნოდ მომჭრიდა თავს...

— ასეთი რა გითხრათ?!

— კურორტზე ჩამიყვანა და მარტო დამტოვა საუკეთესო სასტუმროში მთელი თვით: თუნდაც ას კაცს დაუწექი, ოღონდ შინ ორსული უნდა დაბრუნდეო!.. ვიტირე, ისტერიკა მოვუწყვე, ლამის საცემრად გამოიწია.

— მთელმა ქალაქმა უნდა ნახოს, რომ ფეხმძიმედ ხარ, მერე კი ქალაქის ცნობილ გინეკოლოგთან უნდა იმშობიარო...

როცა მივხვდი, არ ხუმრობდა, ისეთი ზიზღი ვიგრძენი მის მიმართ, იარაღი რომ მქონოდა იმ წუთში, დაუფიქრებლად დავახლიდი ტყვიას...

მარტო რომ დავრჩი, ორი დღე არ გამოვსულვარ ნომრიდან, თავს ვიკლავდი ტირილით. მერე კი უცებ დავიცალე ყველა ემოციისგან და ყველაფერი სულერთი გახდა. სასწრაფოდ მოვიწესრიგე თავი და გამომწვევად ჩაცმული ჩავედი რესტორანში. მხოლოდ რუსულად ვლაპარაკობდი, არ მინდოდა გაეგოთ, ქართველი რომ ვიყავი. უცებ მივიპყარი ყურადღება. მამაკაცები ბუზებივით დამეხვივნენ. მათ შორის საუკეთესოს მივეცი ჩემ გვერდით დაჯდომის უფლება. ზურაბი ერქვა. დაუვიწყარი ორი ღამე გავატარეთ და ერთ რამესაც მივხვდი — ჩემი იდიოტი ქმარი არა მხოლოდ უშვილო, უნიათო სექსუალური პარტნიორიც იყო — მასთან სქესობრივ ურთიერთობას არც კი ვიცი, რა ვუწოდო მას შემდეგ, რაც უამრავი კაცის ხელში გამოვიარე და შედარების საშუალება მომეცა.

— უამრავ კაცთან ურთიერთობა რატომ დასჭირდა იმის გაგებას, დაორსულდებოდით თუ არა?!.

— ზურაბს ორი დღის მეტი არ შეეძლო კურორტზე დარჩენა, ისედაც მივლინებით იყო ჩამოსული... მერე გამოჩნდა დიტო, ვალერი, ირაკლი... თავიდან მართლა ჩემი ქმრის ჯიბრზე და შურისძიების მიზნით ვაკეთებდი ამას, მაგრამ მალე მივხვდი, რომ შინაგად აღმოვჩნდი ბოზი და ვეღარასოდეს შევძლებდი ერთი კაცით დაკმაყოფილებას.

— მიზანს თუ მიაღწიეთ და თუ დაფეხმძიმდით?

— კი... თბილისში ფეხმძიმე დავბრუნდი და საჩუქრებით ამავსო ჩემმა დეგენერატმა, უთავმოყვარეო ქმარმა. არც უკითხავს ვისთან ვიყავი, ვინ იყო ჩემი შვილის შესაძლო მამა...

— იცით კი, ვინ იყო?

— რა თქმა უნდა, არა — ხუთი-ექვსი კაციდან ნებისმიერს შეეძლო ამ ფუნქციის შესრულება... მგონი, ამდენთან ვიწექი იმ ერთი თვის განმავლობაში... რატომღაც მეგონა, რომ ბავშვს ვერ შევიყვარებდი, რადგან ის ჩემს სირცხვილს გამახსენებდა, მაგრამ გიო ისეთი ბიჭია, დაბადებისთანავე რომ გაგიჟებით შემიყვარდა და ღმერთს მადლობა შევწირე, ასეთ ცოდვილს უნაკლო შვილი რომ მომცა — გარეგნულად ხომ ნამდვილი ანგელოზია და ბუნებით — კიდევ უკეთესი. უნიჭიერესიცაა — 15 წლისამ დაამთავრა სკოლა: VIII-IX კლასები ერთ წელიწადში გაიარა, X-XI-ც — ასევე ერთ წელიწადში და უკვე სამედიცინო ინსტიტუტის პირველ კურსს ხურავს 16 წლის ბიჭი...

— თუ ასე ნანობდით მომხდარს, შვილის დაბადების შემდეგ მაინც შეგეკავებინათ თავი!..

— ასეც მინდოდა, მაგრამ... საკუთარი გამოცდილების საფუძველზე, იცით, რა დასკვნამდე მივედი? ბოზად არც ერთი ქალი არ იბადება და ყოველთვის კაცის ბრალია ქალის ზნედაცემულობა.. ხომ გითხარით, ჩემზე უკეთ არავინ იცის, რომ ჩემი ქმარი ფაქტობრივი იმპროტენტია და მაინც სულ ქალებში დაეთრეოდა, თანაც იმ დონის ბოზებში, ფულის გულისთვის ყველანაირ ავხორცობაზე რომ წავიდოდნენ... ასეთი კაცისთვის როგორ უნდა მეერთგულა?! მასზეა ზედგამოჭრილი — ძაღლი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო!.. დამპალი — წელიწადში ერთხელ წვებოდა ჩემთან და მაშინაც... ლაპარაკიც არ მინდა ამაზე... მოკლედ, დროდადრო, საკუთარი მანქანით ქალაქიდან გავდიოდი და რამდენჯერ გზაში ამიყვანია მგზავრი... სახელიც არ მიკითხავს მისთვის და გაოგნებული დამიტოვებია, ისე ამიწყვეტია...

— არ უკვირდათ ან უარი არავის უთქვამს?!

— კარგი, რა, რომელი კაცია სექსზე უარის მთქმელი, თანაც ჩემნაირ მოვლილ ქალთან, იქით რომ იხდის ფულს?!. ერთი შეხედვით ვცნობ, კაცი რა ტემპერამენტის მქონეა, ამ საქმის ექსპერტად შეიძლება ჩამთვალონ... არც კი ვიცი, რამდენ კაცთან მქონია საქმე... სხვათა შორის, ერთმა მიცნო. ჩემი ქმრის მეგობრის ოჯახში ვიყავით ბავშვების ნათლობაზე და ის კაცი ერთ-ერთი მაღალჩინოსნის მძღოლი აღმოჩნდა... ეტყობა, ისიც გაოგნებული დარჩა ჩემი „მომსახურების ხარისხით“... ვერ მოუხერხებია ჩემი დავიწყება... მძღოლებს იმ დარბაზში არავინ შემოუშვებდა, სადაც სუფრა იყო გაშლილი. ძალიან ცხელოდა და ერთ-ერთ სტუმარ ქალბატონთან ერთად გამოვედი ვერანდაზე. იქ გაბედა მოახლოება და ბოდიში მომიხადა:

— ალბათ ვერ მიცანით, ქალბატონო სალომე (სახელიც იმ დღეს გაეგო ჩემი, ვინაობაც), ადრე რაღაცას დამპირდით და თუ შეიძლება, იმაზე დაგელაპარაკოთ?..

ჩემ გვერდით მყოფმა მარტო დაგვტოვა. იმან კი თავი შემახსენა:

— გიჟივით დავდივარ იმ ღამის მერე, ცოლთან ვეღარ ვწვები... ათასი ქალი გამოვიცვალე და მაინც თქვენზე ვოცნებობ...

შემეძლო გამელანძღა, დავმუქრებოდი, მაგრამ გამეცინა, რადგან ჩემი ქმარი უარესის ღირსი იყო. — წამო, სადმე გავისეირნოთ-მეთქი! — სუფრა კარგა ხანს არ აიშლებოდა... რესტორანთან ახლომდებარე ტყეში გადავუხვიეთ და ის ხომ დათვივით ღმუოდა, მეც არ დავრჩენილვარ უკმაყოფილო. ამიტომ, რადგანაც გაიგო, ვინც ვიყავი, სხვა დროსაც ვხვდებოდი... მასთან შემისწრო პირველად შვილმა. ზაფხულობით აგარაკზე ვცხოვრობთ და როცა ჩემი ქმარი შინ არ იყო, იქ ვიბარებდი...

მოკლედ, ჩემი შვილი რამდენჯერმე ისეთი ფაქტის წინაშე დავაყენე — სხვა მის ადგილზე ტყვიასაც დაახლიდა დედას. ის კი ვითომც არაფერი, ჩვეულებრივად ურთიერთობს ჩემთან, „დედას“ მეძახის.

— იქნებ ისიც ხვდება, რომ მამამისია დამნაშავე იმაში, რაც დაგემართათ და ამიტომ არ გამტყუნებთ?!

— ნებისმიერ შემთხვევაში იმის გააზრება, რომ დედამისი ბოზია, 16 წლის ბიჭისთვის სულერთი არ უნდა იყოს.. მე მისი გულგრილობა და შემგუებლობა უფრო მაცოფებს და მაგიჟებს... ახლა, მგონი, მის ჯიბრზეც ვაკეთებ და მასზეც ვიძიებ შურს... იმის ძარღვებში ხომ მაინც არ ჩქეფს იდიოტი მამამისის სისხლი და რატომაა მისთვის სულერთი დედის მორალი?!.

— მგონი, ვხვდები, რამაც მოგიყვანათ ჩემამდე და პირველ რიგში, იმაში უნდა გავერკვეთ, მხოლოდ შურისძიების მიზნით იცვლით მართლა ამდენ კაცს თუ ფსიქიკური აშლილობის შედეგია თქვენი აღვირახსნილი ცხოვრების წესი?!.

— რომელი სჯობია? — რატომღაც დაინტერესდა სალომე.

— ორივე მძიმე შემთხვევაა თავისი შედეგით, მაგრამ თუ ფსიქიკურ პრობლემასთან გვაქვს საქმე, იქნებ როგორმე გამოვნახოთ გამოსავალი.

— მეშველება რამე? — ისეთი ტონით მკითხა ქალმა, მივხვდი, მართლა უნდოდა ცხოვრების წესის შეცვლაც და გადარჩენაც.

გაგრძელება იხ. გვ. 76

შეხვედრები სტალინთან

ფრაგმენტები ვლადიმირ კარპოვის წიგნიდან „გენერალისიმუსი"

ტროცკი მაქსიმუმ ერთი წლის განმავლობაში უნდა მოვიცილოთ — მანამდე, სანამ გარდაუვალი ომი გაჩაღდებაო... — ბრძანა ბელადმა. ამ საქმის ორგანიზება მზვერავ პაველ სუდოპლატოვს დაევალა, რომელსაც საერთო ხელმძღვანელობას ლავრენტი ბერია უწევდა. მიზნის მისაღწევად, ორი, ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებელი ჯგუფი ჩამოაყალიბეს. ერთ-ერთ მათგანს, მომავალში ცნობილი მექსიკელი მხატვარი სიკეიროსი თავკაცობდა, მეორეს — დედა-შვილი მერკადერი...

დასაწყისი იხ. „გზა", №27-45

ტროცკის ლიკვიდაცია

პაველ სუდოპლატოვი თავის წიგნში წერს:

„რამონ მერკადერმა და დედამისმა კარიდადმა, რომლებიც ამ დროს პარიზში ცხოვრობდნენ, 1938 წელს საბჭოთა დაზვერვასთან თანამშრომლობის ვალდებულება იკისრეს. სექტემბერში ძმებმა რუანებმა რამონს პარიზში გააცნეს სილვია აგელოფი და ცოლ-ქმარი როზმერი, რომლებიც ტროცკისთან მეგობრობდნენ. ეიტინგტონის ინსტრუქციების შესაბამისად, რამონ მერკადერი იმ დროს ყოველგვარი პოლიტიკური აქტივობისგან თავს იკავებდა.

მე და ეიტინგტონი პარიზში იმ ჯგუფის მოსამზადებლად გავემგზავრეთ, რომელიც მექსიკაში უნდა წასულიყო.

პარიზამდე მატარებლით ჩავედით. იქ რამონ და კარიდად მერკადერებს შევხვდი, შემდეგ კი ცალკე, სიკეიროსის ჯგუფის წევრებს. ამ ორ ჯგუფს ერთმანეთთან კავშირი არ ჰქონდა და არც იცოდნენ ერთმანეთის არსებობის შესახებ.

ეიტინგტონი 1939 წლის ოქტომბერში ჩავიდა ნიუ-იორკში და ბრუკლინში დააფუძნა იმპორტ-ექსპორტის ფირმა, რომელსაც, როგორც დამაკავშირებელ ცენტრს, ისე ვიყენებდით. რაც მთავარია, ამ ფირმამ „თავშესაფარი" („კრიშა") მისცა რამონ მერკადერს, რომელიც მექსიკაში, კანადელი მოქალაქის, ფრენკ ჯექსონის სახელით დაბინავდა. ამის წყალობით მას საშუალება მიეცა, ხშირად ჩასულიყო ნიუ-იორკში, ეიტინგტონთან, რომელიც ფულით უზრუნველყოფდა.

თანდათან მექსიკაში სიკეიროსის ჯგუფისთვისაც მოვნახეთ „თავშესაფარი". ეიტინგტონს, კოიოკანში ტროცკის ვილაზე შეღწევის ვარიანტები ჰქონდა შემუშავებული. სიკეიროსის ჯგუფის გეგმის მიხედვით, სახლი შტურმით უნდა აეღოთ; რამონი მთავარ ამოცანად, სილვია აგელოფთან სასიყვარულო რომანისა და ამ გზით, ტროცკის უახლოეს გარემოცვასთან დაახლოებას ისახავდა.

რამონ მერკადერი ფრანგ კინოვარსკვლავს, ალენ დელონს ჰგავდა. სილვიამ ჯერ კიდევ პარიზში ყოფნისას მოიხიბლა განუმეორებელი, თავისებური მაგნეტიზმით გამორჩეული ამ ახალგაზრდა კაცით. დაახლოების შემდეგ, ქალი რამონთან ერთად, ნიუ-იორკშიც ჩასულა..

ტროცკისტულ წრეებში რამონი თავდაჭერილად იქცეოდა და არც ცდილა, „საერთო საქმისადმი გზნებით", გარშემო მყოფთა ნდობა და სიმპათია მოეპოვებინა. მას მორგებული ჰქონდა იმ ბიზნესმენის როლი, რომელიც „თავისი ხასიათის, ექსცენტრიკულობის გამო უჭერდა მხარს ტროცკის" და — არა როგორც მისი იდეების ერთგული მიმდევარი.

...1940 წლის 24 მაისს სიკეიროსის ჯგუფი ტროცკის ვილაში შეიჭრა. ბოროტმოქმედებმა ავტომატური ჯერით დაცხრილეს ის ოთახი, რომელშიც მასპინძელი იმყოფებოდა. მაგრამ ვინაიდან ისინი დაკეტილ კარს ესროდნენ და ამ იერიშის შედეგის შემოწმება ვერ შეძლეს, ოთახის კუთხეში მაგიდის ქვეშ დამალული ტროცკი სიკვდილს გადაურჩა. ამგვარად, თავდასხმა უშედეგოდ დასრულდა იმის გამო, რომ ჯგუფი კონკრეტული აქციისთვის პროფესიონალურად მომზადებული არ აღმოჩნდა. კონსპირაციის შესანარჩუნებლად, თავად ეიტინგტონი ამ თავდასხმაში არ მონაწილეობდა.

მე და ბერია სტალინთან აგარაკზე გავემგზავრეთ. ტროცკის ლიკვიდაციის მიზნით საკეიროსის ჯგუფის მიერ განხორციელებული აქციის ჩავარდნის შესახებ მოვახსენე. სტალინი არ განრისხებულა. შესაძლოა, გაბრაზებული კი იყო, მაგრამ თავშეკავებულად იქცეოდა. საკმაოდ მშვიდად გამოიყურებოდა და კვლავ გამოხატა მზადყოფნა, ბოლომდე მიეყვანა მოწინააღმდეგის განადგურების საქმე. მან თქვა:

— ტროცკის საწინააღმდეგო აქცია ბოლოს მოუღებს ტროცკისტულ მოძრაობას. ამის შემდეგ აღარ მოგვიწევს ფულის ხარჯვა იმაზე, რომ კომინტერნის დასაშლელად გამიზნული მათი საქმიანობის გასანეიტრალებლად ვიბრძოლოთ... შეუდექით ალტერნატიული გეგმის შესრულებას და გაუგზავნეთ ეიტინგტონს დეპეშა, ჩვენი მხრიდან მისდამი სრული ნდობის დადასტურების შესახებ".

ახლა კი შესაძლებლობა გვაქვს,

როცა ყინულის საგეხით დარტყმა დავაპირე, ტროცკიმ თავი ოდნავ მოაბრუნა

გავეცნოთ იმას, თუ როგორ აღწერდა თავად რამონ მერკადერი, მის მიერ 1940 წლის 20 აგვისტოს ჩატარებული „სალიკვიდაციო“ ოპერაციის შესახებ. აი, რას უყვებოდა იგი უკვე 1969 წელს პაველ სუდოპლატოვს მოსკოვში, ლიტერატორთა სახლის რესტორანში მასთან შეხვედრისას:

„მეხიკოში, კონსპირაციულ ბინაში დედაჩემსა და ეიტინგტონს შევხვდი. ამ უკანასკნელმა ასეთი გეგმა შემომთავაზა: ტროცკისთან ვილაზე ჩემი სტუმრობისას, თავად ეიტინგტონი, კარიდადი და 5 შეიარაღებული ბოევიკი შენობაში შეღწევას ცდიან; მათსა და მცველებს შორის ორმხრივი სროლა ატყდება და ამ დროს მე ტროცკის ლიკვიდაციის შესაძლებლობა მომეცემა.

მისი ნეშტი საიდუმლოდ, მოსკოვში გადაასვენეს და კუნცევოს სასაფლაოზე დაკრძალეს

ამ გეგმას არ დავეთანხმე და დავარწმუნე, რომ მარტო შევძლებდი სასიკვდილო განაჩენის განხორციელებას.

...ვილაზე, როგორც ახლობელი ადამიანი, ისე მივედი. ჩვეულებრივი ურთიერთმოკითხვის შემდეგ, ტროცკი საწერ მაგიდას მიუჯდა და ჩემი იმ საგაზეთო წერილის კითხვა დაიწყო, რომელიც მის დასაცავად დავწერე. იმ მომენტში, როცა ყინულის სატეხით დარტყმა დავაპირე, ტროცკიმ თავი ოდნავ მოაბრუნა და ამის გამო. დარტყმის მიმართულება შეიცვალა, ხოლო მისი ძალა შემცირდა. სწორედ ამიტომ ვერ მოვკალი ერთი დარტყმით და მან ყვირილი ატეხა. დავიბენი და ვერ ჩავარტყი დანა, რომელიც თან მქონდა — ტროცკის ყვირილმა ადგილზე გამაქვავა.

ოთახში ტროცკის ცოლი და მცველები შემოცვივდნენ, ძირს დამაგდეს და პისტოლეტის გამოყენების საშუალება არ მომეცა. მაგრამ ამის საჭიროება თურმე აღარ ყოფილა — ტროცკი მეორე დღეს, საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ამის საჭიროება თურმე აღარ ყოფილა — ტროცკი მეორე დღეს, საავადმყოფოში გარდაიცვალა

...მერე ტროცკის ერთ-ერთმა მცველმა პისტოლეტი კეფაში ჩამარტყა და ძირს დამცა. შემდგომ, ჩემმა ადვოკატმა ეს ეპიზოდი იმის დასამტკიცებლად გამოიყენა, რომ პროფესიონალი მკვლელი არ ვიყავი. თავად კი იმ ვერსიას ვიყენებდი, რომ სილვიასადმი სიყვარული მამოძრავებდა, რომ ტროცკისტები მათ მოძრაობისთვის ჩემ მიერ შემოწირულ სახსრებს ფლანგავდნენ, თან ტერორისტულ საქმიანობაში ჩემს ჩათრევას ცდილობდნენ. არც ერთხელ არ გადამიხვევია წინასწარ შემუშავებული ვერსიიდან — რომ ყველა ჩემი მოქმედება მხოლოდ და მხოლოდ პირადი მოტივებით იყო ნაკარნახევი“.

მერკადერი დააპატიმრეს, როგორც კანადელი ბიზნესმენი ფრენკ ჯექსონი და მისი ნამდვილი გვარ-სახელი ხელისუფლებისთვის 6 წლის მანძილზე უცნობი რჩებოდა. სპეცსამსახურებმა მისი ვინაობა მხოლოდ მას შემდეგ დაადგინეს, რაც ესპანეთის კომპარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე მოსკოვიდან გაიქცა და დასავლეთს შეაფარა თავი.

სუდოპლატოვი მოგვითხრობს:

„როცა მექსიკაში ესპანური არქივიდან მერკადერის დოსიე ჩაუტანეს, მისი ვინაობა დადგინდა და უარყოფას აზრი აღარ ჰქონდა. აშკარა სამხილებს გაეცნო თუ არა, ფრენკ ჯექსონმა აღიარა, რომ სინამდვილეში, რამონ მერკადერი — ერთ-ერთი წარჩინებული ესპანური ოჯახის შვილი იყო. მაგრამ მან მაინც არ აღიარა, რომ საბჭოთა დაზვერვის ბრძანებით მოკლა ლევ ტროცკი. ყველა საჯარო განცხადებაში კვლავ და კვლავ იმეორებდა, რომ მხოლოდ პირადი მოტივი ამოძრავებდა.

...რამონი შეიყვარა ქალმა, რომელიც მას ციხეში უვლიდა. მოგვიანებით ისინი შეუღლდნენ და გათავისუფლების შემდეგ — 1960 წლის 20 აგვისტოს ის მოსკოვში თან ჩაიყვანა. მერკადერმა 20 წელი გაატარა ციხეში.

1960 წლამდე რამონი მოსკოვში არასდროს ყოფილა. იქ ის კა-გე-ბეს თავმჯდომარემ, შელეპინმა მიიღო და „საბჭოთა კავშირის გმირის“ ოქროს ვარსკვლავი გადასცა.

სტალინი და ტროცკი ერთმანეთს ებრძოდნენ და ამ ბრძოლისას, უკიდურეს მეთოდებს მიმართავდნენ

მერკადერი პროფესიონალი რევოლუციონერი გახლდათ და კომუნისტური იდეალებისთვის ბრძოლაში თავისი როლით ამაყობდა. მას არ მოუნანიებია ტროცკის მკვლელობა და დაუფარავადაც უთქვამს: თავიდან რომ მაცხოვრა 40-იან წლებში, იმავეს მოვიმოქმედებდი, რაც მაშინ ჩავიდინეო.

70-იანი წლების შუა პერიოდში მერკადერი კუბაში გაემგზავრა და ფიდელ კასტროს მრჩევლად მსახურობდა. 1978 წელს გარდაიცვალა. მისი ნეშტი საიდუმლოდ, მოსკოვში გადაასვენეს და კუნცევოს სასაფლაოზე დაკრძალეს. ახლაც იქ განისვენებს, საფლავში, რომელსაც აწერია: „რამონ ივანოვიჩ ლოპეს, საბჭოთა კავშირის გმირი“.

დაბოლოს, პაველ სუდოპლატოვის რეზიუმე:

„სტალინი და ტროცკი ერთმანეთს ებრძოდნენ და ამ ბრძოლისას, უკიდურეს მეთოდებს მიმართავდნენ; განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ სტალინთან დაპირისპირებისას, ტროცკი არა მარტო სტალინს, არამედ მთელ საბჭოთა კავშირს უპირისპირდებოდა. მათ შორის კონფრონტაცია სამკვდრო-სასიცოცხლო გახლდათ...“

■

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი
იხ. „გზა“ №37-45

გოჩა მანველიძე

გიორგი შიშით ელოდა ქალაქის მთავარ პროკურორთან შეხვედრას, მაგრამ მისდა საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. გოგას თავდასხმა, იარაღისა და ავტომობილის გატაცება არ გახმაურდა. მართალია, პროკურორმა შეხვედრის დასაწყისში, რამდენიმე შენიშვნა მისცა, მაგრამ ბოლოს მაინც დაეთანხმა ძიების მასალებს. ერთადერთი, რაც გიორგის აღელვებდა, გოგას მიმალვა იყო. მაგრამ ამასაც დროებით მოვლენად აფასებდა. დარწმუნებული იყო, რომ მის ადგილსამყოფელს უახლოეს მომავალში დაადგენდა. საგამოძიებო სამმართველოში მუშაობის პერიოდში, არაერთ ძებნილთან ჰქონია საქმე. როგორც წესი, მათ უმეტესობას მიმალვიდან ორ-სამ კვირაში იჭერდნენ. ზოგი თავად უშვებდა შეცდომას, ზოგიც ინფორმატორების მეშვეობით აჰყავდათ. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც თვეობით და იშვიათ შემთხვევაში წლობითაც კი ახერხებდნენ მიმალვას. საბოლოოდ კი მაინც საკანში ხვდებოდნენ. მაგრამ ისინი ჩამოყალიბებული სისხლის სამართლის დამნაშავეები იყვნენ და კარგად იცოდნენ, თუ როგორ უნდა გაეტანათ თავი მიმალვაში. გოგა კი...

გიორგი დარწმუნებული იყო, რომ სადაც უნდა ყოფილიყო, გოგა დედის დასაფლავებაზე მაინც გამოჩნდებოდა.

იმ დღისთვის საგანგებოდ მოემზადა. გოგას სახლთან ოპერატიული ჯგუფი ჩაასაფრა. მაგრამ მოლოდინი ამაო აღმოჩნდა. გოგა არ გამოჩენილა. მოგვიანებით ოპერატიულმა ჯგუფმა სასაფლაოზე გადაინაცვლა. ესეც უშედეგო აღმოჩნდა. ის იქაც არ მივიდა. მეორე დღეს კი გიორგიმ ოპერატიული ცნობა მიიღო. ცნობის თანახმად, გოგა პოლიციამ სენაკში დააფიქსირა, მაგრამ მისი დაკავება ვერ შეძლო.

სენაკში გატარებულმა ორმა დღემ საგრძნობლად დაღალა გიორგი, მაგრამ დასვენებაზე მაინც არ უფიქრია. თანაც, კოტეს ნაბრძანები ჰქონდა: თბილისში დაბრუნებისთანავე მომახსენე მივლინების შედეგებიო.

საღამოვდებოდა, როცა გიორგი პროკურორის კაბინეტში შევიდა. კოტე უკვე ელოდა. ოთახში შესვლისთანავე ანიშნა, დაჯექიო და მაშინვე საქმეზე გადავიდა.

— აბა, რა ამბები ჩამოიტანე სენაკიდან?

— კარგი არაფერი, — ხელი ჩაიქნია გიორგიმ, — ისევ მიიმალა. მგონი, ვიჩქარე, როდესაც ძებნიდან ამოვაგდე და იძულებითი წარდგენა გავუფორმე. ბატონი კილაძე პროფესიონალი კრიმინალივით მოქმედებს. თბილისში მთელი ოპერატიული ჯგუფი მყავდა მობილიზებული, ის კი წინადღეს სენაკში გამგზავრებულა. სიმართლე რომ გითხრათ, ბატონო კოტე, ვერც კი დავიჯერებდი, რომ დედამისის დასაფლავებაზე არ გამოჩნდებოდა.

— სენაკის პოლიციას როგორ გადააწყდა?

— უცნაური ამბავია. თბილისი-სენაკის ავტობუსი გზაში დააყაჩაღეს. რამდენიმე დაზარალებულმა უჩვენა, რომ ერთ-ერთი თავდამსხმელი კილაძეს გამოელაპარაკა. ამის შემდეგ მას და მის გვერდით მჯდომ მამაკაცს, რომელიც მან თავის თანამშრომლად დაასახელა, აღარ შეხებიან. სენაკში ის კაციც დავკითხე. ექიმი კი არა, სენაკის პოლიციის ყოფილი თანამშრომელი, მურთაზ ქაჯაია აღმოჩნდა. ამჟამად თბილისში, არასაუწყებო დაცვის სამმართველოში მუშაობს.

— გამოდის, რომ ყაჩაღები კილაძეს იცნობდნენ?

— სენაკის პოლიციის თანამშრომლებიც ასე ფიქრობენ, მაგრამ კილაძის დაკითხვა ვერ მოახერხეს. პასპორტი მოსთხოვეს თუ არა, გაიქცა, — თქვა გიორგიმ.

— უცნაური ნაცნობობაა უბრალო ექიმისთვის, — ჩაილაპარაკა კოტემ.

— ძალიან უცნაური, — დაეთანხმა გიორგი, — ის თავიდანვე ცდილობდა პოლიციელების შეცდომაში შეყვანას. თავისი ნამდვილი გვარიც კი დაუმალა და თქვა, — კვაშალი ვარო!.. გაქცევის შემდეგ სენაკელებმა ოპერატიული „სვოდკები“ გადაათვალიერეს და პოლიციაში იძულებით წარსადგენ პირთა სიიდან ამოაგდეს.

— გიორგი, იმაზე ხომ არ გიფიქრია, რომ ისევ მის ორეულთან გვაქვს საქმე?.. ბოლო მონაცემებით, ის სამტრედიის სიახლოვეს დააფიქსირეს!

— არა, სენაკში ნამდვილად კილაძე იყო. ეს დადასტურებულია. მან სამშობიარო სახლის ყოფილი მთავარი ექიმი, ენვერ კედია მოინახულა. ეს ფაქტიც ძალიან უცნაურად გამოიყურება. კილაძე სენაკში ჩავიდა იმ კაცთან შესახვედრად, რომლის არც სახელი იცოდა, არც გვარი და არც მისამართი! ის ქაჯაიას მეშვეობით მოძებნა. კედიამ უჩვენა, რომ სტუმარი გოგა კილაძის სახელით გაეცნო.

— რისთვის მივიდა კედიასთან?

— ესეც ძალიან საინტერესოა. ის სენაკის სამშობიარო სახლიდან გაუშვილებიათ და კედიასთან, თავისი ნამდვილი დედ-მამის ვინაობის დასადგენად მისულა.

— ესე იგი, ის ვახტანგ კილაძის შვილი არ იყო?!

— არა, — დაუდასტურა გიორგიმ.

— საინტერესოა. ყურადღება მიაქციე ერთ გარემოებას. კილაძე კედიასთან დედის დაღუპვის შემდეგ მივიდა. ესე იგი, აქამდე მან არაფერი იცოდა ამის შესახებ და თავს ვახტანგ და თამარ კილაძეების შვილად მიიჩნევდა.

— ნათელია, რომ დედამისმა ეს სიკვდილის წინ უთხრა.

— კედიამ დაუსახელა ნამდვილი მშობლების ვინაობა? — ჰკითხა პროკურორმა.

— არა... მან თქვა, რომ არაფერი იცის ამის შესახებ, რადგანაც სამშობიარო სახლებს ჩვილის გაშვილების უფლება არა აქვთ. შესაბამისად, ასეთი რამ არც მომხდარა!

— და კილაძე ასეთმა განმარტებამ დააკმაყოფილა?

— კედიას თქმით — არა, მაგრამ საუბარი მაინც ამით დამთავრდა. ამ

პასუხის მიღების შემდეგ, კილაძე მასპინძელს დაემშვიდობა და წავიდა.

— რა როლს ასრულებს ამ საქმეში ქაჯაია? — განაგრძო კოტემ.

— ის გაუგებრობად მიიჩნევს მომხდარს — მითხრა, რომ კილაძემ ყაჩაღებისგან იხსნა და სენაკში ჩასვლის შემდეგ, პატივისცემის ნიშნად შინ მიიწვია. თავად პოლიციელს წარმოდგენაც კი არ შეეძლო, რომ ძებნილს მასპინძლობდა. ეს მხოლოდ მის სახლში პოლიციის თანამშრომლების მისვლისას გაირკვა.

— როგორ მისცეს იმ ბრიყვებმა წასვლის საშუალება?! — ბრაზით თქვა პროკურორმა.

გიორგიმ უკმაყოფილო მზერა ესროლა და შემდეგ უპასუხა:

— პოლიციელებმა კილაძეს პასპორტი მოსთხოვეს. მან უთხრა, რომ პასპორტი ჩანთაში ჰქონდა და მის მოსატანად, სახლში შევიდა. ამ დროს პოლიციელები ეზოში იცდიდნენ. როდესაც კილაძე აღარ გამოჩნდა, ქაჯაია მის დასაძახებლად წავიდა და მაშინ აღმოაჩინა, რომ კილაძე მეორე სართულის ფანჯრიდან გადამხტარიყო და გაქცეულიყო. პოლიციის თანამშრომლებმა მაშინვე განგაში ატეხეს, მაგრამ კილაძეს ვეღარ მიაგნეს. როგორ გაუჩინარდა ასე უცებ, ვერავინ მიხვდა, თანაც, მას სენაკში ერთი ნაცნობიც არ ჰყავს. იქ ახლობლები რომ ჰყოლოდნენ, ქაჯაიას სახლში არ გაათევდა ღამეს.

— ერთი რამ არ მესმის: რატომ ანიჭებს კილაძე ამხელა მნიშვნელობას თავისი ნამდვილი მშობლების მოძებნას? ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ახლა ის სხვა საქმით უნდა იყოს დაკავებული. სიმართლე გითხრა, მისგან სულ სხვა რამეს ველოდი. იმ ორიგინალური გაქცევის შემდეგ, დარწმუნებული ვიყავი, რომ მის საქმეზე დამიკავშირდებოდნენ და შებმას დამიწყებდნენ: ახალგაზრდა კაცია, პერსპექტიული ექიმი, რა მოხდა, ვინ არ შემცდარა და რა ვქნათ ახლა, ერთი გაუგებრობის გულისთვის, ცხოვრებას ხომ არ დავუმახინჯებთ კაცსო?!.. მოკლედ, შენც იცი, რაზე ლაპარაკობენ ასეთ შემთხვევებში, მაგრამ ის სხვა გზით წავიდა... ნეტავ, გამაგებინა, რისი იმედი აქვს!.. იქნებ თავშესაფრის მიღების იმედით ცდილობს ნამდვილი მშობლების მოძებნას?

— მის გაშვილებასთან დაკავშირებით კიდევ ერთი უცნაური გარემოება აღმოვაჩინე. რადგან კედიას არ ახსოვდა მისი მშობლების ვინაობა, არქივიდან გამოვითხოვე საბუთები. აღმოჩნდა, რომ მისი დაბადება საერთოდ არაა დაფიქსირებული სენაკში. ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით, ის თბილისში დაიბადა.

— ამაში არაფერია განსაკუთრებული, — თქვა კოტემ.

— როგორ?! — გაუკვირდა გიორგის. — ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ საბუთები შეგნებულადაა გაყალბებული!

— გეთანხმები, მაგრამ ჩვილის გაშვილებისას ეს ჩვეულებრივი მოვლენაა.

— არა... მე სხვა რამ არ მომწონს. კანონმდებლობით, სამშობიარო სახლს ჩვილის გაშვილების უფლება არა აქვს. ამავეს ამტკიცებს ყოფილი მთავარი ექიმიც. მაგრამ კილაძე მაინც მასთან მივიდა. ახლა კი შეგახსენებთ, რომ მამამისი ექიმი იყო და მას არ გაუჭირდებოდა კოლეგასთან შეთანხმება და ოფიციალური დოკუმენტების გაყალბება.

— დავუშვათ... ეს რას ცვლის?

— ბევრ რამეს. ეს რიგითი შემთხვევა არ იყო და გამორიცხულია, კედიას არ სცოდნოდა ამ საქმის დეტალები. მან უბრალოდ იცრუა. თვითონაც იცის, რომ იმ უკანონობის გამო, დღეს არავინ დააკისრებს პასუხისმგებლობას, მაგრამ მაინც არ თქვა სიმართლე. უსიამოვნო საუბარს აარიდა თავი. კილაძესთან კი ეს არ გამოუვიდოდა. დარწმუნებული ვარ, რომ მან დაუსახელა ნამდვილი მშობლების ვინაობა!

— ჩვენ კი დაგვიმალა?!

— დაგვიმალა... არადა, სწორედ იქ უნდა ველოდეთ კილაძის გამოჩენას.

— ალალად მითხარი, გიორგი, მაინც რატომ დაეძებ კილაძეს ასეთი გაშმაგებით? რა უფრო გაინტერესებს — საქმის გახსნა თუ იმ თავდასხმისთვის „აბაროტის“ აღება?

— რა შუაშია „აბაროტი“, ბატონო კოტე?! — იწყინა გიორგიმ. — მე საქმე უნდა გავხსნა!

— მაშინ იმ არაკაცს უნდა დასდევდე და არა — კილაძეს! — შენიშნა პროკურორმა. — მის შესახებ თუ გაქვს ახალი ცნობები?

— არა, — უხალისოდ თქვა გიორგიმ, — მაგრამ ვგრძნობ, რომ კილაძეს ბოლომდე თუ მივყევი, პირდაპირ მასთან მიმიყვანს.

— ზედმეტად არ გაერთო. გახსოვდეს, რომ განსაკუთრებით საშიშ მკვლელთან გაქვს საქმე, რომლისგანაც ყოველ წუთს ახალი დანაშაულია მოსალოდნელი! — თქვა პროკურორმა და გიორგი კაბინეტიდან დაითხოვა.

გოგა ჯერაც ვერ მიმხვდარიყო, რამ გააბედვინა მურთაზს მისი დამალვა. პოლიციელებს ეს რომ შეეტყოთ, მის მასპინძელს მკაცრად აგებინებდნენ პასუხს. თავად, მისი მხრიდან არაფრით მოელოდა ამას. მხიარული კაცი იყო, გულღია და ალალი, მაგრამ როგორიც უნდა ყოფილიყო, მაინც პოლიციელი იყო. ოთახში მისი შემოსვლისას, გოგა დარწმუნებული იყო, რომ პოლიციელებს მოუხმობდა, მაგრამ...

მურთაზმა ბაღს გადახედა და მერე უთხრა: აქედან ვერ წახვალ — ბაღი ქუჩაზე გადის; აქ არავის იცნობ და გზებიც არ გეცოდინება, ისინი კი მალე მოგიკითხავენ და როგორც კი მიხვდებიან, რომ გაიქეცი, ქალაქს შეკრავენ და მაინც დაგიჭერენო!

— აქ თუ დავრჩი, უფრო მალე დამიჭერენ, — უპასუხა გოგამ და ფანჯრიდან გადახტომა დააპირა, მაგრამ მურთაზმა ისევ შეაჩერა. მერე კი ფრთხილად გამოიყვანა საძინებლიდან და სხვენში ასასვლელ კიბეზე მიანიშნა: მაღლა ადი და ჩუმად იყავი, დანარჩენს მე მივხედავო.

გოგამ აღარ გაამეორებინა, თავის ჩანთას წამოავლო ხელი და კიბეს აუყვა.

ცოტა ხანში სახლში ხმაური ატყდა.

— გაიქცა!.. გაიქცა!.. — მთელი ხმით აყვირდა მურთაზი.

ამის გაგონებაზე, პოლიციელები სირბილით აცვივდნენ მეორე სართულზე.

— ფანჯრიდან გადახტა, ბაღი გაირბინა და ღობეზე გადახტა! — ყვირილი განაგრძო მურთაზმა.

— რატომ?.. — დაიბნნენ პოლიციელები.

— მე რა ვიცი, რატომ?! — სწრაფად თქვა მურთაზმა. — ალბათ ჰქონდა სამაგისო მიზეზი. დროზე დაედევნეთ, თორემ სადმე შეძვრება და ვეღარ დაიჭერთ.

პოლიციელებმა ყურად იღეს მისი რჩევა. სირბილით ჩაცვივდნენ ეზოში, მანქანაში ჩასხდნენ და იქაურობას მოშორდნენ.

როგორც კი მანქანა თვალს მიეფარა, მურთაზი სხვენში ავიდა. გოგა



სამერცხლულთან იდგა და ფრთხილად აკვირდებოდა სახლის წინ მიმავალ ქუჩას.

— წავიდნენ... — ჩაილაპარაკა მასპინძელმა და იქვე ჩამოჯდა.

— ვიცი... აქედან კარგად მოჩანს ეზო და ქუჩა, — უპასუხა გოგამ, — მაგრად გარისკე. რომ არ გამოგსვლოდა, ცუდად წაგივიდოდა საქმე!

— ძმაკაცები არიან, არ გამწირავდნენ.

— მერე, შენც ხომ მაგათი ძმაკაცი ხარ! — შენიშნა გოგამ.

— ამით არაფერი დაუშავდებათ. საყვედურსაც კი არ ეტყვიან, — თქვა მურთაზმა.

— აბა, რას ეტყვიან, მადლობას?!

— ეგენი შენს ასაყვანად არ იყვნენ მოსულები. შენზე არ უმუშავიათ, არ უწვალიათ და გულიც არ დასწყდებათ... რა საქმეზე ხარ ძებნილი?

— გრძელი ამბავია.

— არსად მეჩქარება!

— მე თვითონაც არ ვიცი... ბრალის წაყენებამდე გავიქეცი, — უპასუხა გოგამ, — კაცურად გთხოვ, ნულარაფერს მკითხავ. მერამდენე დღეა, ამაზე ვფიქრობ და მაგრად მომბეზრდა... ნუ გეშინია, მეც არ შეგაწყენ თავს — ცოტა ხანს კიდევ მოვიცდი და წავალ.

— ახლა სახლიდან გასვლა არ შეიძლება. უცხო კაცს ქუჩაში ხელად ამჩნევენ. დაგიჭერენ!

— მაშინ, დაღამებას დავუცდი და მერე წავალ.

— არც ეგ ივარგებს. დიდი-დიდი, ქალაქიდან გახვიდე, მერე ვეღარსად წახვალ. ღამით ტრასაზე არავინ მოძრაობს და ვინმე რომც გამოჩნდეს, მანქანას მაინც არ გაგიჩერებს.

— მაშ, რა ვქნა? როდემდე ვიჯდე სხვენში?! — ჰკითხა გოგამ.

— ნუ გეშინია. საკანში ჯდომაზე ძნელი არ იქნება... სასმელსა და საჭმელს არ მოგაკლებ. ღამით კი დაბლა ჩამოხვალ და ოთახში დაიძინებ. ისე, რას აპირებ? თბილისში დაბრუნებას?

— არა, — თავი გაიქნია გოგამ, — კიდევ ერთი კაცი მყავს სანახავი.

— მაშინ, მანამდე მოგიწევს დარჩენა, ვიდრე მე არ მოვიცლი შენთვის.

— მოიცლი?.. მე მარტო ერთი რამ მჭირდება — ქალაქიდან გასვლა!

— ის მაინც მითხარი, მაინც საით აპირებ წასვლას?

— ზუგდიდში, — არ დაუმალავს გოგას.

— ნაცნობები გყავს?

— არა.

— ნაცნობების გარეშე, ზუგდიდში თავს ვერ გაიტან. იქ უფრო უარესი მდგომარეობაა, ვიდრე სენაკში. ვერ გაიგებ, ქალაქს მთავრობა მართავს თუ — ბანდა. მოიცადე ცოტა ხანს, ორი დღე მაინც და მერე მეც გამოგყვები.

— რისთვის აკეთებ ამას? — ჰკითხა გოგამ.

— შენ რა, ცხოვრებაში არავის დახმარებიხარ?

— ექიმი ვარ, — უპასუხა გოგამ.

— მე კი — პოლიციელი, ძმაო. „პრისტუპნიკების“ მეტი ვინ მინახავს?! არც ცუდი და კაი კაცის გარჩევაში შევცდები. ხომ არ ვიცი, რატომ გეძებენ, მაგრამ დარწუნებული ვარ, რომ არაფერი დაგიშავებია. „პრისტუპნიკები“ ასე არ იქცევიან. დროთა განმავლობაში ყველაფერი გაირკვევა, მაგრამ ახლა შენი ჩავარდნა არ შეიძლება — ცხელ გულზე, იოლად გაგწირავენ.

— შენ მაინც ყოფილიყავი ჩემი გამომძიებელი!.. — ამოიოხრა გოგამ.

მურთაზი რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ვერ მოასწრო. სწორედ ამ დროს, სახლის წინ მანქანის დამუხრუჭების ხმა გაისმა. გოგამ მაშინვე სამერცხლულში გაიხედა და დაძაბულმა ჩაილაპარაკა: ისინი არიან, უკან მობრუნდნენო.

— ეტყობა, ვერ მოგძებნეს და ჩემს დასაკითხავად დაბრუნდნენ. ამასაც გავუძლოთ და მერე ყველაფერი კარგად იქნება! — ჩაიცინა მურთაზმა და კიბისკენ წავიდა.

მურთაზის ვარაუდი გამართლდა. პოლიციას სწორედ ორი დღე დასჭირდა მის დასაკითხავად. პირველ დღეს სენაკის პოლიციის თანამშრომლებმა ჩამოართვეს ჩვენება. დაკითხვამ მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. პოლიციელები მისი ნაცნობები იყვნენ, თანაც, არავის მოუვიდოდა აზრად, რომ პიროვნება, რომელსაც ისინი ეძებდნენ, მის სახლს აფარებდა თავს. მეორე დღეს მურთაზს თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსულ გამომძიებელთან მოუწია შეხვედრამ... მესამე დღეს კი მურთაზმა პირობა შეასრულა და გოგას ზუგდიდში გაჰყვა.

მურთაზის ზუგდიდელი მეგობარი, რომან გერგედავა სამჯერ იყო ნასამართლევი და თავისუფლებაზეც „შავს აწვებოდა“. მას გოგასთვის საჭირო ადამიანის მოძებნა არ უნდა გასჭირვებოდა.

— რა საქმეზე ეძებთ იმ კაცს? რამე ხომ არ მიქარა? — ჰკითხა მასპინძელმა მურთაზს.

— არა, ისეთი არაფერი. ჩემს ძმაკაცს რაღაც აქვს გასარკვევი, — გოგაზე მიანიშნა მურთაზმა.

— როგორ მითხარი — რა ჰქვიაო? — განაგრძო რომანმა.

— გვარად დიდავაა, მერაბი თუ მამუკა ჰქვია. მეტსახელად ჭიჭეს ეძახიან.

— ჭიჭე... ჭიჭე... — რომანი მცირე ხნით ჩაფიქრდა, მერე გაოცებულმა შეხედა გოგას და ჰკითხა: — რამე ხომ არ გეშლება? ნაღდად ეგ კაცი გჭირდება?!

— ჰო.

— აზრზე ვარ, მაგრამ ვერ ვხვდები, რა საქმე უნდა გქონდეთ მაგასთან. ერთი უბედური კაცია... კაციც არა ჰქვია — „ბომჟია“, მაწანწალა. სახლიც კი არა აქვს. ბაზარში ცხოვრობს, — თქვა რომანმა.

— გვიჩვენებ? — ჰკითხა მურთაზმა.

— მაგის ნახვას რა უნდა?! ბაზარში ერთი „ზაბეგალოვკაა“, დღედაღამ იმის კართან ზის, — თქვა რომანმა, მერე მანქანის კარი გამოაღო და სტუმრებს ანიშნა: დასხედითო.

...გოგამ უკვე იცოდა, რომ მაწანწალასთან მოუწევდა შეხვედრა, მაგრამ ასეთი სურათის ხილვას მაინც არ ელოდა.

ბაზრის ბოლოში დაბალი რუხი შენობა იდგა. ჩარჩოებდახეთქილი ფანჯრები ისე დაეფარა ტალახსა და მტვერს, რომ შიგნით არაფერი მოჩანდა. კარის თავზე გახუნებული აბრა ეკიდა, რომელზეც დაბრეცილი ასოებით ეწერა: „საზკვების ობიექტი №5“. იმას, რომ შენობაში ნამდვილად სასადილო იყო, რამდენიმე მაწანწალა ძაღლის იქ ყოფნაც მიანიშნებდა — ისინი გამალებული ყნოსავდნენ სასადილოდან გამოვარდნილ, დამდნარი ქონის სურნელს და გამვლელების მიახლოებისას კუდამოძუებულები გარბოდნენ აქეთ-იქით.

— აი, ის არის ჭიჭე. ყოველ შემთხვევაში, სხვა ვინმე მაგ სახელითა და გვარით ზუგდიდში არ ცხოვრობს, — რომანმა სასადილოს კუთხესთან ჩამომჯდარ მამაკაცზე მიანიშნა გოგას.

მამაკაცის წლოვანების განსაზღვრა შეუძლებელი იყო. გრძელი, რამდენიმე თვის გაუკრეჭავი თმა მხრებამდე

ჩამოზრდოდა და მთლიანად უფარავდა შუბლს. გაბურძგნილი წვერი მკერდზე სცემდა. ტანთ დაგლეჯილი, ცხიმით გაპოხილი შარვალი და პერანგი ეცვა, შარვალი მუხლებამდე აეკეცა და ჭუჭყისგან ჩაშავებული ფრჩხილებით, დამუწუკებულ ფეხებს იფხანდა.

— დარტყმულია? — ჰკითხა რომანს მურთაზმა.

— არა. უბრალოდ, მაგრადაა გაბანძებული. ციდან ვარსკვლავებს არც ახალგაზრდობაში წყვეტდა, მაგრამ სახლ-კარი მაინც ჰქონდა და ცოლ-შვილიც ჰყავდა. სხვა მის ადგილზე ნორმალურად იცხოვრებდა. მან კი ვერაფერს მოაბა თავი. ბუნებით მეწვრილმანე, ბაცაცა კაცია. არც მეზობელს აქცევდა ყურადღებას და არც ნათესავს. რაზეც ხელი მიუწვდებოდა, ყველაფერს იპარავდა — თოხს, ბარს, გასაშრობად გაფენილ თეთრეულს, ჭურჭელს, ნათურებს... ერთხელ მახსოვს, მეზობელს წინადღეს ჩაყრილი ნერგები მოჰპარა და გაყიდა... ამის გულისთვის გამუდმებით სცემდნენ. ერთი-ორჯერ პატარა „სროკზეც“ გაუშვეს. ერთადერთი, რაც კარგად გამოსდიოდათ მაგასა და მის ცოლს, ბავშვების კეთება იყო. რვა თუ ცხრა შვილი ჰყავდათ. მაგათი ეზო საბავშვო ბაღს ჰგავდა. მათი ჩამოფხრეწილ-ჩამოკონკილი და ყოველთვის პირდაუბანელი შვილები დილიდან დაღამებამდე ჟივილ-ხივილით დარბოდნენ აქეთ-იქით. იმასაც ამბობდნენ, ერთი თუ ორი შვილი გაყიდული ჰყავთო. მისი ცოლიც მუდმივ ფეხმძიმობას გადაჰყვა — მშობიაროობისას დაიღუპა. იმის მერე სულ უკან და უკან წავიდა ჭიჭეს ცხოვრება. შვილები ბავშვთა სახლს მიაბარა, სახლ-კარი გაყიდა და აღებული ფული ლოთობაში გაფლანგა. მას შემდეგ ღია ცის ქვეშ ცხოვრობს. სადაც დაუღამდება, იქვე უთენდება. ბოლო ხანებში კი ბაზარში გადმოსახლდა. ამ „ზაბეგალოვკის“ უკან მაცივრისა და ტელევიზორის ყუთებისგან ბუდრუგანა შეკრა. ღამეს იქ ათევს. დღისით კი კართან ზის, იმ იმედით, რომ ვინმე ას გრამს ჩაარტყმევინებს... წავედით? — სწრაფად დაასრულა რომანმა.

— არა... დაველაპარაკები, — უპასუხა გოგამ.

— რაზე უნდა ელაპარაკო მაგ „ბომჟს“?! — გაუკვირდა რომანს.

გოგას არაფერი უთქვამს. ადგილიდან დაიძრა, მამაკაცს მიუახლოვდა და მის წინ ჩაიმუხლა.

— არაყი ამიღე, რა, ჯიგარო, — ამღვრეული თვალებით შეხედა ჭიჭემ.

— რა გქვია? — ჰკითხა გოგამ.

— არაყი ამიღე და რაც გაგიხარდება, ის დამიძახე.

გოგა ადგა. იქვე არაყი და ორი ბოთლი ლუდი იყიდა და ჭიჭესთან დაბრუნდა.

— ჯიგარი ხარ! — წამოიძახა მაწანწალამ. — „ზაკუსკასაც“ ხომ არ იკისრებ?.. ბევრი არაფერი გინდა: „დოქტორსკი კალბასი“, ხახვი, ნიორი და პური.

— გიყიდი, მაგრამ ჯერ სახელი და გვარი მითხარი.

— ჭიჭე დამიძახე.

— არა... მე შენი სახელი და გვარი მაინტერესებს.

— მერაბი მქვია. გვარად დიდავა ვარ. კიდევ რა გაინტერესებს? — ამ სიტყვებთან ერთად, მაწანწალამ ხელების კანკალით ბოთლი გახსნა, რამდენიმე ყლუპი არაყი მოსვა და მაშინვე ლუდი დააყოლა.

— სად არიან შენი შვილები? — განაგრძო გოგამ.

— რა ვიცი. ერთი, მაგათი დედაც!.. საერთოდ არ ვახსოვარ. ერთხელაც არ მოვუკითხავვარ, — ჭიჭემ ისევ გადაკრა ჯერ არაყი და მერე ლუდი.

სასმელმა სწრაფად იმოქმედა: ჭიჭემ თავი ჩაქინდრა და ალუღლუღდა:

— ნაბიჭვრები!.. მამას პატივს არ სცემენ... არ აინტერესებთ, მშია თუ მწყურია...

— ტყუპისა რა იცი? — ჰკითხა გოგამ.

— რომელი ტყუპის? — ჩაილუღლუღა ჭიჭემ.

— რომელიც სენაკში დაიბადა!

— აა, ისა?!. მკვდრები დაიბადნენ...

— ტყუი. შენ ისინი გაყიდე! — ცივად თქვა გოგამ.

ჭიჭემ მძიმედ ასწია თავი და ჰკითხა:

— რატომ გაინტერესებს, გავყიდე თუ გავაჩუქე?

გოგამ მასთან ახლოს მიიწია, თვალებში ჩააცქერდა და ისე უთხრა:

— იმიტომ, რომ ერთ-ერთი ტყუპისცალი — მე ვარ, დამპალო!..

დასაწყისი იხ. გვ. 68

— ამისთვის, პირველ რიგში, საჭიროა ქმარს გაშორდეთ.

— ჰმ! — მწარედ ჩაეცინა სალომეს. — ჩემი ქმარი მოკვდება და ოჯახის დანგრევას არ დაუშვებს, რადგან ხალხის თვალში ეს ჩრდილს მიაყენებს.

— სანამ ქმრის გვერდით იცხოვრებთ, ვერასოდეს იპოვით პასუხს კითხვაზე — მართლა შურისძიების მიზნით აკეთებთ ყველაფერს თუ?..

— და „თუ“? — შემპარავად ჩამეკითხა ქალი, რაც იმას ნიშნავდა, რომ პასუხი უკვე იცოდა, მაგრამ მაინც მე უნდა მეთქვა სიმართლე:

— სამწუხაროდ, თუ ბოზობა თქვენი ცხოვრების წესია, სხეულის და სულის ბუნებრივი მდგომარეობა — ამ შემთხვევაში, ქმარსაც რომ არ ებიძგებინა ამისკენ, ადრე თუ გვიან მაინც იმად იქცეოდით, ვინც ხართ. სხვათა შორის, თუ ქმარს გაშორდებით და მიხვდებით, რომ მაინც არ შეგიძლიათ მრუშობის გარეშე, მერე შვილსაც შეიძულებთ. თუმცა თქვენ ახლაც ცდილობთ, მასაც დააბრალოთ ის, რაც გჭირთ, როცა გულგრილობას არ აპატიებთ. მაგრამ საეჭვოა, იმ შემთხვევაში, თუ ის სცენებს მოგიწყობდათ, პასუხს მოგთხოვდათ და უფრო მეტიც — საცემრად გამოიწევდა — რომ დამორჩილებოდით. ამისთვის არაბუნებრივად ძლიერი უნდა ყოფილიყო თქვენი შვილი...

— რა ვქნა?

— ახლა დავასრულოთ სეანსი და ერთი კვირის შემდეგ შეეხვდეთ, თუ, რა თქმა უნდა, ისევ გაგიჩნდებათ ჩემთან მოსვლის და საუბრის სურვილი. მანამდე კი იფიქრეთ და მიხვდით, რა სჯობია თქვენთვის...

— თქვენ რას იზამდით ჩემს ადგილზე? — ცნობისმოყვარეობით მომაცქერდა სალომე.

— მე მაშინ უარვყოფდი ქმარს, როცა სასტუმროში დაგტოვათ და მრუშობის ბრძანება მოგცათ... არც იმ ბავშვს გავაჩენდი. ამ სიტუაციაში მაინც — ორივეს მივატოვებდი და შორს გადავიხვეწებოდი. საკუთარ თავთან დარჩენილი კი ისე ვიცხოვრებდი, როგორც მივიჩნევდი საჭიროდ.

— თუ გენდომებოდათ, ბოზობასაც გააგრძელებდით?..

— ალბათ! — ავიჩეჩე მხრები.

— გმადლობთ! — შემომხედა ჩაფიქრებულმა. — არ ვნანობ, რომ აქამდე მოვედი და გენდეთ... ჰონორარსაც ორმაგს გადაგიხდით, ოღონდ, როცა დამჭირდება, ურიგოდ და შეუზღუდავად მიმიღეთ. შეიძლება?!

— რატომაც არა!. — გავუღიმე ქალს და დავემშვიდობე კაცების უგუნურებით კიდევ ერთხელ გაოგნებული. ჩემთვის რომ ეკითხათ, სალომეს ქმარს ცოცხლად დავაწვევინებდი კოცონზე...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონით: 8(99).71.89.39.

ორი დღე და მთელი ცხოვრება

მარი ჯაფარიძე

— მინდა, რომ რასაც ახლა მოგიყვებით, „მინირომანად“ დაწეროთ და თუ ეს შესაძლებელი იქნება, გთხოვთ, ნამდვილ სახელებს ნუ დაასახელებთ. თუ გნებავთ, უბრალოდ, „ქალი“ და „მამაკაცი“ დაგვარქვით... სადაც ვცხოვრობთ, იმას უბრალოდ — „ქალაქი“ და კიდევ... აუცილებლად აღნიშნეთ, რომ თუ ქალსა და მამაკაცს შორის ნამდვილი სიყვარულია, მას ბედნიერი დასასრული არასოდეს აქვს, მაგრამ ბედის მადლიერი უნდა ვიყოთ, რომ ეს სიყვარული ოდესღაც არსებობდა, — მითხრა ახალგაზრდა ქალბატონმა, რომელმაც შეხვედრა მთხოვა და თავისი ამბავი გამანდო.

მე კი მგონია, რომ ჩვენს მკითხველს მის შესახებ გაცილებით მეტის გაგების სურვილი ექნება... მაგალითად, იმის, რომ ის სასიამოვნო გარეგნობის, ქერათმიანი ქალია. კოხტა აღნაგობა აქვს და საკუთარ თავისუფლებას ყველაფერზე მაღლა აყენებს. მიუხედავად ამისა, საყვარელი ადამიანი მისთვის ყველაფერია და მისი გულისთვის მზადაა, მსხვერპლიც გაიღოს.

როდესაც ეს ამბავი დაიწყო, ის 29 წლის გახლდათ. თავისი პირველი ქორწინების შესახებ (თუმცა მეორედ არც გათხოვილა), არაფერი მოუყოლია, გარდა იმისა, რომ ამ ქორწინებიდან მშვენიერი გოგონა ჰყავს. ამ ყველაფერს იმიტომ გიამბობთ, რომ არ იფიქროთ, ჩვენი „გმირი“ არაჩვეულებრივი ქალია.

ცხოვრების ხალისი მას შემდეგ მიეცა, რაც „მას“ შეხვდა. სასწაულია, რომ ისინი ერთ უბანში გაიზარდნენ, მოპირდაპირედ მდგარ კორპუსებში ცხოვრობდნენ, მათი ფანჯრები ერთმანეთს უყურებდა, მაგრამ მათი გზები მხოლოდ მაშინ გადაიკვეთა, როდესაც ქალი 29 წლის იყო და „ერთი ცხოვრება“ უკვე გავლილი ჰქონდა.

თუმცა მამაკაცის შესახებ მან ბევრი რამ იცოდა. შეუძლებელი იყო, რომ არ სცოდნოდა, რადგან ის ძალიან ლამაზი (შემდგომში — შეძლებულიც), ქალაქში საკმაოდ ცნობილი ადამიანი იყო და ამბობდნენ, მასზე უამრავი ქალი იყო შეყვარებული. ის თითქოს პარალელურ სამყაროში ცხოვრობდა, ვიდრე მათი სრულიად შემთხვევითი, მაგრამ ალბათ „ბედისგან დაგეგმილი“ შეხვედრა არ შედგა.

— ეს ყველაფერი ზეცაში დაიგეგმა, — მიმტკიცებდა ქალი, — ეს ჩემი მამაკაცი იყო, მხოლოდ მას შეეძლო ჩემი გაბედნიერება და ვიცი, რომ მასაც თავდავიწყებით ვუყვარდი.

მას შემდეგ, რაც მათი რომანი დაიწყო, ერთმანეთს აღარ დაშორებიან. როდესაც გვიან ღამით თავიანთ სახლებში მიდიოდნენ, ერთმანეთს ფანჯრებიდან უყურებდნენ ხოლმე. განშორებას ვერ იტანდნენ და მამაკაცმა ეს პრობლემა სულ უბრალოდ გადაჭრა — ქალს თავისთან დააწყებინა მუშაობა. ყველაფერს ლამაზად აკეთებდა და მათი ურთიერთობაც ძალიან ლამაზად აეწყო.

პარასკევ საღამოს მასთან მივიდოდა, მოეხვეოდა და ეტყოდა:

— ზღვაში ხომ არ ვიბანაოთ? საბანაო სეზონი ჯერ არაა, მაგრამ მაინც შეიძლება...

მაშინვე შეკრავდნენ ბარგს და 2 დღით ბათუმში მიდიოდნენ... ზღაპარია? სულაც არა!

...და ეს ზღაპარი 1-2 წელი კი არა, მთელი 6 წლის განმავლობაში გრ-

ძელდებოდა.

მათი დაქორწინების საკითხი დღის წესრიგში არასოდეს დამდგარა. უფრო სწორად, ერთხელ მამაკაცმა ჰკითხა, რატომ არ გამოთქვამდა ქალი გათხოვების სურვილს? „მე ერთხელ უკვე ვიყავი გათხოვილი“, — უპასუხა ქალმა. მას არაფრის შეცვლა არ სურდა.

რა თქმა უნდა, ის მამაკაცზე ეჭვიანობდა, მაგრამ — ზომიერად... ისიც იმიტომ, რომ ის მომხიბვლელი მამაკაცი იყო და ყოველთვის ქალბატონების ყურადღების ცენტრში ექცეოდა. მაგრამ იმასაც ხვდებოდა, რომ ღალატს ასე იოლად ვერ მოახერხებდა, რადგან გამუდმებით ერთად იყვნენ — დღე და ღამე. ერთმანეთს მშვენივრად ავსებდნენ და სხვა არავინ უნდოდათ.

შესაძლებელია, ამ ყველაფერს იდილია დავარქვათ, თან ის კარგა ხანს გრძელდებოდა.

მეგობრებს ქალის შურდათ... მიიჩნევდნენ, რომ ძალიან გაუმართლა. თვითონაც ასე ფიქრობდა. იმასაც ფიქრობდა, რომ მამაკაციც ბედნიერი იყო მასთან..

იმ ზაფხულს დასასვენებლად, ანტალიაში მთელი თვით გაემგზავრნენ. სიყვარულის დღესასწაული გრძელდებოდა... ქალი მეცხრე ცაზე იყო ბედნიერებისგან. კი არ დადიოდა, დაფრინავდა...



თურქ მამაკაცებს ქერა ქალები მოსწონთ... მამაკაცი ძალზე ეჭვიანობდა, როდესაც ქალის გვერდით უცხოს დაინახავდა ან მის სხეულზე „მოსრიალე“ მზერას დალანდავდა. ქალი ამაზე გულიანად კისკისებდა...

ეს იყო სუპერდასვენება, სუპერშვებულება და სუპერურთიერთობა... უკან დაბრუნების დროც დადგა... მამაკაცი 2 დღით უკრაინაში უნდა წასულიყო... ის ანტალიიდან პირდაპირ უკრაინაში გაფრინდა, ქალი — მშობლიურ ქალაქში. ერთმანეთს 28 ივნისს დაშორდნენ. 1-ელ ივლისს კი მამაკაცი ვარდების თაიგულით მის კართან იდგა. ქალს არანაირი ცვლილება არ შეუნიშნავს.

შემდეგი 1 თვეც ჩვეულებრივად გავიდა. მაგრამ მამაკაცმა მივლინებებში მარტო სიარულს მოუხშირა. ადრე ქალი თან დაჰყავდა, ახლა კი 2-3 დღით ქრებოდა და უკან დაბრუნებული, ძველებურად, მონატრებასა და სითბოს ამჟღავნებდა.

შემდეგ ის ღამე დადგა, რომლის მსგავსიც დიდი ხანია, არ ჰქონიათ. მამაკაცი მთელი გრძნობით ეფერებოდა... „თითქოს უკანასკნელი ალერსია“, — გაიფიქრა ქალმა და მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ მისი ფიქრი სიმართლესთან ასე ახლოს იყო.

— იმ ღამით ჩემთვის ხელი არ გაუშვია. ისე მაგრად მიხუტებდა, თითქოს სურდა, ერთ არსებად ვქცეულიყავით...

დილით, როგორც ყოველთვის, ყავა ლოგინში მიართვა. ქალმა თვალები ძლივს გაახილა. ნახევრად მძინარემ საყვარელ მამაკაცს შესცინა.

— დღეს ქორწილში გეპატიჟები...

— ვის ქორწილში? — ძილისგან გაბრუებული ქალი ნათქვამის არსს ბოლომდე ვერ ჩასწვდა.

— ჩემს ქორწილში.

ამის შემდეგ რა მოხდა, ქალს აღარ ახსოვს. ნაცნობი და უცნობი სახეები ნისლში ცურავდნენ... მეგობრები მოდიოდნენ... ზოგი ქორწილში წასვლას ურჩევდა, ზოგიც პირიქით — კატეგორიულად უკრძალავდა... მის თავში კი ერთი აზრი „ფეთქავდა“: „ეს ხუმრობაა... იქნებ, პატარძალი მე ვარ?“

ქალმა ის გააკეთა, რასაც მამაკაცი ალბათ არ ელოდა... მისი ნაჩუქარი და ყველაზე საყვარელი კაბა ჩაიცვა, სალონში წავიდა, თმა მოიწესრიგა გასამხნევებლად, ერთი მეგობარი იახლა და რესტორანში გამოცხადდა.

პატარძალი სოცრად ლამაზი და საკმაოდ ახალგაზრდა იყო, სიძე — ელეგანტური და მომხიბვლელი... ის ქალთან მივიდა, კისერზე ტუჩებით შეეხო და ჩასჩურჩულა, რომ მის ცხოვრებაში საუკეთესო ქალად დარჩება.

თავიდან კარგად იქცეოდა, მაგრამ ყველაფერი თამადამ აურია. მან მამაკაცს ჰკითხა, ახსოვდა თუ არა ის დღე და ადგილი, როდესაც მომავალი მეუღლე გაიცნო?

მან ენის ბორძიკის გარეშე უპასუხა:

— 28 ივნისი, სტამბოლი-კიევის რეისი...

ქალმა ღამის გონება დაკარგა... მის საყვარელ მამაკაცს მომავალი ცოლი იმ 2 დღეში „უპოვია“, როცა ის მის გვერდით არ იყო. 2 დღე, 6 წლის საპირწონედ! ეს წარმოუდგენელია!

რა იყო შემდეგ?

— ...მგონი, ბევრი დავლიე და სასმელი მომეკიდა. შემდეგ მგონი, ბედნიერ პატარძალთან მივედი და ვუთხარი, რომ ქორწილის წინა ღამე მისმა ქმარმა ჩემთან გაატარა... მგონი, ვიღაცამ იდაყვში ხელი მომკიდა და რესტორნიდან გაყვანა დამიპირა; მგონი, ვეწინააღმდეგებოდი, უკან ვიყურებოდი და თვალებით მის მოძებნას ვცდილობდი... მგონი, მოვკვდი...

ამ ამბის შემდეგ 3 წელი გავიდა. ახლა ქალი აღარ ტირის, როცა ამ ამბავს იხსენებს. იქნებ, ცხოვრება გრძელდება?..

თავიდან მამაკაცი მასთან მიდიოდა და სთხოვდა, შინ შეეშვა და საშუალება მიეცა, ყველაფერი აეხსნა.

რის ახსნას აპირებდა? იმის, რომ გონება დაებინდა? თუ იმის, რომ უბრალოდ, ახალგაზრდა ცოლი უნდოდა?

ქალს დაამახსოვრდა, რა გაიფიქრა, როდესაც ახალგაზრდა პატარძალი დაინახა: „24 და 38“...

თავიდან ძალიან სტკიოდა გული, მაგრამ მამაკაცის გამართლებას მაინც ცდილობდა: მას სურვილი გაუჩნდა, ახალგაზრდა ცოლი, ოჯახი და შვილები ჰყოლოდა, ეგ იყო და ეგ...

სწორედ ამიტომ არ მისცა მამაკაცს საშუალება, რაიმე აეხსნა. არ მოუსმინა მას და შინიდან გააგდო. მთელი 6 წლის განმავლობაში მისი ცოლი არ ყოფილა, მაგრამ არც საყვარელი იყო... ის უბრალოდ, საყვარელი ქალი იყო და სხვა „სტატუსი“ არც უნდოდა.

მამაკაცი მაინც იქვე იყო... ძნელი იყო ამის გაძლება, რადგან მისი (უფრო სწორად — მათი) ფანჯრები ძველებურად მისას უყურებდა... ბინა გაყიდა და საცხოვრებლად სხვა უბანში გადავიდა.

ახლა ტკივილმა იკლო... დარჩა მხოლოდ იმის შეგრძნება, რომ 6 წლის განმავლობაში ძალიან ბედნიერი იყო... ქალებს შორის ყველაზე ბედნიერი...

მამაკაცის მიმართ სიძულვილის გრძნობა არ გასჩენია. მხოლოდ დარდი და მადლიერების გრძნობა დარჩა იმის გამო, რომ ის მის ცხოვრებაში არსებობდა.

იცის, რომ მათ გოგონა შეეძინათ და ისიც იცის, რომ ერთად აღარ ცხოვრობენ...

ახლა ქალიც მარტოა და მამაკაციც... ისინი სხვადასხვა უბანში ცხოვრობენ და მხოლოდ ხანდახან, ძალიან იშვიათად, ქალის ტელეფონში ისმის: „მე შენ მიყვარხარ“. ■

აკრძალული ოცნებები

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“ №38-45

უნებურად, ნინიმაც გაიხედა იქით, თითქოს მოულოდნელი ყოფილიყო მისი მინიშნება.

— მე მხოლოდ იმის კითხვა მინდოდა... როდის მოხვედით? თქვენი ნაბიჯების ხმა არ გამიგონია.

— ჰოოოო, — ჩაიცინა გიომ, — ასეც ვიფიქრე... ისე იყავით ფიქრებში გართული, მომეჩვენა, რომ დროებით გამოეთიშეთ გარე სამყაროს.

— აუუუუუუუუ! — უკმაყოფილოდ წამოიძახა, რაღა მაინცდამაინც ამას უნდა დაენახა მთვლემარე მდგომარეობაში? — შემთხვევით, ხომ არ ვხვრინავდი?

— არა, კატასავით კრუტუნებდით მხოლოდ, — მამაკაცი სერიოზული სახით ლაპარაკობდა, მაგრამ თვალებში ჭინკები უხტოდა.

— მე... მე არაფერი მასხოვს, — იცრუა ნინიმ და გაწითლდა, — რატომ არ გამაღვიძეთ?

— შემეცოდეთ. არ მინდოდა, კვლავ დაჰბრუნებოდით ჩვეულებრივ მდგომარეობას და, როგორც ყოველთვის, ზღარბივით ეკლები არ გამოგეჩინათ.

გოგონას მამაკაცის გვერდით ყოფნა უზომოდ აღელვებდა... ალბათ აღელვებდა ისიც, როგორ დაჟინებით აკვირდებოდა მას, როცა თვლემდა. იმის იმედს მაინც იტოვებდა, რომ ძილში არ ლაპარაკობდა.

— განა არ მუშაობდით დღეს?..

— კი, როგორ არა, მაგრამ შედარებით ადრე მოვრჩი საქმეს. მერე ცოტაოდენი დრო იმაში დავხარჯე, ეთერის საშუალებით მომეძებნეთ... თუმცა, სრულიად უშედეგოდ. ბოლოს გადავწყვიტე, თავად ვეახლები მის უმშვენიერესობას-მეთქი და თქვენი ბინისკენ გამოვეშურე. ლელუკამ მითხრა, დავინახე, პარკში რომ შედიოდაო... — მამაკაცმა ხელები გაშალა. — და აი, მეც აქ ვარ.

— ღმერთო ჩემო! საინტერესოა, რატომ იყავით დარწმუნებული, რომ სწორედ ამ ადგილას მიპოვიდით? — გაიკვირვა ნინიმ. — ამ ადგილს მაინცდამაინც არ ეტანებიან აქაურები, ყოველთვის სიხალვათეა.

— ახლა რაღაცას გეტყვით, მაგრამ ვიცი, არ დამიჯერებთ.

— მითხარით, იქნებ დავიჯერო კიდეც.

— ეს ჩემი საყვარელი ადგილია. როცა განმარტოება მომესურვება, სწორედ ამ მერხზე ჩამოვჯდები ხოლმე... მხოლოდ აქ მსიამოვნებს საკუთარ თავთან მარტო დარჩენა.

გოგონას ხმა არ ამოუღია, გიოს სიტყვებს აანალიზებდა. მისი საყვარელი ადგილი, მისი პატარა სამოთხე სინამდვილეში თურმე დანაღმული ველი ყოფილა.

— რატომ დამდევთ კვალდაკვალ? რა გინდათ ჩემგან? — უეცრად იერიშზე გადავიდა.

— იმიტომ, რომ ჩვენ სამსახური შემოგთავაზეთ და თქვენგან პასუხის მიღება გვსურს, თანაც სასწრაფოდ, — მოთმინებით აუხსნა გიომ, — ყოველგვარი დაძალების გარეშე, რა თქმა უნდა.

— იმ შემთხვევაშიც კი, თუ უარს ვიტყვი?

— ვფიქრობ, ასეთ სისულელეს არ ჩაიდენთ.

— იქნებ თავდაცვის ინსტინქტი მალაპარაკებს...

— რაში გჭირდებათ თავდაცვა? რატომ ფიქრობთ ამისთანა რამეზე? — გულგრილად იკითხა მამაკაცმა.

— სხვადასხვა მიზეზის გამო... მაგალითად, წუხელ არ უნდა მევახშმა თქვენთან.

— რატომ, კერძები არ მოგეწონათ?

— არა, კერძები უგემრიელესი იყო, — ნინიმ დაძაბულმა დახედა მუხლებზე პატარა ბავშვივით დაწყობილ თავის ხელებს, — საქმე ეს როდია. არ უნდა მიმეღო თქვენი წინადადება...

— ოოო, კარგი, რა, ამაზე ნუ სწუხხართ. პირობას გაძლევთ, ჩვენს სტუდიასთან დადებულ კონტრაქტში რესტორანში ვახშმობის პუნქტს არ შევიტანთ, — გულიანად გაიცინა გიომ.

— მშვენივრად იცით, ამას რომ არ ვგულისხმობ, — გაწიწმატდა გოგონა და დაჟინებით მიაშტერდა.

მამაკაცმა დამცინავად გაიღიმა.

— ღვთის გულისთვის, ნინი! მეცხრამეტე საუკუნის სეფექალი ხომ არ ხართ, ერთ მსუბუქ გამოსამშვიდობებელ კოცნას ამხელა მნიშვნელობა მიანიჭოთ!

— თქვენი აზრით, ამას ასე ჰქვია?

— აბა რა! — ჩუმად ჩაილაპარაკა რობაქიძემ. — და ძალიან ვწუხვარ, რომ ამ კოცნაში თქვენ რაღაც მნიშვნელოვანი დაინახეთ.

— მაგრამ იმ კოცნას „მსუბუქი“ არ ერქვა.

— გეთანხმებით, თუმცა ეს არაფერია იმასთან შედარებით, როგორ გაკოცებდით, თქვენთან ურთიერთობა რომ მინდოდეს, — გიო ოდნავ შეყოვნდა, ნინის კი მისი პასუხის მოლოდინში სუნთქვა შეეკრა, — თუკი არ გჯერათ, — მამაკაცი კვლავ გაჩუმდა და გოგონას ამობურცულ წითელ ტუჩებს ხარბად მიაპყრო მზერა, — მაშინ მოიწიეთ ჩემკენ და დაგიმტკიცებთ ამას.

ნინი ათრთოლებული მისჩერებოდა გიოს და თვალს ვერ აშორებდა. რა ადვილი იყო მისი წინადადების მიღება. ერთი პატარა შერხევა და მის მკლავებში ამოყოფდა თავს, მერე კი კიდევ ერთხელ შეიგრძნობდა მისი ტუჩების გემოს.

— ბოლოს და ბოლოს, — გააგრძელა რობაქიძემ, — მზე სასიამოვნოდ გველამუნება, ბალახიც მშრალია, თან მთელი ერთი საათი თავისუფალი მაქვს. რას იტყვით?

გოგონა ისე გაამწარა მისმა სიტყვებმა, ბრაზისგან წამოჭარხლდა.

— თქვენ, რა, გაგიჟდით? როგორ მიბედავთ ასეთ ლაპარაკს?!

გიომ გადაიხარხარა.

— როცა თქვენს გაბრაზებულ სახეს ვხედავ, თავს ვერ ვიკავებ, არ გაგეხუმროთ.

— რადგან ასეა, იმასაც ადვილად მიხვდებით ალბათ, რატომაც არ მინდა თქვენთან სამსახურის დაწყება, — აკანკალებული ხმით წამოიძახა ნინიმ.

— ამ მხრივ შეგიძლიათ მშვიდად იყოთ. სამსახურში სრულიად დაცული იქნებით. იქ ასეთი რამეების თქმა და, მით უმეტეს, გაკეთება გამორიცხულია, რადგან სექსუალურ ძალადობად შეფასდება და სასამართლო პროცესი არ ამცდება. სტუდიაში ასეთ რამეებს შავი ჭირივით გავურბივართ.

გრძნობდა, რომ მამაკაცი ისევ აშაყირებდა.

— თორნიკეზე რატომ არაფერს ამბობთ? — თქვა მცირედი პაუზის შემდეგ. — მას შეიძლება არც მოეწონოს, თქვენთან რომ დავიწყო მუშაობა.

— და ისიც, მე რომ ვახშმად დაგპატიჟეთ? — დაამატა გიომ და თვალებში კვლავ აუცეკვდა ჭინკები.

— შესაძლებელია, — გაუბედავად დაეთანხმა გოგონა და იგრძნო, როგორ უმატა გულისცემამ.

— მაშინ რა საჭიროა, გაიგოს? ჩვენს რესტორანში ერთად ყოფნას არ შეიძლება ნამდვილი პაემანი ვუწოდოთ... ამასთან, კიდევ ერთხელ გიმეორებთ: ჩვენი შერიგება ძალაში რჩება. სულაც არ ვაპირებ, ცხოვრება გაგირთულოთ.

გოგონამ შვება იგრძნო, მაგრამ ერთი რამ მაინც არ აძლევდა მოსვენებას... რაც დრო გადიოდა, მით მეტი საერთო საიდუმლო უგროვდებოდა გიოსთან. ეს კი თავისთავად იმას ნიშნავდა, რომ თორნიკე უნდა მოეტყუებინა.

— მაინც მიმაჩნია, რომ არ იქნება ლამაზი, თქვენს შემოთავაზებას დავთანხმდე.

— შეიძლება მართალიც ხართ, — მამაკაცი მოულოდნელად გამხიარულდა, — თქვენი მომავალი ხომ აღმავალი გამეგბივით არის გათვლილი და რაში გჭირდებათ სერიოზული სამსახური? თორნიკეს ერთხელ უკვე ჰყავდა კარიერით უზრუნველყოფილი ქალი — საკუთარი ცოლი და მეეჭვება, კიდევ ერთხელ გამოთქვას სურვილი, მისნაირი შეირთოს. მისთვის ძალიან მტკივნეულია, როცა ხედავს, როგორ მიიწევენ სხვები წინ, — შეფიქრიანებულმა მამაკაცმა თავი გადააქნია, — ალბათ აჯობებს, დროებითი სამუშაოთი დაკავდეთ, ნაკლები რისკია მისთვის.

— სასაცილოა, რასაც თქვენ ლაპარაკობთ! — აღშფოთდა ნინი. — სულაც არ მიგულისხმია ეს, როცა უარი ვთქვი თქვენს წინადადებაზე. რაც შეეხება თორნიკეს, დარწმუნებული ვარ, მას მხოლოდ გაუხარდება, თუკი კარგ სამსახურს ვიშოვი.

— ქედს ვიხრი თქვენი თავდაჯერებულობის წინაშე, — მხრები აიჩეჩა გიომ, — მაშინ რა არის პრობლემა?

„მე“, — გაიფიქრა გოგონამ, — „იმიტომ, რომ ჩემს თავს არ ვენდობი, როცა შენ გვერდით ვარ. საკუთარ რეაქციებს ვერ ვაკონტროლებ. შენ მაიძულებ, ვუღალატო თორნიკეს და სწორედ ეს მაწუხებს“.

თავი დახარა და ძლივს გასაგონად თქვა.

— არ ვიცი... შინაგანი ხმა ასე მკარნახობს.

გიომ ამოიხვნეშა.

— ნინი, საკუთარ გონებას უნდა მოუსმინოთ და არა გულს. თქვენ გჭირდებათ მაღალანაზღაურებადი სამსახური, ჩვენ კი — ისეთი სპეციალისტი, როგორიც თქვენ ხართ.

— მაგრამ ეთერმა მითხრა, ვიღაც დეკრეტულ შვებულებაში გადის და მის ადგილზე დროებით უნდა მიგიღონო.

— მართალია... მაგრამ თუ თავს გამოიჩენთ, დაგტოვებთ კიდევაც, კარგი კადრი არ გვაწყენდა.

ასე რომ, დაფიქრდით.

ნინიმ პასუხი არ გასცა.

— გინდათ, მე თვითონ დაველაპარაკო თორნიკეს? — შესთავაზა მამაკაცმა. — რათა დავრწმუნდეთ, რომ იგი წინააღმდეგი არ წავა.

გოგონამ უსიამოვნო ირონია იგრძნო მის ნათქვამში და უხეშად უპასუხა:

— არაფერში მჭირდება მისგან არც თანხმობის მიღება და არც სხვა რამ.

— ესე იგი, თანახმა ხართ?

მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ გოგონამ თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

— ძალიანაც კარგი... მაშინ ორშაბათ დილით გელოდებით. ახლა კი წავალ, თქვენის ნებართვით, თავად კი გააგრძელეთ ლამაზი ძილი, — გამოცოცხლებული ხმით წარმოთქვა მამაკაცმა და წამოდგა.

ნინიმაც წამოიწია.

— შეკითხვა მაქვს. ვის უნდა მივაკითხო ორშაბათს?

— ა! არ მითქვამს? ის გოგონა, რომელიც დეკრეტულში გადის, ჩემი პირადი მდივანი იყო. ასე რომ... — მამაკაცმა გაიღიმა, ეშმაკური მზერა ესროლა და წავიდა.

შინ დაბრუნებულს სიგნალიზაცია უკვე გაყვანილი დახვდა. ლელუკამ უთხრა, თორნიკემ დაგირეკა და ტელეფონის ნომერი დაგიტოვაო. ნინიმ უხალისოდ გამოართვა ქალს ქაღალდის ნაგლეჯზე გაკრული ხელით მიწერილი ნომერი და ოთახში შევიდა თუ არა, მაშინვე დარეკა. ყურმილში ხმაური ისმოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მისი საყვარელი მამაკაცი ბარში იმყოფებოდა.

— გამარჯობა, საყვარელო! — თორნიკე კარგ ხასიათზე ჩანდა. — როგორ ხარ?

— არა მიშავს, — არცთუ ხალისიანად უპასუხა, — ახალი სამსახური შემომთავაზეს.

— მშვენიერია. იმედია, კარგად იხდიან, მაღალი ხელფასი გექნება? აქ ერთი ბინა ავაგდე, მაგრამ ცოტა ძვირი ღირს.

ამის გაგონებაზე ნინის გუნება გამოუკეთდა.

— მართლა?! რა კარგია. მოდი, შაბათ-კვირას გამომიარე და ვნახოთ, კარგი? — შესთავაზა გახარებულმა.

— სამწუხაროდ, ამ შაბათ-კვირას ვერ მოვახერხებ, ქალაქში არ ვიქნები. სამსახური ითხოვს, რა ვქნა!

— რა ცუდია... აბა, როდის გნახავ?

— ჩემო სიყვარულო, მეც ძალიან მინდა შენ გვერდით ყოფნა, მაგრამ სამსახურს რა ვუყო? წამითაც ვერ ვიცლი. იქითა კვირამდე ერთი წუთიც არ მექნება თავისუფალი.

— მეც წამოვალ შენთან ერთად, არ შეიძლება?

— რა გინდა, სიხარულო, მაინც მთელი დღე მარტოს მოგიწევს ყოფნა. ისეთი დაკავებული ვიქნები, ვერანაირად ვერ მოგაქცევ ყურადღებას, ძალიან მოიწყენ.

— მაგრამ ღამით მაინც ხომ ვიქნებით ერთად, — გაუბედავად წარმოთქვა.

— მეეჭვება... თან მარტო არ მივდივარ, კიდევ ერთი თანამშრომელი მოდის. ისეთი გადარბენები გვექნება, შეიძლება ღამითაც მოგვიწიოს მუშაობამ. მაპატიე, მაგრამ რა ვქნა, ამ ეტაპზე ჩემთვის სამსახურის საქმეები უფრო მნიშვნელოვანია. ფული გვჭირდება, ხომ გესმის? ასე რომ, თუ კარგ ანაზღაურებას გთავაზობენ, უარი არ თქვა... რა-ა? ჰო, ჰო, მოვდივარ, — ვიღაცას გასძახა თორნი-

კემ, — სიხარულო, უნდა გავიქცე. როგორც კი ჩამოვალ, მაშინვე დაგირეკავ.

ნინიმ ყურმილი დაკიდა და ლარნაკში ჩადებულ ვარდების თაიგულს შეავლო თვალი. ხედავთ, რა ხდება? რამდენიმე წუთის წინ, მან, ფაქტობრივად, თავისი თავი შესთავაზა მამაკაცს, მან კი თავაზიანი უარი სტკიცა. შეიძლება არც დაფიქრებულა ამაზე, მაგრამ ასე გამოვიდა. გოგონა შეეცადა, შეჰგუებოდა ამ ფაქტს. როგორ უნდოდა, ყველაფერი მოეყოლა შეყვარებულისთვის — ფაილების აღდგენაზეც, გიოსთან გატარებულ საღამოზეც, შემოთავაზებულ წინადადებაზეც, მაგრამ ვინ აცალა? თორნი არც კი დაინტერესდა, როგორ ატარებდა მისი საყვარელი ქალი დროს უცხო ქალაქში. ნინი მტკივნეულად განიცდიდა ამას.

რამ შეცვალა ეს კაცი ასე? რა სხვანაირი იყო ადრე! ახლა კი... ახლა კი ნინი ისეთ წვრილმანებს უკვირდება, რასაც ადრე არც აქცევდა ყურადღებას და უფრო და უფრო უცრუვდებოდა იმედი.

— ღმერთო ჩემო, რატომ აღვიქვამ ასე მტკივნეულად მის საქციელს? რა მჭირს? — წამოიძახა სასოწარკვეთილმა და თავი ბალიშში ჩარგო.

იცოდა ნინიმ, მშვენივრად იცოდა, რაც სჭირდა. მისი სასოწარკვეთის მიზეზი მაღალი, ლამაზთვალება, მომნუსხველი ღიმილის მქონე მამაკაცი იყო და ამ მიზეზს გიორგი რობაქიძე ერქვა. ხვალიდან სწორედ მის გვერდით უნდა გაეტარებინა ყოველი ახალი დღე და მისი ნებისმიერი მოთხოვნა მორჩილად შეესრულებინა. შიშობდა, რომ ამ თანხმობით დიდ სისულელეს სჩადიოდა, თავად იჭრიდა უკან დასახევ ყველა გზას. იქნებ ჯერ კიდევ არ არის გვიან? აი, მივა ორშაბათს და უარს იტყვის მუშაობის დაწყებაზე...

ასე ორჭოფობდა მანამ, სანამ სტუდიის კარს შეაღებდა. „გამაგრდი!“ — შეუძახა თავის თავს და ამყად თავაწეული პირდაპირ ვერიკოსკენ გაემართა.

— დაბრუნებას გილოცავ!.. არ იცი, ეველინა რა სახით დადის, გეგონება, ძმარი დალიაო, — უჩურჩულა მდივანმა, — ეს იმას ნიშნავს, რომ შენ სწორად მოიქეცი.

— რაღაც არა მგონია, — თავი გაიქნია ნინიმ.

გოგონამ დაჯდომაც ვერ მოასწრო, რომ მისაღებში ეველინა შემოიჭრა.

— როგორც იქნა, გამოჩნდი! კიდევ კარგი! — მედიდურად წარმოთქვა ქალმა. — გიოს დააგვიანდება, ამიტომ მის მოსვლამდე შენი მონაცემები უნდა ჩავიწერო და კადრებში გაგატარო. წამოდი ჩემთან!

ნინი უხალისოდ მიჰყვა ლამის სირბილით მიმავალ მენეჯერს.

ანკეტა სწრაფად შეავსო, ხელშეკრულება გადაიკითხა, ხელი მოაწერა და ეველინას გაუწოდა. ქალმა ერთი დახედა, ირონიულად ჩაიღიმა და საბუთები საქაღალდეში შეინახა. მერე მაგიდის უჯრიდან დისკი ამოიღო და ნინისკენ მიაჩოჩა.

— ეს პარასკევ საღამოს გიომ დაგიტოვა, გაშიფროსო. გირჩევ, მის მოსვლამდე მოასწრო.

„პარსკევ საღამოს? არ არსებობს! რა იცოდა, რომ დავთანხმდებოდი?!“ — გაოგნებულმა გოგონამ უაზროდ დახედა კონვერტში ჩადებულ დისკს.

— ხმის ჩამწერი ოთახი გვერდზეა, მესამე კაბინეტში! — დააკვალიანა ეველინამ და ანიშნა, თავისუფალი ხარო.

ნინიმ გაუბედავად შეაღო კაბინეტის კარი. იქ არავინ დახვდა. ოთახში რამდენიმე კომპიუტერი იდგა, მაგრამ მხოლოდ ერთი იყო ჩართული. ერთი ღრმად ამოიოხრა, მაგიდას მიუჯდა და დისკი ბუდეში შეაცურა. ყურსასმენი გაიკეთა და ფაილის მოსმენას შეუდგა.

— ნინი, იმედია, ისმენ ამ ჩანაწერს, — ისე მკვეთრად ისმოდა გიოს ხმა, გოგონას მოეჩვენა, რომ მამაკაცი მის ზურგს უკან იდგა, — პირველ რიგში, ის სცენარები გამიშიფრე, შენ რომ აღადგინე. მასზე ორივეს ერთად მოგვიწევს მუშაობა. შემდეგ კი მამალაძის მკვლელობის საქმეს მიმიხედე, შესაძლებელია, ბევრი ხარვეზი მქონდეს, თან შენი აზრიც მაინტერესებს ამ მასალაზე. მაგრამ სანამ ერთს გემრიელად შემიკურთხებდე, ნება მომეცი, გითხრა, რომ არ ვიყავი ბოლომდე დარწმუნებული, თუ დამთანხმდებოდი სტუდიაში დაბრუნებაზე, მხოლოდ ვიმედოვნებდი ამას. შეხვედრამდე.

„ძალიან ჭკვიანურად მოგიფიქრებიათ, ბატონო გიორგი! — სახე აუჭარხლდა გაცოფებულს. — მხოლოდ ფორმალური დამოკიდებულება ბოსსა და მდივანს შორის — აი, რა იქნება ჩემი მთავარი თავდაცვა თქვენ წინააღმდეგ. სხვა არაფერი სერიოზული ჩვენ შორის არ მოხდება, თუნდაც იმ შემთხვევაში, თორნიკე საერთოდ რომ არ არსებობდეს! თქვენ ტელევარსკვლავი ხართ, მე კი იმ ქალებზე უარესად ვიქცეოდი დღემდე, თქვენმა მომნუსხველობამ რომ მოაჯადოვა. სწორედ ამან შეგიყვანათ შეცდომაში. ყველანაირად ვეცდები, არ გავება თქვენ მიერ დაგებულ მახეში“.

ნინიმ ფაილების გაშიფვრა მაშინვე დაიწყო და მალევე მიხვდა, როგორ დაინტერესა ორივე სცენარმა. გადაცემების ეს სერია მაყურებელში უდავოდ დიდ ინტერესს გამოიწვევდა.

შუადღე გადასული იყო, ბეჭდვას რომ მორჩა და ის იყო, ჩასწორება უნდა დაეწყო, რომ უეცრად დერეფნიდან გიოს ხმა შემოესმა.

გოგონა შეკრთა და დაბნეულმა კარისკენ გაიხედა. მამაკაცი დაღლილი სახით შემოვიდა და თავისი ახალი თანაშემწე კრიტიკული მზერით შეათვალიერა.

— მაინც მოხვედით...

— რა თქმა უნდა, — გულგრილად უპასუხა ნინიმ, — თქვენ რა, სხვა რამეს ელოდით?

— როცა ლაპარაკია თქვენზე, ყველაფერია მოსალოდნელი. ამას მალევე მივხვდი, — თქვა რობაქიძემ და ოდნავი პაუზის შემდეგ დააყოლა: — რას ფიქრობთ მამალაძის მკვლელობის ჩემეულ ვერსიებზე?

— საინტერესოა, მაგრამ ზოგი რამ საკამათოდ მეჩვენება.

— მართლა? — ირონიულად შენიშნა გიომ. — თუმცა, ახლა მაგისთვის არ მცალია. აიღეთ თქვენი ჩანთა და წავედით, სამხარზე გეპატიჟებით კაფეში.

— გმადლობთ, არ მშია.

— მაპატიეთ, მაგრამ ეს რომანტიკული შემოთავაზება არ არის, მე საქმიანი შეხვედრა მაქვს გადაცემის პროდიუსერთან და მინდა, ჩვენი საუბარი დიქტოფონზე ჩაიწეროთ. ხუთ წუთში მისაღებში გელოდებით, — მამაკაცი ცივად გატრიალდა და გავიდა.

ნინიმ შვებით ამოისუნთქა. არა, თურმე ტყუილად ნერვიულობდა. რობაქიძემ თავად დააყენა ყველაფერი თავის ადგილზე! თუმცა... უცნაური შეგრძნება დაეუფლა... თითქოს მოულოდნელად რაღაც ძალიან ძვირფასი დაკარგა...

ერთი კვირისთავზე ნინი უკვე მშვიდად გრძნობდა თავს სტუდიაში. გიო მასთან მხოლოდ საქმიან დამოკიდებულებას ამჟღავნებდა, ამ ხნის განმავლობაში არც ერთი ზედმეტი და გადაკრული სიტყვა არ დასცდენია, მაგრამ ნინის მაინც უჭირდა მის გვერდით მუშაობა. ბოსს სურდა, ნებისმიერი მისი თხოვნა სწრაფად და უყოყმანოდ შესრულებულიყო და როცა მისი მოლოდინი არ მართლდებოდა, საშინლად ღიზიანდებოდა. სამაგიეროდ, ეს ყოველივე ნინის უდიდეს სტიმულს მატებდა და ამაყობდა იმით, რომ იშვიათად აძლევდა მამაკაცს შენიშვნის მიცემის საბაბს.

ორივენი თითქოს სიჩუმეში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს — არც ერთი არღვევდა „თამაშის წესებს“ და არც მეორე, ამიტომ ეს შეჯიბრება ძირითადად, ყაიმით მთავრდებოდა.

გოგონა ზუსტად ცხრა საათზე ცხადდებოდა სამსახურში და მისი სამუშაო დღე შემოსული წერილების დათვალიერებით იწყებოდა. საღამოობით ყოველთვის დაგვიანებით გადიოდა სამსახურიდან, არავის რომ არ ეფიქრა, ერთი სული აქვს, სამუშაო საათები როდის დამთავრდებაო. იგი კარგად გრძნობდა თავს ახალ ატმოსფეროში, საინტერესო და შემოქმედებით ადამიანებთან უწევდა ურთიერთობა.

ნინის ხშირად უხდებოდა გიოსთან ერთად სტუდიაში ჯდომა და აკვირდებოდა, როგორ იქცეოდა ჟურნალისტი კამერების წინ. გრძნობდა, რომ კამერებსაც კი უყვარდათ იგი. როცა პირდაპირ ეთერში იჯდა, მთელი სტუდია დაძაბული ადევნებდა თვალყურს მის ყოველ მოძრაობას, ყოველ სიტყვას და ყველას რაღაც საშინელების მოლოდინი იპყრობდა. ერთი სიტყვით, რობაქიძეს ადვილად შეეძლო მაყურებლის ხელში აყვანა.

ეს სიტუაცია, ცოტა არ იყოს, აშინებდა გოგონას, თუმცა იმდენად დაკავებული იყო, გიოზე საფიქრელად არ ეცალა.

მისი მუშაობით სტუდიაში ყველა კმაყოფილი იყო, განსაკუთრებით ხელმძღვანელობა. სიგიჟემდე უხაროდა, უფროსობა ასე რომ აფასებდა მის მუშაობას.

თორნიკემ ჯერ კიდევ არ იცოდა, სად მუშაობდა იგი. ნინიმ რამდენჯერმე სცადა, წამოეწყო მასთან ამ თემაზე საუბარი, მაგრამ მამაკაცი ეგრეევე აწყვეტინებდა ლაპარაკს და ეუბნებოდა, „მიხარია შენი წარმატებები, სიხარულო“.

ერთხელ თორნიკემ იგი ღამის კლუბში წაიყვანა გასართობად, თუმცა ამისგან ნინის არავითარი კმაყოფილება არ მიუღია. მას ცეკვა უნდოდა, მამაკაცი კი ბარის დახლს არ გასცილებია, ვიღაცებთან ბაასით ირთობდა თავს და სვამდა... ერთი სიტყვით, მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე ფიქრობდა და არა — შეყვარებულზე. ამიტომაც, როცა მამაკაცმა მეორედ შესთავაზა, ღამის კლუბში წავიდეთო, ნინიმ მოატყუა, ხვალ ბევრი საქმე მაქვს და ადრე უნდა დავიძინოო. კლუბური ეპოპეა ამით დასრულდა.

ამასობაში მისი დაბადების დღე მოახლოვდა. თორნიკე შეჰპირდა, ისე გავაკეთებ ყველაფერს, როგორც შენ გესიამოვნება, ეს დღე შენი დღე იქნებაო. უამრავი ექსტრავაგანტური იდეა შესთავაზა, მაგრამ ნინიმ ყველაფერზე უარი უთხრა.

— მე მინდა მთელი დღე შენთან მშვიდად და წყნარად გავატარო. არც ნავით მინდა გასეირნება და არც საჰაერო ბუშტით ფრენა. უბრალოდ, სანაპიროზე გავისეირნოთ.

— სანაპიროზე? იქ რა გვინდა, საყვარელო? მტკვრის ჭუჭყიან წყალს ვუყუროთ? მეთევზეები ხომ არა ვართ? — შორს დაიჭირა თორნიკემ.

— კარგი, მაშინ ჩემთან მოდი და აქ ვისადილოთ. სადღესასწაულო ვახშამს მოვამზადებ, — შესთავაზა ნინიმ, რადგან იცოდა, რომ შაბათ-კვირას ლელუკა ნათესავთან აპირებდა მცხეთაში წასვლას.

მამაკაცი უხალისოდ დათანხმდა ამაზე.

პარასკევს, შესვენებისას, ნინი მარკეტში გავარდა და საჭირო პროდუქტები შეიძინა, რომ საღამოს საყიდლებისთვის დრო არ დაეკარგა და პირდაპირ შინ წასულიყო. როცა უკან მობრუნდა, მაგიდაზე გიოს წერილი დახვდა, რომელიც ატყობინებდა, რომ გვიანობამდე ვერ დაბრუნდებოდა სტუდიაში და ნინის შეეძლო, ადრე დაემთავრებინა მუშაობა.

როგორ გაუხარდა! იფიქრა, ადრე მივალ შინ და ამაღამვე გავამზადებ ყველაფერს, რომ ხვალ არ მომიწიოს სამზარეულოში ტრიალმაო.

შინ დაბრუნებულს ჩაპა ყეფით შეეგება. ამ დროს ლელუკამ გამოიხედა სამზარეულოდან.

— რა ადრე მოხვედი დღეს, ლამაზო, არ გელოდი... აი, ეს მოგიტანეს, — ღიმილით უთხრა და კონვერტის ფორმის მოზრდილი პაკეტი გაუწოდა.

— ხვალ დაბადების დღე მაქვს და ალბათ ვიღაც მილოცავს, — მხიარულად უპასუხა ნინიმ, პაკეტი გამოართვა ქალს და ჩაპას ზურგზე გადაუსვა ხელი.

გოგონამ ჩანთა ძირს დადო და კონვერტი გახსნა. მასში ერთი ფილა შოკოლადი და მისალოცი ბარათი იდო, რომელშიც ეწერა: „სიხარულო, მაპატიე, მაგრამ ხვალ შენთან ვერ მოვალ. მივლინებაში მგზავნიან ზუგდიდში. კარგ დროს ტარებას გისურვებ. სიყვარულით, თორნიკე“.

— რა დაგემართა? — შეშფოთდა ლელუკა, მის გაფითრებულ სახეს რომ შეხედა. — მოხდა რამე?

— ისეთი არაფერი, — ძლივს გასაგონი ხმით ჩაილაპარაკა გოგონამ, — უბრალოდ, ხვალისთვის რაღაც გეგმები მქონდა და ჩამეშალა, — და ნაძალადევად გაიღიმა.

— მიტკალივით გათეთრდი... მოდი, გინდა, ყავა მოგიდუღო კონიაკით? — მზრუნველობა გამოიჩინა დიასახლისმა.

— არა, გმადლობ, ლელ, დიდი არაფერი, გამივლის.

ლელუკამ დაკვირვებით შეხედა გოგონას, მაგრამ ძალა აღარ დაუტანებია. როცა ქალი წავიდა, გოგონამ შოკოლადს, თავის წერილიანად, ნაგვის ყუთში გადაუძახა. მერე პროდუქტები უგულოდ შეალაგა მაცივარში და ტახტზე წამოწვა სასოწარკვეთილი. ალბათ თვითონ მოითხოვა მივლინება თოკომ, თორემ რაღა ახლა გაგზავნეს? მაინცდამაინც ნინის დაბადების დღეს დაამთხვიეს?! ან ეს შოკოლადი რა იყო, უკეთესი ვერაფერი გაიმეტა საყვარელი ქალისთვის? ერთი ღრმად ამოიოხრა, თვალები დახუჭა და ფიქრებში ჩაიძირა.

გიო დაღლილი დაბრუნდა შინ. დაძაბული კვირა ჰქონდა, ბევრმა მუშაობამ მოუწია. მოულოდნელად მეორე სართულის კიბიდან თორნიკემ ჩამოირბინა, სამგზავრო ჩანთით ხელში.

— ვა, გიო?! — ხელი აუწია თორნიკემ. — ასე ადრე არ გელოდი...

— როგორც ჩანს, ყოველთვის არასასურველ დროს ვჩნდები ყველგან, — ჩაიბურტყუნა მამაკაცმა, — შენ საით გაგიწევია?

— ცოტა განტვირთვა არ მაწყენდა. მთელი კვირა ენაგადმოგდებული ვმუშაობდი. რა ვქნა, მეც ხომ ადამიანი ვარ? სიღნაღში მივდივარ.

— მარტო? — დაინტერესდა გიო.

— სამწუხაროდ, მარტო! — უპასუხა თორნიკემ და თვალი აარიდა, რითაც აშკარად შეეტყო, რომ ცრუობდა. — თაკო ვერ ჩამოდის, რა ჩემი ბრალია.

— შენი საქმისა შენ იცი, — შუბლშეკრულმა რობაქიძემ გვერდი აუარა სიძეს და ბარისკენ გაეშურა.

თორნიკემ კარი გაიჯახუნა. გაბრაზებულმა გიომ ვისკი დაისხა და ცხელ გულზე სულმოუთქმელად გადაკრა. მისთვის ნათელი იყო, ვისთან ერთადაც აპირებდა შაბათ-კვირის გატარებას თორნიკე. რა სულელურად გამოუვიდა! ეს რომ სცოდნოდა, დღეს ასე ადრე არ დაითხოვდა ნინის და ხვალაც სპეციალურად დაიბარებდა სამსახურში. აი, თურმე, რატომ დადიოდა ეს ორი დღე ასეთი გაბადრული სახით. პირდაპირ ბრწყინავდა ბედნიერებისგან. მისთვის ახლა ყველაფერი გასაგები გახდა.

— ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ! — შესძახა გაგულისებულმა. — ზუსტად ერთმანეთის შესაფერისები არიან!

იმისთვის, რომ უსიამოვნო ფიქრები თავიდან მოეშორებინა, გადაწყვიტა, კრისტისთვის დაერეკა და თავისთან ვახშმად დაეპატიჟებინა.

— რა შესანიშნავია! — გაუხარდა კრისტის. — სიამოვნებით გესტუმრებოდი, მაგრამ ხვალ პატარა ქეიფს ვაწყობ და უნდა მოვემზადო. იქნებ ხვალ საღამოს შენ გამოსულიყავი ჩემთან? გეპატიჟები.

— მე კი მინდოდა, ჩემთან მოსულიყავი, თან ჩემი სახლის დიზაინზეც დავილაპარაკებდით...

— სხვა დროს იყოს შენი სახლის ნახვა, გიო, ხვალ კი ჩემთან გელოდები. მინდოდა, შენთვის დამერეკა, მაგრამ ვიფიქრე, დაკავებული იქნება-მეთქი.

— ჰო, ვიყავი დაკავებული, მაგრამ როგორც იქნა, გავთავისუფლდი და ვიფიქრე, კრისტისთან ერთად ცოტას განვიტვირთები-მეთქი.

— დიდი სიამოვნებით დაგეხმარები ამაში, თუკი მიგაჩნია, რომ მე ეს შემიძლია... — მრავალმნიშვნელოვნად შენიშნა ქალმა.

— არ არის გამორიცხული, — ასევე მრავალმნიშვნელოვნად უპასუხა მამაკაცმა და ყურმილი დაკიდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ. „გზა“, № 42-45

მარი ჯაფარიძე

უკვე საკმაოდ გვიანი იყო და მამადავითზე არავინ დახვედრიათ... ეკლესიაში რამდენიმე სანთელი ენთო. როგორც ჩანს, მწუხრის ლოცვა წაეკითხა მღვდელს... ლევანი ხატს ემთხვია და პირჯვარი გადაიწერა. ანა მდუმარედ ადევნებდა თვალს...

გონება ეუბნებოდა, რომ ახლა რაღაც კარგი და სასიამოვნო უნდა გაეგო, მაგრამ გული ეკუმშებოდა... გული ცუდს უგრძნობდა...

ლევანი მისკენ მობრუნდა, მის ფეხებთან დაიჩოქა და ქვემოდან ახედა...

— მიყვარხარ, ანა... ამ წმინდა ადგილზე, წმინდანების წინაშე გეუბნები, რომ ყველასა და ყველაფერზე მეტად მიყვარხარ... უშენოდ მოვკვდები და ვერ ვიცოცხლებ. შენ ჩემი ჰაერი ხარ... ჰაერი რომ „გადაუკეტო“ ადამიანს და სუნთქვის საშუალება არ მისცე, ხომ მოკვდება? ისე მოვკვდები მეც...

— ეგ სიტყვები შენ ადრეც მითხარი. ადექი, ამდენი სიწმინდეა ირგვლივ და ჩემ წინაშე მუხლებზე დგომა მკრეხელობაა... ამის უფლება არ გაქვს. მუხლი მხოლოდ მათ წინაშე უნდა მოიყარო, — ხმა გაუცივდა გოგონას.

ეკლესიის ეზოში კარგა ხანს იდგნენ. ლევანმა ვერ გაბედა იმ საღამოს სიმართლის გამხელა. ანას კი გულში ეჭვის ჭია შეუჩნდა. მიხვდა გოგონა, რომ მამაკაცს მხოლოდ სიყვარულის ასახსნელად არ წაუყვანია იქ.

ამ ამბიდან 4 თვის მერე, ანა უნივერსიტეტიდან ბრუნდებოდა. გაზაფხული იყო და რადგან სახლამდე დიდი მანძილი არ ჰქონდა გასავლელი, გზას ფეხით მიუყვებოდა. ფილარმონიას გასცდა და ბეჟანიშვილის ქუჩის კუთხეში ლევანის მანქანა შენიშნა. ის იყო, მისვლას აპირებდა, რომ ადგილზე გაშეშდა. ლევანმა მარჯვენა კარი გამოაღო და ახალგაზრდა, ლამაზ ქალს გზა დაუთმო. მერე, იქვე მდგარ, მეორე, შუახნის ქალს, რომელსაც ხელში პლედში გახვეული ჩვილი ეჭირა, ბავშვი გამოართვა, სავარძელზე მოკალათებულ ქალს მიაწოდა, კარი მიუხურა, თვითონ საჭეს მიუჯდა და მანქანა დაძრა. ლევანმა ვერც გოგონა შენიშნა და ვერც მისი „წაშლილი“ სახე.

ანას ყბა უკანკალებდა და გაოგნებული ადგილიდან ვერ იძვროდა. მერე ტაქსი გააჩერა და ლევანს უკან მიჰყვა.

„ალბათ ნათესავია... და იქნება, ლევანს ხომ და ჰყავს. არ უთქვამს, რომ დისშვილი შეეძინა, მაგრამ მერე რა? ის ხომ თავის ნათესავებზე თითქმის არ ლაპარაკობდა... — სწორედ მაშინ გაახსენდა მამადავითზე მომხდარი ამბავი. — იქნებ სწორედ ამის თქმას აპირებდა?“ — ფიქრობდა გოგონა, მაგრამ ათას კითხვაზე არც ერთი პასუხი არ ჰქონდა.

ლევანის მანქანა კი ამ დროს მისი სახლისკენ მიმავალ გზას მიუყვებოდა.

ტაქსის მძღოლს სთხოვა, მანქანა ისე გაეჩერებინა, რომ სადარბაზოსთან გაჩერებული მანქანა კარგად გამოჩენილიყო.

ლევანმა ქალს ბავშვი გამოართვა და სადარბაზოში გაუჩინარდა. ქალი უკან მიჰყვა. ანამ ეზო მოათვალიერა, გვერდით სადარბაზოსთან ქალები ისხდნენ. ტაქსის მძღოლს სთხოვა, მანქანა მათთან მიეყენებინა.

— უკაცრავად, ლევან მათურელს ვეძებ, სად ცხოვრობს? — ნახევრად ჩამოწეული მინის შიგნიდან ჰკითხა.

— აგერ, გვერდით სადარბაზოში, — მიასწავლა ერთ-ერთმა.

— სადარბაზოში რომ შევიდა ახლა, ისაა? — მიამიტურად იკითხა გოგონამ.

— დიახ, ისაა.

— ის ქალი, თან რომ ახლდა, დაა? — იმედს ჩაებღაუჭა, მაინც...

— არა, გენაცვალე, ცოლია, ახლახან შეეძინათ შვილი. თქვენ ვინ ხართ? — ჩაეკითხა ქალი.

— მე? მე არავინ, მე ნაცნობი ვარ... წავედით, — ხელი აუქნია ტაქსის მძღოლს და სავარძლის საზურგეს მიესვენა.

— ცუდად ხომ არ ხარ? — შეშფოთდა მძღოლი, როდესაც ანას გაფითრებულ სახეს შეხედა.

— არა, ცუდად არ ვარ... ძალიან ცუდად ვარ...

— რა ვქნა, გავაჩერო? — გულწრფელად შეეცოდა მამაკაცს.

— არა, სადაც ჩავჯექი იქ დამაბრუნე, — ძლივს თქვა გოგონამ.

სახე გაქვავებული ჰქონდა. ცრემლი არ წამოსვლია. იჯდა და გაყინული მზერით სადღაც, შორს იყურებოდა.

— მოვედით, — ტაქსის მძღოლის ხმამ გამოაფხიზლა.

ანამ ფული გადაუხადა და ისევ ფეხით გაუყვა გზას. ასეთი იმედგაცრუება და ტკივილი არასოდეს განუცდია. გამოსავალს ვერ პოულობდა, გზას ვერ ხედავდა. არ იცოდა, როგორ უნდა გაეგრძელებინა ცხოვრება...

დავითი შინ დახვდა, მაგრამ მასთან ლაპარაკის თავი არ ჰქონდა. თავის ოთახში შევიდა, საწოლზე გულაღმა დაეგდო და თვალი ჭერს გაუშტერა. ტელეფონის ზარის ხმაზე ისე შეხტა, თითქოს ბომბის ჩამოვარდნის ხმა გაიგონაო. ერთი ზარის მეტი არ შემოსულა. მიხვდა, ბიძამისმა უპასუხა.

— ანა, აიღე ყურმილი, — დაუძახა დავითმა.

იცოდა, ლევანი იქნებოდა. დარწმუნებული იყო... მისი ხმის გაგონება არ უნდოდა, მაგრამ მაინც უპასუხა.

— ჩემი ანა რას აკეთებს? — ყურმილიდან სითბო იღვრებოდა.

ანას მამაკაცის ხმა სხვანაირად მოესმა. აღარ იყო ეს ხმა ისეთი ახლობელი, როგორც რამდენიმე საათის წინ... ისეთივე სასურველი და სანატრელი იყო, მაგრამ ახლობელი — არა!

— არაფერს, — სცადა, ხმაზე არაფერი შესტყობოდა.

— გამოხვალ? რამდენ ხანში მოგაკითხო?

— 5 წუთში.

— კარგი, 5 წუთში მანდ ვარ.

ანას მანქანის კარის გაღებისას გაახსენდა, რომ ამ სავარძელზე რამდენიმე საათის წინ „ის“ იჯდა და ცოტა ხანს შეყოვნდა. თითქოს გველი დაინახაო, ისეთი სახე გაუხდა.

— რა გჭირს? — ლევანს შეუმჩნევე-

ლი არ დარჩენია მისი უჩვეულო გამომეტყველება და საქციელი.

— არაფერი, — უეცრად მიიღო გადაწყვეტილება და სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა.

— სად წავიდეთ? — მამაკაცმა, როგორც ყოველთვის, არჩევანის მას მიანდო.

— სადმე.

— რა მოხდა? ვერ ხარ ხასიათზე...

— არა, კარგად ვარ, შენ რომ დარეკე, მეძინა და მგონი, ჯერ ისევ მძინავს, — ნაძალადევად გაუღიმა გოგონამ.

— კარგი, მაშინ ქალაქგარეთ გავიდეთ და გავისეირნოთ.

— არა, რესტორანში წავიდეთ და აღვნიშნოთ.

— რა აღვნიშნოთ?

— მაგას იქ გეტყვი, მერე...

— კარგი, თანახმა ვარ, შენთან ერთად ჯოჯოხეთშიც წამოვალ...

ანამ ზიზღით ასწია ტუჩის კუთხე. უნდოდა, პირში მიეხალა, რომ ყველაფერი იცოდა... მამაკაცის თითოეული სიტყვა და ჟესტი ყალბად მიაჩნდა... მისი საქციელი ზიზღს ჰგვრიდა, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ მის მიმართ ისევ სიყვარულს გრძნობდა... ვერ გარკვეულიყო, ეს ორმაგი გრძნობა რას ნიშნავდა... თავისივე შეგრძნებებში გარკვევა უჭირდა.

— დავლიოთ რამე, — თვითონ შესთავაზა მამაკაცს, სუფრასთან მოკალათებულმა.

ეს ლევანის საყვარელი რესტორანი იყო... მყუდრო კუპეში, დაბალი მაგიდის გარშემო სკამების ნაცვლად რამდენიმე დივანი იდგა, რომელზეც უამრავი ბალიში იდო. შეგეძლო, ნებიერად მიწოლილს გეწრუპა კონიაკი და ჟასმინის ჩაი...

მიმტანმა უამრავი საჭმელ-სასმელი მოზიდა, ბოლოს კი ჩილიმიც შემოიტანა, რომელსაც სასიამოვნო სურნელი შემოჰყვა. გახურებული ნახშირისა და ირისის არომატმა სასიამოვნოდ შეუღიტინა ანას...

ერთმა ჭიქა კონიაკმა კი სასიამოვნოდ მოადუნა. დაძაბულობა მოეხსნა... სასმელს მიეძალა...

კონიაკით ტვინდამძიმებული და გაბრუებული ლევანს მიუჯდა...

მამაკაცი ქალს ჩანაფიქრს იოლად მიუხვდა, მაგრამ ინიციატივას არ იჩენდა, გაუჩერებლივ ლაპარაკობდა და ცდილობდა, ანას საქციელისთვის ყურადღება არ მიექცია.

ანა კი სულ ახლოს იჯდა მასთან, სახე მის სახესთან ჰქონდა მიტანილი და მისი ამონასუნთქი ჰაერი ლოყასა და კისერზე ხვდებოდა.

ლევანი თავს არ აბრუნებდა... იცოდა, საკმარისი იყო, მიეხედა, რომ მის ტუჩებს შეეხებოდა.

ანამ ხელი პირზე ააფარა და გააჩუმა. მამაკაცმა ხელისგული დაუკოცნა... გოგოს თვალებში შეხედა. მისმა ტუჩებმა თვითონ მოძებნა ანას ტუჩები და დაეწაფა.

ანა დივანზე გადაწვა და მამაკაციც თან გაიყოლა...

— ცეცხლს ნუ ეთამაშები, ანა, — ხმა უცახცახებდა ჩურჩულის დროს მამაკაცს.

— იქნებ მინდა, რომ ამ ცეცხლმა დამწვას და დამნაცროს? — ჩურჩულითვე უპასუხა გოგონამ.

— ანა, ასე არ შეიძლება, — წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდა მამაკაცი, მაგრამ მის ტუჩებს ვერ სწყდებოდა, მისი ხელები კი ქალის სხეულს სწავლობდა... პირველად ეხებოდა საყვარელ არსებას ასე თამამად. პირველად შეიგრძნობდა ხელისგულებით მისი სხეულის მშვენიერებას... თავი ზღაპარში ეგონა.

— ლევან, მიყვარხარ, — ჩურჩულებდა ანა და თვალებიდან ცრემლი უგორდებოდა...

მამაკაცს ეგონა, კონიაკისა და ალერსის ბრალი იყო ცრემლი...

ანამ კი ზუსტად იცოდა, ხვალინდელი დღის გამო ტიროდა... „ხვალეს“ სატირალს ტიროდა გოგო... ხვალ ის სულ სხვა ადამიანი იქნებოდა...

ლევანი ერთბაშად გამოერკვა, გოგოს ხელი გაუშვა და წამოჯდა.

იდაყვებით მუხლებს დაეყრდნო, თავი ხელებში ჩარგო.

— ლევან, — მოესმა ზურგს უკან.

მერე ანამ ხელი პერანგის ქვეშ შეუცურა და ზურგზე დაუსვა...

— ანა, არ შეიძლება, გესმის? ეს ჩვენ შორის არ უნდა მოხდეს...

— მე მინდა, რომ მოხდეს, — ჩუმად, მაგრამ მტკიცედ თქვა ანამ.

— არა!

— კი, ლევან, მიყვარხარ და შენთან მინდა... წავიდეთ სადმე, იქ, სადაც ჩემსა და შენ გარდა არავინ იქნება...

მამაკაცი წელმოწყვეტილივით წამოდგა. ქალის სურვილი კლავდა... ისე სურდა ანას ალერსი, როგორც არასდროს, მაგრამ... გული და გონება ებრძოდა ერთმანეთს... სინდისი დუმდა... გულმა იმარჯვა და სასწორის პინა „ჰოსკენ“ გადაწონა. ლევანმა იქვე დაგდებული პიჯაკი მხარზე მოიგდო, ანას ხელი გაუწოდა და წამოაყენა. გოგონა წაბარბაცდა, მაგრამ თავი შეიკავა და ფეხზე დადგა. ლევანმა ანგარიში გაასწორა, ანა მანქანაში ჩასვა და თვითონ კარგა ხნით სადღაც გაუჩინარდა. როგორც იქნა, დაბრუნდა და საჭეს მიუჯდა.

— ანა, შენ ახლა მთვრალი ხარ... არ მინდა ახლა გითხრა ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია და რამაც შესაძლოა, ბევრი რამ შეცვალოს...

— არა, არაფრის გაგონება არ მინდა... ნუ დამიწყებ შეგონებას, — სიტყვა გააწყვეტინა ქალმა, — მე სწორედ იმიტომ დავთვერი, რომ გამბედაობა მომეკრიბა. მიყვარხარ, შენც გიყვარვარ, ხომ ასეა? — ჩაეკითხა და თვალებში შეხედა.

— სიცოცხლეზე მეტად, — დაუდასტურა ლევნმა.

— ჰოდა, რაღას ველოდოთ? მე არ გეუბნები, რომ დღეს თუ შენთან დავწვები, ხვალ სახლში წამიყვანე და შენს ოჯახს რძლად წარუდგინე ჩემი თავი-მეთქი... მაგის დროც მოვა, ახლა კი უბრალოდ, შენთან მინდა და ეგაა.

ლევანმა მანქანა ადგილიდან მოწყვიტა და რამდენიმე წუთის შემდეგ ერთ-ერთ სატუმროსთან გაჩერდა.

ანა მის მიწვევას არც დალოდებია, მანქანიდან გადავიდა და ჰოლში პირველი შევიდა...

დილის 6 საათზე გაეღვიძა. ლევანი პირქვე იწვა, ცალი ხელი მისთვის ჰქონდა მოხვეული, ლოყით ბალიშს იყო მიხუტებული და მშვიდად სუნთქავდა. ანამ ფრთხილად გაითავისუფლა თავი და წამოდგა. ჩაცმას რამდენიმე წუთი დასჭირდა... მერე დიდი ხნის განმავლობაში გაუნძრევლად იდგა და მძინარე ლევანს დაჰყურებდა... მზერით ეფერე-

ბოდა... გონებით ემშვიდობებოდა... თვალს ვერ სწყვეტდა...

მერე თავის საჩვენებელ თითს აკოცა და ლევანს ტუჩზე მიადო... ერთბაშად შებრუნდა და ოთახიდან გავიდა...

გამოღვიძებულ ლევანს მის გვერდით არსებული სიცარიელე ცუდად ენიშნა... რამდენჯერმე დაუძახა ანას, მაგრამ არავინ გამოეპასუხა. იქვე, ტუმბოზე დადებული ქაღალდის ნაგლეჯი შენიშნა.

„დამივიწყე“ — ეს ერთი სიტყვა ეწერა, მხოლოდ.

გიჟივით წამოხტა, ტანისამოსი თვალის დახამხამებაში გადაიცვა და გარეთ გავარდა...

ანას სახლში ტელეფონს არავინ პასუხობდა. გოგონას ვერც უნივერსიტეტში მიაგნო...

საღამოს, ტელეფონზე დავითმა უპასუხა და უთხრა, რომ ანა შინ არ იყო და კიდევ დიდხანს არ იქნებოდა.

მთელი თვე ელოდა ლევანი ანას გამოჩენას. მერე სვანეთში ჩააკითხა, მაგრამ არც იქ დახვდა. მის ასავალ-დასავალს ვერსად მიაგნო.

ისინი 1 წლის მერე, სრულიად შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს, ალექსანდრეს ბაღში.

— ანა, მოდი ჩემთან, — მოესმა ნაცნობი და ძალიან მონატრებული ხმა აჩქარებული ნაბიჯით მიმავალ გოგონას.

მიიხედა... ლევანი ახალფეხადგმული, პატარა გოგონას წინ ჩამუხლულიყო და ბავშვის შესაგებებლად მკლავები გაეშალა...

ანა ადგილზე გაშეშდა, ნაბიჯი ვეღარ გადადგა... მხოლოდ ამის მერე შენიშნა ლევანმა და წამოდგა.

ერთხანს მზერით ბურღავდნენ ერთმანეთს.

„შეცვლილა, დაქალებულა“, — გაიფიქრა მამაკაცმა...

„ისევ ისეთია“, — გაიფიქრა ქალმა...

მერე ლევანი ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა.

— გამარჯობა, ანა, — ხელი გაუწოდა მამაკაცმა...

— გაგიმარჯოს, — ძლივს გაითავისუფლა მარჯვენა მამაკაცის თითებისგან.

— ეს ანაა, — გააცნო პატარა.

ანამ ბავშვს თმაზე ხელი გადაუსვა.

— საყვარელი ბავშვია...

— ჩემია...

— ვიცი...

— იცი? საიდან იცი?

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

— მაშინაც იცოდი? — ბოლო შეხვედრა გაახსენა მამაკაცმა.

— ვიცოდი, — თავი დაუქნია ქალმა.

— ჩვენ სალაპარაკო გვაქვს...

— არა მგონია... ყველაფერი დამთავრდა, ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდა და დავიწყებას მიეცა, — გაუღიმა ქალმა და თვალებით მოეფერა.

— არაფერი დამთავრებულა, მე ისევ მიყვარხარ, — თვალი თვალში გაუყარა მამაკაცმა, — ახლა ბავშვს შინ წავიყვან, ძიძას დავუტოვებ და დავბრუნდები. ხომ დამელოდები? — პატარა ბიჭივით აცუნდრუკდა ლევანი. — მითხარი, დამელოდები?

ანა მხოლოდ უღიმოდა.

— ახლავე მოვალ, — ლევანმა ბავშვი ხელში აიყვანა და ბაღიდან გავიდა, — ახლავე, ახლავე მოვალ, — მიაძახა გასვლისას.

უკან დაბრუნებულ ლევანს ანა აღარ დახვედრია. ცოტა ხანს მერხზე ჩამოჯდა და იმედგაცრუებული წავიდა. ანა კი იქვე, მოშორებით იდგა და უყურებდა, როგორ იზრდებოდა მანძილი მათ შორს და სჯეროდა, რომ ეს მათი უკანასკნელი შეხვედრა იყო.

— ნინო, დედა თან უნდა წავიყვანოთ, აქ მარტო აღარ დავტოვებ, რას იტყვი?

— არ წამოვა. ხომ იცი, მთელი ცხოვრება აქ აქვს გატარებული. ვერ გაძლებს ეგ სვანეთის გარეშე.

— დილით დაველაპარაკები, — ანამ საბანი წაიფარა და თავი ძილს მისცა.

დილით მზეს დაასწრო ადგომა.

განუმეორებელია მზის ამოსვლა მთაში. ბრმა უნდა იყო, ეს რომ ვერ დაინახო. უმშვენიერესი სანახაობაა, ამ ქვეყნის სამკაული ცისა და მიწის გასაყარზე... ერთგვარი სპექტაკლია... უზარმაზარი, ანთებული სფერო შემოგცქერის, ირგვლივ და გასწვრივ ცა მისი სხივებითაა „შეღებილი“. თავზარდამცემი სიდიადე, არამიწიერი ფერების ნაკადი... ეს დაბადებაა... თანდათან ამოდის და გარინდებული მთების წვერზე მოექცევა, ამ გარინდებაში თითქოს მოწიწება და თაყვანისცემაა... ცოტა ხანს მთის წვერზე დაეკიდება, მერე კი ისევ ზევით მიიწევს, დედამიწა რომ გააღვიძოს და დააპუროს...

კარგა ხანს შეჰყურებდა ანა მზის ამოსვლას... სახეს უშვერდა და დილის, ჯერ კიდევ „გაუხურებელი“ მზის სხივებში ნებივრობდა...

ამასობაში დედაც ადგა და ბოსლისკენ წავიდა. ხელში თბილი წყლით სავსე ვედრო ეჭირა. ანამ ხალათი მოიცვა, კიბე მსუბუქად ჩაირბინა და დედას მიჰყვა.

ერთმანეთში არეულმა ნაკელისა და რძის სუნმა ბავშვობა გაახსენა. დედა ძროხას მისჯდომოდა და ახალმოწველილი, თბილი რძე ჩხრიალით ჩადიოდა ვედროში.

— დე, მიმიშვი რა, მე მოვწველი...

დედას გაეცინა...

— მიდი, რა, დე...

ანამ ძროხის ცური თითებში მოიმწყვდია და მოქაჩა. რძე ჩხრიალით ჩაიღვარა ვედროში... რიტმულად აამოძარავა თითები... უცებ ჩამოწველა.

— მეორესაც შენ მოწველი? — ჰკითხა დედამ ღიმილით.

— არა, მეორე შენ მოწველე, — ანა პატარა სკამიდან წამოდგა და კუთხეში დაბმული ხბოსკენ წავიდა, რომელიც დედისკენ იწევდა. ხბო დედასთან მიუშვა და სიამოვნებით ადევნებდა თვალს, როგორ წოვდა ძუძუს მოშივებული, თან დროდადრო თავს აარტყამდა ხოლმე, რძე გამოუშვიო...

— დე, თბილისში წამოხვალ? — უეცრად ჰკითხა ანამ.

— კი, წამოვალ, — ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ გაეპასუხა ქალი ისე, რომ თავი არ აუწევია.

— სულ წამოხვალ? — ჩაეკითხა ანა, რადგან არ ელოდა, დედა ასე იოლად თუ დათანხმდებოდა. ეგონა, მის დასაყოლიებლად ხვეწნა დასჭირდებოდა.

— ჰო, სულ წამოვალ, სადაც ჩემი შვილები იქნებიან, მეც იქ ვიქნები... იქ უფრო მეტ სარგებელს მოგიტანთ... შენ ამას ისე არ მეტყოდი, უკვე ნაფიქრი გაქვს და რადგან ასე მიიჩნევ საჭიროდ, არ შეგეწინააღმდეგები.

— სახლს და საქონელს ვის დაუტოვებ?

— ვის და — მეზობელს. ნანას დავუტოვებ, — როგორც ჩანს, ქალს უკვე ეფიქრა ამაზე.

— რამდენი ხანი დაგჭირდება, წამოსასვლელად მზად რომ იყო?

— ხვალ დილით უკვე მზად ვიქნები, — ქალი ძროხის მოწველას მორჩა, ორივე ძროხა ჭიშკრის გარეთ გაიყვანა და საძოვარზე გაუშვა. უკან მობრუნებულმა რძე გაწურა, ქვაბში ჩაასხა, ქვაბი ღუმელზე შემოდგა და შეშა შეუკეთა.

— დავიღალე, შვილო, — წამოწყებული საუბარი განაგრძო ქალმა, — ძნელია მარტოხელა ქალისთვის ზამთარში აქ გაძლება. ზაფხულში უფრო იოლია. სვანეთში კი ლამის 7 თვეა ზამთარი. რაც შენ შემომითვალე და ამიკრძალე, მიწას აღარ ვამუშავებ. სხვა რა საქმე მაქვს? ამ 2 ძროხის დარაჯად ვარ და ეგაა. ან ესენი რად მინდა? მე 1 თავი ყველი 1 კვირა მეყოფა... მაგის საყიდელი ფული სულ მაქვს... უბრალოდ, თავს ვიქცევ... სოფელში ვცხოვრობ და აუცილებელია, რომ საქონელი მყავდეს და ეგაა.

— მაშ, ხვალ დილით მივდივართ, გადაწყვეტილია! — ანა წამოდგა და ნინოს ააკითხა.

— როგორ დაითანხმე დედა? — ჰკითხა ნინომ.

როგორც ჩანს, მას დისა და დედის საუბარი ესმოდა.

— შენ წარმოიდგინე, რომ ძნელი სულაც არ იყო. უარი არ უთქვამს. ის კი არა, მომეჩვენა, რომ გაუხარდა კიდეც, როცა ვუთხარი, წამოდი-მეთქი...

— ჰოდა, ძალიანაც კარგი, ხვალ მივდივართ?

— ჰო.

თბილისში დაბრუნებულ ანას უამრავი საქმე ჰქონდა. რამდენი ახლობელი ჰყავდა მოსანახულებელი, რამდენი საქმე — მოსაგვარებელი... ვახო საბლიანი — მოსაძებნი... ქალაქის ცხოვრებაში კარგად უნდა გარკვეულიყო — ბიზნესის წამოწყებას აპირებდა და უნდა გადაეწყვიტა, სად, რომელ სფეროში ჯობდა ფულის დაბანდება...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გზა ვნილები

მარი ჯაფარიძე

მოვიდა ხუთშაბათი და „გზის“ დღე. ისევ შევიკრიბეთ. დღეს შესავლის დღის წესრიგში 2 საკითხი გვაქვს: მოკლედ, ამ კვირაში ისეთი მრავალფეროვანი მესიჯები მივიღე, ვიფიქრე, თემის მიწერა ხომ არ დამავიწყდა, წინა „გზავნილების“ ბოლოს-მეთქი. გადავამოწმე და არ დამვიწყნია... როგორც ჩანს, მგზავნელები ერთმანეთთან რაღაც უხილავი ძაფებით ხართ დაკავშირებული და ერთნაირად იქცევით ხოლმე. ამჯერად ყველას თემისთვის გვერდის ავლა მოგინდათ და აუარეთ კიდეც (საყვედური არ გახლავთ, უბრალოდ, რაც იყო, ის ვთქვი)... ეს ერთი საკითხი. ახლა მეორე — 6 ნოემბერს ბათუმის თეატრმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპექტაკლი წარმოადგინა, რომელშიც ჩვენი სუპერსთარი მონაწილეობდა. ძალიან დამწყდა გული, რომ ვერ მივედი და მგზავნელები ვერ ვნახე. ამასთან დაკავშირებით თითქმის ყველა იქ მყოფმა მგზავნელმა დამიმესიჯა და შეხვედრის თავისეული ვერსია მომწერა... ყველას რა თქმა უნდა, ამ ნომერში ვერ გამოვაქვეყნებ, ზოგს მომავლისთვის გადავდებ.

სხვის ჯიბრზე მოყვანილი ცოლი

მოკლე ჩართვა

რომელი ქართული ტრადიცია მომწონს?

• ყველაზე მეტად ჩვენი ტრადიციებიდან ნიშნობა რომ ვიცით, ეს მომწონს. თავისებური სილამაზე აქვს. ჯვრისწერის ტრადიცია უცხოელების უფრო მომწონს. შოკოლადა.

• „ილიას მკვლელებს რომ შესძლებოდათ, უთუოდ საქართველოსაც მოკლავდნენ“, — განაცხადა ვაჟა-ფშაველამ ილია ჭავჭავაძის დაკრძალვის დღეს, მაგრამ — არა! ილიას მკვლელებმა ვერც საქართველოს მოკვლა შეძლეს და ვერც ილიას სახელი ამოშალეს ქართველთა გულებიდან. ილია და აკაკი, — ამ ორი ბუმბერაზი ადამიანის სახელი განუყრელი იყო ყოველთვის და განუყრელია დღესაც. ყოველი კუთხე ამაყობს თავისი ისტორიული ღირსშესანიშნაობებითა თუ ისტორიული პიროვნებებით. ჩვენ, ზემო იმერეთის პატარა რაიონის, საჩხერის წარმომადგენლებს გვეამაყება, რომ ეს მხარე ილია ჭავჭავაძის განუყრელი მეგობრისა და თანამებრძოლის, საქართველოს მგოსნის, აკაკი წერეთლის სამშობლოა. გვეამაყება, რომ დღეს აქ, ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში ვართ სტუმრად და მოგესალმებით დიდი სიყვარულითა და დიდი სითბოთი. მოგესალმებით და მთელი მომავალი თაობის სახელით. ვფიცავთ, რომ გვიყვარდეს და დავიცვათ ის, რის დაცვასაც ეს ორი წმინდანი სიცოცხლის ბოლომდე ემსახურებოდა. ესაა სამი ღვთაებრივი საუნჯე, რაც დაგვრჩა მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება“. მაშინ ამ ჩემს სიტყვებს ყველა დიდი ტაშით შეხვდა, აღფრთოვანებულები იყვნენ, რომ პატარა გოგომ უჩვეულო ემოციით გადასცა საჩხერლების სიტყვები მასპინძლებს. არ გეგონოთ, ვინმე სხვას ეკუთვნოდეს იგი, მახსოვს, მთელი კვირა ვამზადებდი სახლში ამ დავალებას. კლასის დამრიგებელმა მე მომანდო სიტყვის წარმოთქმა საგურამოში. მაშინ დავიფიცეთ და დღემდე ვასრულებთ ამ ფიცს. ჩვენ ვიცავთ ჩვენსას. კლასში 35 ბავშვი ვიყავით და დღეს, ამდენი ხნის შემდეგ რომ შეხედოთ, ნახავთ, რომ არც ერთს არ უღალატია არც მამულისთვის, არც ენისთვის, არც სარწმუნოებისთვის. ქართული ტრადიცია, მამულის ტრადიცია პირველ ადგილზეა მათთვის. აზიელი.

მოტაცებული ბებია

„ჩემი მეზობლის ბებია როგორ გახდა ბაბუამისის მეუღლე, იცით? ბაბუამ დანიშნა ბებია, დაგეგმეს ქორწილი... მარა რად გინდათ? ქორწილის წინა დღეს მოიტაცეს საპატარძლო... სასიძომ კი იდარდა, მაგრამ რა ექნა? ხვალ ქორწილია, სტუმრები მოწვეული, „ხარჯი ნაქნარი“ და ამდენ შრომას წყალში ხომ არ ჩაყრის? ჰოდა, საპატარძლოს 13 წლის დას მოჰკიდა ხელი და დასვა პატარძლად... (გამოსავალი ნახა, რაა). აი, სხვის ჯიბრზე მოყვანილი ცოლიიი... CRAZY GIRL“.

შეყვარებული „კვადრატში“

„უცნაურად გათხოვდა ჩემი ბიძაშვილი. შეყვარებულთან ნაჩხუბარი იყო და ჯიბრზე, გარიგებულს დათანხმდა პაემანზე, რომელიც თვალითაც არ ენახა. დათქმულ ადგილზე მივიდა და ვინ შერჩა ხელში? შეყვარებული! აი, ბედის ირონიააც. მერე რაზე იჩხუბეს, იცით? ერთმანეთს ეუბნებოდნენ, რას მოდიოდი, იქნებ მე არ ვიყავიო? მოკლედ, მაგარი სასაცილო სიტუაცია იყო. შემდეგ დაქორწინდნენ და ახლა ქალ-ვაჟს ზრდიან. ლა-ლოლა“.

„ახლო ნათესავი“

„ბებიაჩემთან ცხოვრობდა თავისი დის ქმრის ბიძაშვილი (რა ახლო ნათესავია, არა?). შემოხიზნულ მდგმურს ბებიაჩემის კარის მეზობელი მოეწონა და შებმა დაუწყო. გაიბლატავა, პროფესიით მათემატიკოსი ვარო. დღეები გადიოდა. გოგო და ბიჭი დაახლოვდნენ. ბებიაჩემს გული უკანკალებდა, ეს მუქთახორა ჩემი მეზობლის სიძე რომ გახდეს, დავიღუპებიო. ხომ გაგიგონიათ, ხერხი ჯობია ღონესაო? ჰოდა, ადგა ჩემი მოხერხებული და ჭკვიანი ბებო, დაწერა ძალიან რთული და თავსატეხი მაგალითები და გადასცა მდგმურს — ეს ლალიმ დაგიტოვა, ბევრი მაქვს სასწავლი და დამეხმაროს მაგალითების ამოხსნაშიო. იმ დღესვე აიყარა სტუმარმა გუდა-ნაბადი და „გადაცხოვრდა“ (ჩემი საყვარელი სიტყვაა) სოფელში. ასე დაიხსნა ბებომ საკუთარი თავი და მეზობლები უდიპლომო სასიძოსგან და უიმედო სიტუაციიდან. ჭრიჭინა“.

ჯიბრით გათხოვება

„აუცილებლად ცოლის მოყვანაზე მოვყვე? ჯიბრით გათხოვებაც ხომ „მოსულა“? ალბათ — კი. ჰოოდა, უნდა გავთხოვდე! მერე, არ იკითხავთ, ვის ჯიბრზე? ვისი და ჩემი შინაბერა ლექტორების! დედაააა, არ შემიკლეს ხელში ანგელოზივით ბავშვი?! ახლა, რაშია საქმე: ჩემი ჯგუფელები ერთმანეთის მიყოლებით დათხოვდნენ. ლოგიკურად, ახლა ჩემი ჯერია, მაგრამ შეკრული მაქვს ბედი, შეკრულიი! გადასარევი სტუდენტები იყვნენ, მაგრამ ზოგს ბაია ჰყავს, ზოგი ახლა ელოდება და ყველას ეპატიება სიზარმაცე, მე ვიჩაგრები მარტო. ბებია ოლღასი არ იყოს, ყველას ნაცვლად მე რავა უნდა ვისწავლო? ლექტორებიც მიშლიან ნერვებს. როგორც კი განსაკუთრებულად გამოვიპრანჭები, შეშინებულები მეკითხებიან: — პაემანზე მიდიხარ? არ დამღუპო, არ გათხოვდე! — ერთხელ, ძმასთან ერთად ვიყავი თეატრში. ჩემი ლექტორი შემხვდა და ისე გამაბრაზა, კინაღამ ბერიკაშვილის ვარსკვლავზე დავაკალი. არ დაიჯერა, რომ ჩემი ძმა იყო. რატომ არ გგავსო? არ ვარ ქერა და მწვანეთვალება და რა ვქნა? სამკაულების დიდი მოტრფიალე ვარ და მარჯვენა ხელზეც ვატარებ ბეჭედს. იმ დღეს ერთმა „მასწმა“ დამინახა და გადაირია, ხომ არ დანიშნულხარო?.. არაა! ჯერ არა, მაგრამ ამდენი ტერორი მომბეზრდა და უნდა გავთხოვდე! ერთ „ბულკივით“ ბიჭს როგორ ვერ ვიპოვი ამხელა თბილისში (ნუ, ნაპოვნი კი მყავს, მაგრამ არის მასში რაღაც რაჭული)? ჰოდა, მერე ნახონ, მეც რომ ვიტყვი, გუშინ დედამთილის მამიდაშვილის სიმამრი გარდაიცვალა და ვერ ვისწავლე-მეთქი. ან უკეთესი — ექოსკოპიაზე მითხრეს, ბიჭიაო და სიხარულისგან წიგნებს გული ვერ დავუდე. მეხუთე კორპუსის უკანასკნელი შინაბერა, პარიჟანკა“.

ისევ უყვარს

„გოგო სტუდენტი იყო, ნიჭიერი, ლამაზი, ამაყი და შეძლებული ოჯახიდან. მეზობლად, მასავით დიდ ქალაქში ჩამოსული, პროვინციელი, სიმპათიური, მაგრამ ღარიბი ბიჭი ცხოვრობდა, მომავლის დიდი პერსპექტივების გარეშე. ხშირად უწევდათ ერთად ყოფნა და გართობა ახალგაზრდებს და დაიწყო დიდი სიყვარული. იყო ყვავილები, წერილები, სიურპრიზები, ფანჯრიდან, აივნიდან შეპარვები, დიდი წინააღმდეგობა გოგოს მშობლების მხრიდან. ბიჭის უსაფუძვლო ეჭვიანობის სცენები, ჩხუბიც, მაგრამ გოგო ყველაფერს ჰპატიობდა და სიყვარულიც გრძელდებოდა. წლები გადიოდა, ერთ-ერთი სკანდალის შემდეგ მთვრალმა დათომ მასზე უიმედოდ შეყვარებული, მაგრამ მოხერხებული გოგონა ცხელ გულზე ცოლად მოიყვანა. შეურაცხყოფილი ქეთიც მის ჯიბრზე გაჰყვა 2 დღის გაცნობილ ბიჭს, რომელსაც გარეგნობის მეტი არაფერი აქვს სახარბიელო. უკვე ორივეს ჰყავს შვილი. მოვალეობის გამო ცხოვრობენ მეუღლეებთან, ჩხუბობენ, ნანობენ თავიანთ არჩევანს, მაგრამ ვიცი, ოჯახის დასანგრევად არც ერთს არ ეყოფა გამბედაობა. ხშირად უწევთ ერთმანეთის ნახვა და ჩემთვის სრულიად ააშკარაა, რომ მათ ისევ ძალიან უყვართ ერთმანეთი. ეს ერთი გამოხედვითაც კი იგრძნობა, რომ აღარაფერი ვთქვათ დათოს სატელეფონო, გულახდილ მონოლოგებსა და წერილე-

ბზე. ქეთის კი მის ხსენებაზე ისე უციმციმებს თვალები, რომ ამ თითქოს ბანალური ისტორიით, ჩვენ მაინც ვისწავლოთ ჭკუა. სვანის ასული“.

მშიშარა

„იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა და ძალიან ლამაზი გოგო, თავისი სიხარულითა და პრობლემებით. 20 წლით უფროსი ქმარი ჰყავდა, რომელსაც თავისი ცხოვრება ჰქონდა. უყვარდა ცოლი, მაგრამ მასთან ყოფნას, მეგობრებში დროს ტარება ერჩივნა. თათა დაღალა გაუთავებელმა დაძაბულობამ და სწორედ ამ დროს გამოჩნდა მის ცხოვრებაში ნიკა. ძალიან შეუყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ... ნიკამ რამდენჯერმე სთხოვა, ქმარს გასცილებოდა და ცოლად გაჰყოლოდა, თათამ კი ვერ გაბედა, ებრძოლა თავისი სიყვარულისთვის და... 1 კვირაში ნიკამ ცოლი მოიყვანა მის ჯიბრზე, მაგრამ ვერ შეძლო ძველი სიყვარულის დავიწყება და რამდენიმე თვის შემდეგ ისევ დაურეკა თათას. გოგო ამჯერად სხვისი ოჯახის დანგრევასაც მოერიდა და ისევ გაიყარა მათი გზები. ნიკას შვილი შეეძინა, მაგრამ მალევე დასცილდა ცოლს. ვერ შეძლო თათას დავიწყება. მას შემდეგ 2 წელი გავიდა. თათას და ნიკას ისევ უყვართ ერთმანეთი, მაგრამ შორიდან. თათა ვერც ამჯერად ბედავს თავისი გრძნობის დაცვას. ჰადესი“.

ჩემს ჯიბრზე

„პირველად გწერთ. ჟურნალ „გზას“ „გზავნილებისთვის“ ვყიდულობ. მარ, ეკო ბოის გამო გული არ გაიტეხო, ამ რუბრიკას მკითხველი არასდროს მოაკლდება. ჩემს ჯიბრზე ერთმა ბიჭმა ცხოვრება რომ დაინგრია, მაგაზე მოგწერ. მას ბავშვობიდან ვუყვარდი. 12 წლის რომ ვიყავი, პირველი საჩუქარი მაჩუქა. ვგრძნობდი, რომ ვუყვარდი, მაგრამ 17 წლამდე არაფერს მიმხელდა. მე სხვა შემიყვარდა და ახლა მისი ცოლი ვარ. ის ბიჭი ერთ გოგოს უყვარდა. ჰოდა, სთხოვა სასწრაფოდ ცოლობა. სიხარულით გაჰყვა, მაგრამ დღესაც მე ვუყვარვარ მის ქმარს. დაეცადა, იქნებ ვინმე ისევ შეჰყვარებოდა და უსიყვარულოდ არ ეცხოვრა? ახლა კი ნამდვილად უსიყვარულოდ ცხოვრობს. თან, პირველი შვილიც დაეღუპათ და ამან უფრო დაჩაგრა ცხოვრებაში. ბეკეკა“.

ორსული პატარძალი

„დღე ფაციფუცით დაიწყო. ოჯახში დიდი მზადებაა. დღეს გიორგი ცოლს ირთავს. მაყრიონის სიგნალების ხმამ გააყრუა მთელი უბანი, სიძე პატარძლის წასაყვანად მოვიდა, სვეტიცხოველში აპირებდნენ ჯვრის დაწერას. გოგოს ოჯახში რომ ავიდნენ, პატარძალი ცუდად გახდა, გული წაუვიდა და სასწრაფო გამოიძახეს. ექიმმა გასინჯა. დადგინდა, რომ მუცელი მოეშალა. გიორგის ფერი ეცვალა, გაგიჟდა, რას ჰქვია, მუცელი მოეშალა, მისთვის ხელიც არ დამიკარებიაო?! განადგურებულმა დატოვა ოჯახი. არადა, მამაო ელოდება, რესტორანშიც სუფრა იყო გაშლილი. ნათესავებს ჰკითხა, არავინ იცით, გასათხოვარი გოგოო? ნახევარ საათში მოუყვანეს და გააცნეს ნანა, რომელზეც გიორგიმ 1 საათში ჯვარი დაიწერა. დღეს მათ სამაგალითო ოჯახი აქვთ. ამ შემთხვევაში ჯიბრმა გაამართლა, რადგან კარგი მეუღლე შეხვდა. ჭრიჭინა“.

ქათმის ჩივილი

„ოჰო, უკვე ვიცი, უამრავი გზავნილი მოგივა, რადგან შემოთავაზებული თემა არახალია, კაცობრიობისთვის. მარტო ჩემ გარშემო ჯიბრით დაქორწინებულ ყმაწვილთა უამრავი ამბავი ვიცი. ამათგან ერთ-ერთი ცინცხალია. ოდესღაც შეიქმნა თითქოს პერსპექტიული ოჯახი. გაიშალა სუფრა, საკლავი დაიკლა, ქათამიც მიაყოლეს (ტყუილად კი არ ჩიოდა საწყალი ქათამი, ცხვარი დაკლეს, ზედ წამაკლეს, ხარი დაკლეს, ზედ წამაკლესო). სადღეგრძელოც ბევრი შეისვა და წლისთავზე ჩვილიც ატირდა აკვანში, მაგრამ გაჭირდა ცხოვრება და ოჯახის სარჩენად ოჯახის დედა საზღვარგარეთ აღმოჩნდა. დარჩა კაცი მარტო. თავიდან თუ ხშირად ეკონტაქტებოდა ცოლი, მერე მოუკლო დარეკვას, აღარც თანხას გზავნიდა სახლში. ამასობაში სამი წელი მიიწურა და ერთხელაც, კაცის საყვედურებით თავგაბეზრებულმა ქალმა ყურმილს იქიდან — დამღალეო, ამოთქვა და გათიშა ტელეფონი. ჰოდა, მოხდა ისე, რომ ცოლის ჯიბრით, კაცმა ცოლი მოიყვანა! როგორია? მესმის, შეყვარებულის ჯიბრით, დედის ჯიბრით, მაგრამ — ცოლის ჯიბრით?! ეს უკვე მეტისმეტი, რეტისრეტიო, ძველად ასე იტყოდნენ. როგორც უკვე აღვნიშნე, სულ ახალია ეს ამბავი და იმედია, უკანასკნელიც, რადგან ჯიბრით გადადგმული ნაბიჯი სანანებელი უხდება ადამიანს. მემე“.

კაცური გულახდილობა

„არ მეგონა, სახალხოდ თუ მოგწერდით, მაგრამ ჩემთვის მტკივნეული თემაა. ჯიბრზე მოყვანილი ცოლის გამო მეორე დღესვე ვინანე. მე და თაკო ერთ უბანში ვცხოვრობდით და ბევრი წინააღმდეგობის მიუხედავად, გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ ბოლოს თაკომ სხვების აზრს დაუჯერა და თავისი ბავშვურობითა და სისულელეებით დამკარგა. ვერასდროს ვიფიქრებდი, გოგო ასე თუ შემაყვარებდა თავს. იყო საშინელი დღეები, ლოთობა და ბოლოს ის გოგო მოვიყვანე ცოლად, ვინც აქეთ მაბამდა. ეს ალბათ ჯიბრზე გავაკეთე და ძალიან ვნანობ. ახლაც ცოლს თავს ვარიდებ. არ ვაღიარებდი, მაგრამ

მოკლე ჩართვა

რომელი ქართული ტრადიცია მომწონს?

• ოოო, ქართველებს ხომ ბევრი კარგი და ლამაზი ტრადიცია გვაქვს... მართალია, ახალი თაობა ამით არ ინტერესდება, მაგრამ მაინც. ჩვენ ხომ გადასარევი სტუმარ-მასპინძლობა ვიცით? არ ვიცი, ეს ტრადიციაა თუ წესი, მაგრამ მე პატივს ვცემ. ჰოდა, აქედან ყველანი ჩემთან! გაკოცეთ! სოფი19.

• რომელი ქართული ტრადიცია მომწონს? მაგარი კითხვაა, გაიხარე. ძაან ბევრი და შემორჩენილი ტრადიცია გვაქვს. მაგალითად, თამადობის ტრადიცია მარტო ქართველებს გვაქვს. შეგვიძლია კარგი თამადობა და ბევრი კარგი კერძის მომზადება. რაც მაგრები ვართ, მაინც ქართველები ვართ. ბევრი სისუსტეც გვაქვს, მაგრამ მაინც ქართველები ვართ. გეხუტუნეთ ყველას გულში. რაჭველი.

• ქართულ სტუმარ-მასპინძლობას რა სჯობს? ექიმი.

• წაწლობის ტრადიცია ყველაზე მაგარია. თათათია.

• ვგიჟდები, ქეიფი ღრეობად რომ გადაგვექცევა ხოლმე. გადასარევი ჩვევა გვაქვს, რა! ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. ქართველებს ბევრი ლამაზი ტრადიცია გვაქვს: დღესასწაულებზე შეკრება, პატარძლის წაყვანა მაყრის თანხლებით, თუნდაც ინდივიდუალური ტრადიციები ოჯახებში, საგვარეულოში. მოკლეედ, მოდით, ჩავხუტდეეთ... ბამბუჩა.

• არ ვიცი, თათარაობა ქართული ტრადიცია რამდენადაა, მაგრამ კახური ნაღდად არის. ვგიჟდები ამ რიტუალზე! ჩემს ოჯახში 200-300 ჩურჩხელა ყოველ შემოდგომას იბნევა. ისეთ ლამაზ ჩურჩხელებს ვავლებ, ჭამა მენანება მერე. ჩემი ფშაველი დაქალი გადაირია, სად ისწავლეო. მე, გენაცვალე, პარიჟანკამდე კახეთის ასული ვიყავი. :) ჩვენთან რთველიც და თათარაობაც დღესასწაულია. ახლობლები ვიკრიბებით და წალამზე შემწვარ, ცვრიან მწვადებსა და მაჭარზე, კახური იუმორის თანხლებით ვქეიფობთ. უკვე მომინდა. :) პარიჟანკა.

• რამდენად ტრადიციულია, არ ვიცი, მაგრამ ერთიანი ცნება — ღვინო, დუდუკი, ქალები მომწონს. ქართველობისთვის ეს მისაღებია. მეც მედუდუკე ქალი ვარ და ზარხოშთან ერთად, ნამეტნავად მოსაწონი. გკოცნით, თქვენი ჯუკ-100.

თაკო ისევ მიყვარს! შეიძლება ეს კიდეც ნახოს, რადგან ყოველთვის კითხულობდა „გზას“ და თუ წაიკითხავს, მიხვდება ყველაფერს! ამ ბავშვმა დამტანჯა, მაგრამ მაინც ისევ ის ბავშვი მიყვარს! ლევანი“.

ჯიბრის ჯიბრი

„პირველად ნიკამ 16 წლის ასაკში, მისი მეზობელი გოგას ჯიბრზე ჩააბარა სასწავლებელში. მას შემდეგ ბევრი რამე გააკეთეს ერთმანეთის ჯიბრზე. ნიკამ მუშაობა დაიწყო და არც გოგა ჩამორჩა. ცოლის მოყვანა არც ერთს არ ჰქონდა გეგმაში მანამ, სანამ ნიკას მისი მეზობელი ნინო არ შეუყვარდა. ნინოს ორივე ძალიან კარგად იცნობდა. პირმშვენიერი და მოხდენილი გოგო იყო. გარეგნობით არც ნიკა და გოგა დაიწუნებოდა. თურმე ნინოს დიდი ხანია, ორივე გულში ჰყოლია და ვერ გადაეწყვიტა, რომელი ამოერჩია. ნიკამ იყოჩაღა და თავად გამოუტყდა სიყვარულში. მერე დაიწყო შეხვედრები, მესიჯობა და მთელი ამბები. რა თქმა უნდა, ეს ამბავი არ გამოჰპარვია გოგას. რომ ვერაფერი გააწყო და ნინო ვერ გადმოიბირა, ადგა და თავისი მეგობარი, ანა შეირთო ცოლად. პატარაც მალე ეყოლათ და ბედნიერადაც ცხოვრობდნენ. ნიკა დაღალა ამდენმა ხვეწნამ. ნინო გთხოვებას არ აპირებდა. ამიტომ ადგა და ანას მეგობარი, მარი მოიყვანა ცოლად. ყველაზე მაგარი რა არის, იცით? ერთმანეთის ჯიბრზე „აკეთებენ“ და „აკეთებენ“ ბავშვებს. უფრო მაგარი ისაა, რომ ნიკა ბიჭს ვერ „აკეთებს“. თუმცა, მაინც არ ისვენებს და საბრალო მარიც აჩენს და აჩენს ბავშვებს. სიყვარულით, თქვენი ლუნა“.

ლიფტში გაჭედილი

„გუშინ ლექციაზე მიმავალს... არა, უფრო — მიმფორთხავს დამაგვიანდაა... უნივერსიტეტში მისულმა ვიფიქრე, რაღა სართულებზე ვიხტომიალო (მე-6 სართულზე ვარ), ლიფტით ავალ-მეთქი და ჩემი „გენიალური“ იდეის სისრულეში მოსაყვანად, ამ კომფორტულ კაბინაში ისე შევხტი, უკან არ მომიხედავს... ამაყად მივაჭირე 6-იანს თითი და ლიფტიც დაიძრაა... ცოტაც და რაღაცამ შეაჯანჯღარა ეს „ყუთი“. თურმე, შენც არ მომიკვდე, არც მეტი, არც ნაკლები, გავიჭედეეე... მერე გამახსენდა, რომ როცა ზარი ირეკება, ლიფტსაც თიშავენ... ჰოდა, რაღას ვიზამდი? ერთი-ორჯერ კი დავაბრახუნე და რომ მივხვდი, კაცი არ იყო პატრონი, გავჩუმდი... ხანდახან კი ვამბობ: თავი კი არა, იდეების გენერატორი მადევს კისერზე-მეთქი, მაგრამ რატომღაც იმ დღეს არ გამიმართლა ამ ჩემმა „გენერატორმა“ და იმის ნაცვლად, რომ კურსელისთვის დამერეკა და შველა მეთხოვა, იქვე სკამზე ისე ჩამოვსკუპდი, თითქოს 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს ფოიეს სავარძელი ყოფილიყო... ჩანთიდან „ტრიკორაჩკი“ ამოვაცურე და ისეთი ხრაშა-ხრუში ავტეხე, რომ შვეიცარს გაუგონია, ლიფტის კართან მოუყურადებია და — ტიტუ! თაგვები თუ გაჩნდებოდნენ ლიფტში, რას ვიფიქრებდიო, უთქვამს. — არა, თაგვი არ იქნებაო, გამოხმიანებია მეორე და ამათი ლაპარაკის გამგონემ, მერე კი ვიკადრე ხმის ამოღება... როცა ლიფტი ჩართეს და სამშვიდობოს გამომიყვანეს, ისეთი სახეებით მატრიალებდნენ, გეგონება, სამუზეუმო ექსპონატი ვიყავი... მერე ჩემმა ღიმილმა გააკვირვა, ლიფტი ჩაიკეტა და რა გიხარიაო?! მე კიდევ, „სუხარიკით“ პირჩატკბარუნებულმა, სიამოვნებით მოვილოკე ტუჩებზე შერჩენილი ნამცეცები და აუდიტორიისკენ გავემართე... გიჟიაო, მომაძახა... ჰო, გიჟი ვარ, გიჟი, რით ვეღარ გაიგეეთ? ვაა... SWEET-GIRL“.

ბერძენი ქოფაკი

„ჩემს გაჭირვებულ თავს დავტიროდი ავტობუსში და ამხანაგს ველაპარაკებოდი, მობილურით. ასე, 75 წლამდე ასაკის კაცი მომიჯდა და მითხრა, ქართველებს ვერ გიტანთ და ქართულად ნუ ლაპარაკობო და ჩამარტყა. ასე არ უნდა-მეთქი და ჩავცხე და ჩავცხე. რა აღარ ვუწოდე — ქართველები რომ არ ვალაგებდეთ თქვენს სახლებს, აყროლდებოდით-მეთქი. რომ ჩავიდა, უკნიდან ისეთი წიხლი ამოვარტყი, კუდუსუნის ძვალი ჩავულეწე. ახლაც მეწვის ფეხის თითები. ბერძნებზე საზიზღარი ხალხი არ არსებობს. ამას იმიტომ გწერთ, რომ მიხვდეთ, რა დამცირებას ვიტანთ ამ საზიზღარი ხალხისგან. ამას ქართველები რომ წაიკითხავენ, იტყვიან — გაიხაროს შენმა მარჯვენამ, ასე რომ ურტყი იმ ქოფაკ ძაღლსო. ოსი ლია“.

მოტაცებული და შეყვარებული

„15 წლის ვიყავი, როცა მანქანაში ძალით შემაგდეს. ვერ გავიგე, რა ხდებოდა. არც შეყვარებული მყავდა და გათხოვება ხომ გამორიცხული იყო... ასე უცნაურად გავხდი ჩემთვის სრულიად უცნობი მამაკაცის მეუღლე. მართალია, არ ვიცნობდი და არც არასდროს არაფერი მსმენოდა მასზე, მაგრამ ძლიერ შემიყვარდა და დღესაც უზომოდ მიყვარს. ჩვენ ორი გოგონა გვყავს, რომლებიც ძალიან გვენატრება, რადგან მათგან ძალიან შორს ვართ. გაუფრთხილდით სიყვარულით თუ უსიყვარულოდ, უცნაურად შექმნილ ოჯახს. კვეცუნია, მიყვარხარ ძაააალიან. შენი ელი“.

საშინელება

„მეზობლის გოგო მყავდა ისეთი საშინელება, მისი დამნახავი იფიქრებდი, რაც ამის წინაპრებს ცოდვა ჩაუდენიათ, სულ ამ საცოდავში „ადუღებულაო“. ახლა ხასიათს არ იკითხავთ? ენა ჰქონდა — უუჰ! მისი ნათქვამი სიტყვა დაღივით გაგყვებოდა მთელი ცხოვრება. გველიც კი თავს არიდებდა, არ მიკბინოსო. ყველას სწვდებოდა, მთელ კაცობრიობაზე დაბოღმილი დადიოდა და თან თავი მინიმუმ, კლაუდია შიფერი ეგონა. უიმედო სიტუაციაში ვიყავით მისი მეზობლები. ვფიქრობდით, ლიასგან თავს ვერასოდეს დავიხსნიდით. გულს იმით ვიმშვიდებდით გასათხოვარი გოგონები, რომ ვინმე რაინდი გამოჩნდებოდა და მისი სიახლოვისგან გვიხსნიდა, თორემ აბა, მაგის გათხოვებას, ყველაზე მიუწვდომელ ოცნებაშიც ვერ ვინატრებდით. ფრანკენშტეინის გარდა, მისი ცოლად მოყვანის სურვილი თუ ვინმეს ექნებოდა, არ მეგონა, მაგრამ აბა, ეგ არ იყო და... ერთ დღეს, საოცრება მოხდა: ხმა გავარდა, ლია გათხოვდაო! ეს დაახლოებით ისეთი დაუჯერებელი, მაგრამ თან სანატრელი ამბავი იყო, ახლა ვინმემ რომ თქვას, მიშა გადადგაო. არადა, მართლა გათხოვილა ჩვენი „ურჩხული“. როცა მისი ქმარი ვნახეთ, ბევრი ვზვერეთ და თქვენ წარმოიდგინეთ, ბიჭი არც მახინჯი გამოდგა და არც სულელი. რა ცოდვა ჰქონდა ასეთი მაგ საბრალოს, თავის თავს რომ ლია „მიუსაჯა“, არ ვიცი, მაგრამ ჩვენ ნამდვილად დავისვენეთ ყოველდღე, მისი წივილ-კივილისა და შხამის პკურებისგან. ახლა ალბათ გორელი მეზობლები არიან უიმედო სიტუაციაში. ეჰ, კი ვიცოდი, სიყვარული ბრმა რომ იყო, მაგრამ მთლად ასეთი?! ენდი“.

მოკლე ჩართვა

რომელი ქართული ტრადიცია მომწონს?

• ქართული ტრადიციები, იქიდან გამომდინარე, რომ ქართველი ვარ, ძალიან მომწონს. თუმცა, ჩემი გული ქართველების დამახასიათებელ, უაზრო ჭამა-სმას, ღრეობასა და აყალმაყალს ნამდვილად ვერ უძლებს. ძალიან მომწონს ქართული ქორწილის ტრადიციები. ის, რომ გოგო აუცილებლად ქალწული უნდა იყოს... ამაში ვიცი, ყველა არ დამეთანხმებით, მაგრამ მე მაინც ასე ვთვლი საჭიროდ. ლუნა.

• რა ვქნა, ძალიან მიყვარს ქართული ტრადიციები და მიჭირს რომელიმე მათგანის გამოყოფა. თუმცა, ვფიქრობ, განსაკუთრებულად სასიამოვნო მაინც სტუმარ-მასპინძლის ინსტიტუტია. რა ჯობია ოჯახში სულ ცოტა, 20-კაციან სუფრას რომ გაშლი, კარგი, მჭევრმეტყველი თამადა რომ ამშვენებს სუფრას და გულიანად რომ მოილხენ?.. არა, რა, მადლობა ღმერთს, რომ ქართველი ვარ და საქართველოში ვცხოვრობ. იკუშკები.

• ჰმ... ვერ ვიპოვე ერთი ტრადიციაც კი, რომელიც მომწონს... SKY.

საწყალი ბებო

„კომუნისტების“ დროს თუ დასავლეთ საქართველოში ჩაის ბიზნესი იყო, ახლა უკვე „მწვანე ოქრო“ თხილის ბიზნესმა შეცვალა. დღეს სამეგრელოში თითქმის ყოველი ოჯახის შემოსავლის წყარო თხილია და ვინაიდან ყველაფერი კარგი ამა ქვეყნის ძლიერთა ხელშია, ამ ბიზნესმაც ჩვენი პრეზიდენტის ძამიკოს დაქვემდებარებაში გადაინაცვლა, რაც დავარდნილ ფასებზეც ეტყობა (კაი ჟურნალისტი ამ თემაზე რა მაგარ მასალას მისცემდაა?!). თხილზე ერთი ამბავი მახსენდება: ერთ მოხუც ქალს ტომრებით თხილი წაუღია გასაყიდად და მყიდველის მოლოდინში იქვე, ტომრებთან ჩამომჯდარა. ცოტა ხანში უკნიდან ვიღაცას აუფარებია ხელები თვალებზე და უკითხავს: აბა, თუ მიცანი ბებო, ვინ ვარო? ამ „ვინა ვარს“ ძახილში მის თანამზრახველებს მთელი თხილის ტომრები მოუტეხიათ. ლიმონა“.

შეხვედრა

„6 ნოემბერი მქონდა ემოციებით დატვირთული. დამღლელი მგზავრობის შემდეგ ჩემმა ტრაგი-კომედიის თეატრმა ჩააღწია თბილისში. ეს ჩვენი მაესტროც წამოვიყვანე, განათებაზე გვეხმარებოდა (უნდა გენახათ როკოს თვალები, ჩვენ რომ გვაცილებდა). მოკლედ, თ.ს.უ-ში უნდა გვეთამაშა სპექტაკლი. დეკორაცის მოწესრიგება-დალაგებაში მოახლოვდა სპექტაკლის დაწყების დრო. აუ, სადაა ხალხი? არავინაც არ მოვიდა (ჩვენი მმართველის დაუდევრობით, პიარი არ გვქონია და როგორ მოვიდოდა მაყურებელი?) გავიხედე, მაესტრო მეძახის. გამოვედი დარბაზიდან და რას ვხედავ? მთელი გზავნილეთი აქ არ არის?! იკჩო, დუჩი, სიკვდილა, ჩუპი, ლიმონა, პარიჟანკა, ნიკოლი, ილინი, კანიბალკა, SWEET GIRL-ი (იმედია არავინ გამომრჩა). გული სიხარულით ამევსო, პატარა ბავშვად ვიქეცი, ამდენი მგზავნელი ერთად?! თან სპექტაკლი უნდა მეთამაშა. ემოციებში ვიყავი, მოკლედ, მხოლოდ მგზავნელებისთვის ჩამომიტანია სპექტაკლი. ესენი ისხდნენ დარბაზში და კიდევ 1-2 კაცი. მაინც კარგი გამოვიდა დადგმა. წარმოდგენის შემდეგ ვსაუბრობდით, ვიცინოდით, მერე ეთო (მამაცი თოჯინა) და ფელამუშა მოვიდნენ. მე და გიოს გვეჩქარებოდა, თან ამათ ვერ ვტოვებდით. იყო განშორება, სევდანარევი თვალები. ცოტა ხანში მე და გიო დასთან ერთად ბათუმისკენ მოვდიოდით და მგზავნელებთან გატარებულ წუთებზე (რომელიც წარსულს ჩაბარდა) ვსაუბრობდით. ყველანი მიყვარხართ. მადლობა, რომ დამაფასეთ და მოხვედით. სიყვარულით, სუპერსთარი“.

პირდაღებული პროფესორი

„იმერელ ექიმთან, სანამ შესვენება დაეწყებოდა, ცოტა ხნით ადრე ერთი მეგრელი კაცი მისულა და თავისი მდგომარეობა შეუჩივლია: — ექიმო, თვალი მტკივა. — ორივე? — ზანტად დაამთქნარა თურმე ექიმმა. — არა, ერთი... — ბიძიკო, ღმერთმა ადამიანს ორი თვალი იმიტომ მისცა, რომ როცა ერთი ავადმყოფობს, მეორემ იმუშაოს, — უპასუხა ექიმმა და კარებისკენ ისე მიუთითა, საათისთვის თვალი არ მოუშორებია. ევროპისგან დაიგნორირებული საქართველოსავით ჩუმად აღშფოთდა მეგრელი და გაგულისებულმა მიუგო: — ექიმო, როგორც ჩანს, თქვენ თავი გტკივათ და რადგან მეორე თავი არ გაქვთ, მე ძალიან მაწუხებს თქვენი მდგომარეობაო და გასულა. ასე პირდაღებული დატოვა ამხელა პროფესორი კაცი“.

გამოსავალი

„ქუთაისის ერთ-ერთ აფთიაქში ვმუშაობ. ჰოდა, აქ იმდენნაირი სიტუაცია ხდება, გაგიჟდებით! უიმედობაზე გამახსენდა: ამას წინათ, უფროსმა მოგვიყვა, ერთი კაცი შემოსულა აფთიაქში და ფარმაცევტებს ჰკითხა: — გოგოებო, პრეზერვატივი მინდა და რა ფასიანები გაქვთო? ამათ ჯერ უთქვამთ, 2-ლარიანიო. ეუჰ, ეგ ძვირიანიაო. აბა, 1-ლარიანი გინდათო? არა, ეგეც ძვირიაო. მერე უფიქრიათ, ოღონდ წავიდესო და შეუთავაზებიათ, 50 თეთრად მოგცემთო. ამ კაცს უკითხავს, უფრო იაფიანიც ხომ არ გაქვთო? ჰოდა, ერთ გოგოს უთქვამს მეორესთვის, მიდი, მაგერ სკოჩი როა, მიეცი და გაუშვიო. აი, ასეთ უიმედო სიტუაციაში იყო ეგ პაციენტი. აფთია-ქალი“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„იმან“ „ის“ რომ მოიყვანა „მტრის“ ჯინაზე ცოლად, ამიტომაც ყველაფერი ეჩვენება ორად, ხშირად ყვირის ბოლო ხმაზე ყველას გასაგონად: — ერთ დროს კაცი, მან მაქცია ხალხო, ღვინის მონად! დათო“.

„მაარ, პრივეტები, კარგო ადამიანო, როგორ ხარ? რა სევდიანი „გზავნილები“ გვქონდა, ცოტა დავღონდი. თემამ მივიწყებული ამბები გამახსენა: ჩემს ჯიბრზე ორმა ადამიანმა მოიყვანა ცოლი. ერთმა მითხრა, შენზე უკეთესს არ შევირთავო და ერთი ნამუსზე ხელჩაქნეული ქალი მოიყვანა და ცხოვრება გაიმწარა, მეორეს ცოლობაზე უარი რომ ვუთხარი, ერთი წლის შემდეგ ერთი პატიოსანი გოგო შეირთო და ბავშვს ჩემი სახელი დაარქვა. მატიტელა“.

„ჩემმა სვანმა ძმაკაცმა გაიარა შუქნიშნის წითელ ფერზე მანქანით და რომ ჰკითხეს, რატომ გაიარეო? თავი იმართლა, კარგი რა, არც ისეთი წითელი იყოო“.

„სხვის ჯიბრზე მოყვანილი ცოლი? ჰა, ჰა... ერთი ამბავი გამახსენდა: ჩემს მეზობლად ასე მოიყვანა ბიჭმა ცოლი, თანაც — ელამი და საშინლად „დაგრეხილი“, რომელზეც მთელი უბანი ახლაც ლაპარაკობს. უკვე ბიჭს ელიან. ხუმრობა ხომ არ არის?! თეკა“.

„სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე მომყავს ჩემი სასიმამროს ჯიბრზე მისი გოგო ცოლად (ვხუმრობ, რა თქმა უნდა). ამდენი კი და არას ძახილში, როგორც იქნა, მაინც ჩემს სასარგებლოდ გადავწყვიტე საქმე. ისე, ასე თუ გადავუხდი სამაგიეროს... ჰო, თქვენთვის, მგზავნელებისთვის, მე და ჩემს სიყვარულს სიურპრიზი გვაქვს. მგზავრი“.

„ხუთშაბათს, უნივერსიტეტში ავედი თუ არა, „გზავნილების“ კითხვა დავიწყე. ჯგუფელმა მკითხა, რას კითხულობო? მეც ვაჩვენე მთელი „გზავნილები“ და მათ შორის — ჩემი გზავნილიც. ნათიას ისე გაუკვირდაააა... მე მეგონა, თვითონ იგონებდნენ და ისე წერდნენო. მე, პირადად, ამ ნათქვამზე მაგარი ვიცინე. ავუხსენი და მგონი დაიჯერა სიმართლე. შევთავაზე, შენც დაამესიჯეო მეთქი და ვნახოთ აბა, რა იქნება. ახლა მაგასთან ერთად ვწერ ამ მესიჯს და თუ დამიბეჭდავ, მაშინ ნათიაც უფრო ირწმუნებს. :) დამავიო“.

„საქართველოში გამეფებულ „ოდნოკლასნიკომანიას“ მეც ავუწყვე ფეხი და დიდის ამბით გავხსენი ჩემი „ოდნო“, მარა რად გინდა? ისე იშვიათად შევდივარ, ლამისაა, პაროლიც დამავიწყდეს. მაგარი ისაა, რომ ამას წინათ ეშმაკუნამ ბედად გადამირჩინა, გატეხვისგან. უფრო მაგარი ისაა, რომ ჯაბა ანანიძეს, ლიკას, თამუნა კვინიკაძეს, ინგა ჯაყელს (მარი უკვე ვნახე) ვეძებ გამწარებული, მაგრამ სულ ტყუილად. მაგარზე მაგარი კი ის არის, რომ „ოდნოებში“ ფავორიტად ყველასათვის სულში ჩასახუტებელი მგზავნელი, ჩორი მყავს ამორჩეული. ერთხანს ასე მივმართავდი — „ჩემი ფავორიტი გოგო ვინ არის?“ მაგრამ იმის მერე, რაც მითხრა, ფავორიტს რომ მეძახი, თავი პრეზერვატივი მგონიაო, ფიქრითაც აღარ ვივლებ გულში. რაღა პრეზერვატივს დაარქვეს ტო, სახელები დაილია? მმმ... ბედი არ გინდა, ჩორ? :-) ლიმონა“.

■

„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ — „ჩემი უჩვეულო მეზობლები“. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com რაც შეეხება „მოკლე ჩართვას“, ამჯერად გთავაზობთ კითხვას: „მე რომ პრეზიდენტის სახლში მარტო დავრჩე“

„არ არსებობს ქალი, რომელიც შვილის სიყვარულს გადაწონის“

„სულ გექნება შეგრძნება, რომ სხვისი ცოლ-შვილი გააუბედურე“

„გზის“ №45-ში დაიბეჭდა ნინი 26-ის მესიჯი. იგი გვწერდა, რომ თითქმის 1 წელია, ცოლიან კაცთან ურთიერთობს და ის შეუყვარდა კიდეც. „მას შვილიც ჰყავს. ჩემ მიმართ ძალიან თბილი და ყურადღებიანია. რატომღაც, მეგობრები ჩვენს დაშორებას ცდილობენ. ახლა მისმა მეუღლემ ყველაფერი შეიტყო და ძალიან ცუდ დღეში ვარ. არ მინდა, ჩემი მიზეზით ოჯახი დაენგრეს“.

ლიკა ქაჯაია

ლიმონა:

„შე ოჯახდალოცვილო, 1 წელია, ხვდები და ახლა დარდობ, რომ შესაძლოა, შენ გამო ოჯახი დაენგრეს? ცოლშვილიანია და მაინც გიკვირს, რატომ ცდილობენ თქვენს დაშორებას მეგობრები?! ერიჰა�ა! არ გენყინოს, მაგრამ სიყვარულმა სულ გამოგაშტერა და გონების დაბნელება დაგმართა. ცოტა „ლეტნადა“ ხარ, ხომ იცი. ქალებო, რით ვერ შეიგნეთ, რომ სხვისი მართლა სხვისია და შენი არასდროს იქნება. ძალა მოიკრიბე, იმ ტიპს დაშორდი და ახალ თაყვანისმცემელს მიხედე“.

ბამბუჩა:

„მე მაპატიე, მაგრამ ასე მგონია, ქარაფშუტა ხარ. ამბობ, — რატომღაც, მეგობრები ჩვენს დაშორებას ცდილობენო. ისინი საღ ჭკუაზე არიან და ასე ამიტომაც იქცევიან. მისი ოჯახის დანგრევა თუ არ გინდა, რატომ არ შორდები? სხვის უბედურებაზე საკუთარ ბედნიერებას ვერ ააგებ — ეს ნურასდროს დაგავიწყდება“.

ჟრიჭინა:

„არც ერთ დაქალს არ სურს, პირად ცხოვრებაში პრობლემები გქონდეს. ვარდისფერ სათვალეს თუ მოიხსნი, შენც დაინახავ, რომ ეგრე იოლად არაა საქმე. ჩემო ძვირფასო, შენ რა, მთელი ცხოვრება ვიღაცის საყვარლობაზე ოცნებობდი? ის ცოლს არ გაყრება და დავიჯერო, საყვარლის სტატუსი გაკმაყოფილებს? რად გინდა გვერდით ისეთი მამაკაცი, რომელსაც საზოგადოებაში ვერ გამოაჩენ? ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ მას შენი მიტოვება არ უნდა. რა ენაღვლება — სახლში ცოლი ჰყავს, შენთან კიდევ, ცალკე ერთობა. არ ხარ იმ ასაკში, რომ ძვირფასი წლები ქარს უდარდელად გააყოლო. სხვა ადამიანი ეძებე, მას კი შეეშვი“.

შოკოლადა:

„მესმის შენი და ვიცი, ახლა დახმარება ნამდვილად გჭირდება. იმაზე ლაპარაკს არ დაგიწყებ, რომ ცუდად იქცევი. უბრალოდ, გეტყვი: თავი მისი ცოლის ადგილას წარმოიდგინე. საინტერესოა, როგორ იქნებოდი, საყვარელ ადამიანს შენთვის რომ ეღალატა? მესმის, რომ მას ცოლი არ უყვარს და იმ კაცის ცხოვრებაში შენ რომ არსებობდე, შესაძლოა, ოჯახი მაინც დანგრეოდა, მაგრამ სჯობს, ეს შენ გამო არ მოხდეს, ასეთ ცოდვაში ფეხს ნუ ჩადგამ. უფალი შეგეწიოს“.

ნინი 16:

„ძალიან დიდ შეცდომას უშვებ! ქვეყანაზე უცოლო კაცები დაილია? თუ ოჯახს დაუნგრევ, ძალიან მძიმე ცოდვას აიკიდებ. მიეცი შენს ახალ თაყვანისმცემელს საშუალება, შენთან ახლოს მოვიდეს. იქნებ, მან მაინც გამოგაფხიზლოს. იმედია, ამ რჩევას გაითვალისწინებ. ღმერთი გფარავდეს“.

რუსპირი:

„მესმის შენი, მაგრამ არ მესმის იმ ბიჭის. მაპატიე, მაგრამ კაცები დაილია? მით უმეტეს, თურმე, უცოლო თაყვანისმცემელიც გამოგიჩნდა. ბოდიში მომითხოვია და „ნახმარი“ კაცი რად გინდა? ხომ შეიძლება, მან გამოგიყენოს და ისევ ოჯახურ ბუდეს დაუბრუნდეს? ქართველი ქალის ბუნება ხომ იცი, მისი ცოლი ქმარს ყველაფერს აპატიებს და მერე ვინ დარჩება მიტოვებული? რა თქმა უნდა, შენ! დამნაშავე ხარ — ცოლიან კაცთან ასეთი ურთიერთობა რატომ გააბი? მგონი, ახლა მოდაშია გათხოვილი ქალისა და ცოლიანი კაცის „შებმა“, ეს ალბათ, ახალი ტენდენციაა“.

იკუშკეზი:

„თავადაც ხვდები, რომ ძალიან ცუდად იქცევი. შენი მეგობრები მართლები არიან და მათ უნდა დაუჯერო. შენ რომ გართმევდეს ვინმე ქმარს, საინტერესოა, როგორ ჭკუაზე იქნებოდი? არ მესმის, თავმოყვარე ქალი რატომ უნდა დაკმაყოფილდეს სხვისი ნარჩენებით? შე დალოცვილო, თუკი სხვა კაცი გამოჩნდა, სხვის ქმარს რაღას ეპოტინები? არ იცი, რომ სხვის უბედურებაზე საკუთარ ბედნიერებას ვერ ააგებ? ქალს ქალური სოლიდარობა მაინც გამოუცხადე და მის ქმარს შეეშვი. ნამდვილი სიყვარული თავმოყვარეობის დაკარგვას არ მოითხოვს, ჩემო კარგო, იცი რამხელა ბედნიერებაა, ქალსა და მამაკაცს ერთმანეთი რომ ეკუთვნით და ერთმანეთის სიყვარულში მოზიარეები რომ არ ჰყავთ? იმედი მაქვს, გონს მალე მოეგები და საკუთარ თავს პატივს სცემ. მერწმუნე, სხვის გზაზე სირბილს საკუთარ ბილიკზე გასეირნება ჯობია. წარმატებებს გისურვებ!“

ნინო:

„შენი მესმის რადგან შეყვარებული ხარ. წარმოიდგინე, რომ გათხოვილი ხარ და პატარაც გყავს — შენი სიყვარულის ნაყოფი, ამ დროს კი შენს მეუღლეს სხვა ქალი დაუახლოვდეს, თავი შეაყვაროს და მისი წართმევით გემუქრებოდეს... შენ ქალი ხარ და ქალს უნდა გაუგო. იცოდე, ოჯახი არ დაანგრიო!“

დამავოი:

„ცოლიან კაცს უნდა შეეშვა! მას უკვე თავისი ოჯახი აქვს, შენ კი ახალი სიყვარული უნდა ეძებო. P.S. თოლია, მე მაპატიეთ :)“.

გიტლერინა:

„კარგით, რა, რას გადაეკიდეთ ამ გათხოვილ ქალებსა და ცოლიან კაცებს? როცა გაიგებ, რომ მამაკაცი ცოლიანია, მასთან ურთიერთობა უნდა გაწყვიტოთ (ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვიქცევი). ხალხნო, მარტო საკუთარ თავზე რომ ფიქრობთ, იმაზეც იფიქრეთ, საკუთარი საქციელით სხვას რომ უნგრევთ ცხოვრებას“.

ლუნა:

„თქვენი მეგობრები, თქვენგან განსხვავებით, სწორად მსჯელობენ და აჯობებს, მათ დაუჯეროთ, ერთმანეთს დაშორდეთ. კაცმა, რომელსაც შეუძლია, ცოლს უღალატოს და საყვარელი გაიჩინოს, არც სიყვარული იცის და ვერც ოჯახის ფასს გაიგებს. პირადად მე, ძალიან მეცოდება იმ კაცის ცოლი და გირჩევ, შენც შეიცოდო და დაშორდე. შენ მისი შეყვარებით ორ ადამიანს — მის ცოლსა და შვილს ატკინე გული. დაფიქრდი, შეიყვარე თავისუფალი კაცი და ყველაფერი კარგად იქნება. გკოცნი და მაპატიე, შენს თბილ გულს ჩემი სიტყვები ცუდად თუ მოხვდა“.

თამო 24:

„ჩემო კარგო, შენი კარგად მესმის, მაგრამ ამაზე მაშინ უნდა გეფიქრა, როცა გაიგე, რომ ცოლშვილიანი იყო. მაგრამ გამოსავალი ყოველთვის არსებობს. ჩემი აზრით, ჯობია, მის დავიწყებას შეეცადო. იფიქრე მხოლოდ იმაზე, რომ მისი პატარა მამის გარეშე ძალიან დაიტანჯება. ღმერთი იყოს შენი მფარველი. P.S. პირველად გწერთ და ყველანი ძალიან მიყვარხართ“.

ქალბატონი:

„არ გინდა, იმ კაცს ოჯახი რომ დაენგრეს? აბა, რა გინდა, ჩვენთან ორცოლიანობა არაა მიღებული. შენ იმ კაცის საყვარელი ხარ და თუ მთელი ცხოვრება ვიღაცის საყვარლობას აპირებ, ჩვენი რჩევები არ გამოგადგება. თუ იცოდი, რომ ცოლი ჰყავდა, რატომ გადაეკიდე? როგორც ჩანს, ეს შენც გაწყობს. მით უმეტეს, უკვე თადარიგშიც გყოლია ვიღაც. ჰოდა, მიდი, იგულავე“.

GOLD GIRL:

„გენაცვალე, დავიჯერო, 26 წლის ქალს მეტი საქმე არ გაქვს, ცოლშვილიან კაცს რომ არ სდიო? იქნებ, საყვარლის როლში ყოფნა მოგწონს? თუ მართლა არ გინდა, ოჯახი დაენგრეს, შეეშვი და შენს ცხოვრებას მიხედე. ნუ მისცემ უფლებას, შენსა და ოჯახს შორის არჩევანი შენს სასარგებლოდ გააკეთოს და მისი პატარა უმამოდ გაიზარდოს. უფალს შესთხოვე, ეს საქციელი შეგინდოს. ბედნიერებას გისურვებ, მაგრამ არა სხვის ქმართან ერთად“.

პუსი:

„მესმის შენი, სიყვარული უმართავი გრძნობაა, მაგრამ მისი ცოლი რომ იყო, სხვანაირად ილაპარაკებდი. სხვისი ოჯახის დანგრევას ღმერთი არ გაპატიებს. სულ გექნება შეგრძნება, რომ სხვისი ცოლ-შვილი გააუბედურე. ჩემი რჩევაა, ორივე კარგად დაფიქრდეთ. დაილაპარაკეთ ამ თემაზე“.

გრუზინკა:

„რთულ სიტუაციაში ხარ, მაგრამ ერთი რამ კარგად დაიმახსოვრე: სხვის უბედურებაზე საკუთარ ბედნიერებას ვერ ააგებ. რა უნდა მასთან დაშორებას? ადამიანურად დაელაპარაკე და თუ ვერ გაიგებს, ნომერი გამოცვალე. მთავარია, მოინდომო და აუცილებლად გამოგივა. წარმატებები!“

ლიკუნა:

„არა, რა, ამ ხალხს რაღაც სენი შეეყარა. როგორ შეგიძლიათ, თამამად განაცხადოთ, — ცოლიანი კაცი მიყვარსო? ის ხომ სხვისი საკუთრებაა და მისი დამორჩილების უფლება არ გაქვთ. კარგია, თუ გულწრფელი ხარ და მისი ოჯახის დანგრევა არ გინდა. ნუ ჩაიდენ ამ მძიმე ცოდვას, თორემ ღმერთი მაინც არ გაგახარებს“.

სვანის ასული:

„შენ კი ამბობ, თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ მისი ცოლის ან შვილის ადგილას რომ იყო, სხვანაირად აჭიკჭიკდებოდი. თქვენ საერთო მომავალი არ გაქვთ... მერწმუნე, არ არსებობს ქალი, რომელიც შვილის სიყვარულს გადაწონის და არც ერთი მანდილოსანი არ ღირს უმანკო პატარის ერთ ცრემლადაც კი — ეს სიტყვები კარგად დაიმახსოვრე! უცოლო თაყვანისმცემელზე გადაერთე, იმ გაორებულ ბიჭს კი ოჯახთან ყოფნის საშუალება მიეცი!“.

მეამგოხე სული:

„შენ მისი ცოლშვილის კუთვნილ სითბოსა და სიყვარულს იპარავ. ნეტავ, როგორი მამაა? კაცი მაშინ ერქმეოდა, ცოლისთვის სიმართლე რომ ეთქვა. ნუ გგონია, შენი საქციელისთვის არაფერი მოგეკითხება და თუ მისი ოჯახის დანგრევისთვის არ იბრძვი, რაღა განერვიულებს?.. ისე, ასეთ კაცს ჩემი შვილის მამობის ღირსად არ ჩავთვლიდი“.

უცნობი:

„18 წლის ვარ და 32 წლის კაცი მიყვარს. ერთს გეტყვი: არავინ ღირს თავის ატკიებად. კარგად თუ დაფიქრდები, მიხვდები, რომ ამ ურთიერთობისგან არაფერი გამოვა, გართობით კი ძალიან შორს შეტოპავ. მას უნდა დაშორდე! მესმის, ეს ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ თუ მოინდომებ, ყველაფერი გამოგივა. აბა, შენ იცი, წარმატებები!“

■

თინეიჯერები გვწერენ

სკანდალისტი:

„გაუ, ლიკ. რჩევისთვის ყველას მადლობა. ჰო, ქალი, რომელიც მიყვარს, ქმარს გაცილებული არაა. გადავწყვიტე, მას არაფერი ვუთხრა, რადგან არ მინდა, ჩემ გამო ოჯახი დაენგრეს. გრუზინკა, მადლობა; რუისპირო, შენ ჩემი ძმაკაცი ხარ და არ მეგონა, ასე თუ გამაკრიტიკებდი. ლიკ, გამბედავი კი ვარ, მაგრამ ჩემი ვინაობა გარკვეული მიზეზების გამო დავმალე — არ მინდოდა, ჩემს პრობლემებს კიდევ ერთი დამატებოდა. ყველას დიდი მადლობა, გაიხარეთ“.

ლიმონა:

„წინა ნომერში ჩემი მესიჯი ორად გქონდა გაყოფილი, ერთზე ლიმონა ეწერა, მეორეზე — უცნობი. ძალიან გამიხარდა, ორივე მესიჯიდან თითო ფრაზა სათაურად რომ გაუშვი, ე.ი. ცუდ რჩევებს არ ვიძლევი :)). ცოტა არ იყოს, რთულია და თან, ძალიან საპასუხისმგებლო, სხვას რჩევა მისცე და ვიღაც სწორ გზაზე დააყენო. რომ ვაკვირდები, მგზავნელების 98% ძირითადად, ერთნაირ რჩევას ვიძლევით და ეს ძალიან კარგია. მართალია, ამბობენ, — ახალი თაობა გადაგვარდაო, მაგრამ „ყველა ერთისათვის“ სხვა რამეს ამტკიცებს. ასე რომ, გვეშველება, ხალხნო, გვეშველებაააა. ბავშვებო, მიყვარხართ“.

რუისპირი:

„არ შეიძლება, თვალი დავხუჭო და პასუხი არ გავცე ბასტი 18-ს. ვინც მისი ნააზრევი წაიკითხა, მაგრად იცინებდა (ჩემსავით), მერე კი მიხვდებოდა, რომ სიცილის ნაცვლად, უნდა ეტირა. მე შეყვარებული რომ მყავს და მას სახალხოდ არ ვკოცნი ე.ი. ხეპრე და გოიმი ვარ? არა, ჩემო კარგო, გოიმი თავად ხარ. ინტიმს „ინტიმი“ იმიტომ ჰქვია, რომ საზოგადოებას არ დაანახვო, თუ როგორ ზასაობ. შენ ნორმალური კაცი როგორ შეგიყვარებს? მოდას აყოლილი გოიმი ხარ და სხვა არაფერი“.

გოგა:

„გამარჯობა. ახლაც თქვენს ჟურნალს ვკითხულობ და რატომღაც, არარეალურები მგონიხართ. ბევრჯერ მქონდა ამა თუ იმ ადამიანის დახმარების სურვილი და ამის შესახებ მოგწერეთ კიდეც, მინდოდა, მათ მეგობრულად ამოვდგომოდი მხარში, მაგრამ ამაოდ, არავინ გამომეხმაურა. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც სიამოვნებით ვკითხულობ „გზას“. ყველანი კარგები ხართ, გაიხარეთ“.

იკუშკეები:

„CRAZY GIRS, საყვარელო, მე ჩემი მოსაზრება გამოვთქვი და კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ არ მჯერა ქალისა და მამაკაცის მეგობრობის. რა ვქნა, ასეა ჩემო კარგო და ნუ გამკიცხავ იმ გამონათქვამისთვის, რომელსაც ახლა მოვიშველიებ: ქალისა და კაცის მეგობრობას საფრთხეს უქმნის დაღამება! ოღონდ, რა თქმა უნდა, ეს ფრაზა შენ არანაირად არ გეხება, შენ და შენი ძმაკაცები ბედნიერი გამონაკლისები ხართ, რაც ძალიან სასიამოვნოა და ეს თქვენს სუფთა, წმინდა სულსა და გულზე მიუთითებს“.

„ძალიან გთხოვთ, დამასაქმეთ“

დათო, *19 წლის:*

„გამარჯობა. ჟურნალ „გზის“ მკითხველების დახმარება ძალიან მჭირდება და გთხოვთ, ჩემ მიმართ გულისხმიერება გამოიჩინოთ. უმაღლესი განათლება ნამდვილად არ მაქვს, მაგრამ ვარ პატიოსანი, შრომისმოყვარე იმერელი. ამჯერად ვმუშაობ, მაგრამ ძალიან ცოტა ანაზღაურება მაქვს. გაჭირვებით არ უჭირს ჩემს ოჯახს, მაგრამ რა ვქნა, მუშაობა მინდაააა. ძალიან გთხოვთ, დამასაქმეთ“.

„მომეჩვენა, რომ აღარ მიყვარდა და დავშორდი“

ლელა, *18 წლის:*

„გთხოვთ, რჩევა მეც მომეცით. მყავდა შეყვარებული. მას ძალიან ვუყვარდი, მე კი რატომღაც, მომეჩვენა, რომ აღარ მიყვარდა და ვუთხარი, — შენთან ურთიერთობა არ მინდა-მეთქი. ცოტა ხნის წინ მივხვდი, რომ ისევ მიყვარს... ვიცი, ჩემ მიმართ გრძნობა არ განელებია, მაგრამ ვერაფერს ვეუბნები — ჩვენ ხომ ჩემი ინიციატივით დავშორდით ერთმანეთს“.

P.S. ***მაშ ასე, თუ დათოსა და ლელას წერილის წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.***

■

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. ვარ ქერა, საშუალო სიმაღლის, 19 წლის გოგო.
2. ვარ 20 წლის, ქერა, ცისფერთვალება. თაკო.
3. ვარ ძალიან ლამაზი, ევროპული სტილის, 23 წლის გოგონა. ვეძებ დასაქმებულ, არანარკომან მამაკაცს, 25-35 წლამდე. ნაგლები და უსაქმურები არ გამომეხმაუროთ.
4. მინდა, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო ახალგაზრდა, სერიოზული მამაკაცი. მქვია ნატალია, ვარ 25 წლის. არასერიოზულებმა გთხოვთ, თავი შეიკავოთ. შემეხმიანეთ, დამირეკეთ.
5. ვეხმაურები 21 წლის ბიჭს, 45-ე ნომრიდან. თუ სურვილი გაქვს, მომწერე.
6. გამარჯობა. ვარ 22 წლის. მეგობრობის მიზნით გავიცნობ მამაკაცს, 30 წლამდე. ბუბუ.
7. გამარჯობა. ვეხმაურები 45-ე ნომრიდან მე-5 მესიჯის ავტორ მამაკაცს. ვარ 25 წლის მანდილოსანი, სუფთა წარსულით. მინდა გავიცნო.
8. გავიცნობ სამეგობროდ მათ, ვისაც ბუტირკა და ქურდული სიმღერები ევასება. მარი.

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

კაცები

9. გავიცნობ თბილისელ, ჰიგიენურ, დასაქმებულ, ლამაზ, 35 წლამდე ასაკის მანდილოსანს. ვარ სიმპათიური, 29 წლის. გიო. მომწერეთ თქვენ შესახებ.
10. ვარ 36/171/78, სიმპათიური გარეგნობის მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით ვეხმაურები 25-33 წლამდე ასაკის, კარგ მეოჯახე და პატიოსან გოგოს, ვისაც ნამდვილად უნდა ოჯახი. მორწმუნეს. გელით.
11. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ქართველ მანდილოსანს. ვარ 35 წლის, 180/80. გამომეხმაურეთ მითითებულ საბერძნეთის ნომერზე.
12. ვარ 36 წლის, სიმპათიური, დასაქმებული. დაოჯახების მიზნით გამომეხმაუროს მსურველი.
13. ვარ 45 წლის რაჭველი ბიჭი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 40 წლამდე მანდილოსანს, მეოჯახეს, წესიერს, პატიოსანს. სასურველია თუ ექნება ბინა.
14. ვარ 45 წლის, თანამედროვე, სიმპათიური, პატიოსანი, მშრომელი კაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 40 წლამდე ასაკის, თბილისელ მანდილოსანს. სასურველია, თუ ექნება ბინა.

ვეძებ

15. ვეძებ ახლობელს, მსოფლიო ჩემპიონს ფარიკაობაში, ბატონ გურამ კოსტავას. კომპეტენტურ პიროვნებას უმორჩილესად ვთხოვ, გამომეხმაურეთ. დათო.

სხვადასხვა

• როცა იმაზე მეტად გაქებენ, რასაც იმსახურებ, გეპირფერებიან! მე შენ არ გეპირფერები ლიმონა, დაიკო. იმის მიხედვით გაქებ, რასაც აი, ამ ფურცლებზე ვხედავ. სარვიეტა.

• ნეტავ, მართლა შევძლებდეთ იმ მგზავნელის დახმარებას, ჭრიჭინამ რომ ახსენა... უფლის წყალობასა და გამოჯანმრთელებას ვუსურვებ გულით. სარვიეტა.

• ემზარ, სამეგრელოს მკვიდრო, არ შემიძლია, არ გამოგეხმაურო და არ გითხრა, რომ სულ ორიგინალურ, მაგრამ სევდიან ამბებს ყვები. შენც ხომ არ წერ მოთხრობებს? სარვიეტა.

• პრივეტ, მგზავნელებო, მიიღეთ თქვენს სასტავში ერთი როკზე შეყვარებული საყვარელი გოგო, ჰა? მიმიღებთ? ROCK SMILE.

• მე ერთი ბიჭი მომწონს.

• მარი, ნამდვილი მამაკაცი გაოცებულია, ამ ხალხს რა დავუშავეო. დამშვიდდი დავით, გაუვლით. იმედია, შენი პაციენტი ვიქნები. მოკითხვა სვეტასა და ანას. ნიკას ლამაზმანი.

• თეორო ყვავო, ძაან მაგარი რომ ხარ და მაგრად მევასები, იცი, ვითომ? :) რასაც ფიქრობ, იმას ამბობ... ნუ, ერთი სიტყვით, მე შენ გვერდით ვაარ. :) ფეშენა.

• ენიგმა, მოგიწონე ლექსი. მართლა მაგარი იყო... აზიელო, გეთანხმები. კამ-კამ, თავი რატომ მოგვანატრე, პატარავ? GREEN GIRL.

• ჩემო ჭრიჭინობელავ, ჩემი გული ყოველთვის გიმასპინძლებს, როცა მინატრებ. ნინო, კარგი ხარ, ნეტავ, გიცნობ? ყველა მახსოვხართ, მიყვარხართ და გულში მყავხართ. ტირიფი73.

• ROCK SMILE, არ მოიწყინო, ლაა. მპუა. ASHLEY PCD.

• კოზანოსტრა, სიმპო ხარ. ოსვალდ, რატომ დამელოსტე? 9717, იმედია, აღარ მაწყენინებ. ASHLEY PCD.

• ვიცი, კარგს არაფერს დამიწერ. ამიტომ, თუ ასე გიშლი ხელს, „გზიდან“ მივდივარ, ახლა უკვე მართლა. ჩემი მეგობრები მომენატრება. მარი, მადლობა სიყვარულისთვის. გრუზინკა.

• ენიგმა, ბრავო! შენი მაგიური და გადამდები ემოციებით ვარ სავსე. დამავოი, ძალიან მომწონხარ. ბერბიჭ და ცხრათვალავ, თქვენს სიყვარულს ვბალელშიკობ. მე სად გაქრა? ნინო.

• სოფი19 ვნახე. უსაყვარლესი გოგოა. ვაი, ჩემი პუჩიტო ძაან ცუდადაა. ჩემს ცუგრიკას რამე რომ დაემართოს, ვერ გადავიტან! ASHLEY PCD.

• გურულო, გმადლობ, სიხარულო. შენც ძაან კარგი და საკალელი ჩანხარ. აეე, რა დომხალია! რას ჩხუბობთ, ბაზრის ვაჭრებივით? ეგაა თქვენი დონე? მე უფრო წესიერი ხალხი მეგონეთ. კაჩაობა და ერთმანეთის ლანძღვა მაგარი გგონიათ? სუფთა კაპას დედაკაცებს მაგონებთ. P.S. აბა, თქვენ იცით, მეც მიმლანძღეთ სიმართლის პირში მოხლისთვის. P.P.S. მარ, სალანძღავი მესიჯები მიიბლოკე, თორემ ყელში მაქვს (და არამარტო მე), ამათი დიდგორის ომი2-ის LIVE-ში ყურება. ASHLEY PCD.

• ლიმონ, არ ვჩხუბობ. მკიდია ყველა, ვისაც ვკიდივარ! ახლა შენ და ზოგ-ზოგიერთებმა თუ არ მომწერეთ, ვენებს გადავიხსნი, აი! ბავშვობაში მე და დაქალები ასე ვმღეროდით: აი დარდი, აი დარდი, ამ ჩემს ფეხებს, ამ ჩემს ფეხებს... :) ჰოოდა, გამგები გაიგებს, რა! :) ASHLEY PCD.

• გენაცვალეთ, თემქელებოო! აი, თქვენ გამო კი ნამდვილად გადავიხსნი ვენებს. :) თემქა ყველაზე დედის ..... უბანია, მთელ თბილისში და მსოფლიოშიც! ვამე, ლოგოლ მყვარებიხართ, მთელი უბანი. ASHLEY PCD.

• შენ ჩემი მზე ხარ, ამომავალიიი, ხომ მიგაჩმორე, „ოდნოს“ ჩათში, ხოსროშვილი, ხარ იდიოტი, გიორგი გქვიაა, წამში მიჩმორდი, გენაცვალე, შენზე ახიაააა... :) ეეჰ, სულ მთლად გავუტიე, მე უბედურმა, ლა ვანგანზას (შურისძიება) სიხარულისგან. :) ASHLEY PCD.

• სალო ბრეგვაძევ, ჩემი ნახმარი კაცები გევასება? საწყალოო! ASHLEY PCD.

• იდუმალ ქალს: შენ არ გეგონოს, ციხეში რომ ვარ, გულზე არ მედოს შავი დარდები, ან არ იფიქრო აღარ მიყვარხარ, ან არ გეგონოს, სულ აქ დავრჩები, ხომ იცი, ნამი მალე რომ დნება, ისევე მკლავზე მალე დადნები, მალე გადავა ღრუბელი ციდან და მოფერების მოვა წამები, მხოლოდ ერთსა გთხოვ, არ მიღალატო, არ მიაშტერო უცხოს თვალები, თორემ ხომ იცი, ჩვენმა მურტალომ, როგორ ჩააცვა ინგას შავები?! მაგრად მომწონხართ, არ გამეცნობით? თქვენი თაყვანისმცემელი.

• ბრავო! სპექტაკლი კარგი იყო. კარგად თამაშობდნენ. განსაკუთრებით, მკვლელისა და მწერალი გოგოს როლის შემსრულებლები მომეწონა. ვეპატიჟებით თ.ს.ს.უ-ის სტუდენტებიც. აზიელი.

• მოვიკითხავ CRAZY GIRL-ს, FILLIPO-ს, ლუნას, სოფი19-ს, კოზანოსტრას, 9717-ს, აბეზარასა და ყველას, ვისაც ვუყვარვარ და მიყვარს. ASHLEY PCD.

• ოსვალდ და ნამდვილო მამაკაცო, სად დამელოსტეთ? აუ, დაქალის საფლავს ქვებს პარავდნენ. 15 წლის, გარდაცვლილ გოგონას ეგ როგორ უნდა გაუკეთო? გავრეკავ, რა! ASHLEY PCD.

• ლიმონ, დიდი მადლობა ჩემო კარგო, ასეთი ნდობისთვის. „თინეიჯერულ პონტებს“ მართლაც დიდი გულისხმიერებით და სიყვარულით გავაკეთებდი, თუნდაც ერთხელ. იკუშკები.

• ჩემთვის ვეძებდი ბერბიჭას, ვერ ვნახე, დაკარგულიყო და ცხრათვალასთან ალერსში, განაბულ-ჩაშაქრულიყო, რად გვიმალავდა ბერბიჭა, შეყვარებული თუ იყო? გაკოცეე. ცისია.

• ცხოვრებაში რაც არ უნდა დიდი გახდე, გახსოვდეს, რომ შენ პატარა დაიბადე. მოკითხვებისთვის მადლობა! გულისტუზა, მეც გურული ვარ, დაა... მიყვარხართ! CRAZY GIRL.

• ASHLEY, დუეტში ვცადოთ, იქნებ, გავუფშტვინო ბოლომდე? დათო. P.S. თხოვდები კი არა, ვენები არ გადამახსნევინო, ჩემი დედამიწა ტრიალებს...

• მე გავიარე გზავნილ-იორკში. თქვენ გამაყოლეთ მზერა, ვიგრძენი. არ ვიცი რატომ, ან როდის გახდით, მარისთან ერთად ჩემი ფიქრები. მიყვარხართ! ენდი.

• თოლია, ამ ეტაპზე მთაში ვარ, მგზავნელთა ნომრები არ მაქვს და სხვების ტელეფონით ვსარგებლობ. საახალწლოდ ჩამოვალ და მაშინ გაგეცნობი ახლოს. მოკითხვა მ.მ.მ-ს. ენიგმა.

• ქოჰორ, მოვკვდი უშენობით, ხომ იცი, უშენოდ არ ჩადის კახური ღვინო. ხომ იცი, ჩემზე მაგრად შენ მოგწონს. აბორმუხ სიბომზ. ბიძია გიორგი.

• გაუმარჯოს, აუ, დიდი ხანია, „გზავნილებს“ ვკითხულობ და რატომღაც მარტო ახლა ვამესიჯებ. აუ, ROCK SMILE-ის მესიჯმა მაგრად დამგრუზა. გული არ გაიტეხო, ოკ? მარ-სვან.

• შოკოლადა, მე უკვე ვუთხარი კაპანაძეს. უფრო სწორად, წამომცდა. არ გამიბრაზდე, მიყვარხარ ძაან, ჩემო ლამაზო. GREEN GIRL.

• GOOD GIRL, გონებად... ყველაფერი შეიძლება მოხდეს. SUNNY SKY მინდა. :(GREEN GIRL.

• თოლიავ, გაოცება ქალი ხარო, ჩემიი. ნინო, ჯჯიგაარ! შოკოლადა შემომეჭმებაოო. :-) ჭრიჭი, მიკალქალ... GREEN, მომენატრე, მწვანუკ. დარდიმანდო ქალო, სალამი შენა. ლიმონა.

• მაარ, ვაშა, მგზავნელი ბიჭების ვაჟკაცობასა და რაინდობას. წიწაკა.

• მარ, სოფი19 და გრუზინკა გავიცანი. ძალიან საყვარლები არიან. გოგონებო, უკვე მიკალქაააალთ. P.S. ლუნ, შენც ძალიან შემიყვარდი, ჩემო პატარა დაიკო. გაკოცეთ. ლალოლა.

• იცით, რა მინდა? სიკეთის მზე ამოსულიყოს და სიყვარულის ხეს ნაყოფი გამოეღოს. აღარვის შიოდეს, არც ვინმეს სციოდეს და ვხარობდეთ ერთურთით, ადამიანები. ბევრია? მემე.

• გასული საუკუნეების დღევანდელ დღეს დაიბადნენ! ანუ, 1867 წლის 12 ნოემბერს: წესრიგის დამრღვევი რამდენიმე შოფერი. ამავე დღეს დაიბადა ერთი უცნობი მგზავრიც. 1882 წლის 12 ნოემბერს დაიბადა სახელოვანი მონადირე, რომლის წარდგენაც მკითხველის წინაშე დაზუსტებული საანკეტო მონაცემებით, სულაც არ არის საჭირო, რადგან ისედაც მიხვდებით, ვინ არის. 1890 წლის 12 ნოემბერს დაიბადა მსოფლიოში ყველაზე უბედური ამერიკელი ქალი, რომელსაც ორი ენა ჰქონდა და ერთი სიტყვის თქმაც არ შეეძლო. 1903 წლის 12 ნოემბერს ჩემი ვარაუდით, ვიღაც უნდა დაბადებულიყო, მაგრამ დაიბადა თუ არა, არ ვიცი. ხოლო 1907 წლის 12 ნოემბერს ბიჭი უნდა დაბადებულიყო, მაგრამ გოგო დაიბადა. 1924 წლის 12 ნოემბერს პირველ სამშობიაროში დაიბადა ბიჭი და რადგანაც მშობლებს მშობიარობის გადასახდელი თანხა არ ჰქონდათ, ბავშვი გაიტაცეს. ამიტომაც მისი ვინაობა უცნობია. 1927 წლის 12 ნოემბერს დაიბადა ალიბაბა და ორმოცი ყაჩაღი. ხომ გაგიგიათ? 1939 წლის 12 ნოემბერს, ჩემი მეცნიერული გამჭრიახობით, უნდა იყოს დაბადებული ავლაბრელი სეროჟა, რომელიც ახლაც უპასპორტოდ ცხოვრობს თბილისში. ჯეჯე.

• თუკი ისე ვერ შეგიყვარე, როგორც შენ გსურდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთელი გულით არ მყვარებიხარ. შოკოლადა.

• ლუნ, ლიმონ, 9717, მაესტრო, სესი, ASHLEY, ლალოლა, გრუზი, მიხარია, რომ გიცნობთ... ძაან საყვარლები ხართ. მარიამულ, როგორ გამიხარდა, „ოდნოში“ რომ გნახეეე?! ძაან მიყვარხართ! სოფი19.

• დღეს მეათასედ წარმოვთქვი, ცხრათვალავ, შენი სახელი, გამოგიგზავნე ამბორნი, რამდენი? თავზე საყრელი! ჩემს სულს სიმშვიდეს ანიჭებ, ვითარცა ხატი ვლაქერნის. გაკოცე. ბერბიჭა.

• არ ვიცი, რა ვთქვა, რა გიამბოთ, რით გაგახაროთ?.. მინდა გიამბოთ სიყვარულის სევდის ამბავი, მე ფოთოლს ვგავავარ, გაყვითლებულ ნეკერჩხლის ფოთოლს, შემოდგომაზე ხეზე შემრჩალ ნატანჯ ხის ფოთოლს. ვდგავარ ზღვის პირას განწირული, თეთრი გედივით, უკანასკნელად რომ ასრულებს გედის სიმღერას, უკანასკნელად მინდა ვიყო ეშმაკის შვილი, სიკვდილის წინ მსურს ხელში მყავდეს დიდი მაესტრო. მინდა, ვიხილო მისი სევდით ნაწერი ლექსი და მერე მოვკვდე, თუნდაც ისე ვერვინ მიხილოს, გთხოვ, წამიყვანე, გეევდრები, მოდი სიკვდილო! სკარლეტი.

• მაშინ, როცა შემოდგომის გულისწამღები დეპრესია მიტევს ხოლმე, იმაზე კარგი დასანახი და აღმოსაჩენი სხვა რა უნდა იყოს, თუ არა ის, რომ ორი უმაგრესი ადამიანი, ილინი და აპოლონი თურმე ჩემს მეზობლად არიან... ჰოდა, ამის შემდეგ ჩემი სეზონური უხასიათობა 2 კილომეტრის რადიუსით შორს დგას და ახლოსაც აღარ მეკარება... კიკვიძის ბაღი კიდევ როდის დავლაშქროთ, გიჟებოოო? არა, ჯერ ახლოსაც აღარ გაგეკარებით, თორემ ნაადრევი ნაოჭები არ ამცდება, სად შემიძლია ამდენი სიცილი? მას შემდეგ ტუჩებზე სარჭი მაქვს მოჭერილი იმის შიშით, რომ სიგანეში აღარ წავიდეს. ამას წინათ შემოდგომის სიცივით აკანკალებულები გამოვედით ბაღიდან, სახლებში წავიდეთო და ისე გავრთულვართ საუბარში და სიცილ-ხარხარში, მთელი 2 საათის განმავლობაში შუა ქუჩაში ვიდექით, თან აღმოვაჩინეთ, რომ ჟურნალების ჯიხურთან ვყოფილვართ ატუზულები (ნუ, ინსტინქტი, რაა). ამის შემდეგ აპოლონის წვეტიან იდეაზეც, ბარემ აქვე გავათენოთო და ჟურნალი პირველებმა ვიყიდოთო, არ ვიტყოდით უარს, მაგრამ აღმოვაჩინეთ, რომ „გზის“ გამოსვლამდე მთელი 2 დღე იყო დარჩენილი... ვინაიდან ბომჟობის პერსპექტივა არც ერთს არ გვიხიბლავდა, დაშლა ვამჯობინეთ. ჩეეემი ხალისიანი განწყობის ელექსირები ვინ არიანოოო? SWEET-GIRL.

• გამარჯობა. არ დავიწყებ იმის თქმამტკიცებას, ახალი ვარ თუ ძველი, თქვენს ჟურნალში, მაგრამ მარ, მინდა გითხრა, ერთგული მკითხველი გახლავარ.

• ეეერთი წუთით, რა! რაღაც, ვერ გავიგე თათას ზოგიერთების არდასავსებელი რა სჭირს? ან ილინს ან თუნდაც მანაველს? თქვენ თავში ფეხი ხომ არ გაქვთ, ჰა? და საერთოდაც, რომელიმე გინახავთ, რეალურად? მათ თვალებში დანახული სიხარულის პაააააწაკინტელა ნაპერწკალიც კი ერთად დადუღებულ ზოგიერთი თქვენგანის თავებს

მირჩევნია! თუ მათი გაცნობის ბოდიში და ერთი ადგილი არ გაქვთ, „მუავე იყო ის ყურძენის“ პონტს მაინც ნუ აწვებით! თუ არ გევასებათ, თვალები დახუჭეთ, გასაგებია? აბა, ვენაცვალე არაიდიოტ, არაქულებისდამწერ, არამიმბაძველ, არაბოროტ და არაუგემოვნო მგზავნელებს! გამჭვირვალე ყვავი. P.S. მარ, ფერს ვიცვლიი.

• ცა მწუხარე დედის თვალებს მოჰგავს,/ წვიმის წვეთებს აღარა აქვთ ბოლო.../ ხე დგას, როგორც გადაშლილი ქოლგა,/ ქვეშ მე ვდგავარ, ერთადერთი, მხოლოდ.../ ვდგავარ ხელებჩახვეული, მარტოდ,/ არ მშორდება ოცნებები წმინდა,/ ყველა წვიმის გადაღებას ნატრობს,/ მე კი მისი მომატება მინდა.../ SWEET-GIRL.

• ლიმონ, გმადლობ, ასეთი საპასუხისმგებლო და ჩემთვის მეტად სასიამოვნო მოვალეობის დაკისრებისთვის. თან პროფესიაც მიწყობს ხელს... შენ თუ არ იქნები რედაქტორი, ვინცაა, იქნებ იმან იფიქროს ამ საკითხზე, ჰაა? რას იტყვის ნეტავ, ბატონი ზურაბიიიი? ამ ბოლო დროს რა თავმდაბალი ვარ, ნუუუ... ჰო, კარგი, კარგი, მაცალეთ ოცნება... SWEET-GIRL.

• ااااბა, ვინ აღმომაჩინა და რომელ ჩათშიო? ასეთი აღფრთოვანების გამოხატვისთვის უუუღრმესი მადლობა, ჩემო კარგო... ნიკი რომ მიგეწერა, უფრო გამახარებდი. SWEET-GIRL.

• ნამდვილი მამაკაცი ჭკუას მარიგებს, საქმე ნახეო და თან იქვე დასძენს, ჩემი ნომერი გამოართვი გოგოებსო... ე.ი. შენი ნომრის პოვნას საქმეს ეძახიიი? ძაან კი დამასაქმე, აییი?! შენთან საკამათო არაფერი მაქვს, მგონი გითხარი, ცუდად არ მიიღო ჩემი ნათქვამი-მეთქი და გულზე რატომ მოგხვდა, ვერ ვხვდები. კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაოოო... დავასება-არდავასებას რაც შეეხება, მაგის მეტი დარდი არ ჰქონდეს SWEET-სოოო... SWEET-GIRL.

• მარიამულ, სულზე ტკბილო, ახლა შინ მარტო ვარ და ძველი „გზები“ წავიკითხე. გახსოვს, სიხარულო, ერთხელ „ყველაზე ხალისიანი დღე“ იყო თემა. რატომღაც მომინდა, კიდევ განმეორდეს ეგ თემა „გზაში“. იცი მარ, რაც დრო გადის, უფრო მეტად მიყვარდები, ჩემო სამართლიანო ადამიანო. მე შენ მიყვარხარ! გკოცნი, შენი ლუნა.

• მარ, „გზავნილებს“ შესავლის გარეშე არასდროს ვკითხულობ, რადგან ძალიან კარგად წერ. ვისაც შენ არ უყვარხარ, ის ან ეგოისტია, ან სიყვარული საერთოდ არ შეუძლია. შოკოლადა.

• ბედნიერებაა, როცა ადამიანებს ერთმანეთის ტკივილის გაზიარების უნარი შესწევთ. ჭრიჭინას და ენიგმას გადაწყვეტილებას ვეთანხმები, ფონდის შესახებ. მართალია, იშვიათია, დალხინებული ცხოვრება დღეს, მით უმეტეს — რეგიონებში, მაგრამ მაინც, ყველა — ერთისათვის, ამ მოწოდებით გაერთიანებული მგზავნელები, ნამდვილად შევძლებთ, სასიკეთო წვლილი შევიტანოთ იმ ადამიანის დასახმარებლად, ჭრიჭინამ რომ ახსენა. ჩემო კარგებო, ჩემო საყვარლებო, ჩემო ტკბილებო, გავუთბოთ ერთმანეთს გულები, რათა სიკეთის ქმნისკენ მოწოდება არ დარჩეს ხმად მღაღადებლისად, უდაბნოსა შინა. მემე.

• ნინი შერმადინო, შენ გენაცვალე, ქართველთა საამაყო შვილო. შენ გენაცვალოს საბერძნეთის ნახევარი. სიცოცხლე შვილი ხარ. უფალი გფარავდეთ შენ და შენს ოჯახს. თამრო, ათენი.

• ეჰ, მარი, მარი, რამდენი ხანია, შენთვის არ მომიწერია. 2 შვილის დედა, თავის მოსაფხანადაც ველარ ვიცლი. არადა, როგორ მიყვარს „გზა“ და „გზავნილები“... ამ მესიჯს მეტროში ვწერ, გადარბენაზე ვარ, ბაღი, ძიძა, უნივერსიტეტი, მერე ძიძა, ბაღი, სახლი. ახლა გვერდით სომხები სხედან, ყური გახვრიტეს ლაქლაქით. ღმერთო, შენ მიშველეეე! ჭორიკანა ასინეთა.

• გამარჯობა. მიმიღეთ რა, თქვენს დიდ და საყვარელ ოჯახში. სტაჟიანი მკითხველი ვარ და სტაჟიანი მგზავნელიც მინდა, გავხდე. გეხუტუნეთ ყველას. მარ, დამიბეჭდე რა,

• ხიდან ჩამოვვარდი და ვინმემ მიპოვოს, რაა... თქვენთან მოვფრიალდი. ფოთოლი18.

• გამარჯობა მარ, ახლა წავიკითხე ძაღლი ნონას ამბავი და ძალიან მომეწონა. მეც მყავდა საყვარელი ძაღლი, ჩემი ბაზღუნია (ასე ვეძახდი). რა ცხოველი არ გვყოლია სახლში, ლეკვით და ფისოთი დაწყებული, კურდღლითა და მაიმუნით დამთავრებული, მაგრამ ბაზღუსავით არც ერთი არ მყვარებია. ლეკვი იყო, რომ მოიყვანეს. იცი, როგორ ვუყვარდი, მარ? ჩემს გარეშე საჭმელსაც არ ჭამდა ხოლმე. რომ ვმეცადინეობდი, ფეხებთან ჩამიცუცქდებოდა და მიყურებდა, უნივერსიტეტში მაცილებდა. მერე მომიწამლა ვიღაცამ. ახლა ზღარბი და კუ მინდა ძალიან, მაგრამ თავს იგიჟებს დედაჩემი. აუ, მაჩუქეთ რა, ვინმემ კუ ან ზღარბი... შოკოლადა.

• ყველაზე მეოცნებე მხატვრის თვალებია, ყველაზე ღვთიური — ბერის. ყველაზე უმანკო ჩვილის, ყველაზე თბილი კი — დედის. ყველაზე საბრალო მათხოვრის თვალებია, ყველაზე წმინდა კი ხატის, ყველაზე შეშლილი პოეტის თვალებია, ყველაზე მაცდური — ქალის. ყველაზე ერთგული მგზავნელთა თვალებია, ყველაზე გამგები — მარის... ენდი.

• 9717-ს: მეგობარო, როგორც ვატყობ, დამწვარი ხარ სიყვარულში. ახლა მინდა, შენთან ვიყო, გიხუტებდე დიდხანს გულში. დამიჯერე, რასაც ვამბობ და მიიღე რჩევაც, ძმურში. მწვანე თვალება და სიყვარულს მონატრებული ქალი. ძალიან მინდა შენთან ვიმეგობრო და რას იტყვი? ნინი16.

• მაარ, ჩემო კარგო ადამიანო, მითხარი, მე, როგორც რიგითმა მკითხველმა, რა დაგიშავე? არა, მართლა გეკითხები, ნუ გაოცდი. ამდენი წელია ვკითხულობ „გზას“ და მაგის გარეშე არ შემიძლია, შენ კი ამდენი ცხოვრებისგან დაბოღმილი ადამიანების უაზრო კინკლაობას მაკითხებ? შენ მაინც შეგვიცოდე, თორემ ისედაც ქვეყანაშია ფერები მუქი. ან დაბლოკე აგრესიული მესიჯები, ან ჯარიმა დააწესე, თორემ გავენთე ადიდებული ალაზნისკენ. მატიტელა.

• 9717, გაიხარე, ხანდახან რა კარგი ჩანახატებით გვანებივრებ. ერთხელ ვნახე და მის მერე სულ მათ ვეძებ და აი, ვიპოვე კიდეც. გაიხარე. მატიტელა.

• მაარ, ეკო ბოი მოსხლიტე „გზიდან“, თორემ შემომეცუდსიტყვება. ენიგმას მადლობა, მისი კულტურულად გალანძღვისთვის. აქ მისი ადგილი არაა. მატიტელა.

• ნამდვილ სიყვარულს გვერდს ვერ აუვლი, ასეთი არის ბუნების წესი, იქნებ როგორმე შენც მომისმინო, უეცრად მიხვდე, რას ნიშნავ ჩემთვის (მაარ, იმედია დამიბეჭდავ). ძალიან, ძალიან მიყვარხარ და გაფასებ. 9717, გამეცნობი? მეც ვწერ ლექსებს და მინდა, შენთან ვიმეგობრო. ნინი16, ქუთაისი.

• ჩემი ცხოვრება შენ ერთს მოგიძღვენ, შენ კი წახვედი და მიმატოვე... ოჰ, რა ძნელია გადაგიყვარო, ოჰ, რა ძნელია, ეს სიმარტოვე. ისე, მარ, ერთი მგზავნელის აზრი ძალიან მომეწონა იმის თაობაზე, რომ ვინც ლექსებს ვწერთ, ერთი გვერდი ჩვენთვისაც გაიმეტოთ. მარ, ძალიან გთხოვ, აგვისრულე, რაა. ნინი16.

• ასე მგონია, თითქოს არ გიცნობ, სულ სხვა ხარ, სულ სხვა, ასე მგონია, თუმცა საქებარს ყოველთვის ვისმენ, მე ბევრი ცუდიც გამიგონია. ვერ გავარკვიე, ეშმა ხარ გულის, თუ მოფარფატი ზღვაზე თოლია, ნუ მიენდობი, ცივი გული აქვს, რა ვქნა, რომ შენზე გამიგონია. მენატრები. ნინი16.

• არც ისე ცუდო გოგო, მაგარი საძაგელი ვიღაც ხარ, გეტყობა. ქალი კი არა, ქაჯი ხარ. ქართველ ქალს პატიოსნება და თავმდაბლობა უნდა შეგეძლოს. ბრავო, მეტი რა მეთქმის. 9717 კიდევ ბევრს გითმენს, თორემ შენისთანა გოგო გინებაზე მეტის ღირსია. ქართველი ქალის სახელს მაინც ნუ არცხვენ. ნინი16.

• ენიგმა, სიხარულო, მართლა ძალიან მესიმპათიური, მაგრამ შენზე მოტრფიალე გოგონებივით ჟურნალიდან ხომ არ დაგიწყებ შებმას? წინაალმდეგ შემთხვევაში, მათ დავემსგავსები, მე კი ეს არ მინდა... მისტერიკო, ნერვები დაიწყნარე, თორემ ფსიქიატრიულში ადგილს დაგიჯავშნი. მსაჯული.

• საღამო მშვიდობისა, ჩემო კარგო მარი. ახლა წავიკითხე „ნაზი, ნონა და პოლკოვნიკი“ და ძალიან კარგ განწყობილებაზე დამაყენა. ძვირფასო მარი, ძალიან მიყვარხარ და გაფასებ. მიკვირს, რომ ასე კარგად შეგიძლია წერო სხვადასხვა თემაზე. გაიხარე, მარი. გაკოცე. გერასიმე.

• ვამაყობ და მიხარია ნინი შერმადინის წარმატება. ბერძნებს დღითი დღე ვუმტკიცებთ, რა მაგრები ვართ. ნინი.

• ჩემს სიხარულს, სევდიან ქალს მინდა ვუთხრა, რომ ბედნიერი ვარ, მისი არსებობით. ძალიან ვაფასებ და მიყვარს. ოლეგარიო, მადლობა იმ თბილი სიტყვებისა და ლექსებისთვის, დილაობით ჩემთვის რომ ხარჯავ, მაგრამ არ გეგონოს, გაპატიე, დაბადების დღე რომ გამომაპარე... ბელო.

• მაარ, იცი, ერთ სიმართლეს გეტყვი.

ჭალი შეიძლება იყოს
საჭვე ან ცარიელი

სანამ „გზაში“ დამესიჯებას გადავწყვეტდი, სხვების შენი მისამართით გამოგზავნილ სითბოთი და პატივისცემით გაჟღენთილ მესიჯებზე მართლა გულიანად მეცინებოდა და იცი, რატომ? ვფიქრობდი და მეგონა, რომ ამ გზით შენი ყურადღების მიპყრობას ცდილობდნენ, გეპადხალიმებოდნენ, მაგრამ მივხვდი, რომ სულ ტყუილად ვფიქრობდი ასე, რადგან მართლაც დასაფასებელი და კარგი ადამიანი ხარ, რომელიც შესაბამის მოპყრობას იმსახურებს და ყოველთვის დაიმსახურებს. მისტერ.

• სიხარულით კი არ დავაბიჯებ, დავფრინავ საბერძნეთის მიწაზე, მარიკუნა. იცი, რატომ? ნინი შერმადინმა გაგვაოცა. გაიმარჯვოს! აი, ტალანტი! ვიამაყოთ, გავამხნევოთ. უფალმა დაიფაროს. ეკა.

• ლოლა-ლალუ, არა, ხამთაძე მამუკა არ არის. მე რომელ მამუკასაც ვგულისხმობ, ჭორიკანა ნამდვილად არ არის, მოღალატე კი ეთქმის, მაგრამ ამ ეტაპზე მაინც კარგად ვარ. ვნახოთ, ძალით ბედნიერება არავის შერჩება. ლმ.

• აუ, სასწაული მოხდებოდეს და მამუკას ერთი გოლი არ წააგებინებდეს?! აუ, მართლა, ხომ გამდიდრდა?! ნეტავ სასწაულის თუ გჯერა? კაი, რა... ლ.მ.

• ეჰ, მთელი კვირა გულის ფანცქალით ველოდი ხუთშაბათის მოსვლას. როგორც იქნა, ხუთშაბათიც გათენდა. ძლივს ავდექი საწოლიდან. არ მეგონა, გზაზე თუ სადმე არ გადავვარდებოდი, ისე ცუდად ვიყავი. ბოლო გადანახული ლარით ვიყიდე „გზა“, მთელი ჟურნალი ათჯერ გადავიკითხე, მაგრამ ვერსად აღმოვაჩინე ჩემი მესიჯი. ეჰ, კაცი უბედურ ბედზე რომ დაიბადება... ICE-LADY.

• გაზაფხული სიყვარულის სიმბოლოა, მარტში უკვე ყველაფერი გაცოცხლდება, სიყვარული გაიელვებს ბუნებაში, სიყვარული დაამარცხებს ბოროტებას. გაზაფხული სიცოცხლის სიმბოლოა, მაისში ხომ ბევრი ვარდი ერთად ჰყვავის, მაგრამ მაინც მე აპრილი მირჩევნია, მოგონება, სიყვარული და სიზმარი. გაზაფხული ხომ სიცოცხლის სიმბოლოა, აპრილი კი სინაზის და სევდის თვეა, მაინც სევდას, მაინც აპრილს ვინატრებდი, ჩემი ცხოვრება აპრილის დღეებია... დავთვერი მარ, სულ, სულ ცოტა დავთვერი. მაპატიე მარ... მარ, სულელი ანგელოზი გინახავს? მე მინახავს, შენც გინახავს, შენ ძალიან გიყვარს მარ, მეც, მეც მიყვარს, ძალიან, ძალიან მიყვარს მარ, ჩემი შტერუკა ბაია. 9717.

• მარ, რა კარგია, ჩართული რომ გაქვს ტელეფონი. მარ, მაპატიე რა, მარ, შენთან მომივიდა მეტი, მარტო შენთან... ხომ მაპატიებ მარ? სვანური არ ვიცი, მარ, მი სი მალატ... მაპატიე, რა, 9717.

• მარი, მოკლედ, დაგტანჯეს ჩხუბით. უინტერესოა „მობილი-ზაცია“, ზიზღის მეტს ვერაფერს იგრძნობ. არ ვიცი, გასაღებმა რა დააშავა, მაგრამ თეთრი ყვავიც იგივეს აკეთებს ახლა. მომენატრა ენიგმას გზავნილები, მაგრამ ლუნას გზავნილებით ვტკბები. ეკო ბოის აკლია მარ და მართლა არ ღირს სანერვიულოდ. ნიკას ლამაზმანი.

• მარ, შენ გაიხარე მართლაც. მე რაც ვირბინე დღეს მარნეულში „გზის“ საძებნელაად?! გადაირია ბებიაჩემი, ასეთი რა წერია, რომ გადაირიეო. ეტყობა ვგრძნობდი, ჩემს მესიჯს რომ ვნახავდი. უნდა წავაკითხო ერთი მაგასაც, გადაირევა ჩემსავით. :) ჰო, კიდო მაგ ეკო ბოის ყველა რომ ლანძღავს, გავუგოთ რაა, ადამიანურად. იქნებ მძიმე პერიოდი აქვს ცხოვრებაში და ასე ცდილობს რაღაცას. მაგრად მიყვარხართ.

• ნამდვილო მამაკაცო, მოდი, ერთ რამეს გეტყვი და როგორც ვიტყვი, ისე მიიღე, კარგი? SWEET-ს და არა მარტო მას, შენი დასაწუნი ნამდვილად არაფერი სჭირს! შენ არც ერთი გინახავს რეალურად და არ გაქვს უფლება, მათ გარეგნობაზე რაიმე თქვა, თუნდაც კარგი! ასე რომ, სანამ ვინმეზე რაიმეს იტყვი, ჯერ გაიკითხე, ვინ და როგორები არიან! თეთრი ყვავი.

• ბერბიჭავ, მე მაპატიე, კარგო ადამიანო, აქამდე პასუხი რომ ვერ მოგწერე. გმადლობ, თბილი სიტყვებისთვის. მართლაც იყო დრო, როდესაც სხვა მგზავნელებთან ერთად „გზავნილების“ ღერძად მთვლიდნენ. ჩემი ამბებით უამრავ ადამიანს ვუხალისებდი ცხოვრებას და მათი სიხარული მახარებდა. თუმცა, დრო იცვლება... დღეს სხვების ნაწერები მიხალისებენ ცხოვრებას. ეჰ, ძამიკო, ის ხელის კანკალი მომენატრა, ჟურნალის პირველი გადაფურცვლისას რომ მიპყრობდა... ბაო, ნელკა, პარიჟ, ლოლო, სტიქია, ჩუქჩა, ლანკა, მონასტრის ბიჭი, ელისო, პენსიონერი (ბევრი გამომრჩა და მაპატიეთ), ეს ის ადამიანები არიან, რომელნიც ერთმანეთს ცხოვრებას უმსუბუქებდნენ. ახლა ვერც იმას გაიგებ, რას წერენ, ვერც იმას, იტირო თუ იცინო. ალბათ ტირიფსაც იგივე აწუხებს, რაც მე, ოღონდ მე უფრო ნათლად ვხედავ ყველაფერს... თეთრი ყვავი.

• გრუზინკა, არა მგონია, მოწმედ ვივარგო! მით უმეტეს, რომ ბოდიშის მოხდასა და გულწრფელ სინანულს პოზების დაჭერა და დამსწრეები სულაც არ სჭირდება. თუ მაინცდამაინც ვერ იხსენებ მათ, ვისაც ცილი დასწამე, შემიძლია, ჟურნალის მეშვეობით შეგახსენო. ხოლო თუ შენი ამ მესიჯის თვითმიზანი ჩემი ვინაობის დადგენაა, გეტყვი, რომ შენი ნომრის გასაგებად მარის შეწუხება არ დამჭირდება, საკმარისზე მეტი გვყავს საერთო ნაცნობები! მოკლედ, მე ჩემი ვთქვი და აწი შენ იცი, შეიძლება ჩემი პოზიციაც არამკითხე მოამბესია, მაგრამ ჩემი საყვარელი ადამიანების შენგან ლანძღვა უკვე აუტანელი იყო. თან ლანძღვაც არის და ლანძღვაც! მათი დანაშაული მხოლოდ ისაა, რომ თვალში არ მოგდიან! თეთრი ყვავი.

• ბისკვიტებოოო....10-ში საღამოს ბათუმში მოვდივარ და ააბა თქვენ იციიით.... გამაგრდით და ჩემი პწკენის ასატანად მოემზადეეეთ..... ერთი სული მაქვს როდის გნახავთ, ჩეეემი ბოთუკებიიიი.... SWEET GIRL.

• იღბლიანი შემთხვევებით ჩემი ცხოვრება არც ისე გამორჩეული და დახუნძლულია, რომ ვინმეს გაუკვირდეს ან შეშურდეს, მაგრამ ამის გამო თითქმის არასოდეს მიწუწუნია, რადგან ჩემს ცხოვრებაში მომხდარი 1 სასიამოვნო ფაქტიც კი იმხელა სიამოვნებასა და სიხარულს მგვრის ხოლმე, რომ სხვის 10-ს მირჩევნია. ასეთ შემთხვევად, უფრო კი ჩემი ცხოვრების უდიდეს მოვლენად წლევანდელ ზაფხულსა და მარისთან და მგზავნელებთან შეხვედრას დავასახელებ... იმ წამების, წუთებისა და ადგილების გახსენებისას, ვხვდები, რომ ეს ცხოვრება სწორედ ასეთი მოულოდნელობებითაა ლამაზი. მთელი ზაფხულის განმავლობაში ხომ სიზმარში მეგონა თავი. ახლაც მაჟრჟოლებს სიამოვნებისგან, როცა იმ დღეს და მწვანე კონცხის პლაჟზე გატარებულ საღამოს ვიხსენებ... უკვე კარგად შექეიფიანებულზე... ზღვის კენჭებზე წამოვწექი და ვარსკვლავიან ცას დავუწყე ყურება... აბრიალებულ კოცონზე მოშიშხინე ხამანწკებისა და სიმინდის სუნი კი ასმაგად ეგზოტიკურ და საამო ელფერს ჰმატებდა იქაურობას... კოცონთან მიმსხდარ მარისა და მგზავნელებს ვაკვირდებოდი, მზერა ერთი სახიდან მეორეზე გადამქონდა და ვხედავდი, როგორ ირეკლებოდა ცეცხლის ალი მათ თვალებში... მართალია, ადამიანის სხეულის გაუმჭვირვალობის გამო მათ გულებს თვალით ვერ ვხედავდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ იქაც ისეთივე, არა, ასჯერ და ათასჯერ უფრო ძლიერი, ერთმანეთის სიყვარულით ანთებული კოცონი ენთო... კიდევ კარგი, უკვე კარგა ხნის შელამებული იყო, თორემ უსაზღვრო ბედნიერებისგან ისეთი უაზრო ღიმილი მეფინა სახეზე, ჩემი შემყურე ადამიანი უთუოდ გიჟად ჩამთვლიდა... „არ უნდა დაელია, უკვე დათვრა“, ჩემი მისამართით ისროლა რეპლიკა სუპერსთარმა... ჰმ! რა იცოდნენ, რომ ალკოჰოლით კი არა, მათი სიყვარულით ვიყავი მთვრალი. ვუყურებდი ვარსკვლავიან ცას და მჯეროდა, რომ სასწაულები არსებობს და ღირს ლოდინი მისთვის... ესეც ჩემი იღბლიანი, წარმოუდგენელი და მოულოდნელობით აღსავსე შემთხვევა... ყველას გისურვებთ, რომ ასეთი რამ გამოგეცადოთ, რაც მე და მგზავნელებმა 2009 წლის 5 სექტემბრის საღამოს (ალბათ ახლა ზოგიერთი „კეთილისმყოფელი“ და შურიანი არსება გაიფიქრებს, რა გაგვიწუხეთ გული თქვენი ზაფხულითო, მაგრამ... მომიტევეთ, ამ გზავნილის წაკითხვის შემდეგ 1 ღერი ჭაღარა თუ გამოგერევათ). მიყვარხართ მგზავნელებო, ეს ხომ უკვე იცით? ییییت! SWEET-GIRL.

მიყვარხარ

• ახლა ღამეა, ნაზი და ჩუმი, მინდა გაჩუქო მე ჩემი გული, განა იმიტომ, რომ აღარ ფეთქავს? დღეს ეს პატარა სიყვარულს ბედავს. ბექა ლომიძეს. თემურიჩი.

• თაზო, ჩემო ცხოვრებავ, ყოველ წუთს ვევედრები ღმერთს, რომ მალე იყო ჩვენ გვერდით. უშენოდ არაფერს არ აქვს ხალისი. თითქოს ცხოვრება გაჩერდა. გკოცნი ბევრს. სუსუ-მარინა.

• თაზო, თემოს ძალიან ენატრები, სულ გკითხულობს, მალე მოვაო. ვაკეზე ვიყავით, ბებო გავამხნევეთ. იმედია, წაიკითხავ. ძალიან გვიყვარხარ. სულ შენზე ვფიქრობთ. სუსუ-მარინა.

• თაზო, ჩემო გიჟუნავ, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. ყველაფერი მოგვარდება და ისევ ერთად ვიქნებით. თემო ყოველდღე შენს ხსენებაშია. ძალიან გვიყვარხარ. სუსუ-მარინა.

• მარი, გამარჯობა. გეგუთში ჩემი ძმა ძალიან მენატრება და ჩემი ქმარი სიგიჟემდე მიყვარს. დემნა და სპარტაკ, მიყვარხართ. ნინო.

• სალო და ლევანიკო, მაგრად მენატრებით და ძალიან მაგრად მიყვარხართ. გეხუტეთ გულში. ჩემი ცხოვრების აზრი ხართ. გკოცნით, თქვენი დედა, ლიკა.

• კულაშის სასტავს, ანათი და ნატოთი, მინდა ვუთხრა, რომ მაგრად მიყვარხართ. კი იცით და ყველაფერი.

სანამ „გზაში“ დამესიჯებას გადავწყვეტდი, სხვების შენი მისამართით გამოგზავნილ სითბოთი და პატივისცემით გაჟღენთილ მესიჯებზე მართლა გულიანად მეცინებოდა და იცი, რატომ? ვფიქრობდი და მეგონა, რომ ამ გზით შენი ყურადღების მიპყრობას ცდილობდნენ, გეპადხალიმებოდნენ, მაგრამ მივხვდი, რომ სულ ტყუილად ვფიქრობდი ასე, რადგან მართლაც დასაფასებელი და კარგი ადამიანი ხარ, რომელიც შესაბამის მოპყრობას იმსახურებს და ყოველთვის დაიმსახურებს. მისტერ.

• სიხარულით კი არ დავაბიჯებ, დავფრინავ საბერძნეთის მიწაზე, მარიკუნა. იცი, რატომ? ნინი შერმადინმა გაგვაოცა. გაიმარჯვოს! აი, ტალანტი! ვიამაყოთ, გავამხნევოთ. უფალმა დაიფაროს. ეკა.

• ლოლა-ლალუ, არა, ხამთაძე მამუკა არ არის. მე რომელ მამუკასაც ვგულისხმობ, ჭორიკანა ნამდვილად არ არის, მოღალატე კი ეთქმის, მაგრამ ამ ეტაპზე მაინც კარგად ვარ. ვნახოთ, ძალით ბედნიერება არავის შერჩება. ლმ.

• აუ, სასწაული მოხდებოდეს და მამუკას ერთი გოლი არ წააგებინებდეს?! აუ, მართლა, ხომ გამდიდრდა?! ნეტავ სასწაულის თუ გჯერა? კაი, რა... ლ.მ.

• ეჰ, მთელი კვირა გულის ფანცქალით ველოდი ხუთშაბათის მოსვლას. როგორც იქნა, ხუთშაბათიც გათენდა. ძლივს ავდექი საწოლიდან. არ მეგონა, გზაზე თუ სადმე არ გადავვარდებოდი, ისე ცუდად ვიყავი. ბოლო გადანახული ლარით ვიყიდე „გზა“, მთელი ჟურნალი ათჯერ გადავიკითხე, მაგრამ ვერსად აღმოვაჩინე ჩემი მესიჯი. ეჰ, კაცი უბედურ ბედზე რომ დაიბადება... ICE-LADY.

• გაზაფხული სიყვარულის სიმბოლოა, მარტში უკვე ყველაფერი გაცოცხლდება, სიყვარული გაიელვებს ბუნებაში, სიყვარული დაამარცხებს ბოროტებას. გაზაფხული სიცოცხლის სიმბოლოა, მაისში ხომ ბევრი ვარდი ერთად ჰყვავის, მაგრამ მაინც მე აპრილი მირჩევნია, მოგონება, სიყვარული და სიზმარი. გაზაფხული ხომ სიცოცხლის სიმბოლოა, აპრილი კი სინაზის და სევდის თვეა, მაინც სევდას, მაინც აპრილს ვინატრებდი, ჩემი ცხოვრება აპრილის დღეებია... დავთვერი მარ, სულ, სულ ცოტა დავთვერი. მაპატიე მარ... მარ, სულელი ანგელოზი გინახავს? მე მინახავს, შენც გინახავს, შენ ძალიან გიყვარს მარ, მეც, მეც მიყვარს, ძალიან, ძალიან მიყვარს მარ, ჩემი შტერუკა ბაია. 9717.

• მარ, რა კარგია, ჩართული რომ გაქვს ტელეფონი. მარ, მაპატიე რა, მარ, შენთან მომივიდა მეტი, მარტო შენთან... ხომ მაპატიებ მარ? სვანური არ ვიცი, მარ, მი სი მალატ... მაპატიე, რა, 9717.

• მარი, მოკლედ, დაგტანჯეს ჩხუბით. უინტერესოა „მობილი-ზაცია“, ზიზღის მეტს ვერაფერს იგრძნობ. არ ვიცი, გასაღებმა რა დააშავა, მაგრამ თეთრი ყვავიც იგივეს აკეთებს ახლა. მომენატრა ენიგმას გზავნილები, მაგრამ ლუნას გზავნილებით ვტკბები. ეკო ბოის აკლია მარ და მართლა არ ღირს სანერვიულოდ. ნიკას ლამაზმანი.

• მარ, შენ გაიხარე მართლაც. მე რაც ვირბინე დღეს მარნეულში „გზის“ საძებნელაად?! გადაირია ბებიაჩემი, ასეთი რა წერია, რომ გადაირიეო. ეტყობა ვგრძნობდი, ჩემს მესიჯს რომ ვნახავდი. უნდა წავაკითხო ერთი მაგასაც, გადაირევა ჩემსავით. :) ჰო, კიდო მაგ ეკო ბოის ყველა რომ ლანძღავს, გავუგოთ რაა, ადამიანურად. იქნებ მძიმე პერიოდი აქვს ცხოვრებაში და ასე ცდილობს რაღაცას. მაგრად მიყვარხართ.

• ნამდვილო მამაკაცო, მოდი, ერთ რამეს გეტყვი და როგორც ვიტყვი, ისე მიიღე, კარგი? SWEET-ს და არა მარტო მას, შენი დასაწუნი ნამდვილად არაფერი სჭირს! შენ არც ერთი გინახავს რეალურად და არ გაქვს უფლება, მათ გარეგნობაზე რაიმე თქვა, თუნდაც კარგი! ასე რომ, სანამ ვინმეზე რაიმეს იტყვი, ჯერ გაიკითხე, ვინ და როგორები არიან! თეთრი ყვავი.

• ბერბიჭავ, მე მაპატიე, კარგო ადამიანო, აქამდე პასუხი რომ ვერ მოგწერე. გმადლობ, თბილი სიტყვებისთვის. მართლაც იყო დრო, როდესაც სხვა მგზავნელებთან ერთად „გზავნილების“ ღერძად მთვლიდნენ. ჩემი ამბებით უამრავ ადამიანს ვუხალისებდი ცხოვრებას და მათი სიხარული მახარებდა. თუმცა, დრო იცვლება... დღეს სხვების ნაწერები მიხალისებენ ცხოვრებას. ეჰ, ძამიკო, ის ხელის კანკალი მომენატრა, ჟურნალის პირველი გადაფურცვლისას რომ მიპყრობდა... ბაო, ნელკა, პარიჟ, ლოლო, სტიქია, ჩუქჩა, ლანკა, მონასტრის ბიჭი, ელისო, პენსიონერი (ბევრი გამომრჩა და მაპატიეთ), ეს ის ადამიანები არიან, რომელნიც ერთმანეთს ცხოვრებას უმსუბუქებდნენ. ახლა ვერც იმას გაიგებ, რას წერენ, ვერც იმას, იტირო თუ იცინო. ალბათ ტირიფსაც იგივე აწუხებს, რაც მე, ოღონდ მე უფრო ნათლად ვხედავ ყველაფერს... თეთრი ყვავი.

• გრუზინკა, არა მგონია, მოწმედ ვივარგო! მით უმეტეს, რომ ბოდიშის მოხდასა და გულწრფელ სინანულს პოზების დაჭერა და დამსწრეები სულაც არ სჭირდება. თუ მაინცდამაინც ვერ იხსენებ მათ, ვისაც ცილი დასწამე, შემიძლია, ჟურნალის მეშვეობით შეგახსენო. ხოლო თუ შენი ამ მესიჯის თვითმიზანი ჩემი ვინაობის დადგენაა, გეტყვი, რომ შენი ნომრის გასაგებად მარის შეწუხება არ დამჭირდება, საკმარისზე მეტი გვყავს საერთო ნაცნობები! მოკლედ, მე ჩემი ვთქვი და აწი შენ იცი, შეიძლება ჩემი პოზიციაც არამკითხე მოამბესია, მაგრამ ჩემი საყვარელი ადამიანების შენგან ლანძღვა უკვე აუტანელი იყო. თან ლანძღვაც არის და ლანძღვაც! მათი დანაშაული მხოლოდ ისაა, რომ თვალში არ მოგდიან! თეთრი ყვავი.

• ბისკვიტებოოო....10-ში საღამოს ბათუმში მოვდივარ და ააბა თქვენ იციიით.... გამაგრდით და ჩემი პწკენის ასატანად მოემზადეეეთ..... ერთი სული მაქვს როდის გნახავთ, ჩეეემი ბოთუკებიიიი.... SWEET GIRL.

• იღბლიანი შემთხვევებით ჩემი ცხოვრება არც ისე გამორჩეული და დახუნძლულია, რომ ვინმეს გაუკვირდეს ან შეშურდეს, მაგრამ ამის გამო თითქმის არასოდეს მიწუწუნია, რადგან ჩემს ცხოვრებაში მომხდარი 1 სასიამოვნო ფაქტიც კი იმხელა სიამოვნებასა და სიხარულს მგვრის ხოლმე, რომ სხვის 10-ს მირჩევნია. ასეთ შემთხვევად, უფრო კი ჩემი ცხოვრების უდიდეს მოვლენად წლევანდელ ზაფხულსა და მარისთან და მგზავნელებთან შეხვედრას დავასახელებ... იმ წამების, წუთებისა და ადგილების გახსენებისას, ვხვდები, რომ ეს ცხოვრება სწორედ ასეთი მოულოდნელობებითაა ლამაზი. მთელი ზაფხულის განმავლობაში ხომ სიზმარში მეგონა თავი. ახლაც მაჟრჟოლებს სიამოვნებისგან, როცა იმ დღეს და მწვანე კონცხის პლაჟზე გატარებულ საღამოს ვიხსენებ... უკვე კარგად შექეიფიანებულზე... ზღვის კენჭებზე წამოვწექი და ვარსკვლავიან ცას დავუწყე ყურება... აბრიალებულ კოცონზე მოშიშხინე ხამანწკებისა და სიმინდის სუნი კი ასმაგად ეგზოტიკურ და საამო ელფერს ჰმატებდა იქაურობას... კოცონთან მიმსხდარ მარისა და მგზავნელებს ვაკვირდებოდი, მზერა ერთი სახიდან მეორეზე გადამქონდა და ვხედავდი, როგორ ირეკლებოდა ცეცხლის ალი მათ თვალებში... მართალია, ადამიანის სხეულის გაუმჭვირვალობის გამო მათ გულებს თვალით ვერ ვხედავდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ იქაც ისეთივე, არა, ასჯერ და ათასჯერ უფრო ძლიერი, ერთმანეთის სიყვარულით ანთებული კოცონი ენთო... კიდევ კარგი, უკვე კარგა ხნის შელამებული იყო, თორემ უსაზღვრო ბედნიერებისგან ისეთი უაზრო ღიმილი მეფინა სახეზე, ჩემი შემყურე ადამიანი უთუოდ გიჟად ჩამთვლიდა... „არ უნდა დაელია, უკვე დათვრა“, ჩემი მისამართით ისროლა რეპლიკა სუპერსთარმა... ჰმ! რა იცოდნენ, რომ ალკოჰოლით კი არა, მათი სიყვარულით ვიყავი მთვრალი. ვუყურებდი ვარსკვლავიან ცას და მჯეროდა, რომ სასწაულები არსებობს და ღირს ლოდინი მისთვის... ესეც ჩემი იღბლიანი, წარმოუდგენელი და მოულოდნელობით აღსავსე შემთხვევა... ყველას გისურვებთ, რომ ასეთი რამ გამოგეცადოთ, რაც მე და მგზავნელებმა 2009 წლის 5 სექტემბრის საღამოს (ალბათ ახლა ზოგიერთი „კეთილისმყოფელი“ და შურიანი არსება გაიფიქრებს, რა გაგვიწუხეთ გული თქვენი ზაფხულითო, მაგრამ... მომიტევეთ, ამ გზავნილის წაკითხვის შემდეგ 1 ღერი ჭაღარა თუ გამოგერევათ). მიყვარხართ მგზავნელებო, ეს ხომ უკვე იცით? ییییت! SWEET-GIRL.

მიყვარხარ

• ახლა ღამეა, ნაზი და ჩუმი, მინდა გაჩუქო მე ჩემი გული, განა იმიტომ, რომ აღარ ფეთქავს? დღეს ეს პატარა სიყვარულს ბედავს. ბექა ლომიძეს. თემურიჩი.

• თაზო, ჩემო ცხოვრებავ, ყოველ წუთს ვევედრები ღმერთს, რომ მალე იყო ჩვენ გვერდით. უშენოდ არაფერს არ აქვს ხალისი. თითქოს ცხოვრება გაჩერდა. გკოცნი ბევრს. სუსუ-მარინა.

• თაზო, თემოს ძალიან ენატრები, სულ გკითხულობს, მალე მოვაო. ვაკეზე ვიყავით, ბებო გავამხნევეთ. იმედია, წაიკითხავ. ძალიან გვიყვარხარ. სულ შენზე ვფიქრობთ. სუსუ-მარინა.

• თაზო, ჩემო გიჟუნავ, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. ყველაფერი მოგვარდება და ისევ ერთად ვიქნებით. თემო ყოველდღე შენს ხსენებაშია. ძალიან გვიყვარხარ. სუსუ-მარინა.

• მარი, გამარჯობა. გეგუთში ჩემი ძმა ძალიან მენატრება და ჩემი ქმარი სიგიჟემდე მიყვარს. დემნა და სპარტაკ, მიყვარხართ. ნინო.

• სალო და ლევანიკო, მაგრად მენატრებით და ძალიან მაგრად მიყვარხართ. გეხუტეთ გულში. ჩემი ცხოვრების აზრი ხართ. გკოცნით, თქვენი დედა, ლიკა.

• კულაშის სასტავს, ანათი და ნატოთი, მინდა ვუთხრა, რომ მაგრად მიყვარხართ. კი იცით და ყველაფერი.

ზაიმ-აუზი

ბრიტანულ კლუბში სილამაზის დედოფლებმა იჩხუბეს

მანჩესტერის ღამის კლუბში სილამაზის ორმა დედოფალმა იჩხუბა. თვითმხილველთა ჩვენებების თანახმად, „მის ინგლისის“ ტიტულის მფლობელმა რეიჩელ კრისტიმ „მის მანჩესტერს“, სარა ბეევერლი ჯოუსს სილა გააწნა. ქალების ჩხუბის მიზეზი ის გახლდათ, რომ სარამ რეიჩელს მისი ამჟამინდელი მეგობრის — ტელევარსკვლავ დევიდ მაკინტოშის ეროტიკული ხასიათის გზავნილი უჩვენა. თურმე, რამდენიმე ხნით ადრე დევიდი სარასაც ხვდებოდა და ამ უკანასკნელს მისი რამდენიმე შეტყობინება შეუნახავს. სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც კარგად ნავარჯიშევმა 21 წლის კრისტიმ („მის ინგლისი“ შვიდჭიდელია) 24 წლის ჯოუნსს ყბაში გემრიელად მოსდო და ეს უკანასკნელიც იატაკზე გაიშხლართა, ჩხუბის მიზეზი — ტელეშოუ „გლადიატორების“ ვარსკვლავი და სამეფო საზღვაო ფეხოსანი, 22 წლის დევიდ მაკინტოში შემთხვევის ადგილიდან გაქრა. როცა კლუბი „მის ინგლისმაც“ დატოვა, სარა ბეევერლი ჯოუნსმა პოლიციაში დარეკა.

2 ნოემბერს პოლიციის განყოფილებაში გამოცხადებული „მის ინგლისი“ (2009 წლის დეკემბერში მან თავისი ქვეყანა „მის მსოფლიოს“ კონკურსზე უნდა წარადგინოს) სარა ბეევერლი ჯოუნსზე თავდასხმის ბრალდებით დააპატიმრეს. მართალია, მოგვიანებით ის გირაოთი გამოუშვეს, მაგრამ ისიც აუწყეს, რომ მისი საქმის გამოძიება 2010 წლის იანვრამდე გაგრძელდება. ასე რომ, შეძლებს თუ არა „მის ინგლისი“ მომავალ კონკურსში მონაწილეობას, ჯერჯერობით უცნობი რჩება.

რეიჩელ კრისტი სპრინტში ოლიმპიური ჩემპიონის — ლინფორდ კრისტის ძმისშვილია. ის 2009 წელს, დიდი ბრიტანეთის ისტორიაში პირველად, სილამაზის დედოფლის ტიტულის მფლობელი პირველი შავკანიანი ქალი გახდა. „მის მსოფლოს“ კონკურსის გარდა, რომელიც წელს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ჩატარდება, რეიჩელი 2012 წლის ოლიმპიადაზე გამოსვლასაც გეგმავდა. ■

გამობრძმედილი მექალთანის აღსარება

სასიყვარულო საქმეებში გამობრძმედილმა კასპერ უოლშმა უამრავი ქალი შეაცდინა და მიატოვა. თავის მოგონებებში, ქალის დაპყრობის დაუოკებელ სურვილთან ერთად, იგი საკუთარი თავისადმი ზიზღზეც წერს.

„ყოველი ახალი ნაცნობობის დასაწყისში საკუთარ პოზიციებს ზედმიწევნით ზუსტად ვაყალიბებდი. ამა თუ იმ ქალს ვეუბნებოდი: ურთიერთობისთვის მზად არ ვარ, უბრალოდ, ძალიან მომწონხარ და შენთან სექსი მწყურია-მეთქი. საკითხისადმი ასეთი მიდგომა ხშირად ამართლებდა და ამით თავადაც გაოცებული ვიყავი... ყოველ კონკრეტულ ქალთან გატარებული ღამეების რიცხვს ისე ვზღუდავდი, რომ შედეგებისგან დაზღვეული, ვალდებულებებისგან თავისუფალი და ადრენალინით სავსე სექსი მიმეღო. მეორე ღამის შემდეგ შეიძლება, მიჩვევა დაწყებულიყო. თავი რომ ვერ შეგვეკავებინა და ერთად მესამე ღამეც გაგვეტარებინა, უბედურება გარდაუვალი იქნებოდა“, — წერს იგი და იმასაც ირწმუნება, რომ ამ შემთხვევაში, მას ქალის განრისხების გარდაუვალი რისკის წინაშე დადგომა მოუწევდა.

მაგრამ ერთხელაც, ერთ-ერთმა ყოფილმა პარტნიორმა ქალმა კასპერს დაქალების თანდასწრებით დასცინა, რამაც გაქნილ მექალთანეს საკუთარი ცხოვრების გადახედვა აიძულა. მეტიც, ამის შემდეგ უოლში სექსუალური დამოკიდებულებისგან გასათავისუფლებლად მკურნალობის კურსს მანამ გადიოდა, ვიდრე საკუთარ თავში დაქორწინების ძალა არ იპოვა.

„სექსი ცალკე, ბნელი და დესტრუქციული სფერო იყო, რომელიც იმ სამყაროსგან განდგომის საშუალებას მაძლევდა, რომელიც ბავშვობიდანვე საშიში მეგონა, ახლა კი ჩემს ცხოვრებაში სექსი ბუნებრივი, ჯანსაღი და ჭეშმარიტი სიყვარულის გზით შემაქვს“, — წერს უოლში მოგონებების წიგნში — „დამნაშავე“. ■

მიშელ ობამა კულინარიულ კონკურსს ჩაატარებს

აშშ-ის პრეზიდენტის მეუღლე, მიშელ ობამა თეთრ სახლში სატელევიზიო კულინარიული კონკურსის ჩატარებას გეგმავს. შეჯიბრებაში, სახელწოდებით — Iron Chief („რკინის მზარეული“) მონაწილეობას მიიღებს 4 მზარეული, რომელთა შორის თეთრი სახლის ადმინისტრაციის თანამშრომელი, კრისტიტა კომერფორდიც იქნება. მათ მუშაობას შეაფასებს ჟიური, რომლის შემადგენლობაშიც ბრიტანელი მზარეული ნაიჯელა ლოუსონი, მსახიობი ჯეინ სეიმური და ოლიმპიური მედალოსანი ნატალი კაფლინი შევლენ. ამ გადაცემის მსვლელობისას თავად პირველი ლედი ამერიკელებს ჯანსაღი კვების სიკეთეზე მოუთხრობს. პრეზიდენტის მეუღლეს მიაჩნია, რომ ამერიკელებს უფრო ჯანსაღად კვება მართებთ.

2009 წლის მარტში მიშელ ობამამ თეთრი სახლის მახლობლად ბოსტანი გააშენა, ხოლო ივნისში სკოლის მოსწავლეების ჯგუფის დახმარებით, პირველი მოსავალიც აიღო. ამჟამად, პრეზიდენტის ოჯახი „საკუთარ“ ბოსტანში მოყვანილ მწვანილს ყოველდღიურად, ხოლო ლობიოს დღეგამოშვებით მიირთმევს და ამით ამერიკელებს ჯანსაღი კვების მაგალითს პირადად აძლევს.

■

რუბრიკა მოამზადა
რუსუდან ლებანიძემ

თავდაცვის საბრძოლო ხელოვნებას დაუფლებული ქალი და პატარა ნათლულებით დაკომპლექტებული გუნდი

„აიკიდო ინტელექტუალთა სპორტია და ძალას საერთოდ არ საჭიროებს. მთავარია, გათვალო, რას ითხოვს შენგან მოწინააღმდეგე და იგი წონასწორობიდან გამოიყვანო“, — ამბობს ვენიტა ინასარიძე, რომელიც არატრადიციულ იაპონურ სპორტის სახეობას მისდევს. გარეგნულად ნაზი, სიფრიფანა გოგონას თვალებიდან შესაშური სიმტკიცე, თავდაჯერებულობა და შეუპოვრობა გამოსჭვივის.

ნანა ფიცხელაური

მის უჩვეულო არჩევანზე ცოტა მამამ, ცოტაც — ჰოლივუდის ვარსკვლავმა და მსოფლიოში სახელგანთქმულმა აიკიდო-კანმა, სტივენ სიგალმა იქონია გავლენა. მართალია, სიგალი ვენიტას კერპი არ არის, მაგრამ დიდი სურვილი აქვს, მასავით ოსტატურად ბრძოლა შეეძლოს. 19 წლის სპორტსმენი ქალბატონი, რომელიც უკვე დედაცაა, პირველია საქართველოში, ვინც მეორე კიუს მფლობელი გახდა და სჯერა, რომ მომავალშიც დიდ წარმატებებს მიაღწევს.

— ვენიტა მამამ დამარქვა, ბებიის სახელი — ვენერა მქვია. ჰუმანიტარული უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ვსწავლობ. ჩემთვის, როგორც მომავალი სამართალდამცველისთვის, სპორტი აუცილებელიც კია. მაგრამ ახლა, რადგან 5 თვის შვილი დანიელი მყავს, სწავლაც და ვარჯიშიც დროებით გვერდზე გადავდე.

— როდის დაიწყე აიკიდოში — მანდილოსნისთვის, ამ ცოტა არ იყოს, უჩვეულო სპორტის სახეობაში ვარჯიში?

— ბავშვობაში ძალიან სუსტი ვიყავი. მამამ გადაწყვიტა, აიკიდოს ფედერაციაში მივეყვანე, რომლის პრეზიდენტიც მისი მეგობარი ზურაბ გავარდაშვილია. 11 წლიდან ვვარჯიშობ და ვგრძნობ, სულ სხვა ადამიანად ვიქეცი არა მარტო ფიზიკურად, არამედ სულიერადაც. აიკიდოს მთავარი დანიშნულება — ადამიანის სულიერი ჩამოყალიბება და მომზადებაა.

— აიკიდოს რომელ სახეობაში ვარჯიშობ?

— კლასიკურ აიკიდოში, რომელსაც სტივენ სიგალი მისდევს. ჩემი სენსეი (მასწავლებელი) — ზურაბ გავარდაშვილია, რომელიც ახლა ჩემი შვილის ნათლიაცაა. მამაჩემიც ვარჯიშობდა აიკიდოში. მინდა გითხრათ, რომ სპორტის ეს სახეობა ნარკოტიკივითაა: ერთხელ რომ გაუსინჯავ გემოს, თავს ვეღარ ანებებ. მასში დიდი ინტრიგაა ჩადებული — სხვის ძალას მისსავე წინააღმდეგ იყენებ. აიკიდო ინტელექტუალური სპორტია!

— რას ენიჭება უპირატესობა?

— ფიზიკურ მომზადებასა და ძალაზე მეტად, იმას, თუ რამდენად გაწონასწორებული ხარ. აქ მთავარი, წონასწორობიდან მოწინააღმდეგის გამოყვანაა. თუ კარატეში შედეგის მიღწევა ერთ წელიწადშია შესაძლებელი, აიკიდოში საბოლოო, რეალური შედეგის მიღწევას 10 წელი მაინც სჭირდება.

— დღემდე რისი მიღწევა შეძელი?

— მესამე კიუზე არის ხაკამა — სპეციალური იაპონური სამოსი, კაბა-შარვალი, რომელიც 16 წლის ასაკში მივიღე, შემდეგ მეორე კიუ ჩავაბარე. სულ 9 კიუ არსებობს. კიუების შემდეგ იწყება დანები: პირველი დანი არის შავი ქამარი, მაქსიმალურია 9 დანი. ჩემს მასწავლებელს მესამე დანი აქვს.

— ვენტა, რამდენ კილოგრამს იწონი და თუ დაგიმარცხებია შენზე ბევრად მძიმეწონიანი მამაკაცები?

— 50 კილო ვარ, მაგრამ ბრძოლაში წონას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, სისწრაფე და ილეთების შესრულების ხარისხი. აიკიდოში თავდასხმა არ არსებობს, ის უფრო თავდაცვას გულისხმობს; ჩვენ მშვიდობისმყოფლები ვართ. ბევრჯერ შევებრძოლებივარ ჯანიან მამაკაცებს და დამიმარცხებია, ამისთვის ძალა საერთოდ, არ დამჭირვებია. მეტსახელიც შემარქვეს — „სვირეპაია“... მამაჩემსაც შევებრძოლე სამჯერ; ისეთ დღეში ჩავაგდე, მგონი, ჩემთან ბრძოლის სურვილი საბოლოოდ დაეკარგა. ხელიც ვატკინე და გაწბილებულმა, ტატამი დატოვა. წარმატების საიდუმლო სიზუსტეშია, ბოლომდე შევიგრძნობ ხოლმე, რას მთხოვს მოწინააღმდეგე. სპორტის ამ სახეობას სრულყოფისაკენ მიჰყავხარ, შენს უპირატესობას გაგრძნობინებს, თავდაჯერებული ხდები, რაც არ გაძლევს იმის საშუალებას, ბოროტად გამოიყენო ძალა, თორემ თავისთავად, ნებისმიერი ილეთი ბოლომდე რომ მიიყვანო, მოწინააღმდეგეს რამე შეიძლება მოსტეხო — ხელი, ფეხი ან თითი მაინც...

— მეგობართა წრეში როგორ აღიქვამენ შენს გატაცებას და ტატამის მიღმა თუ გამოგიყენებია შენი შესაძლებლობები?

— ნორმალურად აღიქვამენ; ბიჭები — ცოტა ირონიით. რამდენჯერმე იძულებული გავმხდარვარ, მათთვის „კლასი“ მეჩვენებინა, ჭკუა მესწავლებინა... ჩვენს კურსზე ახალი ბიჭი გადმოვიდა, რომელიც კარგად არ მიცნობდა. გადამეკიდა, შენი ტელეფონი მომეციო. ბოლოს „დავყაბულდი“, ტელეფონი მივეცი, მაგრამ უცებ ავდექი, მხრებში ჩავაფრინდი ხელებით და აღარც მახსოვს, როგორ, — მოვისროლე... ყველამ სიცილი რომ დაიწყო, მერე მივხვდი — 3 მერხის იქით გადავარდა და ჰაერში ამოტრიალდა. ბიჭმა ყვირილი დაიწყო — ეს რა მიქენიო?! ძალიან დაიბნა. ბიჭები მისცივდნენ დასახმარებლად. მეც დავიბენი: ყველაფერი ინსტინქტურად გამომივიდა... ერთხელ, ზოოპარკშიც დამჭირდა ძალის გამოყენება. მერვე კლასში ვსწავლობდი მაშინ. სკოლიდან „შატალოზე“ წავედით. უცნობი ბიჭები აგვეკიდნენ გოგონებს, გაგვეცანითო; შემდეგ შეურაცხყოფაზე გადავიდნენ. რომ აღარ მოგვეშვნენ, ერთ-ერთ მათგანს ჯერ ფეხი დავუდე და წავაქციე, შემდეგ კი „კონტროლი“ გავუკეთე.

— „კონტროლი“ რას ნიშნავს?

— შეკავებას — რათა მოწინააღმდეგეს ბრძოლის სურვილი დაუკარგო. აიკიდოში რა კიდურზეც „კონტროლს“ უკეთებ, იმას სტეხ. ამ შემთხვევაში, ხელი ვატკინე ისე, რომ მის ღრიალზე ლომებიც კი დაფრთხნენ, მაგრამ რა თქმა უნდა, საქმე ბოლომდე არ მიმიყვანია. საერთოდ, ძალიან მშვიდი ადამიანი ვარ, იშვიათად გამოვდივარ წონასწორობიდან. არც ჩემი შესაძლებლობების აფიშირება მიყვარს... რაც უფრო ძლიერი აიკიდო-კანი ხარ, მით ნაკლებად კარგავ წონასწორობას.

— მომავალი მეუღლე სად გაიცანი და როგორ მიიღო შენი გატაცების ამბავი?

— მეუღლეს ჯერჯერობით არ გამოუცდია ჩემი ძალა (ღმერთმა ნურც გამოაცდევინოს!..). ასე რომ, ირონიულად უყურებს... ვარჯიშებზე კი დადიოდა. სხვათა შორის, ვახოც სპორტსმენია, მოკრივე, მაგრამ ჩემსავით, სპორტში ახლა ტაიმ-აუტი აქვს აღებული: ორივე, ჩვენი პატარის აღზრდამოვლით ვართ დაკავებული. ვახო გაგებით ხვდება ყველა ჩემს გატაცებას და სურვილს, სხვა შემთხვევაში, ჩემი მეუღლე არ იქნებოდა.

— როგორც ვიცი, მსოფლიოში განთქმულ აიკიდო-კანსა და ჰოლივუდის ვარსკვლავთან, სტივენ სიგალთან შეხვედრის შანსიც გქონდა; რამ შეგიშალა ხელი ამაში?

— შარშან აიკიდოს ევროპის კოორდინატორმა ულფ ევენაასმა მე, ჩემი სენსეი და ჩემი მეწყვილე ვაჟი შვედეთში სპეციალურ სემინარზე მიგვიწვია, მაგრამ ვერ წავედით — რატომღაც, საელჩომ ვიზა არ მოგვცა. იმ სემინარზე, გიოტებორგში ყველა დიდი სპორტსმენი ჩადის ხოლმე, მათ შორის — სტივენ სიგალი. ჩვენ პირადი მიწვევა გვქონდა ულფისგან, იგი გაეცნო ჩვენს ვიდეოჩანაწერებს და ჩვენი ბრძოლები მოეწონა. არ ელოდა, რომ საქართველოში აიკიდო ასეთ დონეზე იყო. ეს ჩვენი სენსეის დამსახურებაა. სამწუხაროა, რომ ვერ წავედით, ვინ იცის, სიგალთან შეხვედრის შემდეგ როგორ წარიმართებოდა ჩემი კარიერა?!. თუმცა, ქალისთვის უპირველესი მაინც ბედნიერი ოჯახია, გავთხოვდი და ამაშიც გამიმართლა.

ვენიტა ინასარიძე და ზურაბ გავარდაშვილი

— დანიელს რას უპირებთ, როცა წამოიზრდება — კრივზე მიიყვანთ თუ აიკიდოზე?

— სენსეი ზურამ მას აიკიდოს ფედერაციაში უკვე მიუჩინა ადგილი — გუნდში ჩაწერა; ამბობს, ნათლულთა გუნდი უნდა ჩამოვაყალიბოო: იქ უკვე 5 პატარა ნათლული ჰყავს.

— აიკიდო საქართველოში სპორტის არცთუ ისე მასობრივი სახეობაა. შენი აზრით, როგორი მომავალი ელოდება მას?

— იმედი მაქვს, უფრო პოპულარული გახდება. აიკიდოში არ ტარდება შეჯიბრება, თანაც, ჩვენში ბევრს უცებ

რადგან 5 თვის შვილი დანიელი მყავს, სწავლაც და ვარჯიშიც დროებით გვერდზე გადავდე

უნდა შედეგი — რომ მისი შვილი აუცილებლად ჩემპიონი გახდეს, ყველა ბრძოლა მოიგოს, ვიღაც დაამარცხოს... აიკიდოში მოგება-წაგება არ არის და ამის გამო ბევრი მშობელი უკმაყოფილო რჩება; უთქვამთ, — აბა, რა მოიგო ჩემმა შვილმა, რა ხეირიაო?!. ჩვენთან ტარდება სემინარი, სადაც უჩვენებ ილეთების შესრულების დონესა და ხარისხს, გენიჭება კიუ ანუ გადადიხარ სხვა საფეხურზე, სულიერადაც ვითარდები და მოთმინებას სწავლობ... აიკიდოს პოპულარიზაციას რეკლამა სჭირდება, ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ ეს არ არის ძალადობის საშუალება. მაგალითად, მოსკოვში არსებობს აიკიდოს საუკეთესო სკოლა, რომელსაც ქართველი — ჯონი ბებია ხელმძღვანელობს და როგორც გავიგე, იქ თიკა კანდელაკს დაუწყია ვარჯიში. ჩვენთან შედარებით, იქ საუკეთესო პირობებია. იაპონიაში ყველაზე მეტად, მასწავლებელს — სენსეის სცემენ პატივს, მას ემორჩილებიან და ჩვენც ასე ვიქცევით. ასე რომ, ამ ურთიერთობას აღმზრდელობითი თვალსაზრისითაც, ბევრი დადებითი ფაქტორი ახლავს. აიკიდოს დევიზია — „გაეცი სიყვარული, იყავი ძლიერი და ეძიე გზა“. ■



ვის უყვება ზღაპრებს სოზარ სუბარი

„ალიანსი საქართველოსთვის“ ერთ-ერთ ლიდერს, სოზარ სუბარს ყველაზე მეტად მხატვრული ლიტერატურა იზიდავს და მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, ეგზიუპერის წიგნებს ხელმეორედ ხშირად უბრუნდება. ამბობს, რომ ზღაპრებსაც კითხულობს, თანაც, დიდი სიამოვნებით და როცა საამისოდ დროს გამონახავს, მათ შვილებსაც უყვება. მოსწავლეობის პერიოდში იმდენ კლასგარეშე ლიტერატურას კითხულობდა, რომ სავალდებულო საგნებში სამეცადინოდ დრო აღარ რჩებოდა და ამის გამო ხშირად საყვედურობდნენ. ის მხატვრულ ლიტერატურას ფიზიკის ან მათემატიკის წიგნში მალავდა და ისე „მეცადინეობდა“. ამბობს, რომ წიგნი რამდენჯერმე მოუპარავს, მაგრამ ვისგან ან საიდან, არ აკონკრეტებს. დღეს მისი ბიბლიოთეკის ნაწილით, რომელიც ჭუბერში დარჩა, ადგილობრივი სკოლის ბავშვები სარგებლობენ.

„მის მხარეს იქნება ფული, უკანონობა, მედია...“

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგივრ

— ბატონო სოზარ, „ალიანსი საქართველოსთვის“ წევრები წინასწარ აცხადებთ, რომ არჩევნებში გამარჯვების დიდი შანსი გაქვთ. ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ?

— ჩვენ ვიცით ხალხის განწყობილება და ისიც ვიცით, რას ფიქრობენ დასავლეთში. უცხოელები გაყალბებაზე თვალს აღარ დახუჭავენ, ეს აღარ მოხდება! მათ აქვთ ძალიან მკაცრი პოზიცია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. გახსოვთ, საპრეზიდენტო არჩევნებში თბილისში ოპოზიციამ როგორი შედეგი უჩვენა?

— მაგრამ ოლქებში მაჟორიტარები ვერ გავიდნენ.

— ასე იმიტომ მოხდა, რომ ოპოზიციონერები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

— მერე ეს დაპირისპირება დღესაც ხომ ხდება? ოპოზიციიდან მერობის რამდენიმე კანდიდატი უკვე დასახელდა.

— ხალხის გონიერებაზე ბევრი რამაა დამოკიდებული. დასახელებულ კანდიდატებს შორის მათ ის უნდა აირჩიონ, ვინც მეტ საქმეს გააკეთებს.

— თქვენს მთავარ კონკურენტად ვის მიიჩნევთ?

— ხელისუფლების კანდიდატს. მის მხარეს იქნება ფული, უკანონობა, მედია და უზარმაზარი ადმინისტრაციული რესურსი.

— ეს ფრანგი მწერალი ხელმოკლე ლიტერატორებს ქირაობდა, მათ გარკვეულ სიუჟეტს უყვებოდა და საკუთარი რომანების ცალკეულ თავებს აწერინებდა.

— არ ვიცი, ვის გულისხმობთ, ეს ამბავი პირველად მოვისმინე.

— ალექსანდრე დიუმა (უფროსი). „კანონი“ ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს...

— სწორ ჯოხს.

— რამდენი ხიდია აგებული მტკვარზე?

— ზუსტად არ ვიცი, უნდა დავთვალო. (*მცირე პაუზის შემდეგ*) 11 ხიდია. გამოვიცანი?

— დიახ. რა არის ელდორადო?

— ზღაპრული სიმდიდრით განთქმული, არარსებული ქვეყანა.

— ვინ დაუბეჭდა სტალინს სიყმაწვილეში დაწერილი, საყოველთაოდ ცნობილი ლექსი — „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“?

— არ ვიცი.

— ილია ჭავჭავაძემ. ვინ არის დაკრძალული პარიზის ტრიუმფალური თაღის ქვეშ?

— I მსოფლიო ომში დაღუპული უცნობი ჯარისკაცი.

— გერმანელების მიერ საფრანგეთის ოკუპაციის დროს, პიკასოს ატელიეში გერმანელი ოფიცრები ხშირად მიდიოდნენ. მხატვარი მათ სამახსოვროდ, თავისი ცნობილი სურათის ასლს აძლევდა. ტილოზე ფაშისტების მიერ ესპანეთის ქალაქის — გერნიკას განადგურება იყო ასახული. ერთხელ ატელიეში მისულმა გესტაპოს აგენტმა პიკასოს ჰკითხა: — ეს თქვენი ნამუშევარიაო? რა უპასუხა მას მხატვარმა?

— (*ფიქრობს*) „არა, თქვენი!“

— აშშ-ში 7 მთა, 8 მდინარე, 10 ტბა, 120 დასახლებელი პუნქტი ამ ადამიანის სახელს ატარებს. ვისზეა ლაპარაკი?

— ჯორჯ ვაშინგტონზე.

— დაასახელეთ მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი პარტია.

— კომუნისტური პარტია.

— რომელი ქვეყნის?

— ჩინეთის.

— საქართველოში რომელი პარტიაა ყველაზე მრავალრიცხოვანი?

— ზუსტად არ ვიცი. მახსოვს, ერთხელ ქართულ პოლიტიკურ პარტიებზე წიგნი თუ ბროშურა გამოიცა და როდესაც ყველა პოლიტიკურ პარტიაში გაწევრებულ ადამიანთა რაოდენობა შეკრიბეს, გამოვიდა, რომ ქვეყანაში 15 მილიონი ადამიანი ცხოვრობს (*იცინის*).

— ეს ცნობილი მსახიობი აღიარებს, რომ ახალგაზრდობაში მეტად გაუნათლებელი იყო და ოდისევსის შესახებ პირველად მაშინ გაიგო, როცა მისი როლის შესრულება შესთავაზეს, ხოლო როცა ფილმ „სპარტაკში“ მთავარი როლი მისცეს, იფიქრა, — საფეხბურთო გუნდის ნახევარმცველი უნდა განვასახიერო. ვისზეა ლაპარაკი?

— (*ფიქრობს*) ვერ ვიხსენებ.

— კერკ დუგლასზე. ოფიციალურად ვინ მიიჩნევა კანადის მმართველად?

— ინგლისის დედოფალი.

— მსოფლიო არქიტექტურის ეს შედევრი ქალაქ აგრაში მდებარეობს. იგი მონღოლთა იმპერიის ხელმ-

წიფემ, შაჰ-ჯაჰანმა ააშენა, როგორც საყვარელი მეუღლის — მუმთაზ-მაჰალის აკლდამა. მშენებლობა 1630-1652 წლებში მიმდინარეობდა. მოგვიანებით, იქვე დაიმარხა თავად შაჰ-ჯაჰანი. რომელ შენობაზეა ლაპარაკი?

— ტაჯ-მაჰალის შენობაზე.

— ამ ქვეყანას 2 ოკეანე ესაზღვრება და სახმელეთო საზღვარიც 2 კონტინენტზე გადის. რომელია ეს ქვეყანა? *(ფიქრობს)*... **მიგანიშნებთ, მისი დედაქალაქი ქვეყნის სახელს ატარებს.**

— პანამა.

— „მარტო შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზე რომ ურიგობა ნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე. მეც მოყვარესავით გექცევი, — სარკე მოგიტანე. ამაზედ როგორ უნდა გამიწყრე?!" — ილია ჭავჭავაძის რომელ ნაწარმოებში ვკითხულობთ ამ სიტყვებს?

— „კაცია-ადამიანი?!"

— შაჰ-აბას პირველმა 1614-1617 წლებში საქართველოდან (უმეტესად, კახეთის რეგიონიდან) ტყვედ 100 ათასი ქართველი წაიყვანა. სად მოხდა მათი ჩასახლება?

— ფერეიდანში.

— ალექსანდე დიუმა (უფროსი), ალექსანდრე პუშკინი, ლესია უკრაინკა, ჯორჯ ბაირონი — ჩამოთვლილი მწერლებიდან, რომელი არ ყოფილა საქართველოში?

— ბაირონი.

— „საწერეთლოში ბევრი გამოჩენილი აზნაურიშვილი იყო, მაგრამ ბაქარა ბაქრაძეს კი ვერავინ შეედრება. სწორედ ბაქარა ბაქრაძის შვილი იყო გლახუნა ბაქრაძე", — ვკითხულობთ აკაკის ერთ-ერთ ნაწარმოებში. ვინ იყო გლახუნა ბაქრაძე?

— ბაში-აჩუკი.

— ეს უმამაცესი ქართველი 1709 წელს ავღანეთში, მუხანათურად მოკლეს. სამწუხაროდ, მან სიმამაცე სამშობლოსთვის ვერ გამოიყენა და სხვა ქვეყანას ემსახურა. გამაჰმადიანებულს, გარდაცვალების შემდეგ მკერდზე დაკიდებული ჯვარი უპოვეს. ვინ იყო იგი?

— არ ვიცი.

— მიგანიშნებთ, ის ჯერ ქართლის მეფე იყო, შემდეგ — ირანის სპასალარი და ჯანდაარის პროვინციის მმართველი გახდა.

— *(ფიქრობს)* მაინც ვერ გიპასუხებთ.

— გიორგი XI. სად გაიყვანეს პირველი მეტროპოლიტენი მსოფლიოში?

— 1863 წელს, ლონდონში გაიყვანეს.

— რომელ ოკეანესთან აერთებს ლა-მანშის სრუტე ჩრდილოეთის ზღვას?

— ატლანტის ოკეანესთან.

— საქართველოს რომელ კუთხეშია ბარაკონის ეკლესია?

— რაჭაში.

— რა არის ანაქრონიზმი?

— ქრონოლოგიური შეუსაბამობა.

— რა ერქვა ფარნავაზის სიძეს?

— *(ფიქრობს)* ქუჯი, არა?

— დიახ. კვირის რომელ დღეს იყო საიდუმლო სერობა?

— ხუთშაბათს.

— გელათისა და იყალთოს გარდა, კიდევ სად არსებობდა აკადემია შუა საუკუნეების საქართველოში?

— გრემში.

— რას გიწოდებდათ ძველი რომაელი, თუ მას მარათონზე შეხვდებოდით?

— არ ვიცი.

— კონკურენტს. ჭადრაკს კარგად თამაშობთ?

— ბავშვობაში ხშირად ვთამაშობდი, ახლა — ნაკლებად.

— რამდენი უჯრედია საჭადრაკო დაფაზე?

— 64.

— „ლექსო, ამოგთქომ, ოხერო,/ თორო, იქნება ვკვდებოდე/ და შენ კი ჩემდა სახსოვრად,/ სააქაოსა რჩებოდე", — ვინ არის ამ სტროფის ავტორი?

— მიშა ხელაშვილი. ის 25 წლის იყო, როცა ბოლშევიკებმა დახვრიტეს.

— რომელი წლიდან იმართება ნობელის პრემიით დაჯილდოება?

— არ ვიცი.

— 1901 წლიდან. რომელი კუნძულია ნაპოლეონ ბონაპარტეს სამშობლო?

— კორსიკა.

— რუსეთის რომელმა იმპერატორმა გადაიტანა ტახტი მოსკოვიდან პეტერბურგში?

— პეტრე პირველმა.

— იარაღთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?

— ძალიან ცუდი.

— რამდენი ვაზნა ეტევა „მაკაროვის" სისტემის პისტოლეტის მჭიდში?

— 9 ვაზნა.

— ცდებით.

— 7 ვაზნა.

— ისევ შეცდით, „მაკაროვის" მჭიდში 8 ვაზნა ეტევა. ისტორიულ წყაროებში ეს ციხე პირველად XIII საუკუნეში ხსენება. ის რეგიონის მნიშვნელოვან სტრატეგიულ სიმაგრეს წარმოადგენდა და მისი დაუფლება მთელ შიდა ქართლზე პოლიტიკურ ბატონობას ნიშნავდა. ციხე საუკუნეების მანძილზე არაერთხელ აღდგენილა და გადაკეთებულა. დღევანდელი სახე 1774 წელს მიიღო, როცა მეფე ერეკლე II-მ საფუძვლიანად შეაკეთა. დასახელეთ ეს ციხე.

— გორის ციხე.

— ამ პროდუქციამ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე 8 ოქროს, 3 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი მიიღო. დასახელეთ ქართველი მეწარმე, რომელმაც ასეთ წარმატებას მიაღწია.

— ვფიქრობ, ეს მეწარმე დავით სარაჯიშვილი იყო.

— დიახ. ამ მცენარის სამშობლო ჩინეთია, საქართველოში კი 1833 წელს შემოიტანეს. მისი პლანტაციები პირველად ოზურგეთში გაშენდა. დასახელეთ ეს მცენარე.

— ჩაი.

— ის 5 წლის იყო, როცა მუსიკის წერა დაიწყო, 6 წლისამ კი ევროპა ტრიუმფით შემოიარა. მიუხედავად იმისა, რომ ნაადრევად, 37 წლის ასაკში გარდაიცვალა, 626 მუსიკალურია ნაწარმოების შექმნა (აქედან 17 ოპერაა) მოასწრო. დასახელეთ ეს კომპოზიტორი.

— *(ფიქრობს)*...

— მიგანიშნებთ, ის ავსტრიელი იყო.

— მოცარტი ხომ არა?

— გამოიცანით. დაბოლოს, დაასრულეთ ილია ჭავჭავაძის ცნობილი გამონათქვამი: „ბედი იმისია, ვინც ძლიერია, ძლიერი კი მარტო..."

— ვერ დავასრულებ.

— „...მცოდნე კაცია". ■

ანეკდოტები

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. დაასრულეთ მიხაილ ზადორნოვის სიტყვები: „ქვეყნის ეკონომიკა მისი გზებით იცნობა, ქალის აკურატულობა — სააბაზანო ოთახით, მამაკაცის ღირსება — ხელის ჩამორთმევით, სახელმწიფოს მიერ ადამიანებზე ზრუნვა...“

2. „ეს ერთადერთი უტყუარი დასაყრდენია, რომლის იმედიც შესაძლოა, საღად მოაზროვნე ადამიანს ჰქონდეს“ — რის შესახებ ამბობდა ამას ბაირონი?

3. „ჩვენი წინაპრების შესახებ ნებისმიერი ჟანრის ნაწარმოების დაწერა შეიძლება, გარდა — დეტექტივისა“, — ამბობენ ნორვეგიელები. რატომ?

4. კალიფორნიის შტატმა 1848 წლიდან დაიწყო აღორძინება, როცა იქ ოქროს ციებ-ცხელება დაიწყო. ამ დროიდან მოყოლებული შტატის დევიზი ბერძნული სიტყვა გახდა. დაასახელეთ ეს სიტყვა.

5. რა არის კარგო?

6. რას ნიშნავს უგლიმი?

7. რა არის ავრეხი?

8. დაასახელეთ მარკ ტვენის ნაწარმოები, რომლის რამდენიმე თავში ერთმანეთის მოძულე ორი გვარის — გრენჯერფორდებისა და შეფერდსონების სისხლისმღვრელი შუღლია აღწერილი.

9. რა ეროვნებისაა მამათქვენი? — ჰკითხეს ერთხელ ჟირინოვსკის. რა უპასუხა ამ კითხვის ავტორს ვლადიმირ ვოლფოვიჩმა?

10. ამ მწერლის ნაწარმოებები მის სამშობლოში მართლაც, ოქროდ ფასობდა. საკუთარ ქმნილებებში მას უზარმაზარ ჰონორარს უხდიდნენ — თითოეულ სიტყვაში თითო შილინგს. როდესაც გარდაიცვალა, ბრიტანეთის დროშაგადაფარებულ მის კუბოს სხვებთან ერთად ინგლისის პრემიერ-მინისტრი, სტენლი ბოლდუინი და მომავალი მარშალი, ბერნარდ ლოუ მონტგომერი მიასვენებდნენ. დაასახელეთ იგი.

11. XX საუკუნეში, რუსები წვერის გაპარსვისას ბაკენბარდების საჭირო სიგრძეს ტყავის ზონრით საზღვრავდნენ. როგორ?

12. რას ნიშნავს სიტყვა „შაითანი“?

* * *

ჭიჭიკია გიჟივით დარბის ქუჩაში და ყველას აგინებს.

— რა გჭირს? — ეკითხება მეზობელი.

— რა და, ნახევარი მილიონი დოლარი ვასესხე ბიჭიკიას; იმას პლასტიკური ოპერაცია გოუკეთებია, სადღაც აქ დაეთრევა, მე კიდე, სახეზე ვერა ვცნობ, მაგის დედა ვატირე!

* * *

ავტოინსპექციის საგუშაგოსთან ჭიჭიკია და ბიჭიკია „ჟიგულს“ აწვებიან. ინსპექტორი მათ ეუბნება:

— რას წვალობთ, გააჩერეთ ეს გაფუჭებული მანქანა და ხელოსანს მოგიყვანთ.

— არა, ძმაო, ეს მანქანა გაფუჭებული არაა. უბრალოდ, ქორწილიდან მოვდივართ, ორივენი მთვრალები ვართ და გვინდა, სახლამდე მივაგოროთ.

* * *

ჩანაწერი დღიურში: „ბულიონი ისეთივე თბილი რომ ყოფილიყო, როგორიც ღვინო, ღვინო იმ ხნის — რამდენისაც ქათამი, ქათამი ისეთივე ცხიმიანი, როგორიც ოფიციანტი და ოფიციანტი ისეთივე სუფთა, როგორიც ჩემი ჯიბეები, შესანიშნავი ვახშამი იქნებოდა“.

* * *

სვანები აეროპორტში დგანან და „ბოინგ 747“-ს პირდაღებული უყურებენ:

— ამას რომ იტაცებენ, ნეტავ, როგორ მალავენ?!

— აბა, შენა ხარ, რა!.. მაგას ცაში იტაცებენ, როცა დაპატარავდება!

* * *

სვანს ფეხსაცმელი უჭერს. მეგობარი ეკითხება:

— შენი ზომის ვერ იყიდე?

— რას ამბობ, ჩემი ზომა იცი, რა ძვირი ღირდა?!

* * *

ჭიჭიკია განთქმული მონადირეა. მეზობელი ეკითხება:

— მოყევი, ერთი, ჭიჭიკია, რაფრა ნადირობ დათვზე?

— რაფრა და, ვიპოვი დათვს, გავაბრაზებ, ისიც გამომეკიდება, ავძვრები ხეზე, დათვი ამომყვება, ხეს გავარხევ, დათვი ძირს ჩავარდება, ეცემა ამ დროს ჩემი ძაღლი ბისკვიტია და გამოღადრავს ყელს.

— კი, მარა თოფი რაღად გინდა?

— შემთხვევით, მე თუ ჩავვარდი, მაშინ ბისკვიტია უნდა გავაგორო, თვარა, გლახად წამივა საქმე!

* * *

ქსენია და ჯონი დაქორწინდნენ. 10 წლის შემდეგ ქსენია ეუბნება:

— საყვარელო, ბოლოს და ბოლოს, უნდა გამოგიტყდე, მე დალტონიკი ვარ!

ჯონის გული აუჩუყდა:

— მეც უნდა გამოგიტყდე, ზანგი ვარ!

* * *

მამა ზრდასრულ ქალიშვილს მოძღვრავს:

— შეყვარებული სიგიჟემდე უნდა მიიყვანო, მხოლოდ ამ მდგომარეობაში შეუძლია მამაკაცს ცოლი შეირთოს!

* * *

ცოლი ქმარს უკივის, კაცს კი გაზეთში აქვს ჩაყოფილი ცხვირი და თავს მაღლა არ სწევს. ქალი ეუბნება:

— ვერ მომატყუებ, ვიცი, რომ მისმენ, მუხლები გიკანკალებს!

* * *

— წარმოიდგინეთ, ჩემი ქმარი ქორწილიდან მეხუთე დღეს გარდაიცვალა.

— როგორ გაუმართლა, დიდხანს არ უწვალია.

* * *

ზესტაფონელს შვილმა ამერიკიდან ფერმერი ჩამოუყვანა, სტუმრად. კარგად რომ მოილხინეს, ამერიკელი ზესტაფონელის მეურნეობით დაინტერესდა:

— მიწა რამდენი გაქვს?

— რა ვიცი, ბოშო, მაგას რა გაზომავს, უშველებელია!

— მაინც, რამდენი იქნება? — არ ეშვება ამერიკელი.

— რამხელა და თავში რომ დავქოქავ ჩემს „მაშინას“, ათი წუთი ვუნდები ბოლომდე ჩასვლას.

— არ ყოფილა ბევრი, — ჩაიცინა ამერიკელმა.

— შენ რამდენი გაქვს? — შეუბრუნა კითხვა იმერელმა.

— მე ჩემი მანქანით 3 საათს ვანდომებ თავიდან ბოლომდე გასვლას.

— მაგისთანა მანქანა მეც ქე მყავდა, მაგრამ გავყიდე და კარგი ვიყიდე.

* * *

— სადგურამდე შორია? — ეკითხება სვანი უცნობ ქალს.

— 2 კილომეტრია.

— სირბილით რომ წავიდე?

* * *

ქეთოია ქმარს ლანძღავს:

— ზემოდან დაიწვენ — იძინებს, ქვეშ დაიწვენ — სული ეხუთება, გვერდით მოიწვენ — ტელევიზორს უყურებს, ფეხზე დააყენებ და, სახლიდან იპარება.

* * *

ზესტაფონის სადგურზე გაჩერებული მატარებლიდან მგზავრი სასადილოდ ჩავიდა. ცოტა ხანში მატარებელი დაიძრა.

— ჩქარა, ჩქარა, არ დარჩე! — უყვირის გამცილებელი მგზავრს.

სადგურზე მყოფმა მოხუცმა მხრები აიჩეჩა:

— დარჩეს, ბატონო, რა მოხდა მერე?! აქანე არა ვართ ჩვენ სულე?!.

* * *

— გენეტიკა და მემკვიდრეობითობა სრული სისულელეა — ბაბუაჩემი ლოთი იყო, მამაჩემიც, მე კი, როგორც იცით, ალკოჰოლური სასმელი არ მიზიდავს.

— ნუთუ?

— რა თქმა უნდა! მე ნარკომანი ვარ!..

* * *

ჭიჭიკიას დანა პირს არ უხსნის.

— რა მოხდა, აღარ იტყვი?

— სიდედრი ჩემი მანქანის საჭეს მიუჯდა, ავარიაში მოყვა, დაიღუპა და ჩვენც დაგვღუპა!

— რას მეუბნები! რა ხნის იყო?

— ერთი თვის ჩამოყვანილი მყავდა, 10 ათასი კილომეტრიც არ ჰქონდა გავლილი!

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. „...რაიონული პოლიკლინიკების მდგომარეობით“.
2. ფულის შესახებ.
3. თუკი ვიკინგი რაიმე დანაშაულს ჩაიდენდა, იგი აუცილებლად, თავადვე აღიარებდა ყველაფერს.
4. „ევრიკა“, რაც ქართულად „ვიპოვეს“ ნიშნავს.
5. ხომალდის ტვირთი.
6. „გულქვა“ და „უგლიმი“ სინონიმებია.
7. უნაყოფო ვაზი.
8. „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“.
9. „მამაჩემი იურისტია!“
10. რედიარდ კიპლინგი.
11. ზონრის შუა ნაწილი კბილებით ეჭირათ, ბოლოებს კი კეფაზე იკრავდნენ. ზონარი ლოყას შუაზე ყოფდა და ბაკენბარდების იმ სიგრძეს საზღვრავდა, რომელიც მაშინ მოდაში იყო.
12. „შაითანი“ სპარსულ-არაბული სიტყვაა და ავ სულს, ეშმაკს ნიშნავს.

ჩვენი ფოტო მაღვრეა

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის.: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.

ვოროსკოპი

(12-18 ნოემბერი)

ვერძი:
დასახული მიზნის მისაღწევად თამამად იმოქმედეთ. გახსოვდეთ, თუ მოინდომებთ, ყველაფერი გამოგივათ და წარმატებას მიაღწევთ. ეს სამსახურსაც ეხება და პირად ცხოვრებასაც.

ხუთი:
უამრავი საქმე გექნებათ მოსაგვარებელი. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას და საჭიროების შემთხვევაში, დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. უქმე დღეები შვილებს დაუთმეთ.

ტყუპი:
ამ კვირაში შესაძლოა, დაქორწინებაც კი გადაწყვიტოთ. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური გამოკვლევა. კარგია, თუ სამოგზაუროდ წახვალთ.

კიბიჩხიტი:
მეგობრებისა და ახლობლების ხელშეწყობით შესაძლოა, საკუთარი ბიზნესი წამოიწყოთ. კარგი იქნება, თუ ბუნებაში განმარტოვდებით და საკუთარ შეცდომებზე იფიქრებთ.

ლომი:
ახალი იდეებისა და პროექტების განხორციელების დროა. შვილების მიმართ ზედმეტად მომთხოვნი ნუ იქნებით. კარგი იქნება, თუ მათთან ერთად წვეულებას მოაწყობთ.

ქალწული:
გაიხალისეთ ცხოვრება და ყურადღება გამოიჩინეთ იმ ადამიანის მიმართ, რომელიც დიდი ხანია, მოგწონთ. შესაძლოა, თქვენი ფლირტი სერიოზულ ურთიერთობაში გადაიზარდოს.

სასწორი:
კარგი იქნება, თუ საკუთარი თავისთვისაც მოიცლით. დასვენების დღეებში ახალი ტანისამოსი შეიძინეთ, ვარცხნილობა შეიცვალეთ და მეგობრებთან ერთად ბუნების წიაღში გაისეირნეთ.

მორიელი:
გახსოვდეთ, როგორც სხვებს მოექცევით, თქვენც ისე მოგექცევიან. ამიტომაც, გარშემო მყოფების მიმართ გულისხმიერება გამოიჩინეთ. საყვარელი ადამიანი საჩუქრებით გაანებივრეთ.

მშვილდოსანი:
კარგი იქნება, თუ ოჯახის წევრებს აიყოლიებთ და დილაობით ივარჯიშებთ. დასვენების დღეები მეგობრებთან ერთად გაატარეთ. ნასვამ მდგომარეობაში საჭეს ნუ მიუჯდებით.

თხის რქა:
ეს პერიოდი საკუთარ თავს დაუთმეთ, განმარტოვდით და დაისვენეთ. ნუ წამოიწყებთ ახალ საქმეებს და ნუ გააფორმებთ ხელშეკრულებებს. საიდუმლოს ნურავის გაანდობთ.

მეთევზე:
საქმეების მოსაგვარებლად დიპლომატია გამოიჩინეთ. ნუ გახდებით საკუთარი თავის მსხვერპლი და ნუ გააბამთ რომანს თანამშრომელთან. დასვენების დღეები ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ.

თევზეტი:
მეტი დრო გაატარეთ სუფთა ჰაერზე და ნუ მიეძალებით ალკოჰოლს. კვირის ბოლოსთვის სიტუაცია თქვენს სასიკეთოთ შეიცვლება და პირად ცხოვრებაში ბედნიერებას მიაღწევთ.

პატარები მეინოსობენ

გაზეთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან

4 წლის ნინო გვრიტიშვილს დედამ ავტობუსიდან სვეტიცხოველი დაანახვა. ცოტა ხნის შემდეგ ნინო ეკითხება დედას:

— დედა, მანდ მართლა „სვეტი“ ცხოველები ცხოვრობენ?

ანზორ ბიძია, შარვალი დაგსვრიათ, — ეუბნება პატარა ნინო ხელოსანს, რომელიც ონკანის შესაკეთებლად მოვიდა, საგარეო ტანსაცმელი გაიხადა და სამუშაო ჩაიცვა.

— არა უშავს, ნინო, მეორეც ხომ მაქვს?

— ორი შარვალი რად გინდათ, ანზორ ბიძია, თქვენც იფსამთ ხოლმე?..

3 წლის თამთა ანდღულაძე პირველად წაიყვანეს ზოოპარკში.

— აი, შვილო, ნამდვილი მგელი.

— აჩვენებს დედა.

— წითელქუდა სად არის, დედიკო?

— კითხულობს თამთა.

პატარა მარიამ დოლიძემ ფეხბურთის მატჩის ყურებისას, ტელეკომენტატორის მიერ წარმოთქმულ გვარს — ბატისტუტას მოჰკრა ყური და მამიკოს ეკითხება:

— მამიკო, ამის შვილები „ჭუკისტუტები“ არიან?

5 წლის ანი ჯიღაური წაიქცა, თავი კარადას მიარტყა და ატირდა. დედამ ცივი ტილო მისცა და უთხრა:

— სადაც მიარტყი თავი, იქ დაიდე.

პატარა ანი ტირილით გაიქცა და ტილო კარადას მიადო.

3 წლის ანამ რძე მოითხოვა.

— ძროხა გაშრა და აღარ იწველება, — უთხრა პაპამ.

— წვიმა რომ წამოვა და ძროხა დასველდება, მერე მოიწველება? — იკითხა პატარამ.

4 წლის ნინიკო ნოზაძე ღამით ატირდა, — ყური მტკივაო. მამა ეკითხება:

— რომელი ყური გტკივა: მარცხენა თუ — მარჯვენა?

— არ ვიცი, სიბნელეში ვერ ვხედავ, — უპასუხა ნინომ.

1. უნარი, შნო
2. მხარე საქართველოში
3. პატარა მდინარე
4. ვეტერანი ქართველი მოჭიდავე
5. ვულკანი იტალიაში
6. კვამლი
7. „ბითლზების“ მშობლიური ქალაქი
8. ცხენბურთი
9. ლაშქარი
10. ღმერთი
11. საბუნებისმეტყველო მეცნიერება
12. ლითონზე ამოკვეთილი ნახატი
13. მოჭიდავე
14. ჭამის სურვილი
15. ამერიკის შტატი
16. ვეფვილი
17. ინგლისური ლუდი
18. ქვეყანა აზიაში
19. მცირე განის მქონე
20. თუთუნი
21. გამხმარი ხილი
22. სამეგლისო ცეკვა
23. მუს. ნოტი
24. ... ტაილერი
25. პირველი ქალი
26. ხორცის ნახარში
27. ხალიჩა
28. პარკოსანი კულტურა
29. აზერბაიჯანის დედაქალაქი
30. უბანი თბილისში
31. მცირე ჩრდილი
32. ფირნიში
33. ბოსტნეული
34. ქალაქი საქართველოში
35. ლიბანის დედაქალაქი
36. ქალაქი ისტორიულ კლარჯეთში
37. ესპანეთის ფეხბურთის გუნდი
38. მომკილი თავთავის კონა
39. სიმებიანი მუს. საკრავი
40. ბალზამირებული გვამი.



ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

1. მეტალიკა; 2. მაჰგონი; 3. მერინოსი; 4. ვაზარი; 5. კოკი; 6. დარი; 7. ჩარონზი; 8. ლიმა; 9. ანორაკი; 10. ფოიე; 11. გობი; 12. კორინთელი, 13. რკო; 14. კვიპროსი; 15. როკი; 16. კვარტალი; 17. საინი; 18. ვარდენი; 19. ხუანხე; 20. ალერსი; 21. ლეი; 22. სიასამური; 23. თაობა; 24. ხე; 25. ტატრა; 26. დანტესი; 27. ლიბია; 28. ასთანა; 29. კალია; 30. ოკეანე; 31. კრიზისი; 32. მთა; 33. კანჯარი; 34. სიო; 35. სინა; 36. ურნა; 37. იო; 38. დრამი; 39. ალიტალია; 40. ცრუ; 41. ნორმა; 42. ირონია.

სურათებზე: 1. ჰილარი სუონკი; 2. ჯერარდ ბატლერი.

სპეციალური კროსვორდი

გ	გ	ა	გ	რ	უ	ნ	ა	ვ	ს	თ	ა	ვ	ი	ს	მ	კ	ი	თ	ხ	ვ	ე	ლ	გ	ე	
ი		ს	ე	ა	თ		ი	ლ	თ	ე	ნ	ა	უ	ო	ნ	უ	ნ		ი	ე	ე	ო	ი	ი	

შენიშვნა: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

გ. საჭადრაკო პარტიის ისეთი დასაწყისი, როდესაც თეთრები შეტევაზე სწრაფად გადასვლის მიზნით წირავენ პაიკს ან რომელიმე სხვა ფიგურას; **ზ**. ხასიათი, ბუნება, თვისება; **ა**. ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული თავდასხმა სხვა ქვეყანაზე მისი დაპყრობის მიზნით; **ზ**. დიდი მტაცებელი თევზი; **რ**. ორთვლიანი ეტლი, რომლის ხელნებშიც შებმულია ადამიანი. იყენებენ მგზავრების გადასაყვანად; **უ**. უუნარო, უგერგილო, მოუხერხებელი; **ნ**. მამაკაცი, რომელიც ქორწილს იხდის; **ა*. სისხლნაკლებობა; **ვ*. მემამულე ფეოდალი შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში, რომელიც დამოკიდებული იყო სხვა, უფრო მსხვილ ფეოდალზე; **ს*. ოქროს ნივთი, რომელსაც ჩუქნიან წლის საუკეთესო მოდელიერს; **თ*. დაბა აღმოსავლეთ საქართველოში; **ა*. ჩვილი ბავშვის სარწეველა საწოლი; **ვ*. რა ერქვა გერმანიის რესპუბლიკას 1918-1932 წლებში; **ი*. მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „მახინჯი, ცუდი, კარგი“; **ს*. შეჯიბრება თხილამურებით მთიდან სწრაფდაშვებაში მიხვეულ-მოხვეული გზებით; **მ*. გიორგი დანელიას ფილმი; **კ*. რომაელი მთავარსარდალი, რომელმაც პომპეუსსა და კეისართან ერთად რომის პირველი ტრიუმვირატი შეადგინა; (ნიჭი — კეისარი, ძალა — პომპეუსი, ფული — ?); **ი*. მგალობელი ფრინველი; **თ*. რა ცხოველი იყო ამალთეა, რომელმაც კუნძულ კრეტაზე გადამალული ჩვილი ზევსი საკუთარი რძით გამოკვება; **ხ*. ვაჟა ფშაველას მოთხრობა „... წიფელი“; **ვ*. ჰიტლერის საყვარელი კომპოზიტორი; **ე*. ძველი ბერძენი მეიგავე; **ლ*. პოტომაკი — ვაშინგტონი, ვლტავა — პრაღა, შპრეე — ბერლინი, ტემზა — ?; **ზ*. მთიდან დიდ გროვად წამოსული, ჩამორღვეული თოვლი; **ე*. ადამიანის გრძნობა, განცდა, სულიერი მღელვარება.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**გ*. გოგიტა; **ა*. ათაბაგი; **ე*. ერქვანი; **რ*. რეცეპტი; **თ*. თხემი; **ე*. ერუდიტი; **დ*. დოლაბი; **ა*. ასინეთა; **დ*. დათვი; **ა*. ამერიკა; **ი*. იავა; **ს*. სეზანი; **ვ*. ვაიმარი; **ე*. ენდრო; **ნ*. ნეილონი; **ე*. ენდემი; **გ*. გეიზერი; **ზ*. ზიგზაგი; **ა*. ატაშე; **ს*. სუმო; **თ*. თაობა; **ა*. არჩილი; **ნ*. ნინიძე; **ე*. ელდარი; **რ*. რეესტრი; **თ*. თიბათვე; **ა*. ანანასი; **დ*. დრო.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:
გაქცეული თევზი დიდი გამოჩნდებაო

იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

3	5	9	7	8	2	1	4	6
8	6	7	4	3	1	5	9	2
2	1	4	6	5	9	7	8	3
9	8	6	2	1	7	3	5	4
4	3	2	8	9	5	6	1	7
1	7	5	3	6	4	8	2	9
7	9	8	1	2	6	4	3	5
6	2	3	5	4	8	9	7	1
5	4	1	9	7	3	2	6	8

6	3	4	1	2	5	7	9	8
1	8	2	7	6	9	5	4	3
5	7	9	3	4	8	1	6	2
4	2	1	9	5	6	3	8	7
3	9	7	4	8	1	6	2	5
8	6	5	2	7	3	9	1	4
9	5	6	8	3	4	2	7	1
7	1	8	5	9	2	4	3	6
2	4	3	6	1	7	8	5	9

8	7	3	4	5	6	9	2	1
4	1	2	3	9	7	6	5	8
5	9	6	2	1	8	4	7	3
9	5	7	8	6	1	2	3	4
2	8	4	9	7	3	5	1	6
3	6	1	5	2	4	7	8	9
6	4	8	7	3	2	1	9	5
1	2	5	6	8	9	3	4	7
7	3	9	1	4	5	8	6	2

* მარტივი

	2			4				1
8				7			9	
			6					3
	6		3					8
5			9	1				4
4			8				3	
9					6			
	5			9				2
1				2			7	

** საშუალო

			9					2
		3		2				7
2				6			1	
4					7	9		
		1	5		6	2		
		9	8					5
	2			7				4
8				3		5		
5					9			

*** რთული

	9			6				2
	6				5	3		
		7	1	4				5
4				1				6
6					7			8
1				7	3	4		
		8	5				3	
3				8			5	

ფოტოკუიიოზები



როგორ შევიძინოთ ყველაზე პოპულარული საქონელი გასაყიდ ფასზე გაცილებით იაფად? 9-დან 16 ნოემბრამდე!

ფასი: ~~470~~ 360

გაზქურა
CORREDO
ექსკლუზიური წარმოება
უჟანგავი მეტალი

ღუმელი ზედა და ქვედა წვით

ავტომატური ანთება

ზომები: 50სმ X 50სმ

IceGuard IG20
ზომები: 205/65/R15

ფასი: ~~190~~ 140

YOKOHAMA

იაპონური ხარისხი

სახელგანთქმული მარკა

ტოტალური კონტროლი
ნებისმიერ გზაზე

W.drive
ზომები: 195/65/R15

ფასი: ~~165~~ 125

„პალიტრის“ მედიასახლის ანტიკრიზისული პროექტი „მედია-დანაზოგი“

„სიტყვა და საქმის“ პირველ მეერდზე დაბეჭდილია კუპონი,

შეაგროვეთ 4 ცალი, მიიტანეთ „მეგატექნიკის“ მაღაზიებში

დაზოგეთ 110 ლარი!

მარჯანიშვილის 16
პეკინის 11
ტელ: 24 46 46/47

შეაგროვეთ 4 ცალი, მიიტანეთ „იოკოჰამას“ მაღაზიაში

დაზოგეთ 50 ლარი!

დაზოგეთ 40 ლარი!

რაფ. აბლაძის 39ბ ტელ: 34 10 85

ანონსი

სახელგანთქმული
converse-ის კედები

მომავალი ორშაბათიდან 16-დან 23 ნოემბრამდე

იხილეთ „მედია-დანაზოგის“ ახალი შემოთავაზება

შაქრის საზომი აპარატი
ACCU CHEK

ინტერნეტ-ბანკი
თანხა